



N13 (564) 31/III-6/IV-2011 ფასი 1 ლარი

გზა



**„ბარბენოვის
გამო ცოვითი
დავკოვალაქსდი“**

**„ინტრიგების
სახლართავად
არ გამოვდგები“**

**სხვისი,
გამჭვირვალა
კაბით
დაწყებული
პარიზა**

**„მეზინ ცინეზი
საზინელი
ვიროზები იყო“**

**„მინდა, ჩემი უმთხვევა
მაგალითი იყოს“...**

**ქართული პროზის საბანკური
ტომი №57
ჭილა ლომთათიკა
საპურობილაუი**

უბიქლიათ უბიქინოთ
„გზის“ პე მოქართან ვართად!
წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს
უბილაგი ტომი
უიო არაგვინსპირალი



**აღაიანი,
როქელინს
საკუთარ
ცხოვრებას
ეზლიდან
მართავს**

**„როსა ჩვენს ურთიერთობას
სერიოზული სახე მივსა,
ნიკა თავის მდგომარეობას
გამოვდგებით მასხანებდა“...**

„გზა“ – ყველაზე მაღალბირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!



**„აირველ დამს,
როქელინს ამ
სახლი გავათანა,
უავეზუი ჩანმული
ქალი დამესიგრა“**

**„ამ სახლზე სოფელი
მითქმა-მოთქმა დადიოდა:
აგობდნენ, დაწყებლილიყო“**



**თბილისელი
გურულაების „ტრიო“**


**„ჩემმა უვილმა ბოთლაუი ჩააზარა
და თვატრუი ისე მოვიდა“...**

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009

და ბასტრიტის წარმოშობა მიზეზებზე



✓ ანაღბურებს ჰელიკობაქტერიას

✓ ხელს უწყობს კუჭის ლორწოვანი ბარსის შეხორცებას



გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს
 დისტრიბუტორი “ ავერსი ფარმა” აღმაშენებლის 148/2

მოსრდილებსა და ბავშვებში 12 წლის ზემოთ ინიშნება 1 ტაბ. 120 მგ 4-ჯერ დღეში ან 2 ტაბ. 2-ჯერ დღეში, 4-დან 12 წლამდე ინიშნება დღისით 8 მგ/კგ-ზე, გაყოფილი ორ მიღებაზე. პრეპარატი მიიღება ჭამამდე 30 წთ-ით ადრე. ხანგრძლივობა - 4-8 კვირა. შემდეგი 8 კვირის განმავლობაში არ არის რეკომენდებული ბისმუტის პრეპარატების მიღება. შესაძლებელია განავლის შავად შეფერვა, რაც არ საჭიროებს პრეპარატის მოხსნას. გვერდითი ეფექტები: შესაძლებელია გამოვლინდეს გულისრევა, დებინება, დიარეა, ყაზხობა, კანის გამონაყარი, ქავილი. არ გამოიყენება თირკმელების მძიმე უკმარისობის, ორსულობის, ლაქტაციის და პრეპარატის ინდივიდუალური აუტანლობის დროს.

რა იმალება ბასტრიტის დიაგნოზის მიღმა?

გასტრიტი – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. გამოკითხული 10 რესპოდენტიდან სავარაუდოდ ათივე გვიპასუხებს, რომ გასტრიტის მიზეზია არასწორი კვება, განსაკუთრებით კი ჩვენი „გასტრონომიული სისუსტეები“-მშრალი, მჟავე და მწარე საკვები. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მეცნიერულად დადასტურდა, რომ გასტრიტის ძირითადი გამომწვევია ბაქტერია ჰელიკობაქტერ პილორი (*Helicobacter pylori*). ავსტრალიელი მეცნიერების ამ აღმოჩენამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა გასტროენტეროლოგიაში. H.P. აზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, იწვევს მარილმჟავას დიდი რაოდენობით გამომუშავებას, რაც ნეგატიურად მოქმედებს კუჭზე. შედეგად ვითარდება ანთებითი პროცესი – ქრონიკული გასტრიტი.

კიდევ ერთი არასასიამოვნო „სიახლე“- H.P.-ით ინფიცირება ხდება პირადი ჰიგიენის საგნებით და ნერწყვით, რაც ავადმყოფობის ოჯახური კერების ფორმირებას უწყობს ხელს.

ამავე დროს, ქრონიკული გასტრიტი შეიძლება სიმსივნის განვითარების მიზეზი გახდეს. ხანგრძლივად მიმდინარე H.P.-სთან ასოცირებული ქრონიკული გასტრიტის დროს 6-ჯერ იზრდება კიბოს განვითარების რისკი. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ „გასტრიტის“ დიაგნოზის შემთხვევაში პაციენტები ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას მჟავიანობის დამწვევი პრეპარატებით. თავიდან ეს მართლაც „შველის“, მაგრამ დაქვეითებული მჟავიანობის პირობებში H.P. აქტიურად ვრცელდება კუჭის მთელ ლორწოვან გარსზე, რაც პროცესის გაქრონიკულებას იწვევს.

გასტრიტის სწორი მკურნალობა 2 მიმართულებით უნდა წარიმართოს: გამომწვევის, ანუ H.P. -ის განადგურება და კუჭის დაზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენა. ამ მხრივ პრეპარატი დე-ნოლი თავისი უნიკალური თვისებების გამო შეუცვლელი კომპონენტია გასტრიტის მკურნალობის თანამედროვე სქემებში. დე-ნოლი წარმატებით ებრძვის H.P.-ს და ანადგურებს მას, აფერხებს მის გავრცელებას კუჭის ლორწოვანზე, ამავდროულად ხელს უწყობს დაზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენასა და შეხორცებას. H.P.-ს არ გააჩნია მდგრადობა დე-ნოლის მიმართ. დე-ნოლი არ მიეკუთვნება ანტიბიოტიკების ჯგუფს, არ ახდენს გავლენას ნაწლავის ნორმალურ მიკროფლორაზე. სწორედ ამ უნიკალური თვისებების გამო, გასტრიტის გამწვავების დროს, ექიმები რეკომენდაციას უწევენ დე-ნოლს.

franco fontana

italy

2011 წლის ახალი
საგამაგებლო სერია (წილი)

franco fontana

გთავაზობთ ცნობილი

იტალიური ბრენდების

ოქროსა და ვერცხლის ნაქათობების

ახალ კოლექციას!



დათი შენ ყველაზე საქმიანი ხარ!

დათი შენ ყველაზე მოდური ხარ!

სადამო შენ ყველაზე მიმზიდველი ხარ!

თუკი ყოველივე დაუძინებელი franco fontana -ს სიმსუკრობას რჩივ!

franco fontana გემოვნებიანი ადამიანების არჩევანი

რუსთაველის 26 ☎18-10-47; ვაჟინის 7 ☎30-65-56; ჭავჭავაძის 21 ☎18-10-46;

დადიანის 7, ☎18-14-15 (ქარვასლა I სართული)

Elos

სილაგაზის ცენტროლოგიის
ინოვაციური მედიკამენტი

სხეულზე პროცედურები

Elos — ეპილატორი წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სინითებს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგამოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ქალარა და ძალიან ღია თმა!

სახის პროცედურები

Elos გაახალგაზრდავება — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალეობას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს. ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!




ჩაენართ უფასო კონსულტაციაზე
29 00 66 29 47 47
თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge

სენალექსი

იგრძენი სიამოვნება

წარმოუდგენელი შვებისაგან!



ობიექტური არჩევანი:

- ატონიური შეყრულობისას
- ბუასილის დროს, პროქტიკებისა და უკანაგანის ბზარებისას
- არარაციონალურ კვებასთან დაკავშირებული შეყრულობა
- სიტუაციის შეყრულობა
- აძლიერებს ნაწლავის მოძრაობის ფუნქციას, განსაკუთრებით მსხვილი ნაწლავისა.
- მოქმედებს რბილად, უმტკივნეულოდ, ნელა.
- ხანგრძლივი მოხმარებისას არ ახორციელებს ტოქსიურ ზემოქმედებას ორგანიზმზე.
- არ იწვევს შემდგომ შეყრულობას.



გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს


ფლუკოლდი

ფლუკოლდი თქვენი ოჯახის ავსოვარი-გაციების საღარაჯოა!



გამოცდილი საშუალება,


თქვენი ჯანმრთელობის სამსახური!



გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს



ქვეყანა



„როსა ლითონი იუანგება, გინდა, ბავონი დაასხი ზემოდან და გინდა, ხაჭაპურში ჩადე...“

„კომუნისტების დროს აშენებული შენობები, ჯერ ერთი, 7-ბალიან მინისძვრაზე გათვლილი, გარდა ამისა, უკვე ნახევრად ამორტიზებულია და შესაბამისად, მათი მდგრადობაც შემცირებულია...“

10

სახე



რა ხდება ნინი ბადურაშვილის პირად ცხოვრებაში?

„ბადურაშვილებიც ყველანი მღერიან. სიმალლითა და თხელი აღნაგობით იმედს ძმას დაემსგავსა...“

21



ცხოვრება

იდუმალებით მოცული სახლი



„თითზე გადასახვევი აღარაფერი დაგვრჩა. გვიკვირს — ასე როგორ დანიწვა ყველაფერი, თან, ასე უცბად?! არაფერი შეგვრჩა...“

32

■ მიწიათიურები

„დურუ, შეაგინე, შეაგინე, როგორც მაშვინ!“

5

■ ჭრელი მსოფლიო

6

■ პოლიტიკა

7

■ საბანკური

9

■ SOS!

10

„როცა ლითონი იუანგება, გინდა, ბეტონი დაასხი ზემოდან და გინდა, ხაჭაპურში ჩადე“

■ ერთი მიწის შვილები

12

ქართულ-აფხაზური მოყვრობა საქართველოს საზღვრებს გარეთ

■ კრიმინალი

16

ნ-ნლიანი პატიმრობა, ფანი სასამართლოში და ბადრაგის სასჯელი

■ მეგამორუმები

18

ციხეში მოხვედრილი გიორგი ქორქიას სუქსი და გულისტანი

■ გენები

21

ჭორიკანების მიერ ჩაშლილი ურთიერთობები ანუ რა ხდება ნინი ბადურაშვილის პირად ცხოვრებაში?

■ კარიერა

23

ლამის 12-ის ნახევარზე მიღებული შეთავაზება და 2 ტაფით გადახდილი ჰონორარი

■ ეთიკანობა

26

მოსკოვში გაზრდილი ქართველი გოგო სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს

■ ჟორ-მართალი

27

„ღვთის წყალობით, კარგად ვარ“

■ ჭივილი

28

„დედის სიყვარულს ახლა ვსწავლობ“



ჭორი, რომელმაც ჩემი ცხოვრება უსუვლა



„ყველაფრის თხოვება გამიგია სამშობლოში — ქვების, უთოს, სკამის, მაგრამ ქმრის თხოვება პირველად გავიგონე. გათენებული არაა, რომ ტელეფონი რეკავს.“

64

■ ეკრანს მიღმა	30
რაიონიდან ჩამოსული გათბილისელებზე — მტრისას!..	
■ გასაჭირი	32
იდუმალებით მოცული სახლი და ბოსელში გადასახლებული ოჯახი	
■ ქართული სპორტის ლეგენდები	34
ჩემპიონატში №1, რომელიც პირველ ნაკრებში არ ათამაშეს	
■ ადგილი ცხოვრებაში	37
ესპანეთიდან დანახული „ქართული სამოთხე“ და „ზეპირად დანერილი“ ლექსები	
■ ანტიდეპრესანტი	38
■ ერუდიტი	40
„სამი წლის ასაკიდან ვწერ და ვკითხულობ“	
■ ტაქარი	42
იგავი „ბოროტ მევენახეებზე“	
■ საკითხავი ქალაქისათვის	43
■ ჯანმრთელობა	44
■ სულის სიმტკიცე	46
„მიზანდასახული ადამიანი ვარ, სხვის ხარჯზე ცხოვრება არ მინდა“	
■ თინეიჯარული პონტები	49
მოზარდი, რომელსაც დანამომარჯვებული მშობლების გაშვებება უწევდა	
■ წვეთი პოეზია	52
■ რეალური	53
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ ქართული ლიტერატურა	56
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)	
■ რომანი	60
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)	
■ გზავნილები	64
ჭორი, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა	
■ ეს სამყაროა	76
■ გასართობი	78
■ ასტროლოგია	81
■ სკანოკრიტი	81
■ საუბრით კარსკორდი	82

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოქვეყნდა კვირის ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთი „კვირის პალიტრის“ ლაგაბათაბა

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,**
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



„სამი წლის ასაკიდან ვწერ და ვკითხულობ“

„საყვარელ ფილმსა და ავტორს
ვერასდროს ვასახელებ.
მხოლოდ ერთს ვეძიებ, — გურამ
დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ ჩემთვის,
„ბიბლია“ გახლავთ...“

40

ადამიანი




„მიზანდასახული ადამიანი ვარ“

„ჩემზე ამბობდნენ, — ეტლზე დაჯ-
დომას თუ შეძლებს, ეს იდეალური
ვარიანტი იქნება; ისეთი დაზიანება აქვს, შეიძლება,
მთელი ცხოვრება საწოლში გაატაროს...“

46

ბიბლუსი



— იორდანიშვილი საკუთარ ბინაში დანით მოკლული
ალმოჩინეთ, ხომ?
— ეს ხომ უკვე გითხარი?
— დანა ჩვეულებრივი იყო თუ...
— ჩვეულებრივი სამზარეულო დანა იყო...“

56

ბაიბ-აუბი



საუბრი მწერები

თითქმის ყველა ჯიშის ობობას
აქვს შხამი. ადამიანისთვის
საფრთხეს სულ 4 სახეობის
ობობა წარმოადგენს. მათ

შორისაა, შავი ქვრივი (იგი განაყოფიერების
შემდეგ მამრ ობობას ქვამ).

77

„დურუ, შეაგინე, შეაგინე, როგორც მაშვინი..“

შესავლის ნაცვლად

ცხოვრებული ბუბიჩეში სულ ამას მეუბნებოდა, — დარწმუნებული თუ არ ხარ, უკვე „ხელში თუ არ გიჭირავს“, კაცს არაფერს დაჰპირდე, რომ არ გაანბილო.

ჰმ, ერთ კაცს კი არა, „გზის“ მრავალათასიან აუდიტორიას დაეპირდი წინა სუთშაბათს, რომ მომავალ „პროვოკაციაში“ (ანუ დღეს), ოპოზიციაზე არაფერს ვიტყვი და მხოლოდ ხელისუფლებას „მივსიყვარულებოდი“.

სამწუხაროდ (ამჯერად არ ვსურვებ — მართლა ვწუხვარ), სიტყვა უნდა გავტყუო და ოპოზიციასაც უნდა გადავწედე — ისეთები „მოახერხეს“, რომ გასულ ერთ კვირას მხოლოდ მმართველი ელიტის „აქტივში“ ნამდვილად ვერ ჩაგნენ.

აბა მითხრო, ვერონიკა ქობაღიას ისრაელში არჩაშეცხვის ამბავი რას მოუვა მიუხეხვითი მომხდარ ფაქტთან — „ოპოზიციის მამამ“ და „ოპოზიციის დედის“ ქმარმა ერთმანეთს რომ დასცხეს!!!

სხვათა შორის, „გრეჩისა“ მოეჩიო, ამბობენ და

შაბათს ჩვენმა ნაკრებმა ხორვატიას რომ მოუგო, იმ თამაშზე ამ გამარჯვების გარდა, კიდევ ერთი საოცარი ფაქტი მოხდა (უფრო ზუსტად, მე გადამხდა): მატჩზე წასვლის წინ მეგობარს ვესაუბრებოდი და, ჩვენი კიდევ ერთი საერთო მეგობარი ვახსენეთ, თუ ნახავ, ესა და ეს ამბავი გადაეცემა, — ამან მითხრა. კარგი, მაგრამ რამდენიმე თვეა არ მინახავს და სად შემხვდება, დაუფრეკავ-მეთქი.



მივედი სტადიონზე, დავეჯექი ჩემს ადგილზე, გვერდზე მივიხედე (ზუსტად ჩემ გვერდით, 50 ათას კაცში) და აგერ არ ზის ის ჩემი დიდი ხნის უნახავი მეგობარი?! არ ვიცი მე ტელეპათია და ბიოდენე-ბი, შემთხვევას ვუწოდებ ამას; მაგრამ რატომ გაიმბეთ, იცი? რატომ და, — რაღა მიუხეხვის აეროპორტში შევდნენ ერთმანეთსო, რაღა ზუსტად იმ დროსო, მთავრობამ გაუწალიჩაო, თვითონ გაიჩაღიჩესო, მაგას ვინ ჭამსო...

კარგით, რა, — მე თუ მათეს გვერდით მოვხვდი 50 ათასიან სტადიონზე, თბილისისკენ, მგონი, კვირაში სულ რამდენიმე თვითმფრინავი მოფრინავს და რატომ არ შევვდებოდნენ აეროპორტში?

ჰოდა, ამას უთქვამს, — შენა, ბიჭო, ვისაო?! იმან, — ვისა და შენაო! და დასცხეს!

კი წერს ზოგიერთი ინტერნეტგამოცემა, გაჩეჩილაძემ ბინაძე წააქცია და მერე ფეხებიც ურტყაო, მაგრამ ბინაძე აცხადებს, — რინგზე გამოვიდეს და იქ მეჩხუბოსო! მაგრამ მაგისი „ერთი ადგილი“ არა აქვსო (ზუსტად ასე თქვა!) ეს „ერთი ადგილი“ რაღა უბედურებაა, თქვი, რა — „მაგის ტრაკი არა აქვს!“ და გასაგები იქნება ყველაფერი, „ერთი ადგილი“ არა...

სამაგიეროდ, გაჩეჩილაძე არ მორიდებია, ღამე წყნეთში მიადგა ბინაძის აგარაკს და კოხტად აგინა, გინება დურუ ხუნჭუაზე კი „ჭრიდა“, მაგრამ ამჯერად „მასპინძელი“ „ზრდილობიანად“ დუმდა...



აჰა, ვითომ სასაცილო ამბავს მოგყვით და სინამდვილეში რა ჰქვია ამას?! ამ ქვეყანას არაფრის შანსი რომ აღარ აქვს ასეთი ხელისუფლებისა და მასზე უარესი ოპოზიციის ხელში, რა ეშველება ამას?! ერთია და, ხან ცხვრის ლეშით დარბის და ხან თეთრი სახლის წინ ყვირის; ესენი — ხან მიუხეხვითი ურტყამენ ერთმანეთს და ხან წყნეთში აგინებენ კარგების, როგორც ბინაძე ამბობს, — „ერთ ადგილს“;

პრეზიდენტი და, თბილისში ჩამოსვლამდე ვერ ითმენს, ჰაერიდანვე ტუქსავს მავან მწერალს, როგორ გაბედა და ქურდები ახსენაო?! — ვითომ მეტი პრობლემა არ ჰქონდეს ქვეყანაში...

ჰმ, პრობლემა არ არის კი არა, შიმშილობასა და სიღატაკეზე რომ რამეს ჰკითხავდი „ნაციონალებს“ და — სამაგიეროდ, გზები და საგარეო პოლიტიკა გვაქვს „ათიან-ზეო“ — გიპასუხებდნენ, იქაც ჩაისვარეს — გომბორის

„საჩვენებელ-სამაგალითო“ გზაზე „ტანკსანინალმდეგო“ ორმოები გაჩნდა, საზღვარგარეთ კი — მიშას დასასვენებლად ჩასვლას ჯერ არავინ უშლის, მაგრამ ისრაელმა ჯერ ბაქრაძე არ შეუშვა ქვეყანაში, ახლა კი თვით ვერონიკას ცისფერმა თვალებმაც ვერ „დააბა“ ებრაელები და ღამის თვითმფრინავის ტრაზე ასული ჩამოაბრძანეს უკან — იქაურ გაზეთებში კი უკვე „კრიმინალურ მთავრობას“ უწოდებენ ამათ...

P.S. სორვატიასთან მატჩზე, ვინც სტადიონზე იყო, შეამჩნევდა: სამხრეთ ტრიბუნაზე, მეორე იარუსის მოაჯირზე, გულშემატიკურებმა პლაკატები გადმოიკიდეს, წარწერით — „დემე“, რითაც ორი დღით ადრე გასამართლებული და ექვსწელმისჯილი გიორგი დემეტრაძისადმი მხარდაჭერა გამოხატეს.

ცოტა ხნის შემდეგ (ეტყობა, როცა მითითება მიიღო, თორემ თვითონ რას მისვდებოდა?! პოლიცია მივიდა და პლაკატი ააღებინა...

არ ვიცი, დამნაშავეა თუ არა დემეტრაძე, მაგრამ ამ ქვეყნის „მაიმუნიზაცია“ მისთვის გამოტანილ განაჩენშიც გამოჩნდა: ექვს წელთან ერთად ქონების ჩამორთმევაც მიუსაჯეს — ხომ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამ კაცმა ქონება ფეხბურთის თამაშით, ლეგალური და დათვლილი შემოსავლით შეიძინა?! მერე რა, ცოტას დემეტრაძეს წაართმევენ, ცოტას „მარშრუტების“ 70 თეთრამდე გაძვირებით ამოიღებენ, ცოტას ებრაელ ბიზნესმენებს დაიჭერენ და ასე ნელ-ნელა შეგროვდება მიშას მორიგი „პაეზ-კის“ ფული... ასე წვალაობენ, რა ქნან...

არ ვიცი, დამნაშავეა თუ არა დემეტრაძე, მაგრამ ამ ქვეყნის „მაიმუნიზაცია“ მისთვის გამოტანილ განაჩენშიც გამოჩნდა: ექვს წელთან ერთად ქონების ჩამორთმევაც მიუსაჯეს — ხომ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამ კაცმა ქონება ფეხბურთის თამაშით, ლეგალური და დათვლილი შემოსავლით შეიძინა?! მერე რა, ცოტას დემეტრაძეს წაართმევენ, ცოტას „მარშრუტების“ 70 თეთრამდე გაძვირებით ამოიღებენ, ცოტას ებრაელ ბიზნესმენებს დაიჭერენ და ასე ნელ-ნელა შეგროვდება მიშას მორიგი „პაეზ-კის“ ფული... ასე წვალაობენ, რა ქნან...

პროვოკატორი



ქვეყანა

ბიონსე მამა სამსახურიდან დაითხოვა

მომღერალმა ბიონსე ნოულზმა მამამისი, მეთიუ ნოულზი მენეჯერის თანამდებობიდან გაათავისუფლა. ადრე ბიონსეს მამა გაყიდვების აგენტად მუშაობდა, მაგრამ 1995 წელს სამსახური მიატოვა და შვილის კარიერაზე ზრუნვა დაიწყო. მამინ ბიონსე გოგონათა ჯგუფში — Destiny's child მღეროდა.

ჯგუფის დაშლის შემდეგ, მეთიუ ნოულზი მისი წევრების — კელი როულენდისა და მიშელ უილიამსის პროდიუსერი იყო. მოგვიანებით ის ამ თანამდებობიდან დაითხოვეს. ახლა მათ მაგალითს მისმა ღვიძლმა შვილმაც მიჰბაძა. ვარსკვლავი ამბობს, რომ სამსახურიდან დათხოვნის გამო, მამასთან ურთიერთობა არ გაჰფუჭებია. „ის მთელი ცხოვრება მამაჩემი იქნება და ჩემთვის ძალიან ძვირფასია“, — განაცხადა მომღერალმა.


„ფუჟუსიმა-1“-ის ხელმძღვანელმა თავი მოიკლა?!

ატომური ელექტროსადგურის „ფუჟუსიმა-1“-ის მმართველი კომპანიის პრეზიდენტს მასაჩუსეტსის შიმიტუს ვერსად პოულობენ. როგორც იაპონური საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, შიმიტუ არც ოფისში გამოჩენილა, არც საკუთარ ბინაშია და არც ტოკიოში. კომპანიის მმართველი არ გამოჩენილა იმ სახელმწიფო კომისიის შეხადგენლობაშიც, რომელიც ატომური ელექტროსადგურების უსაფრთხოებასა და „ფუჟუსიმა-1“-ის ავარიის შედეგების ლიკვიდაციაზე მუშაობს.

66 წლის შიმიტუმ ავარიის გამო საჯაროდ მოიხადა ბოდიში. მოგვიანებით მისმა პრესმდივანმა განაცხადა, რომ შიმიტუ სტრესისა და გადატვირთული სამუშაო დღის გამო შეუძლოდ იყო. იაპონიაში ვრცელდება ხმები, რომ შიმიტუმ ან თავი მოიკლა, ან ქვეყანა დატოვა. კომპანიის მმართველის გაუჩინარებამ ქვეყნის ხელისუფლება განარისხა; ოფიციალური პირები შიმიტუს საქციელს „მიუტევებელ ცოდვად“ მიიჩნევენ.


თევზი, როგელის ჰიტლერს ჩამოკბავს...

ბრიტანელ გოგონას მშობლებმა აჩუქეს თევზი, რომელსაც ადოლფ ჰიტლერს ამსგავსებენ. ოჯახის წევრებმა აკვარიუმში თევზის გაშვების შემდეგ შენიშნეს, რომ მას დიქტატორის მსგავსად, ტუჩის ზემოთ უღვაში და გვერდზე გადაწეული „თმა“ აქვს. „თავდაპირველად ვშიშობდი, რომ თევზი აკვარიუმში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შეეცდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ის „თანამოძმეების“ მიმართ მეგობრულად იქცევა“, — აღნიშნა ხუმრობით გოგონას დედამ. ბრიტანელებმა დიქტატორის „ორეულს“ ადოლფი უწოდეს.



ჩინეთში ცხვარმა ძაღლის ლაპკი გააჩინა

ჩინელი გლეხი ლიუ ნაინაგი ირწმუნება, რომ მისმა ერთ-ერთმა ცხვარმა ძაღლის ლეკვი გააჩინა. ლეკვს ცხვრის ბეწვი აქვს, თავი და ბრწყალები კი — ჩვეულებრივი ძაღლის. ქალაქ სიანის ზოოლოგიური ცენტრის მკვლევრის, გუოჩანგის თქმით, ძაღლისა და ცხვრის შეჯვარება არ ხდება, ვინაიდან ისინი სხვადასხვა პოპულაციას მიეკუთვნებიან. ამდენად, ახალდაბადებული ცხვარ-ძაღლის შემთხვევა უნიკალური, უცნაური და არანორმალური მოვლენაა.



გამოყენებულია ინტერნეტპორტალი ambebi.ge-ს მასალები



დამსხვრეული სტერეოტიპები და ახალი რეალობა

„სააკაშვილი, კადაფის — არა, მაგრამ მუზარაქს რატომ არ უნდა შევადაროთ?..“

„კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა იწყება. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა მსოფლიოში ცნობილი ექსპერტებისა და პოლიტიკოსების შექმნილი სტერეოტიპები დაამსხვრიეს...“ — აღნიშნავს ფილოსოფოსი და სამხედრო ექსპერტი კახა კაციტაძე. მისი აზრით, ლიბიის მაგალითმა დაადასტურა, რომ ახლო აღმოსავლეთში დაწყებული რევოლუციური ტალღა მსოფლიო პოლიტიკას შეცვლის...

სათუნა ბახტურიძე

როგორც უკვე ცნობილია, ლიბიელმა ამბოხებულებმა კოალიციური ჯარების დახმარებით, მუამარ კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. ოპოზიციურმა ნაციონალურმა საბჭომ საფრანგეთს უკვე მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის და სამხედრო ოპერაციის შეწყვეტა სთხოვა. „ჩვენ თავად, საკუთარი ძალებით გავიმარჯვებთ მომდევნო ბრძოლებში, უცხოეთის ჯარების დახმარება არც დაგვჭირდება“, — ამ ფრაზით მთავრდება სამადლობელი წერილი, რომელიც ლიბიელმა ოპოზიციონერებმა პარიზში გაგზავნეს (სხვათა შორის, პარიზი პირველი ევროპული ქალაქი იყო, რომელმაც ლიბიის ოპოზიციის ნაციონალური საბჭო აღიარა). ევროპელი ექსპერტების ის ხანილი, რომელიც მესამე მსოფლიო ომის დაწყებასა და ხანგრძლივ ბრძოლებს ვარაუდობდა, ახლა ირწმუნება, რომ სამხედრო ოპერაცია რამდენიმე დღეში დასრულდება, კადაფის რეჟიმი კი დაემხო. როგორია ქართული ექსპერტის, კახა კაციტაძის აზრი ყოველივე ამზე?..

— ბატონო კახა, როგორ ფიქრობთ — გაითვალისწინებენ კოალიციური ძალები ნაციონალური საბჭოს თხოვნას — სამხედრო ოპერაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით?

— ვფიქრობ, გაითვალისწინებენ, იმიტომ, რომ კონფლიქტში კოალიციური ძალების მონაწილეობა აუცილებელი აღარ არის. ამბოხებულები უკვე დამოუკიდებლად შეძლებენ ბრძოლის გაგრძელებას. ალბათ ერთ კვირაში ტრიპოლისაც (ლიბიის დედაქალაქი) აიღებენ და კადაფის რეჟიმი ამით დასრულდება.

— ერთხანს კადაფი იმუქრებოდა, რომ თუ დასავლეთი დაუბრისპირდებოდა, „ალ-ქაიდას“ შეეკრებოდა. თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო ლიბიის ლიდერმა ამ მუქარის განხორციელება?



მსოფლიოში ცნობილი ექსპერტები და პოლიტიკოსები არაადეკვატურად აფასებდნენ სიტუაციას

— ჯერ ერთი, კადაფი და „ალ-ქაიდა“ ერთმანეთთან ისე იყვნენ დაპირისპირებულნი, რომ საერთო ენის გამონახვას ვერ მოახერხებდნენ: ობობებს უჭირთ ხოლმე ერთად ცხოვრება... გარდა ამისა, გაირკვა, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში „ალ-ქაიდას“ სულაც არ ჰქონია მხარდაჭერა და არც ისლამური საფრთხე ყოფილა რეალური. როგორც ირკვევა, მსოფლიოში ცნობილი ექსპერტები და პოლიტიკოსები არაადეკვატურად აფასებდნენ სიტუაციას. რევოლუცია უკვე მოხდა იემენში, ტუნისსა და ეგვიპტეში, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებაში „ალ-

ქაიდას“ წარმომადგენლები არ მოსულან. დარწმუნებული ვარ, რადიკალური ისლამისტები ვერც ლიბიის რევოლუციით იხიერებენ. კადაფი არ იქნება უკანასკნელი ტირანი, რომელსაც საკუთარი ხალხი გააძევენ.

— დიას, ხელისუფლების შეცვლას ითხოვენ სირიელებიც... ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესკი ამბობს, რომ ამერიკელებისა და მისი მოკავშირეების შემდეგი სამიზნე თავად იქნება. ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში მომხდარი რევოლუციებით „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლებმა ვერ იხიერეს, იმაზე ხომ არ მეტყველებს, რომ რევოლუციური პროცესების ბიძგის მიმცემნი მართლაც, ამერიკა და მისი მოკავშირეები იყვნენ?

— არა, ამ პროცესების დაწყების მიზეზი რეგიონში გაბატონებული უსამართლობა გახდა. გარდა იმისა, რომ მატერიალური რესურსები მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათთან დაახლოებული პირების ხელში იყო თავმოყრილი, რიგით ადამიანებს განათლების მიღების საშუალება კი არ ჰქონდათ... თუ მიმდინარე პროცესებს კარგად დააკვირდებით, ძალიან საინტერესო ფაქტს აღმოაჩნთ: რევოლუციურმა ტალღამ ერთიანად მოიცვა როგორც პროამერიკული, ისე ანტიამერიკული რეჟიმები ახლო აღმოსავლეთში. არაბ ხალხს დემოკრატიისკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილი აღმოაჩნდა. სულ ცოტა ხნის წინ ასეთ რამეს ვერავინ წარმოიდგენდა.

თქვენი შვილი 5-6 წლისაა და ვერ გაღაწყვიტოთ, გზაღაა თუ არა სკოლისთვის?

პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცენტრი „პიკი“ გთავაზობთ სკოლისთვის გზაოჯინის დიაგნოსტიკას.

ტესტირება საინტერესო და სახალისო ფორმით ტარდება. თქვენ შეიტყობთ, რამდენად კარგად აქვს განვითარებული ბავშვს მეხსიერება, მეტყველება, ინსტრუქციით მოქმედების, ლოგიკური აზროვნების, გარემოში ორიენტაციის და ადაპტაციის უნარი. ტესტირების შედეგები და ფსიქოლოგის რეკომენდაცია წერილობითი ფორმით გადმოგეცემათ.

პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცენტრი „პიკი“

მის: ბარნოვის №71 ტელ: 895 28 60 40 www.piki.ge



კაკაფის რეჟიმი ამით დასრულდება

კაცობრიობის ისტორიაში ახალი, სერიოზული გრძელვადიანი ციკლი ისე დაიწყო, რომ მსოფლიოს წამყვანმა ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა ვერაფერი შენიშნეს.

— რატომ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ექსპერტებისთვის მოულოდნელი ის ფაქტი, რომ XXI საუკუნეში ადამიანები საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლას დაიწყებდნენ?

— რაც ხდება, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ ბანალურ ჭეშმარიტებაზე — რომ საკმარისი საფუძველი ყველაფერს აქვს. ეს საფუძველი იყო დასანახავი და ექსპერტებმა ვერ დაინახეს, არადა, ეს იმდენად მოულოდნელობა არ იყო, რამდენადაც — მსოფლიოს საექსპერტო თანამეგობრობის მოუმზადებლობა. სხვათა შორის, ასეთი რამ ხშირად ხდება. გავისხენოთ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რამდენი რამ ვერ გათვალა მსოფლიო საექსპორტო თანამეგობრობამ, მაგალითად: კომუნისტების გამარჯვება ჩინეთში, ვიეტნამის ომი და მასში ამერიკის მარცხი, საბჭოთა კავშირის დაშლა, ჩინეთის აღზევება, ინდოეთის ასეთი მზარდი გავლენა და ა.შ. ასე რომ, შეცდომებს თავის დროზე პოლიტიკოსებმა ვერ განჭვრიტეს, რომ XIX საუკუნეში (1848 წელს) ის რევოლუციური ტალღა, რომელმაც მთელ ევროპას გადაუარა, საფრანგეთში დაიწყო და ბალკანეთის

ქვეყნებამდე მიაღწია; პრაქტიკულად, ყველა ქვეყანა მოიცვა, გარდა ბრიტანეთისა, სადაც იმ მომენტისთვის, მეტ-ნაკლებად ლიბერალური წყობა იყო, და გარდა რუსეთისა, სადაც გარკვეული მიზეზების გამო, მსგავსი გამოსვლები ვერ იქნებოდა. ერთი სიტყვით, ამერიკელების შეთქმულება აქ არაფერ შუაშია.

— რამდენად შესაძლებელია, რევოლუციურმა ტალღამ პოსტსაბჭოთა სივრცესაც გადაუაროს და საერთოდაც, შეცვლის თუ არა მსოფლიოში დადგენილ პოლიტიკური თამაშის წესებს აღმოსავლური რევოლუციები?

— ახლო აღმოსავლეთში დაწყებული პროცესი შეუქცევადია; რევოლუციური ტალღა არც სირიის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დასრულდება. ვფიქრობ, არაბულ ქვეყნებში დაწყებული რევოლუციები იორდანიაზე, ირანზე, შუა აზიაზე, რუსეთსა და კავკასიაზე (მათ შორის საქართველოზეც) იქონიებს გავლენას.

— გავლენას რა მხრივ იქონებს?

— მე არ ვამბობ, რომ ირანში, შუა აზიაში, რუსეთსა და კავკასიაში აუცილებლად რევოლუცია მოხდება (თუმცა არც ეს არის გამორიცხვადი), მაგრამ არაბული მოვლენები მაგალითი იქნება სხვა ავტორიტარული რეჟიმებისთვის.

— საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეგიპტის, ლიბიასა და სხვა არაბულ ქვეყნებსა და საქართველოს შორის პარალელების გავლება აბსურდულია. იმასაც ამბობენ, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში საპროტესტო მუხტი ძალზე დაბალია და რევოლუციის საფრთხე არ არსებობს...

— ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად, ჩვენი ქვეყნის მთავარი მატერიალური რესურსები ხელისუფლებასა და მასთან დაახლოებული პირების ხელშია თავმოყრილი, საზოგადოების უდიდესი ნაწილი კი გადატაკებულია. უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენშიც უკიდურესად არასამართლიანი სის-

ტემაა, რომელიც ძალადობაზეა აგებული. სააკაშვილი, კადაფის — არა, მაგრამ მუბარაქს რატომ არ უნდა შევადაროთ?! მუბარაქს ოპოზიციიდან არავინ მოუკლავს, ოპოზიცია ფორმალურად, იქაც არსებობდა და არჩევნებში მონაწილეობის საშუალებასაც აძლევდნენ. ასე რომ, ამ ქვეყნებსა და საქართველოს შორის პარალელების გავლება არავითარი ცოდვა არ არის. ერთი სიტყვით, ხელისუფლებამ შესაძლოა, ხმამაღლა არ აღიაროს, მაგრამ არაბულ სამყაროში დაწყებული რევოლუციებიდან გაცვეთილის გამოტანას ალბათ მაინც შეეცდება. რაც შეეხება საპროტესტო მუხტსა და რევოლუციას... ასეთი რამის წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელი რომ იყოს, მუბარაქიც მიიღებდა რაიმე ზომას. თვე-ნახევრის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ეგვიპტეში ასეთი ძლიერი მუხ-



ლიბიის ოპოზიცია ქალაქ ბენგაზიში

ტიაო, არავინ დაიჯერებდა. ასეთი გამოსვლები სპონტანურად იწყება. შეგახსენებთ ცნობილ ფაქტს: ლენინი 1917 წლის დასაწყისში შვეიცარიაში ხვდებოდა თავისი პარტიის ახალგაზრდა აქტივისტებს და მათ ასეთი რამ უთხრა: ჩვენი თაობა რუსეთში რევოლუციას ვერ მოესწრება, მაგრამ თქვენ მოესწრებითო. ეს ითქვა რევოლუციამდე თვე-ნახევრით ადრე! ხედავთ, რა სერიოზული „იალღიმი“ მოუვიდა ლენინს?! საქართველოში უკმაყოფილების გამოხატვის ყველანაირი წინა პირობა აშკარაა და რა სახეს მიიღებს ეს საბოლოოდ, არავინ იცის... ერთი სიტყვით, აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები მსოფლიოს ყველა ლიდერს აიძულებს, გადახედოს არჩეულ კურსს, როგორც საშინაო, ისე — საგარეო პოლიტიკაში. ეს კი მსოფლიო პოლიტიკას არსებითად შეცვლის. ■

 რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



„გზის“ ბიზლიოთაჰის ნვ ტოჲი და „კარუსელის“ გზა, როჲელსას ბავშვობა ჰქჲია...



ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც გამოცემლობამ — „პალიტრა L-მა“ და ჟურნალმა „გზამ“ საზოგადოებას პროექტი — „ქართული პროზის საგანძური“ წარუდგინა. იმედია, თავის ქებად არ ჩამოგვართმევთ, თუ ვიტყვით — არჩეული სლოგანები: „ყოველკვირა — ერთი წიგნი, წლის ბოლოს — მთელი ბიბლიოთეკა“ და — „თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის“ — ლიტონ სიტყვებად არ დარჩენილა... პროექტი დასასრულს უახლოვდება და ცხადია, ბევრს აინტერესებს — კიდევ რომელი ქართველი პროზაიკოსების ნაწარმოებებს შემოგვთავაზებს და როდის დასრულდება? მკითხველი საზოგადოება განსაკუთრებულად ელოდება გიორგი ლეონიძის „ნატყვის სეს“. გაცნობებთ, რომ ეს კრებული, „ქართული პროზის საგანძურის“ 61-ე ტომად, აპრილის დამლევს იხილავს დღის სინათლეს. კიდევ ერთი ავტორი, რომლის შესახებაც ჩვენს რესპონდენტებსა თუ ინტერნეტბლოგერებს გამორჩეულად აინტერესებთ, — ჯემალ ქარჩხაძეა. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ამ, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის ნაწარმოებთა კრებული, „გზასთან“ ერთად განხორციელებული პროექტის — „ქართული პროზის საგანძურის“ ბოლო — 63-ე ტომად გამოიცემა.

თამაზ დოლიძე

ახლა „პალიტრა მედიას“ მრავალრიცხოვან პროექტთაგან კიდევ ერთზე გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება, რომელიც საგანგებოდ ნორჩი მკითხველისთვისაა გამიზნული და აგერ უკვე 3 თვეა, გულს უხარებს როგორც პატარებს, ასევე მათ მშობლებს: ლაპარაკია ყველა დროის გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებზე, რომელიც ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან“ ერთად გამოდის.

„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვლივართ“

ვინმემ რომ მკითხოს, — რა სახის ლიტერატურა გიყვარს ყველაზე მეტად? — საბავშვო-მეტყი, ვუპასუხებ. ამ ჯადოსნურ მატარებელს ყველაზე სწრაფად შეუძლია, ბავშვობაში დაგვბრუნოს. სხვისი არ ვიცი და, ყოველი ასეთი გასეირნება საუკეთესო ანტიდეპრესანტს წარმოადგენს ჩემთვის.

ცოტა ხნის წინ, ჩემს შვილს აჩუქეს ჟურნალი „საბავშვო კარუსელი“, დისნეის ბიოგრაფიასთან ერთად, რომელიც „ერთი ამოსუნთქვით“ წაიკითხა და მეც წამაკითხა. პირველივე წინადადებიდან მოვიხიბლე თხრობის მსუბუქი მანერითა და ხალასი იუმორით. ახლაც მახსოვს, როგორ არ მიყვარდა სკოლაში ამა თუ იმ გამოჩენილი ადამიანის ბიოგრაფიის გაცნობა, რადგან ვიცოდი, რომ წინ მხოლოდ წლების არცთუ ისე მცირე ჩამონათვალი და მათი მოღვაწეობის მშრალი აღწერა მელოდა. მასწავლებლებიც იშვიათად გვიყვებოდნენ მათ პირად ცხოვრებაზე. რადგან ბავშვები ყველაზე

ობიექტური შემფასებლები არიან, მეც სტუმრად მოვიწვიე ადამიანები, რომლებიც თავიანთ შვილებთან ერთად, მეორედ გადიან იმ ულაშაზეს გზას, რომელსაც ბავშვობა ჰქვია.

პაპ ქივათაძე, პოეტი, ჟურნალისტი:

— სიბართლე გითხრა, მხოლოდ ერთი წიგნი მაქვს ამ სერიიდან — კოპერნიკის ბიოგრაფია. ნიცას (ჩემს

შვილს) ნავუკითხე. მასწავლებელმა მგონი, გალილეოს ბიოგრაფია წაუკითხა და მეორე დღეს თავიდან ბოლომდე მომიყვა მთელ წიგნს. ძალიან კმაყოფილი იყო, რომ ერთ საინტერესო ადამიანზე ამდენი რამ გაიგო. თვითონ დამოუკიდებლად ჯერჯერობით ვერ კითხულობს, მაგრამ მოსმენით მისმენს და ბევრი კითხვაც უჩნდება.

— **იენეზ ოროდე სიტყვა პროექტის**

ქენარი KENARI



ჩარჩო

+



სათვალის ლინზა

ქენარის მომსახურება

=

ჩარჩოს ფასს!

ჩარჩო, სათვალის ლინზა და ქენარის მომსახურება მხოლოდ ჩარჩოს ფასით

ბლახვიანთა ქ. №146 ტელ: 95 48 45	შაჲთაბაძის №24 ტელ: 22 39 76
კოსტავაძის №37 ტელ: 99 79 94	ქაქიჭიანი №18 ტელ: 37 95 28



იდეის შესახებაც გვეოქვამ? თქვენ აზრით, რამდენად დაინტერესებს პატარებს მათთვის სრულიად უცნობი ადამიანების ცხოვრების გზა? **ქატიკვან დიდიშვილი**, პოეტი:

— ალბათ, გარკვეულ ასაკში, ყველას აინტერესებს, როგორ ყალიბდებოდა ამა თუ იმ ცნობილი ადამიანის პიროვნება, მსოფლომხედველობა, რა გარემო-პირობებში უზდებოდათ ცხოვრება, რამ შეუწყო ხელი მათ წარმატებას — მიზანდასახულობამ, შრომისმოყვარეობამ, ნიჭმა თუ უბრალოდ ბედნიერმა შემთხვევამ. ასე რომ, მართლაც კარგი იდეა გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების თავმოყრა. შეიძლება, თავიდანვე არ დაინტერესდეს ბავშვი, მაგრამ თუ ეს წიგნები სახლში, მის თვალწინ იქნება, დრო მოვა და აუცილებლად წაიკითხავს.

მაკა ქატიანიშვილი:

— ზოგადად, ჟურნალებზე ამდენი წიგნის მიბმის იდეა დიდად არ მხიბლავს, ალბათ — წიგნების მიმართ ჩემი განსხვავებული დამოკიდებულების გამო. მართალია, „კარუსელი“ ცალკეც იყიდება, მაგრამ ეს სერები ჩემთვისაც ცდუნებასავითაა, ვეჭრობ — ბარემ წიგნიანად ვიყიდი-მეთქი. მეორე მხრივ, კარგია, რომ გიგროვდება საინტერესო ადამიანთა ბიოგრაფიების მთელი სერია, რომელიც უნდა ექებო ბიბლიოთეკაში ან ინტერნეტში, როცა დაგჭირდება. დაჭირებით კი, მე მგონი, აუცილებლად დაგჭირდება.

— **თუ გასაოვო, პირველად როდის დაინტერესდით გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებით და რა იყო ამის მიზეზი?**

— ჩემს ბავშვობაშიც გამოდიოდა სერია გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაზე. თავიდან უფრო მწერლების ბიოგრაფია მაინტერესებდა. როცა ამა თუ იმ ავტორის შემოქმედება კარგად იცო, გინდა გაიგო, რა ხდება მისი წიგნების მიღმა, აქვს თუ არა რაიმე საერთო ამ წიგნის ამბავთან მისი დამწერის „ამბებს“. მოკლედ, მე მიყვარს ბიოგრაფიები.

ქატიკვან დიდიშვილი:

— სერიოზულად, დაახლოებით 17-18 წლის ასაკში დავინტერესდი ბიოგრაფიებით. როცა რომელიმე წიგნს ვკითხულობდი, აუცილებლად ვეცნობოდი მისი ავტორის ცხოვრებასაც. ადრე, სანამ ეს იძულება იყო (სკოლის გაკვეთილი), დიდად არ მაინტერესებდა, თუმცა ბავშვობიდანვე მიზიდავდნენ ისტორიული პიროვნებები საქართველოს წარსულიდან და ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მომეპოვებინა მათ შესახებ. შემდეგ, სიმბოლისტიკის ცხოვრებით ისევე მოვიხიბლე, როგორც მათი პოეზიით. ძალიან მიყვარდა მხატვრების ბიოგრაფიების კითხვა, მათ პოლიტიკოსები მოჰყვნენ და ასე შემდეგ. ■

როცა ლითონი იჟანგება, ბინდა, გატონი დაასხი ზემოდან და ბინდა, საჭაპურში ჩაღა...

იაპონიის დამანგრეველ მიწისძვრას ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები მოჰყვა ტაილანდში, მიანმაში, ბირმასა და ფიჯის კუნძულებზე. როგორც ასტროფიზიკოსები ამბობენ, სტიქიური უბედურება კიდევ მრავალ სხვა ქვეყანაშია მოსალოდნელი... იმის გათვალისწინებით, რომ კავკასიის რეგიონი, მათ შორის საქართველოც, სეისმურად აქტიურ ზონას მიეკუთვნება, დავინტერესდით, ჩვენს ქვეყანაში რამდენად მოგვარებულია შენობა-ნაგებობების მდგრადობის საკითხი და რამდენბალიან მიწისძვრას გაუძლებს თბილისი. ოფიციალური პირები და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მოსახლეობა, არსებული რისკების გათვალისწინებით, მაქსიმალურადაა დაცული, მაგრამ ამ მოსაზრებას არ იზიარებს ასოციაციის — „სამშენებლო მასალები და მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელი ანზორ საპანდელიძე. მისი თქმით, საქართველოში სეისმური და სამშენებლო-ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმები დარღვეულია, თბილისში არსებული შენობების 90% კი არამდგრადია. მსოფლიო ახალი საფრთხეებისა და კატაკლიზმების წინაშე აღმოჩნდა.

სათუნა პახტურიძე

— **ბატონო ანზორ, რატომ ფიქრობთ, რომ თბილისში არსებული შენობები არამდგრადია?**

— სამშენებლო კომპანიები მეორად არმატურასა და ფალსიფიცირებულ ბეტონს იყენებენ და ასეთ შენობებს მიწისძვრა სულ არ სჭირდება, დროთა განმავლობაში ბზარები ისედაც გაუჩნდება და ნგრევას დაიწყებს... სხვათა შორის, ჩვენი ასოციაციის ინიციატივით, ჯერ კიდევ 2003 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შენობების შემოწმება დაიწყო. მაშინ 20-მდე სახლი გამოვავლინეთ, რომელთა დემონტაჟი აუცილებელი იყო, რამდენიმე ასეულ სახლში კი გასამაგრებელი სამუშაოები იყო ჩასატარებელი. თუმცა შესაბამის უწყებებს მაშინ არანაირი ღონისძიება არ გაუტარებიათ.

— **შენობები რომელ რაიონში შეამოწმეთ?**

— ვაკე-საბურთალოს რაიონში. ძალიან დიდი საფრთხის წინაშე დგას ის სახლი, რომელიც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში აშენებულ, ამორტიზებულ სახლებში ცხოვრობს. 2011 წლიდან მთელი მსოფლიო შევიდა ათწლეულში, რომელსაც აპოკალიფსურ ათწლეულად მიიჩნევენ როგორც საერო, ასევე სასულიერო წიგნები. ასეთ დროს, საქართველოში სეისმური უსაფრთხოების მაჩვენებელი მხოლოდ 10 პროცენტია. 2010 წლის 1-ელი იანვრიდან თბილისში დაკანონდა „მ-ბალიანი მშენებლობა“. ადრე თბილისის სახლები გათვლილი იყო 7-ბალიან მიწისძვრაზე, 1991 წლის მიწისძვრის შემდეგ, გადავიდა „მ-ბალიან მშენებლობაზე, მაგრამ ამას არავინ ითვალისწინებს. შემიძლია დავამტკიცო, რომ მრავალსართულიანი შენობები, რომლებმაც წესით, 8-9-ბალიან მიწისძვრას უნდა გაუძლოს, თბილისში ჯერ არ აშენებულა. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ 6-ბალიანი მიწისძვრის შემთხვევაშიც კი თბილისი ნანგრევების ქალაქად იქცევა და



დიდ დაუღვერობად მიმჩნია „კამიკაძე“ ლოჯიების მოშენებაც...



ჰატიტიზე მომხდარი მიწისძვრა მონაგონი გახდება. დღეს თბილისში ძირითადად კარკასული ტიპის სახლებს აშენებენ. ყველა ქართველი მეცნიერი აღშფოთებულია ამის გამო. 1988 წელს სომხეთში და 1999 წელს თურქეთში მომხდარი მიწისძვრის დროს კარკასული ტიპის შენობების 98% დაინგრა. ამიტომ მათ „მკვლელი სახლები“ შეარქვეს. საქართველოს გარდა, ყველა ქვეყანამ შეაჩერა კარკასული ტიპის სახლების მშენებლობა. ჩვენი ორგანიზაციაც არაერთხელ გამოვიდა ამ მოთხოვნით, მაგრამ ყური არავინ გვათხოვა.

— საბჭოთა ეპოქაში აშენებული შენობები რამდენად მდგრადია?

— კომუნისტების დროს აშენებული შენობები, ჯერ ერთი, 7-ბალან მიწისძვრაზეა გათვლილი, გარდა ამისა, უკვე ნახევრად ამორტიზებულია და შესაბამისად, მათი მდგრადობაც შემცირებულია. თუმცა კომუნისტების დროს აშენებულ სახლებში ცხოვრება ბევრად უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ბევრ ახალაშენებულ კორპუსში. ადრე ხელისუფლება სამშენებლო კომპანიებს აიძულებდა, განესაზღვრათ შენობების სეისმოდეგობა და ისე ჩაეხარებინათ. ახლა მსგავსი რამ აღარ ხდება. 1991 წლიდან დღემდე არავის მოუთხოვია ჩვენი სამსახურისთვის, შეგვემონებინა ესა თუ ის შენობა. ადრე, მშენებლობის დაწყებამდე, მის არქიტექტურაზე მთელი ჯგუფი მუშაობდა, ახლა სულ რამდენიმე კაცია ამ საქმით დაკავებული, არავინ არაფერს აკონტროლებს.

— ე.ი. ქვეყანაში არ არსებობს ზედამხედველობის სამსახური, რომელიც შენობების მდგრადობასა და ეკოლოგიურ მდგომარეობას შეამოწმებს?






— შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოს, მაგრამ ასეთი სამსახური არ არსებობს. ძალიან უცნაური და ალოგიკურია ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ მშენებლობის სამინისტრო გააუქმა. ასეთი რამ მსოფლიოში ჯერ არ მომხდარა, იმიტომ, რომ ეს უწყება ყველა ქვეყანაში სტრატეგიულ დარგადაა აღიარებული და მხოლოდ მშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს კი არ აწესრიგებს, არამედ სეისმოუსაფრთხოებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებსაც არეგულირებს. რადგან მსოფლიო ახალი საფრთხეებისა და კატაკლიზმების წინაშე აღმოჩნდა, ყველა ქვეყანა ცდილობს, მშენებლობის დარგი კიდევ უფრო გააფართოოს, ახალ სამშენებლო და სეისმოლოგიურ კვ-

ლევით ინსტიტუტებს ქმნის, ჩვენ კი რაც გვაქვს, იმასაც ვანადგურებთ. საქართველოს სეისმოლოგიური კვლევითი ინსტიტუტი მთელ მსოფლიოში იყო განთქმული. ჩვენმა ხელისუფლებამ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები ქუჩაში გამოყარა, უზარმაზარი უწყებიდან ერთი პატარა დეპარტამენტი დატოვა და ეკონომიკის სამინისტროს შეუერთა. დღეს მშენებლობის დეპარტამენტში მხოლოდ ათკაციანი ჯგუფი მუშაობს და მათგან ორი თუ სამი კაცია მშენებელი სპეციალისტი. 2005 წელს სომხეთის პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, სეისმური დაცვის სახელმწიფო სამმართველოს შესახებ. უზარმაზარი თანხები გაიღეს ამ სამსახურის შესაქმნელად. ჩვენს ქვეყანაში კი არავინ ამოწმებს, თუ როგორი სამშენებლო მასალით შენდება სახლები. არადა, მშენებლები ბოლო დროს აქტიურად იყენებენ დაჟანგულ არმატურას, რომელსაც დროთა განმავლობაში ჟანგი ეკიდება. მერე ბეტონიც იზიარება და შენობა ინგრევა. ე.ი. თუ სადმე რაიმე დაიჟანგა და გაფუჭდა, ჩალის ფასად იყიდეს და ყველაფერი საქართველოში შემოიტანეს. ზღაპრებს გვიყვებიან, ბეტონს დავასხამთ და ყველაფერი კარგად იქნებაო. როცა ლითონი იჟანგება, გინდა, ბეტონი დაასხი ზემოდან და გინდა, ხაჭაპურში ჩადე, მაინც აგრძელებს ჟანგვას.

— რომელი ქვეყნიდან შემოდის საქართველოში უზარისხო სამ-

შენებლო მასალა?

— ადრე მხოლოდ თურქეთიდან შემოდოდა. როდესაც შეიტყვეს, რომ საქართველოში სამშენებლო პროდუქციას არავინ ამოწმებს, ყველა ქვეყნიდან ფალსიფიცირებული და მოწამლული მასალა აქ შემოვიდა. ახლა უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, ინდოეთი — ყველა ჩვენ გვაპირაგებს, მორჩენილი, უზარისხო და ფალსიფიცირებული სამშენებლო მასალით. ფალსიფიცირებული ბეტონის დამზადების ტექნოლოგიას ვერავენ მასწავლის, არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მაქვს ამ თემაზე დამუშავებული და თავად გახლდით 20 წლის მანძილზე ბეტონის ქარხნის დირექტორი. გარკვეული ცდომილებებისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ როცა ბეტონის სიმტკიცე 300 ერთეულის ნაცვლად 100-ზეა დასული, ამას ცდომილება კი არა, დანაშაული ჰქვია. სავალალო მდგომარეობა გვაქვს სამშენებლო ეკოლოგიის თვალსაზრისითაც. საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არავინ ამოწმებს, რა დონით არის საცხოვრებელ ბინებში რადიაცია, ქიმიური დაბინძურება, ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივება და ნივთიერება რადონი, რომელიც საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. როგორც ჩანს, სამშენებლო-სარემონტო მასალები, საბაჟოს გვერდის ავლით შემოდის. ქართული ცემენტი მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს ხარისხიანობის ნორმებს, რასაც ვერ

<p>მუხის მაგიდა-სამაგი</p> 	<p>სამინებელი</p>  <p>საპალი კოლმასა</p>
<p>ავეჯის სალინი "კლასიკა" იტალიური ავეჯის და ტექსტილის ფირმა ბრენდინგ</p>	
<p>კუთხის დივანი</p>  <p>1990 1369 ლარი</p>	<p>ტყავის სამიწული</p>  <p>2990 2500 ლარი</p>
<p>აღ. მარგავერის №3 38 88 11 ც. დავიანის 7, "პარპასლა", I სარ. ☎ 66 10 50 www.classica.com.ge</p> 	



ვიტყვი სომხურზე, რომელიც თავისი შემადგენლობით მომწამვლელია, რეაქციაში შედის ჟანგიან არმატურასთან და კოროზიას იწვევს. თურქული ცემენტი კი გაცილებით საშიშია. ეს ცემენტი რუსეთმა და ბულგარეთმა საკუთარი ბაზრებიდან გამოაძევა, რადგან მასში ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში მინარეგები აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის დროსაც კი აკრძალული იყო ამგვარი უხარისხო ცემენტის გამოყენება. სრული განუკითხაობაა. ჩვენთან ხალხიც დაუდევარია, აზრადაც არ მოსდის, რომ მშენებლებს უსაფრთხო შენობა-ნაგებობების აგება მოსთხო-



დღეს თბილისში ძირითადად კარკასული გიპის სახლებს აშენებენ. ყველა ქართული მეცნიერი აღშფოთებულია ამის გამო

ვოს. დასავლეთის ქვეყნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენს მეზობელ რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში — ყველგან იცავენ უსაფრთხოების ნორმებს. მე მგონი, საქართველოში თვითმკვლელები ცხოვრობენ, ადამიანები თავადვე იგდებენ თავს საფრთხეში. რემონტის გაკეთებას იაფფასიან მუშებს ანუ ე.წ. „შაბაშნიკებს“ ანდობენ, რომლებიც უცოდინარობისა და დაუდევრობის გამო ხშირად მზიდ კედლებს ანგრევენ. ასევე, დიდ დაუდევრობად მიმართა „კამიკაძე“ ლოჯიების მოშენებაც...

— **„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თბილისის მერამ აქტიურად დაიწყო „კამიკაძე“ ლოჯიების მონგრევა, რატომ შეჩერდა ეს პროცესი?**

— ხალხის წინააღმდეგობის გამო. მსურველები არ არიან, თორემ თბილისის მერიას აქვს პროგრამა, რომლის მიხედვითაც, მუშები უფასოდ ანგრევენ

მიშენებულ ლოჯიებს. ადამიანებს იმ ფულის ტყუილად გადაყრა ენანებათ, რაც ოთახების მიშენებისას დახარჯეს, მაგრამ იმას აღარ ფიქრობენ, რომ თავიანთი შვილებისა და შვილიშვილების სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ. ზოგს საძინებელიც კი აქვს გამართული მიშენებულ ლოჯიაში. არ ვიცი, ამ ხალხს მშვიდად ძილი როგორ შეუძლია. ჩვენ ახლა ისეთი საფრთხეების წინაშე ვდგავართ, რომ მხოლოდ მიშენებულ ლოჯიებს კი არა, მთელ შენობასაც უნდა შეველიოთ, თუ მდგრადი არ არის. სხვათა შორის, საერთაშორისო სეისმოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა ივარაუდეს, რომ 2013 წლამდე თბილისთან ახლოს, რუსთავის მიდამოებში ნ-ბალიანი მინისძვრაა მოსალოდნელი. ასეთი მოვლენები საქართველოს სხვა რეგიონებშიც არის მოსალოდნელი. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ხალხი პანიკაში ჩავაგდო, უბრალოდ ყველას, ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც სიფრთხილისა და გონივრული ნაბიჯების გადადგმისკენ მოვუწოდებ. აუცილებლად უნდა მოვემზადოთ კატაკლიზმების წინააღმდეგ საბრძოლველად.

— **მაინც რას გვირჩევთ? თუ საქართველოში, კომუნისტური ეპოქის დასრულების შემდეგ აშენებული ყველა შენობა არამდგრადია და მანამდე აშენებული სახლებიც ამორტიზებულია, სად წავიდეთ?**

— ქვეყანაში აუცილებლად უნდა ამუშავდეს სეისმოუსაფრთხოებისა და სამშენებლო-სარემონტო მასალების განეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც ყველაფერი იქნება განერილი, — რა მდგომარეობაა მშენებლობის მხრივ და პრობლემის გამოსწორების რა პრაქტიკა არსებობს უცხოეთში. სახელმწიფომ და მოსახლეობამ უნდა აიძულონ სამშენებლო კომპანიები, მშენებლობა ანარმონ კვალიფიციურმა კადრებმა, არაფაღსიფიციურებული საშენი მასალებით, ჩაატარონ ლაბორატორიული და გეოლოგიური კვლევები, მოახდინონ პროექტების ექსპერტიზა... მთელი ეს პროცედურა სამშენებლო ფირმებს გაცილებით ძვირი დაუჯდებათ, მაგრამ საშვილიშვილო საქმეს გააკეთებენ. ■

ლალი პაპასკირი

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის უცხოელმა წარმომადგენელმა თავისი „დამტყრეული“ რუსული მითხრა — ჩემი პროექტის ფარგლებში, ლამის მთელი მსოფლიო მაქვს შემოვლილი და კავკასიელებისნაირი უცნაური ხალხი არსად შემხვედრიაო... მერე კი განმარტებაც მოაყოლა — ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლი ადრეც ყოფილა, შეიარაღებული კონფლიქტი მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა ეს რუსეთმა გადაწყვიტა; ორივე იცის რუსეთის დანტერქსების შესახებ, ქართველებისა და აფხაზებისთვის ეს კონფლიქტი ეროვნული ტრაგედიაა, არის შემთხვევები, როცა ერთმანეთს საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ, მაგრამ მაინც არაფერი იცვლება, — ორ მოძმე ერს შორის, შუამავლის როლს კვლავ რუსეთი თამაშობს და სარგებელსაც იღებსო... ამ საუბარს ჩემთან ერთად, აფხაზებიც ისმენდნენ, მაგრამ სმა არავის ამოგვიღია. ან რა უნდა გვეთქვა?!

საკუთარი მიწიდან აყრილმა, დევნილობაში მყოფმა ქართველებმა, თავის სარჩენად უცხოეთს მიაშურეს. „დამოუკიდებლობისთვის ომის“ შემდეგ, „რუსული ჩექმის“ სიმძიმეს ვერ გაუძლეს და ასიათასობით აფხაზმა, უცხოეთში გადახვენილი ქართველის ბედი გაიზიარა. მოსკოვსა და ლენინგრადში, ქართველებისა და აფხაზების ნათესაურ კავშირებსა და საერთო ფესვებზე ლამის ლეგენდები დადის. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ამ ორმა ხალხმა საერთო ენა ჯერ კიდევ 90-იან წლებშივე გამოიხატა. რუსები ამ „სტრანინი ნაროდის“ ურთიერთობით გოცხული იყვნენ. განსაკუთრებით კი ის უკვირდათ, რომ აფხაზები ბიზნესპარტნიორად ქართველებს ირჩევდნენ და — პირიქით, ქართველი რუსთან ან სომეხთან საქმის დაჭერას ერიდებოდა. იყო შემთხვევები, როცა რუსეთში წარმოებული ქართულ-აფხაზური ბიზნესპროდუქცია ოკუპირებულ ზონაშიც „შედიოდა“. მაგალითად, შარშან გარკვეული დროის განმავლობაში, აფხაზეთის რამდენიმე ქალაქში, მოსკოვში ერთობლივად წარმოებული ლიმონათი და ლუდი შეჰქონდათ. თუმცა რუსეთის მთავარი სანიტრის თქმით, წარმოებული პროდუქცია, „რუსული სტანდარტებისთვის შესაბამისი არ აღმოჩნდა“ და მისი რეალიზაცია შეწყდა...

ჩვენი რესპონდენტი, 58 წლის სოხუმელი აფხაზი ქალბატონი, ელ-



ქართულ-აფხაზური მოყვრობა საქართველოს საზღვრებს გარეთ

„ყველაფერზე ვსაუბრობთ, 90-იანი წლების ომის გარდა“

ენა ქართველებისა და აფხაზების კეთილ დამოკიდებულებას საერთო ფესვებითა და მსგავსი ტრადიციებით ხსნის:

— როცა აფხაზეთში დამოუკიდებლობის პირველმა ეიფორიამ გადაიარა, მივხვდით, რომ ცხოვრების გასაგრძელებად, მხოლოდ რუსეთიდან შემოტანილი და ომის შემდეგ დარჩენილი იარაღი არ იყო საკმარისი. ნანგრევებად ქცეულ ქალაქში არაფერი ფუნქციონირებდა. მშვიდი და სტაბილური ცხოვრება თითქოს ერთ დღეში დასრულდა... მახსოვს,



ყველაზე დიდი განძი, აფხაზეთში ომამდე გაღატებული ფოტოგრაფია

პირველი ახალი წელი, რომელსაც სოხუმში უქართველებოდ შევხვდით. მაშინ ასე მეგონა, ჩემს ქალაქში კი არა, სადღაც, გამოქვამულში ვიყავი... ერთ-მანეთს არ ვუშხვლდით, რომ ნაომარ და გადაბუგულ ქალაქს ქართველები აკლდა... რამდენიმე თვეში იქაურობა დავტოვე და სამუშაოდ მოსკოვში წამოვედი. ნებისმიერ ფიზიკურ სამუშაოზე თანახმა ვიყავი, ოღონდ კი ოჯახისთვის თუნდაც მცირე თანხა გამეგზავნა... რამდენიმე მალაზიაში მივედი და მის მეპატრონეებს ჩემ შესახებ ყველაფერი გულახდილად ვუამბე. ისიც ვუთხარი, სამი მცირეწლოვანი შვილი მყავს, მეუღლე კი ომში დამეღუპა, სპეციალობით ექიმი ვარ, მაგრამ ისე მიჭირს, დამლაგებლობასაც არ ვითაკილებ-მეთქი... ყოველდღე ერთი და იგივე მეორდებოდა, — მალაზიის მეპატრონეები ყურადღებით მისმენდნენ, მერე კი თავიდან ზრდილობიანად მიშორებდნენ — შეიძლება, მართლაც სანდო ადამიანი ხარ, მაგრამ ასეთ დანესებულებაში გაურკვეველი წარმომავლობის ადამიანის შემოყვანას ვერიდებითო... ამ დროს კი აფხაზეთში რუსები ისეთი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ლამის მათ მზეს ვფიცულობდით. მათი და ჩვენი ცხოვრების წესი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია, მაგრამ დიდი პოლიტიკის გათვალისწინებით, ბევრი რამის დამთობა გვინევდა... ერთი სიტყვით, თვეზე მეტხანს, „ბომჟივით“ ვაგზალზე მეძინა, თითქმის მშვიდი ვიყავი და იმედი, რომ ოდესმე მუშაობას დავინწყებდი,

თანდათან მიქრებოდა... ერთ დღესაც, ჩემი მეზობელი, სოხუმელი ქართველი ქალი შემხვდა. იქ ლეონ მეფის გამოხიზნე ცხოვრობდა. მისი ძმისშვილი იმ რუსულ სკოლაში დაჰყავდათ, სადაც მე ექიმად ვმუშაობდი. ხანდახან ვხვდებოდი ერთმანეთს და ვესალმებოდით... ახლა წინსაფარი ციტრუსით პირთამდე ავესო და გაყვიროდა: — „გრუზინსკი ლიმონ! ხაროში ლიმონ“... გაყიდული ლიმონებიდან ალებულ ხურდა ფულს კი ჭუჭყიანი წინსაფრის ჯიბეში იყრიდა. მიცნო და მომიკითხა. ყველაფერი გამომიკითხა ჩემი ოჯახის შესახებ... ასე მეგონა, პირში მომახლიდა, — ახია თქვენზე, უარესი გვეუთვნიო, მაგრამ არაფერი უთქვამს, უბრალოდ, თვალეები ცრემლებით ავესო. მერე კი ვაგზლის საკუჭნაოში წამიყვანა, ერთი პარკი ლიმონი მომცა და მითხრა: — საჭმლისა

და „ძილის ფული“ (ვაგზლის სამორიგეოში „კოიკაში“ 20 მანეთს ვიხდდი) მაინც დაგრჩებო... მერე ხურდები შევაკონინეთ და ყავის მადულარა, ყავა და შაქარი ვიყიდეთ. ყავის ვადულებდით და იქაურ ვაჭრებზე ვყიდდით... ცოტა ხანში კი, პატარა სურსათის მაღაზიაც გავეხსენით. ზაფხულის ბოლოს, როცა სოხუმში დავბრუნდი, მივხვდი, რომ არა მარტო ჩემი ოჯახი, არამედ მთელი აფხაზეთი სიცრუეში, რალაც დამოუკიდებლობის მიღების ილუზიაში ცხოვრობდა. ამასობაში კი

იქაურობა კრიმინალების სათარეშოდ ქცეულიყო... ჩემი მამამთილი სოფელში ცხოვრობს და ჩემს სანახავად ჩამოვიდა. დანახვისთანავე მივხვდი, რომ მისთვის ეცნობებინათ „რძლის მოლალატური საქმის შესახებ“ უკვე... არც კი მომრიდებია, ისე მომახალა — ქართველებმა ქმარი ცხვირწინ მოგიკლეს და იმხელა რუსეთში რალა მაინცდამაინც ქართველს „ჩაუხეტო“?! ჩვენი ტრადიცია უფროსისთვის, განსაკუთრებით კი, მამამთილისთვის შეპასუებას კატეგორიულად გვიკრძალავს, მაგრამ იმ უაზრო წესებმა ისე გამიმწარა ცხოვრება, ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი, — ჩემი და თქვენი შვილის ოჯახური ბედნიერება უაზრო და არაფრისმომტან იდეებს შეენირა და არ მინდა, ჩემი შვილები ქართველების მტრებად გაიზარდონ, ამიტომაც აქედან უნდა წავიყვანო-



თალიზი
თმის გაღანერების კლინიკა

83235646 6 27 800 25 37 38
www.talizi.ge



მეთქი. მოხუცი სახტად დარჩა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ბინა დაკვეთე, შვილებს ხელი მოგვიდე და მოსკოვში წავიყვანე... სოსუმი პატარა ქალაქია და არაფერი იმალება. ბევრმა უკვე იცოდა, რომ ქართველებთან ერთად მქონდა ბიზნესი და ჩემს „ეროვნულ უთავმოყვარეობაზე“ ალაპარაკდნენ... ამ რამდენიმე წლის წინ, ჩემს ქართველ მეზობელს, რომელმაც შიმშილისგან სიკვდილს გადამარჩინა, შვილი მოვუნათლე. ახლახან დიდი მარკეტი გავხსენით. სხვისი აზრი არ ვიცი და მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს, მაგრამ მე სოსუმში საცხოვრებლად ქართველებთან ერთად

საფლავს ვერ მივატოვებო. როგორც კი ომი დაიწყო, დედაც მოსკოვში ჩამოვიდა... ანუ ომის საშინელება მხოლოდ ტელევიზორზე ვნახეთ და იქ დატრიალებული ტრაგედიის შესახებ ახლობლებისგან მოვისმინეთ. როგორც ყველა ექიმს, ჰიპოკრატეს ფიცი ჩვენც გვაქვს მიღებული და ავადმყოფის აღმსარებლობას, წარმომავლობასა და პოლიტიკურ ორიენტაციას ყურადღებას არ ვაქცევთ. თუმცა უნდა გაგიმხილოთ, რომ რამდენიმე ქართველმა ექიმმა, რომლებსაც კერძო კლინიკა ჰქონდათ გახსნილი, აფხაზისთვის სამედიცინო დახმარების განვებაზე უარი თქვეს... ერთხელ, ჩვენს

— არა, ვერ ვიტყვი, რომ ასეა, მაგრამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მესმის იქაურებისგან, აფხაზეთში რუსი ისე იქცევა, როგორც საკუთარ სახლში... თავის მხრივ, არც „მომხერუსები“ უნევენ ანგარიშს აფხაზებს და თავიანთ საქმეს აკეთებენ.

ზაზა, 46 წლის, მოსკოვში მცხოვრები ქართველი:

— ამ რამდენიმე თვის წინ ჩემი ქალიშვილი გუდაუთელ აფხაზზე გათხოვდა. მართალი გითხრათ, ელდა მეცა... ოჩამჩირელი ვარ. ჩემი სახლი აფხაზებმა დაწვეს. ჩემი მოხუცი მშობლები მეზობლებმა გადაარჩინეს... ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა. ერთი თვე ცუდად ვიყავი. ასე მეგონა, ჩემს შვილს მოვკლავდი. ამ ხალხს ჭიქა რანაირად მივუჭახუნო, როგორ უნდა ვადღეგრძელო-მეთქი?! ყველა გავაფრთხილე, არ გაბედოთ და ქალიშვილის გათხოვება არ მიმილოცოთ-მეთქი. მაგრამ ერთ დღესაც სახლში მომადგნენ. რას ვიზამდი, ერთადერთ შვილს ხომ არ მოვკლავდი?! ერთი კი შევყვირე, — ეს რა მიქენი, გოგო-მეთქი?! — მაგრამ მისი მამამთილი გადამიდგა წინ, — ჩვენი დამოყვრება ერთ კონკრეტულ ოჯახს კი არა, ქვეყანას არგებსო... ერთი სიტყვით, სუფრა გავუშალეთ. მალე შვილიშვილს ველოდებით. ჩემი აფხაზი მოყვარე თბილისში სწავლობდა და მას „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი საქართველოს ნახვა აინტერესებს, მე — რუსების მიერ ოკუპირებული აფხაზეთის. შემპირდა, ამ ზაფხულს ჩაგიყვან და იქაურობას დაგათვლიერებინებო. ნახევრად ხუმრობით ვუთხარი, იქიდან ენგურის ხიდით ზუგდიდში გადმოვიდეთ, რათა საკუთარი თვალით ნახო, როგორ შეიცვალა, მშვიდობიანი საქართველო-მეთქი... ერთად ვმუშაობთ. ისიც ხელოსანია და ევრორემონტებს აკეთებს. როცა მას ჰყავს კლიენტი, მეც მიყავარ და — პირიქით... ქართველი რძლის მოყვანაზე მასაც იგივე რეაქცია ჰქონია, მაგრამ ისიც გამიმხილა, ჩემს შვილს რუსი რომ მოეყვანა ცოლად, მოვკვდებოდი... ამით რუს ხალხს კი არ ვაყენებ შეურაცხყოფას, უბრალოდ, ჩათვს სხვადასხვა მენტალიტეტის, ხასიათისა და ტრადიციების ხალხს ვართ... როცა მე და ჩემი აფხაზი მოყვრები სუფრასთან ვიკრიბებით, ყველაფერზე ვსაუბრობთ, ომის გარდა... მისი ძმა და ძმისშვილი ტამიშის ბრძოლის დროს დაღუპულან, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ უთქვამს, აფხაზეთის დამოუკიდებლობას შეენიწინებო. მათ თავიანთ ხელისუფლებაზე ცუდის თქმა უჭირთ, მაგრამ საუბრიდან ირკვევა, რომ ძალიან უკმაყოფილონი არიან.



ოლონდ შვილის სიცოცხლე მაჩუქე და მთელ ცხოვრებას ქართულ მონასტერში გავაგარებო...

დავბრუნდები.

— 90-იანი წლების ქართულ-აფხაზურ მოვლენებზე თუ საუბრობთ?

— როგორც გითხარი, ჩვენს შვილებსაც აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა. თითქმის თანატოლი შვილები გვყავს, რომლებიც ერთად სწავლობენ, გასართობად ერთად დადიან, საერთო მეგობრები ჰყავთ... დღესასწაულებზე ვიკრიბებით. ყველაზე დიდი განძი, რაც გვაბადა, — აფხაზეთში, ომამდე გადაღებული ფოტოებია. ყველა კუთხე-კუნჭულს სიყვარულით ვიგონებთ და ვეფერებით. ქალაქის ყველა ადგილს — სანაპიროს, სანაყინეს, კაფესა და პარკს დეტალურად ვიგონებთ, მერე კი ომის ორწლიან მონაკვეთს „ვახტებით“ და საუბარს რუსების მიერ გაპარტახებულ აფხაზეთზე ვაგრძელებთ...

რუსულან გთიბა, მოსკოვში მცხოვრები ქართველი ექიმი:

— სოსუმი ჯერ კიდევ ომამდე დავტოვეთ. მე და ჩემი და სპეციალობით ექიმები ვართ. მოსკოვის სამედიცინო უნივერსიტეტი დავამთავრეთ და კათედრაზე დავგტოვეს... მამა ადრე გარდაგვცვალა და დედა სოსუმში მარტო ცხოვრობდა, — მამათქვენის

კლინიკაში, გულის უკმარისობით, ახალდაბადებული ჩვილი მოიყვანეს. ჩემი პაციენტი იყო. როცა საოპერაციო ბლოკში შემყავდა, დერეფანში მყოფ უამრავ ადამიანს მოვკარი თვალი. ბოლთას სცემდნენ. ერთ-ერთმა ჩემს ხალათზე „ბირკით“ მიმაგრებულ სახელსა და გვარს მოჰკრა თვალი და თავში ხელი შემოირტყა, — ექიმი ქართველი ყოფილაო!.. რთული ოპერაცია იყო. 2 საათი ბლოკიდან არ გამოვსულვარ. ბავშვი

იყო გათიშული და ელექტროშოკით გამოვიყვანეთ. ერთი სიტყვით, პატარა გადარჩა... რეანიმაციაში გადაყვანის შემდეგ, ყოველ საათს შევდიოდი მასთან და ღამეებს ვუთევდი. ჩემს პრაქტიკაში, ასეთი პატარა ავადმყოფი პირველად მყავდა და ძალიან მინდოდა გადარჩეულიყო. მკურნალობის შემდგომმა კურსმა წარმატებით ჩაიარა... იმ დღეს, როცა პაციენტი უნდა გაენერათ, მამამისი მოვიდა და ჩემ წინ მუხლებზე დაეცა, — როცა ჩემს შვილს ოპერაციას უკეთებდნენ, უფალს შევპირდი, — ოლონდ შვილის სიცოცხლე მაჩუქე და მთელ ცხოვრებას ქართულ მონასტერში გავატარებო... რამდენიმე წლის შემდეგ, კლინიკაში ქართველ მოძღვართან ერთად მოვიდა და კლინიკას მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები შესწირა. შემდეგ ის ადგილი აკურთხეს და სალოცავი კუთხე გახსნეს... ახლახან მიტხრა, სოსუმში თქვენი ბინა მოვიძებნე და ჩემს ახლობლებს ჩავაბარე, ოდესმე თუ დიდი პოლიტიკა შეიცვალა, თქვენს სახლში დაბრუნდებითო.

— ანუ ქართველების დაბრუნებასაც არ გამორიცხავენ?



„ბერტა“ ბუნების წიაღიდან

22 მარტს მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში ქართულ-ევროპული სანარმო „ბერტა“ გაიხსნა. საყოფაცხოვრებო მოხმარების და ჰიგიენური საშუალებების სანარმოს მესვეურები აცხადებენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ხარისხის კონტროლის მკაცრი სისტემით, ადგილობრივი მომხმარებლის საჭიროების ზუსტი ცოდნით და სწორი მარკეტინგით იმპორტიორ კომპანიებს ძლიერ კონკურენტციას გაუწევენ.



თაგუნა კვინიკაპა

ანა დათიაშვილი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:

— „ბერტა“ ქართულ-შვეიცარიული კომპანიაა, რომელიც 2009 წელს დაარსდა. სანარმოში 35 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. ეს არის საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და ჰიგიენური საშუალებების მწარმოებელი ქარხანა. „ბერტაში“ გაერთიანებულია მსოფლიო ბრენდების გამოცდილება, გვაქვს უნიკალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასეთი სანარმო ამიერკავკასიაში არ არის, რეგიონში პირველი მსხვილი მწარმოებლები ვართ. რაც შეეხება თავად პროდუქციას, ჩვენ ჰიგიენური საშუალებების არაერთ სახეობას ვუშვებთ, როგორცაა: შამპუნი, საპონი, სარეცხი ფხვნილი, სანმენდი საშუალებები და ა. შ. ეს პროდუქცია ქართულ ბაზარზე ეტაპობრივად გამოჩნდება, თავდაპირველად გამოვუშვებთ 2 ბრენდს: ესენია ჭურჭლის, მინის, აბაზანის სანმენდი საშუალებები სახელწოდებით — „მარტა“ და სარეცხი ფხვნილი — „ბრიო“.

— რამდენად მისაღები ფასები იქნება?

— ჩვენი მიზანია, მომხმარებელს რაც შეიძლება მაღალი ხარისხის პროდუქცია ხელმისაწვდომ ფასად შეეთავაზოთ.

— იმპორტირებულზე დაბალი იქნება?

— რა თქმა უნდა.
— **სანარმოში რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული?**

— ჯერჯერობით 200 ადამიანია დასაქმებული, აქედან 100-მდე დევნილია. ეს საწყისი ეტაპია, ქარხნის სრული დატვირთვის შემთხვევაში, დამატებით კიდევ 200 ადამიანის დასაქმებას შევძლებთ, მუშაობა 3 ცვლაში იქნება.

— ნედლეულზე რას გვეტყვი?

— ნედლეული შემოგვაქვს როგორც ევროპიდან, ისე აზიიდან. გერმანიიდან შემოგვაქვს ცნობილი გერმანული კომპანიის „კოგნისის“ ნედლეული. აზიის ქვეყნებიდან — ქოქოსის და პალმის ზეთი. მნიშვნელოვანია, რომ ეს არის ბუნებრივი წარმოშობის ნედლეული და არა ქიმიური წარმოება. რაც შეეხება არიმატებს, ამ შემთხვევაში მომწოდებელი ჩვენი პარტნიორი კომპანია „ჟივოდანი“ა, რომელიც არიმატებს ჰიგიენური და პარფიუმერიული საშუალებებისთვის ამზადებს. ქართულ ბაზარზე კვლევა 2009 წლიდან დაიწყო. გვინდოდა, გაგვერკვია რა მოთხოვნაა, როგორი ტიპის პროდუქცია სჭირდება ქართველ მომხმარებელს?.. კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ დიასახლისისთვის მნიშვნელოვანია, ამა თუ იმ სანმენდ საშუალებას როგორი სუნია აქვს, აღმოჩნდა, რომ ქართველები განსხვავებული გემოვნებით გამოვიჩინეთ. შეიძლება ვილატას მოსწონდეს ქოქოსის სურნელი, მაგრამ საქართველოში უპირატესობას ლიმონის, ვაშლის, ყურძნის სურნელს ანიჭებენ. კვლევის შედეგები ვაცნობთ ჩვენს პარტნიორებს, მათ საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტეს, კიდევ დამატებითი კვლევები ჩატარეს და ექსკლუზიური არიმატები შექმნეს. „ჟივოდანი“ სუნამოებზეც მუშაობს, ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვთ, ამიტომ ჩვენთვის მათთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია; გვითხრეს: — ქართველები უცნაური ხალხი ხართ, ჭურჭლის სარეცხ ფელეშიც კი რაღაც განსაკუთრებულ სურნელს ითხოვთ. ჩვენს პროდუქტს ექნება ქართული შეფუთვა, ქართული წარწერით და რაც მთავარია, ხარისხიანი იქნება.

— მომავალში პროდუქციის ასორტიმენტის ზრდას თუ გეგმავთ?

— რა თქმა უნდა, უკვე აღვნიშნე, რომ პირველ ეტაპზე „ბრიო“ და „მარტა“ გამოდის, შემდეგ ჩვენ დაიწყებთ შამპუნებისა და კოსმეტიკური საპნის გამოშვებას, ესეც განსხვავებული ბრენდი იქნება. სპეციალურად ამ ბრენდის წარმოებისთვის, კავკასიური თმისა და კანის თავისებურებები შევისწავლეთ, გამოვიკვლიეთ ქართული წყალიც, რადგან მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მხოლოდ ის, თუ როგორი შამპუნს იყენებ, არამედ ისიც, თუ როგორი წყლით იბან.

— კვლევებისთვის რომელ ლაბორატორიებს იყენებდით?

— ჩვენ გვაქვს 5 დამოუკიდებელი სანარმო, ყველას აქვს დამოუკიდებელი ლაბორატორია, სადაც პროდუქციის ხარისხი მკაცრად მონმდება, მაგრამ საერთაშორისო სტანდარტებს რომ აკმაყოფილებდეს (ჩვენ გვინდა აისო სერტიფიკატი ავიღოთ), ვგზავნით სხვადასხვა ქვეყნის დამოუკიდებელ ლაბორატორიებში, მათი პასუხის შემდეგ კი პროდუქციას სრულყოფილ სახეს ვანიჭებთ.

— სადისტრიბუციო ქსელზეც გკითხავთ, მთელი საქართველოს მასშტაბით გაიტანთ?

— დიას, ჩვენ ამაზე უკვე ვიზრუნეთ, დისტრიბუცია მხოლოდ თბილისში კი არ მოხდება, პროდუქცია ერთდროულად მიეწოდება ყველა ქალაქსა და რაიონს.

— და რატომ უნდა შეაჩეროს მომხმარებელმა თქვენ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე არჩევანი?

— პირველ რიგში, ეს არის ბუნებრივი (და არა ქიმიური) ნედლეულზე დამზადებული და ქართველ მომხმარებელზე გათვლილი პროდუქტი. კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქცია ყველანაირ მომხმარებელზეა გათვლილი.

— ექსპორტზე გატანასაც ხომ არ გეგმავთ?

— ჩვენი ქარხნის სრული დატვირთვის შემთხვევაში წარმოების 30% ფარავს ქართულ ბაზარს, დანარჩენი ექსპორტზე გავა, უკვე დაინტერესდა აზერბაიჯანი და სომხეთი, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ესპანეთთან. სამომავლოდ ინვესტიციის გაზრდა იგეგმება. საქსპორტო ბაზარი კომპანიის ზრდასთან ერთად გაფართოვდება. ჩვენ მოვასდენთ ქართული პროდუქტის პოპულარიზაციას მის ფარგლებს გარეთ. შეგვწევს უნარი, ევროპულ პარტნიორებთან ერთად ვწარმოოთ მაღალხარისხიანი და მაღალტექნოლოგიური პროდუქტი.

— წარმატებას გისურვებთ! [R]





6-წლიანი პატიმრობა, ფანი სასამართლოში და გადრახის სასჯელი

გასულ კვირას, თბილისის საქალაქო სასამართლოში ცნობილი ფეხბურთელის, გიორგი დემეტრაძისა და მისი მეგობრების — დავით გაგნიძისა და დავით ფეიქრიშვილის საქმის განხილვა დასრულდა. მათთან ერთად, ვახტანგ (ვატო) ყიფიანისთვისაც უნდა გამოეცანათ განაჩენი, მაგრამ მანამდე ძეზნლი, მოსკოვში დააკავეს. პროკურორმა დავით ნალეზაშვილმა ყიფიანის საქმის ცალკე გამოყოფა მოითხოვა. საქართველოში ექსტრადიციის შემთხვევაში მას ცალკე გაასამართლებენ. საქმის არსი მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი (პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მისი მიმდინარეობის შესახებ „გზის“ ფურცლებზე ვწერდით), ამიტომ მის დეტალებზე აღარ შევჩერდებით.

გიორგი დემეტრაძე: „სამართლიან განაჩენს ვითხოვ“

თბა სურსილაპა

სასამართლო სხდომა რამდენჯერმე გადაიდო. ერთ-ერთ სხდომაზე პროკურორმა განაცხადა, რომ განსასჯელებთან საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. ამას არც ბრალდებულთა ადვოკატები უარყოფდნენ, მაგრამ გაგნიძისა და დემეტრაძისთვის შეთავაზებული წინადადება მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, შეთანხმებას მიალენა განსასჯელმა ფეიქრიშვილმა. მართალია, დაკითხვისას წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო, მაგრამ განაჩენის გამოტანის დღეს მისმა ადვოკატმა გიორგი გელხიაურმა საპროცესო გარიგებაზე სასწრაფოდ მოაწერიანა ხელი. ფეიქრიშვილმა ამის შემდეგ პოზიცია შეიცვალა და თქვა,



პროკურატურა ითხოვდა, რომ მათ ელიარებიანათ დანაშაული და ამის შემდეგ, დემეტრაძეს 5 წელს და 5.000-ლარიან ჯარიმას მიუსჯიდნენ

რომ მთლიანად ცნობდა თავს დამნაშავედ.

მოსამართლე დაინტერესდა განსასჯელზე პროკურატურის მხრიდან ზეწოლა ხომ არ ხორციელდებოდა? განსასჯელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ქურდული სამყაროს წევრობაში თავს დამნაშავედ ცნობდა და შეთანხმებას საკუთარი სურვილით მოაწერა ხელი. პროკურორმა დავით ნალეზაშვილმა ფეიქრიშვილისთვის 6-წლიანი პატიმრობის შეფარდება მოითხოვა, აქედან 2 წელი — პატიმრობა, ხოლო 4 წელი — პირობითი სასჯელი. საპროცესო გარიგებით, მას ასევე ჯარიმის — 30.000 ლარის გადახდა დაეკისრა.

შემდეგ პროკურორმა კიდევ ერთხელ ილაპარაკა გიორგი დემეტრაძის და დავით გაგნიძის ბრალეულობაზე. მისი მტკიცებით, ბრალი მოწმეთა ჩვენებებით სასამართლოზე დადასტურდა. მან პოლიციელების ჩვენებები მოიშველია. როგორც ცნობილია, დავით გაგნიძეს, ქურდული სამყაროს წევრობასთან ერთად, იარ-

აღის უკანონოდ ტარება-შენახვაშიც ადანაშაულებენ. მართალია, არც ერთ ეპიზოდში თავს დამნაშავედ არ ცნობს, მაგრამ პროკურორმა ქურდული სამყაროს წევრობისთვის, მისთვის 6-წლიანი, ხოლო იარაღის ტარებისთვის — 4-წლიანი, შეკრების პრინციპით, სულ — 10-წლიანი პატიმრობა მოითხოვა; ამასთან, დაკავებისას ამოღებული თანხის — 10.700 დოლარის ჩამორთმევა. რაც შეეხება გიორგი დემეტრაძეს, — 7-წლიანი პატიმრობა და მისგან ამოღებული 30.000 დოლარის სახელმწიფოსთვის გადაცემა.

გაგნიძისა და დემეტრაძის ადვოკატი მარიკა ფხალაძე დიდხანს ასაბუთებდა მისი დასაცავების უდანაშაულობას. კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქმეში არ არსებობდა ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები: „თამამად ვაცხადებ — პროკურორის ნათქვამი არც ერთი ფრაზა არ გამომდინარეობს იმ მტკიცებულებებიდან, რაც ბრალდებაშია. სატელეფონო საუბრებისას ვერსად ნახავთ, რომ გაგნიძესა და დემეტრაძეს ვინმესთვის საქმე გაერჩიათ ან რაიმე გამოეძალათ. სამხილი არ არსებობს...“ ადვოკატმა ფხალაძემ ორივე განსასჯელის გამართლება მოითხოვა, კარგა ხნის არგუმენტებით ასაბუთებდა მათ უდანაშაულობას.

— თქვენ ბოლო სიტყვის უფლება გაქვთ, რას იტყვით? — მიმართა განსასჯელებს მოსამართლე ჯემალ კოპალიანიმა.

— სამართლიან განაჩენს ვითხოვ, სხვას არაფერს! — თქვა დემეტრაძემ.


— მეც სამართლიან განაჩენს ველი, ვეთანხმები ჩემს ადვოკატს, — დასძინა განსასჯელმა დავით გაგნიძემ.

სათათბირო ოთახიდან მოსამართლის დაბრუნებას განსასჯელების ახლობლები მოუთმენლად ელოდნენ. ზოგი დიდ იმედს ამყარებდა მოსამართლეზე, — როგორ შეიძლება, ამ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს?! ნახავ, გაამართლებსო, — ამბობდნენ ოპტიმისტები. ნანხილი კი ქვეყანაში სამართლის არარსებობის გამო ნუხდა და გამოთქვამდა ვარაუდს, რომ მოსამართლე



18 წლის იყო დემეტრაძე, თბილისის „დინამოში“ რომ თამაშობდა და ამ ასაკიდან ვეგულშემატკიერობ

გაგრძელება იხ. გვ. 51




ერის მარია რემარკი
ტრიუმფალური
თალი



წიგნი


როგორც უნდა წაიკითხო,
სანამ ცოცხალი ხარ!

11-დან – 18
პირილამდე




ფიქციური ბეგბედი

2-დან – 9
მარსამდე



ვინაა კი
მომთხოვნი

16-დან – 23
მარსამდე



ჰომეოსი

და სხვა ფიქციური
წიგნები...
ყოველ ორ წინაშე
"წინაშე ქალაქისაგან"
ქრისტე!

28 მარტიდან –
4 აპრილამდე

წიგნი 10

ერის მარია რემარკი
„ტრიუმფალური თალი“

მხოლოდ „კვირის პალიგრა“ მკითხველისთვის
წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

უხვე ბამოსანი ტომები: ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი,
შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი,
მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი **შეგიძლიათ**
შეიძინოთ წიგნის მალაჩიბში!

გამოიწერეთ „კვირის პალიგრა“ და მიიღეთ თითო გომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი



სახსე

ციხეში მოხვედრილი გიორგი ქორქიას სუქსი და გულისტანი

წარმოიდგენდით, რომ ერთ დროს გიორგი ქორქია წელამდე თმას ატარებდა? თუ — არა, მაშინ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ ჩვენი ინტერვიუ. ვეცადეთ, მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები ფოტოების საშუალებით გაგვეცოცხლებინა. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოობიექტივის წინ პოზირება არ უყვარს და 90-იანი წლების თითქმის არც ერთი ფოტო არ შემორჩენია, სასიამოვნო მოსაუბრესთან „ენაწყლიანი ინტერვიუ“ ჩავენერე.

ელენე ბასილია

— მოობლების ერთადერთი შვილი ვარ და ეს ჩემი ერთ-ერთი პირველი ფოტოა. დაახლოებით 8-9 თვის ვიქნებოდი... კისერზე მამველი რგოლი მაქვს ჩამოცმული, მაგრამ ცურვა დღემდე ვერ ვისწავლე — წყლის შიში მაქვს. ბავშვობაში ქერა ვიყავი, მერე თმა გამიშავდა, ბოლოს კი სულ „დამძვრა“.



აი, ეს ცხენი კი, რომელიც ილიაში მაქვს ამოდებული, ჩემი საყვარელი სათამაშო გახლდათ. ცხოველები ბავშვობიდან მიყვარდა; 9 წლიდან უკვე ნამდვილ ცხენზე ვჯირითობდი. მოზარდს ხერხემლის გამრუდება დამენწყო. ექიმმა მირჩია, ცურვაზე ან ცხენოსნობაზე იარეო. წყლისადმი ჩემი დამოკიდებულება უკვე იცით და ცხენოსნობაზე მივედი. ხერხემლის პრობლემა 2 თვეში გაქრა, მაგრამ ცხენოსნობაზე 10 წელი დავდიოდი. ბოლოს საქართველოს

ნაკრების წევრიც ვიყავი. ამ ცხენს გულისტანი ერქვა. თბილისში ომი რომ დაიწყო, იპოდრომზე ხან „მხედრონი“ იდგა, ხანაც — გვარდია და ცხენოსნობას შევეშვი.


როგორც ვიცი, უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მუშაობდი კიდევ—

— კი, პრაქტიკაზე „მეორე არსზე“ გამიშვეს. იქ ცოტა ხანს ვიმუშავე, შემდეგ კი „პირველ რადიოში“ გადავედი, სადაც 5-6 წელი დავყავი. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ეტაპი იყო ჩემს ცხოვრებაში. კვირაში 2-ჯერ, მართალია, ღამის გათენება მიწვედა, მაგრამ მსიამოვნებდა და თან, ხელფასსაც მიხდიდნენ. ეს

ცურვა დღემდე ვერ ვისწავლე



ხერხემლის პრობლემა 2 თვეში გაქრა, მაგრამ ცხენოსნობაზე 10 წელი დავდიოდი




კვირაში 2-ჯერ ღამის გათენება მიწვედა, მაგრამ მსიამოვნებდა...





ამ ფოტოზე შედარებით მოკლე თმა მაქვს



ეს ფოტო მალაიზიაში, ერთ-ერთ წვეულებაზეა გადაღებული



პროექტი იწყებო, მითხრეს და მონაწილეობა შემომთავაზეს

ფოტოც სწორედ იმ დროსაა გადაღებული. რადიოში ყველაფერი ხელით იყო აწყობილი. ფოტოზე არ ჩანს; მარცხენა მხარეს კასეტები ელაგა... მახსოვს, სშირად ფლომასტერით ვახვევდით ხოლმე... მუსიკა ჩემი დიდი გატაცებაა, ტექსტს ვწერ თუ სიუჟეტს ვამზადებ, მუდამ მუსიკას ვუსმენ. იყო დრო, როცა სიუჟეტის ტექსტს მუსიკის მიხედვით ვწერდი...

— რადიოში მუშაობისას საკმაოდ გრძელი თმა გქონდა...

— ამ ფოტოზე შედარებით მოკლე თმა მაქვს. წელამდე თმას ვატარებდი. მაშინ თბილისში ბიჭები თმას იზვიათად იზრდიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „მყრალი“ პერიოდი იყო, ჩემი გარეგნობის გამო კონფლიქტი არ მომსვლია. სშირად ბევრი რამის გამო პროტესტის გრძობა მიჩნდებოდა და როგორც ყველა, მეც ვფიქრობდი, რომ ხალხს რაც მეტად გავალიზიანებდი ჩემი გარეგნობით, უფრო მაგარი იქნებოდა.

— თმის ცვენა როდის დაგეწყო?

— რამდენიმე წლის წინ ავტოავარიაში მოვყვეი, ძლივს გადავრჩი: კუნთები დაწყვეტილი მქონდა, თავზე — ტრავმა... სტრესის ფონზე, 2-3 დღეში თმა გამცვივდა. სპეციალური პროცედურები უნდა გამეგლო, თმა რომ ამომსვლოდა, მაგრამ ამისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია. დღეს ჩემი უთმობა ყველაზე ნაკლებად მანუხებს.

— ამ ფოტოზე ქეთი მეღუასთან ერთად ხარ, არა?

— კი, ოდონდ ქეთი ზურგიდან ჩანს. „დროებაში“ ვმუშაობდი, ქეთი საქართველოში იყო და ფოტო „ლალიძის წყლებში“ გადავიღეთ.

— ვიცო, რომ „დროებაში“ მისვლამდე რამდენიმე ტელევიზიაში მუშაობდი.

— კი, ვიყავი „მეცხრე არხზე“, „იბერიანზე“, მერე „იმედში“ მივედი, სადაც „ქრონიკაში“ ახალ ამბებზე ვმუშაობდი, მაგრამ ეს სფერო არ მაინტერესებდა. ერთ დღესაც, გიორგი თარგამაძემ ახალი გადაცემისთვის რამდენიმე ჟურნალისტი აარჩია, მათ შორის — მეც და გამოსაცდელი სიუჟეტის

მომზადების შემდეგ, ჩემს ცხოვრებაში „დროების ეპოქა“ დაიწყო. პროდუქტიული, კომერციულად გამართლებული და საინტერესო პროექტი იყო, ამ გადაცემაში დიდი თავისუფლება გვექონდა.

— „დროებისთვის“ მომზადებული სიუჟეტებიდან რომელს გამოარჩევ?

— მიჭირს არჩევა, თუმცა ალბათ ჩემი პირველი სიუჟეტი, რომელიც რუსთავის მეორე კოლონიაზე გავაკეთე, ყველაზე საინტერესო იყო. მე და ჩემი ოპერატორი 3 დღის განმავლობაში „ციხეში ჩავსხედით“ და რამდენიმე დღე საკმაოდ მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულ ადამიანებთან ერთად გავატარეთ. მაშინ ციხეში სამინელო პირობები იყო. თათბირის დროს დირექტორის კაბინეტში ჭერიდან წვიმა ჩამოდიოდა. მერე სხვადასხვა სუბკულტურაზე ვაკეთებდი სიუჟეტებს: უკრაინაში — გოთებზე, რუსეთში — სკინჰედებზე, გერმანიაში — ფაშისტებზე... გიორგი თარგამაძეს საოცარი ალლო ჰქონდა, იცოდა, რომელი ჟურნალისტიისთვის რა უნდა დაეგეგმებინა.

— ეს ფოტო პროექტ „უკანასნელი გმირიდანა“...

— „დროებაში“ ვმუშაობდი, სამსახურში თათბირზე მივდიოდი და ტელევიზიის კართან მისულმა ტელეფონის ზარს ვუპასუხე. „რუსთავი 2-დან“ მირეკავდნენ, ასეთი და ასეთი პროექტი იწყებო, მითხრეს და მონაწილეობა შემომთავაზეს. არც დაფიქრებულვარ, ტელევიზიასთან მისული უკან გამოვბრუნდი. სხვათა შორის, „რუსთავი 2“ თანამშრომლობას მანამდეც მთავაზობდა, მაგრამ „PS-ში“ გადასვლა არასოდეს მიფიქრია.

— წელის მეშინიაო,

აღნიშნე და ოკეანის პირას წახვედი?

— ჰო, მაგრამ იქ კიდევ კარგი, ნაპირიც იყო... წყალში წელამდე თუ შევდივარ. ფეხქვეშ მინას მყარად თუ ვერ ვგრძნობ, ვიბოჭები. თვე-ნახევრის განმავლობაში 9 მთას იქით წასვლა ცოტა არ იყოს, მაშფოთებდა, მაგრამ ისეთ კარგ გუნდთან ერთად მომიწია მუშაობამ, მეგონა, წლების განმავლობაში ვიცნობდით ერთმანეთს.



ერთმანეთისთვის საღამოობით ვიცლით ხოლმე

— როგორც ვხვდები, ალკოჰოლური სასმელი გიყვარს.

— კი, ლუდი ჩემთვის ყველაზე მაგარი და „დემოკრატიული“ სასმელია. მძინარეს ლუდი რომ მომანოდო, დაგლევ. კიდევ კარგი, არ ვსუქდები. ეს ფოტო მალაიზიაში, ერთ-ერთ ნვეულებზე გადაღებული, სადაც ლუდით სახე ასეთი კიდევ 3 ავზი იდგა და მთელი საღამო შიგნით ვიყავი ჩაყირავებული. სხვათა შორის, როცა ჩემთვის სამყოფ დოზას მივიღებ, „ავტოპილოტი მერთვება“ და მაშინვე სახლში მივდივარ დასაძინებლად. შეიძლება ითქვას, ჩემი ჰობი ლუდის დაღვებაა. სულ მინდა, რომ ბარში, სადაც ვსვამთ, ცარიელი ბოთლები დაგროვდეს, ბოლოს გადავხედო და გამიხარდეს, მაგრამ მიმტანები არ მაცლიან გახარებას, დაცლილი ბოთლები უმალ მიაქვთ და სულ ნერვები მემულებს ამაზე.

— იმედია, ოდესმე დაიყოლიებ მიმტანს, რომ ბოთლები აღარ წავართვას.

— იმედია, ოდესმე ჩემი ბარი მექნება... აი, ეს ფოტო ჩემს საყვარელ ადგილას, კახეთშია გადაღებული. დილის რვის ნახევარზე ჩემს ოპერატორთან, იაგო გოგილაშვილთან ერთად ვსვამ... ეს მისი ეზოა, სადაც ხშირად ჩავდივართ. რესტორნის მოყვარული ადამიანი არა ვარ, სადმე წყნარ ადგილას ან სახლში მიყვარს დაღვება.

— ეს ფოტო კი შენს საყვარელ ძაღლთან ერთადაა გადაღებული.

— ჰო, ცოტა უცნაური სახელი დავარქვი — სუქსი. მყავს საყვარელი ჯგუფი, რომელსაც Suqs and the banch-



შუაღვს ჩავედით, დავიწყეთ სმა

ათისაა. წლისა და მ თვის გახლავთ, ძალიან ცელქია, სულ თამაში და სირბილი უნდა. დღემი რამდენიმე კილომეტრი თუ არ ირბინა, გაგიჟდება. ამ ფოტოზე მე, ჩემი მეუღლე და გეგა ფალავანდიშვილი მეგობრებთან ერთად, ლაგოდენის ნაკრძალში მივდივართ, მაგრამ როგორც შენ არ გინახავს იმ დღეს ნაკრძალი, ისე — ჩვენ. შუაღვს ჩავედით, დავიწყეთ სმა, მეორე დღეს ცოტა ვიბორაღვით და ისევ სმას მივყავით ხელი (იციინს). ამ ფოტოზე მე და ჩემი მეუღლე ვართ, მასაც საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვს, კულტურის სამინისტროში მუშაობს, საერთაშორისო პროექტების კოორდინატორია და ერთმანეთისთვის საღამოობით ვიცლით ხოლმე.

— პროექტ „კოდში“ მონაწილეობას როგორ დათანხმდი?

— ჩვენი ტელევიზიიდან პროექტში სათამაშოდ მე ამარჩიეს. რომ მითხრეს, 3 კვირით მთაში გიშვებთო, ვერ მივხვდი, რისთვის მიშვებდნენ... მივიჩინე, რომ მსგავსი შოუებისთვის არ ვვარგავარ, რადგან არა ვარ კონფლიქტური და არც ინტრიგების სახლართავად გამოვდგები — ჩემი გაბრაზება საკმაოდ ძნელია. ამ პროექტის ერთადერთი პლუსი ის იყო, რომ მთიანი აჭარა ვნახე და ბევრი ადგილი ფეხით მოვიარე. მივიჩინე, უკეთესი ნამყვანი ვარ, ვიდრე მონაწილე. თუმცა, კონცერტის წაყვანას მაინც კარგი სიუჟეტის მომზადება მირჩევნია. პროექტში „ვარსკვლავების აკადემია“, სცენაზე ფანტასტიკური მენეჯილე მყავდა სოფო ხალვაშის სახით, რომელთან ერთად მუშაობაც ძალიან მიადვილდებოდა.

— იყო დრო, როცა გადაცემა „PS“-ში ათასგვარ პროფესიას ითავსებდი. იმ პროფესიებიდან რომელიმეზე თუ გაცვლიდი უფრონაღესტიკას?

— არა, მაგრამ ძალიან მომეწონა კინოლოგობა, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი ზოოპარკში მომვლელად. დრო რომ მქონდეს, მოხალისედ მივიდოდი. ძალიან წყნარი და „გემრიელი“ სამუშაოა, რაც მთავარია, ცხოველებთან გაქვს ურთიერთობა... მომეწონა სანარმოო ალპინიზმიც: ადამიანები, რომლებიც ანძებს არემონტებენ, მრავალსართულიან შენობებ-



პროექტში „ვარსკვლავების აკადემია“, სცენაზე ფანტასტიკური მეწყვილე მყავდა



მიუხედავად იმისა, რომ დილის 5 საათზე უკვე ტელევიზიაში ვარ, თავს მაინც კომფორტულად ვგრძნობ

ბზე შუშუმებს წმენდენ... ექსტრემალად არ ვვარგავარ, შეიძლება ითქვას, რომ ექსტრიმის მოყვარული გახლავართ და საქართველოში კანტიკუნტად მცხოვრებ ექსტრემალებსაც დიდ პატივს ვცემ... სამწუხაროდ, ჩემი ამჟამინდელი სამუშაოს ფოტოები არა მაქვს. უფლებები გადაცემას „ვაკანსია“ და დილის ეთერში მუშაობაც ძალიან მომწონს. მე და ნინო არაზაშვილი სულ რაღაც საათ-ნახევარში დავმეგობრდით და მიუხედავად იმისა, რომ დილის 5 საათზე უკვე ტელევიზიაში ვარ, თავს მაინც კომფორტულად ვგრძნობ. ამასთან ერთად, ძალიან მაგარია, როცა დილის 10 საათზე მუშაობა უკვე დასრულებული გაქვს, დარჩენილ დროს კი შენს გემოზე ატარებ.



ჭორიკანების მიერ ჩაუღილი ურთიერთობები ანუ რა ხდება ნინი ბადურაშვილის პირად ცხოვრებაში?



სარკეში ჩაიხედავს და ჩაილაპარაკებს ხოლმე – ნეტავ რა მოსწონთ ჩემიო?

ნათია ჟივიკა

— ნინ როგორი ბავშვი იყო?
 — გამორჩეული. მტირალა, კაპარჩხანა და კაპასი არასდროს ყოფილა; სკოლაშიც დამყოლი, მშვიდი და წყნარი იყო. მასსოვს, ერთხელ მშობელთა კრებაზე ნინის მეორე ბებია — ფლორა ნაყიდა. შინ რომ დაბრუნდა, გახარებული მიყვებოდა, მასწავლებლებმა ნახევარი საათი ილაპარაკეს ნინის კარგადამიანობაზე. მაშინ V კლასში იყო.

— ეს თვისებები დღემდე შემორჩა?
 — კი, შემორჩა... საკუთარი თავის მიმართ ზედმეტად მომთხოვნია. ეს თვისება ადამიანებს პროფესიულ ზრდაში ხელს უწყობს, მაგრამ ნინი გარეგნობასაც კი უჩივის. სარკეში ჩაიხედავს და ჩაილაპარაკებს ხოლმე — ნეტავ რა მოსწონთ ჩემიო? ამ დროს ვკითხები, რას უწუნებ საკუთარ თავს, ღმერთმა რა დაგაკლომეთქი?

— ნინ, ამ კითხვაზე შენი პასუხი როგორია?
 — ასე გარდატეხის ასაკში ყოფნის დროს უფრო ვვიქრობდი. არადა, ლამაზ ბავშვად მივიჩნეოდი. ბიჭებს მოვწონდი, ჩემ გამო უჩხუბიათ კიდევ. გარეგნობის გამო ცოტათი დავკომპლექსდი.

ისინი თბილისში ცნობილი ბებია-შვილიშვილი არიან. როცა ლალი ბადურაშვილს დაეურეკე და ვთხოვე, მინდა, ნინსთან ერთად ჩაგწეროთ-მეთქი, სიამოვნებით დამთანხმდა. მათ ერთმანეთთან დიდი სიყვარული, არაერთი საიდუმლო და ფიზიკური მსგავსება აკავშირებთ და ამ ყველაფერზე გულახდილად საუბრობენ. ლალი და ნინი ბადურაშვილებს ინტერვიუს ჩასაწერად შინ ვენვიე.

ერთი პერიოდი თითქოს წონაშიც მოვიმატე და ძალიან განვიცდიდი. ახლა კი ყველაფერი გადავლახე.

— თუ შეცვლიდი რამეს შენს გარეგნობაში?

— ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი ლამაზი მაქვს, მაგრამ მთლიანობაში საკუთარი თავი მომწონს. ბოლომდე თვითკმაყოფილიც არ ვარ, მაგრამ „დედა, რას ვგავარ?!“ — ეს უკვე აღარ მჭირს.

ლალი:

— ნინის დედის და მამის მხრიდან ყველა ნიჭიერი და ლამაზი ჰყავს... სიყვარულით დაბრმავებული ბებია არ ვარ, მაგრამ ნინის

— ლალის, მაგრამ ახალგაზრდობაში ლალი ჩემზე ბევრად ლამაზი იყო.

ლალი:

— „დიდოსტატის მარჯვენაში“ რომ გადამიღეს, ნინიზე 2 წლით დიდი ანუ 27 წლის ვიყავი, მაგრამ ყველას გაცნობით პატარა ვეგონე.

ნინი:

— ასეთი გენეტიკა გვაქვს, ჩემი დიდი ბებია (ეკას ბებია) 97 წლის არის. დამიჯერე, ნაოჭიც არა აქვს. იმ დღეს ვაკვირდებოდი და გაოცებული დავრჩი. როცა ლალი პირველად შორენას როლში ვნახე, პატარა ვიყავი. წლებს შემდეგ ფილმს გააზრებულად ვუყურე და ისე მომეწონა, გავგიჟდი. რამდენიმე დღის წინაც ძალიან კრიტიკული თვლით ვუყურე. მიუხედა-

პიროვნებაში მართლაც ყველაფერი საუკეთესოა თავმოყრილი. მაგალითად, ეკას აქვს საუკეთესო სმენა და მისგან „ყური წაიღო“.

ნინი:

— ბოლომდე ვერ „წავიღე“. ეკასნაირი სმენა ნამდვილად არ მაქვს.

ლალი:

— ბადურაშვილებიც ყველანი მღერიან. სიმალლითა და თხელი აღნაგობით იმედას ძმას დაემსგავსა...


— (ანეკდოტებს) კარგი, ნუ მაქვებ, უხერხულია.

— ქალბატონო ლალი, თქვენგან რა „წაიღო“? მგონი ამას კითხვა არც უნდა.

— სახის ნაკვთებით მგავს... კიდევ კარგი, სიმალით არ დამემსგავსა.

ნინი:

— ეს ძალიან მიხარია; ეკასაც ბევრი მამსგავსებს, მაგრამ მიმარჩია, რომ ეკას იერით ვგავარ, ნაკვთებით





ნინის ვეუბნები, მეც შენნაირი ვარ, მაგრამ მეტი გამოცდილება მაქვს-მეთქი

ვად იმისა, რომ მსახიობი არ არის, ეს როლი პროფესიონალის დონეზე ითამაშა. როცა ჩემი პროფესიის არჩევანზე მიდგა საქმე, მთელი ოჯახი დამეთანხმა, რომ მსახიობი გამოვსულიყავი. საქართველოში, როგორც წესი, მშობლები უმეტესობა წინააღმდეგია, რომ შვილმა ეს პროფესია აირჩიოს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში გამონაკლისი მოხდა. მგონი ერთადერთი ვარ, ვისაც დააბაღეს, რომ თეატრალურში ჩაებარებინა.

ლალი:

— მეც მინდოდა, რომ მსახიობი გამხდარიყო. აბა, მისგან მათემატიკოსი და ფიზიკოსი ვერ გამოვიდოდა — მსახიობის მონაცემები ჰქონდა.

ნინი:

— მართალია, მაშინ მსახიობობაზე ძალიან არ ვიყავი მონადინებული, მაგრამ დღეს რომ ვუფიქრდები, ვინც თავის დროზე ეს რჩევა მომცა, ყველას მადლობელი ვარ. ჩემთვის, როგორც მომღერლისთვის, ეს პროფესია ძალზე მნიშვნელოვანია.

— **ნინი, როგორც ვიცი, ტელეწამყვანობა გასურდა და ეს სურვილი უკვე აისრულე. ახალ ამბულაში თავს როგორ გრძნობ?**

— ლალიმ სწორად აღნიშნა — საკუთარი თავის მიმართ მართლა მომთხოვნი ვარ. ამ გადაცემას კრიტიკული თვალით ვუყურებ და ვცდილობ, თუ რამე არ მომეწონება, გამოვასწორო. ინტერესით ვეცნობი ხალხის კომენტარებს და შენიშვნებს ვითვალისწინებ.

— **ანუ კრიტიკას კარგად იღებ.**

— რა თქმა უნდა, მე ეს მჭირდება. მეგონა, რომ კამერის წინ მუშაობა არ გამიჭირდებოდა, თავისუფალი ვიქნებოდი, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. პირველ ორ გადაცემაზე ძალიან დაძაბული ვიყავი. ვცდილობდი, არ შემეჩნეოდა; წნევა ამენია.

— **ამ გადაცემაში როგორ მოხვდი?**

— ნოე სულაბერიძე ფიქრობდა ახალი გადაცემის გაკეთებას. ამ თემაზე ხშირად ვლაპარაკობდით. ერთ საღამოს დამირეკა და მითხრა, ასეთი და ასეთი ჩანაფიქრი მაქვს და შენ რას იტყვი? მისი იდეა მომეწონა. ნამყვანად ბევრის კანდიდატურა განიხილებოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მე და ნანკა აგვირჩიეს. მისთვის ტელევიზია უცხო არ არის, გამოცდილება აქვს და მიხარია, რომ ერთად ვმუშაობთ. უკვე 34000 მეგობარი გვყავს, „ფეისბუქზე“.

— **ქალბატონო ლალი, ნინის მესაიდუმლე ხართ?**

ნინი:

— კი, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს.

ლალი:

— არ მიყვარს დამრიგებლური ტონით ლაპარაკი. ნინის ვეუბნები, მეც შენნაირი ვარ, მაგრამ მეტი გამოცდილება მაქვს-მეთქი. მხოლოდ ჩემს მოსაზრებას ვუზიარებ. ვალდებული ვარ, ასე მოვიქცე. რას გაითვალისწინებს და რას — არა, ეს მისი საქმეა. ზოგჯერ ეცინება. ზოგჯერ ნათქვამი ჭკუაში უჯდება.

— **თაყვანისმცემლებზე გახსნოდა ლაპარაკობ?**

ნინი:

— საერთოდ არ მივეკუთვნები გოგონების იმ კატეგორიას, რომლებიც გამუდმებით რალაქს მალავენ, ოჯახის წევრებთან არ საუბრობენ და ა.შ. ჩემებმა ყოველთვის იციან, ვის მოვწონვარ, ვინ მომწონს; მაგრამ 18-20 წლის ასაკში მეგონა, რომ იმდენად ჭკვიანი ვიყავი, არავის რჩევა არ მჭირდებოდა. ვფიქრობდი, განა რა უნდა მითხრას დედამ ან ბებიამ ისეთი, მე რომ არ ვიცოდე-მეთქი? როცა გავიზარდე, მიხვდი, რომ ჩემები ხშირად მართლები იყვნენ. დღეს შეიძლება ბოლომდე დაღვივებული არ ვიყო, მაგრამ იმის ჭკუა ნამდვილად მაქვს, რომ ლალის რჩევას ყური დავუგდო და იმასაც ვხვდები, რომ 5 წლის წინაც სიმართლეს მეუბნებოდა.

ლალი:

— ზოგჯერ მე და ფლორა ნინიზე ჩუმიად ვლაპარაკობთ ხოლმე. ვთანხმდებით, — ახლა მე ამას ვეტყვი და შენ ეს უთხარიო. ამას პირველად ვამბობ. ფლორა ნინის გამზრდელი ბებიიაა, ჩემი თაობის ადამიანებს შვილიშვილებზე ხშირად გული სწყდებათ, ნაკლებს კითხულობენ, ნიგინერები არ არიანო. ნინის ნიგინის მიმართ სიყვარული ფლორამ ჩაუნერგა. სხვათა შორის, მისი უახლოესი მეგობრებიც ნაკითხი, წესიერი, ქართულ ოჯახებში აღზრდილი გოგონები არიან. მიხარია, რომ ნინი მათთან მეგობრობს.

— **დღეს რა რჩევებს აძლევთ ხოლმე შვილიშვილს?**

— მის პირველ გადაცემებს რა თქმა უნდა, ვუყურებ. მამამის უცნაური თვისება აქვს — მისი თანდასწრებით ნინის ვერანაირ შენიშვნას ვერ მისცემ. როცა რამეს თქმა მინდა, ერეკლეს ჩუმიად ვეუბნები, ის ყირაზე დგება, თქვენს თავს მიხედეთ, ბავშვს შეეშვითო. შვილი ყველა მამას უყვარს, მაგრამ ერეკლეს ეს გრძნობა გამძაფრებული აქვს. ნინის გადაცემა ჩემი თაობის ადამიანებზე გათვლილი არ არის, მაგრამ მაინც ინტერესით ვუყურებ. ის გადაცემაში ძალიან ზომიერი, თავდაჭერილი, ამავე დროს ლაღი და თავისუფალია, მაგრამ თავაშვებული — არა.

— **შენშენა მიეცით?**

— არა, ორივენი კარგები იყვნენ. ნანკა და ნინი ერთმანეთს აესებენ.

— **როგორი რეაქცია გაქვთ, როცა ნინიზე ჭორაობენ?**

— როცა მასზე ჭორაობენ, არ მიკვირს. ჭორი პოპულარული ადამიანების თანამდევია. უცხოეთში ძალიან ბევრი მსახიობი და მომღერალი, როცა ხვდება, რომ ჩრდილში მოექცა, საკუთარ თავზე ჭორებს თავად ავრცელებს. ნინის ეს არ სჭირდება — ჩრდილში ნამდვილად არ არის. უბრალოდ, არ მიყვარს, როცა ბოროტ ჭორებს ავრცელებენ. ნინი რომ მოკლა, არავისზე არაფერს იტყვის. შოუბიზნესში იმდენი გოგონა ტრიალებს, ზოგჯერ დავინტერესდები და მათ პირად ცხოვრებაზე ვკითხავ ხოლმე, მაგრამ არაფერს ამბობს.

ნინი:

— ერთხანს „ბოროტ“ ჭორებზე ნერვები მეშლებოდა, განვიცდიდი, ვნერვიულობდი. ყოფილა შემთხვევა, როცა ბიჭი მომწონებია, მისი მხრიდანაც ყოფილა სიმპათია, მაგრამ ჭორიკანების წყალობით არათუ ურთიერთობის გაგრძელებს, არამედ გამარჯობის თქმის სურვილიც კი დამკარგვია. შეიძლება იმაზე ბრაზობენ, რა არის, ყველგან ეს გოგო მღერის, ყველგან ეს გოგო ჩანს და ასეთ კარგ



ზოგჯერ მე და ფლორა ნინიზე ჩუმიად ვლაპარაკობთ ხოლმე



ბიჭთანაც ბედნიერი ეგ იყოსო?

— **ქალბატონო ლალი, თქვენზეც ჭკობაობდნენ?**

— რა თქმა უნდა. მაშინ ჭკორი რომ აგორდებოდა, თუ მას საფუძველი არ ჰქონდა, ფეხს ვერ იკიდებდა — 2 დღეში ალარავის ახსოვდა.

— **ახლა რა ხდება ნინოს პირად ცხოვრებაში, იცით?**

— როგორ არ ვიცი, სიმშვიდეა და ეს მომწონს. მას ახლა ბევრი საქმე აქვს. ის მხოლოდ კარიერაზე არ ფიქრობს; სურვილი აქვს, კარგი ოჯახი ჰქონდეს, შვილი ჰყავდეს. მინდა, კარგი მეუღლე და დედა იყოს, ოჯახსაც მიხედოს და საყვარელი საქმეც აკეთოს.

— **მის გვერდით როგორ მამაკაცი წარმოგიდგენათ?**

— გარეგნობით გამორჩეული, ჭკვიანი და გონიერი, რომელსაც ნინი ეყვარება და ყველაფერში ხელს შეუწყობს. არ მინდა, ვინმე გადარეული რომ შეხვდეს და დაუწყოს — იქ რატომ წახვედი, იმას რატომ შეხედო? თუმცა, არც „ბაბოჩკიანი“ სიძე მინდა, საერთოდ რომ არ იკითხავს, სად მიდის და რას აკეთებს. ეს ჩემი სურვილია და ვინ დაიპყრობს მის გულს, ეს მარტო ღმერთმა იცის.

— **ნნო, ბედსწერის გვერა?**

— მიმაჩნია, რომ ადამიანი თავის ბედს თვითონ ქმნის. ღმერთი არჩევანის წინაშე გაყენებს — ან ერთი გზით წახვალ, ან — მეორით. ახლა კარგი პერიოდი მაქვს (მაგიდაზე ვ-ჯერ აკაკუნებს); ცოტა ხნის წინ უსაქმოდ ვიყავი, არაფერი გამომდიოდა, ლამის დეპრესია დამემართა. ასეთი პერიოდი ალბათ ყველა ადამიანის ცხოვრებაშია. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი უკან დარჩა.

— **შემოქმედებითი თვალსაზრისით კიდევ რა საახლეა?**

— ტელევიზიის გარდა რადიო „აფხაზეთის ხმაში“ ვმუშაობ, სადაც ჩემს ნათესავთან, სალომე გოგიაშვილთან ერთად მიმყავს გადაცემა. სალომე ლალის დის შვილიშვილია. სამწუხაროდ, ვერ მოვიცალე სიმღერისთვის, მხოლოდ ერთი დუეტი ჩავენერე დათუნა სირბილაძესთან, რომლის პრემიერაც მალე „ნანუკას შოუში“ შედგება. საერთოდ, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, სოლო კონცერტი ჩავატარო. უახლოეს მომავალში ამას ფიზიკურად ვერ შევძლებ. ზაფხულისთვის კი იქნებ გამოვიდეს. აი, ასეთი გეგმები მაქვს, სხვა რა გითხრა? ბედნიერი ვარ, კარგად ვარ, მალე კინოდანაც ველოდები შემოთავაზებას.

ლალი:

— შემოდგომიდან ერეკლეც აპირებს ფილმზე მუშაობის დაწყებას, სადაც ნინის ათამაშებს. ვნახოთ, რა გამოვა.

ღამის 12-ის ნახევარზე მიღებული უთავაზება და 2 ტაფით გადახდილი ჰონორარი

მას შემდეგ, რაც ანი ბიუნტარი ტელევიზიის „მტერთ მოინამლა“, ამ სფეროში მუშაობას თავს ვერ ანებებს. მუსიკასაც ვერ ელევა და ამბობს, რომ ვიოლინოზე დაკვრას დროებით დაანება თავი: პირდაპირ ეთერში ჩართვის დროს, ცხენიდან გადმოვარდნის შემდეგ მიღებული ტრავმის გამო, ჯერჯერობით საყვარელ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა არ შეუძლია... წლების წინ, გასართობი სერიალის — „მუსკულების“ შეწყვეტის მერე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკრანიდან გაუჩინარებული ანი გიუნტერი პოპულარობას როგორ ინარჩუნებდა და წარმატების მიღწევაში რა დაეხმარა, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ...

— ათი ყორღანაშვილი

— ანი, როცა სატელევიზიო სფეროდან პირველი უთავაზება მიიღე, იფიქრებდი, რომ შენი კარიერა რადიკალურად შეიცვლებოდა? როგორც ვიცი, მაშინ ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდი.

— ტელევიზიას თავისებური სიბლი აქვს — როცა მისი „მტერთ მოინამლე“, იქ მუშაობას თავს ვეღარ ანებებ. მევიოლინეს პროფესიისთვის ტელევიზიის გამო არ მიღალატია — ბევრი სხვა მიზეზი არსებობდა... ბევრჯერ მითქვამს, შეიძლება, მუსიკას დაუზბრუნდე-მეთქი, მაგრამ სამსახურბრივი მოვალეობის შესრულების დროს დავეშავდი (მოგესხებოდა, ცხენიდან გადმოვვარდი). ერთ თითს ახლაც ვერ ვამორავებ. ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ მუსიკას ტელევიზიის გამო დავანებე თავი, ოღონდ — დროებით. შეიძლება, ბოლომდე მუსიკას რომ გავყოლოდი, უფრო წარმატებული კარიერა მქონოდა. ნურავინ მიწყენს, მაგრამ არ მიმაჩნია, რომ ტელევიზიაში ჩემი მოხვედრის ამბავი „კონკრეტულ“ ზღაპარს ჰგავს — ქუჩაში არ ვმდგარვარ და მწვანელი არ გამიყიდა... ტელევი-



თავდაპირველად, ტელევიზიაში დიდი ხნით დარჩენას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი

ზიაში მუშაობა უდიდეს შრომასთანადაკავშირებული. მიმაჩნია, რომ მიზანდასახული ადამიანი სატელევიზიო სფეროში მუშაობის დაწყებას შეძლებს.

თავდაპირველად, ტელევიზიაში დიდი ხნით დარჩენას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი — მაშინ გასართობი სერიალში ვმონაწილეობდი. როცა „რუსთავი 2“-ში პირველად მივედი, მივხვდი, სერიოზულად სამსახურს ვინცები, თუმცა ჟურნალისტიკად ახლა ვყალიბდები. რომ ვთქვა, თავს ჟურნალისტიკად მივიჩნევ-მეთქი, ხმაველადი ნათქვამი გამომივა.

— თუ არ ვცდები, ტელევიზიაში მუშაობით შენ მეგობარი იყო დაინტერესებული, მაგრამ სერიალში შენ

უყუჩაბთ! PALITRA TV. შპს. ჯეოსიკალა. მიმჭლავებს თავში ხსროლა. ლაპარაკობს და არქვენებს კალიტრა! www.palitratv.ge



დაგაკავებს. მაშინ ამ ფაქტმა თქვენს ურთიერთობაზე უარყოფითად სომ არ იმოქმედა?

— არა. ის მდინის ან თარჯიმან-რეფერენტის ვაკანსიით იყო დაინტერესებული. როცა გაირკვა, რომ საქმე სერიალს ეხებოდა, ამ სფეროს მიმართ მას ინტერესი არ გამოუჩნდებოდა, თუმცა ის გოგონა ნამდვილად არაფრით ჩამომრჩება... „მუსკულებზე“ მუშაობის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება: გადასაღებ მოედანზე ყოველთვის ვხალისობდით. ამ განცდას ვერც ერთი ჰონორარი ვერ შეედრება.

— ანი, თავდაპირველად თითქოს პოპულარობა გინდოდა, მაგრამ არ იცოდი, რომელ სფეროში...

— არა, არა, შალვა რამიშვილმა ჩემი სახელი და გვარი რომ გაიგო,



არა, ვარსკვლავები ასე არ იქცევიან...

მკითხა: შეგიძლია, პოპულარული იყო და რატომ არ გინდაო? მაშინ არც კი ვიცოდი, რა სერიალზე იყო საუბარი. ფაქტია, ბევრი წელი გავიდა, მაგრამ ხალხს სერიალი — „მუსკულები“ დღესაც ახსოვს, რაც ჩემთვის სასიამოვნოა. შალვა პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ჩემში „რალაც“ დაინახა. სერიალის შემდეგ „გაჩერებული“ ვიყავი. მიუხედავად ამისა, ყოველკვირა ჟურნალისტები მირეკავდნენ და ინტერვიუებზე მითანხმდებოდნენ. ფაქტობრივად, მათთვის ერთი და იმავეს მოყოლა მისდებოდა, მაგრამ მიმანია, რომ მსახიობი მედიისთვის არსებობს, მედია — მსახიობისთვის. ისინი ერთმანეთს აესებენ.

— როგორ ფიქრობ, კარგი გარეგნობისა და „მარკეტინგული“ გარსახულის გარდა, პოპულარობაში რა დაგეხმარა?

— ეს მეც მიკვირდა: 2 წლის განმავლობაში ეკრანზე არ ვჩანდი, მა-

გრამ ჩემით მაინც ინტერესდებოდნენ. „თავდაპირველად“ მქონდა: ჟურნალში ინტერვიუ რად მინდა, არაფერს ვაკეთებ-მეთქი!.. თუმცა, სწორედ ჟურნალისა თუ შოუების მეშვეობით ვჩანდი ფართო საზოგადოების წინაშე და „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობასაც გავახსენდი. შეიძლება, მსახიობი მაგარი იყოს, მაგრამ როცა 2 წლის მანძილზე მის შესახებ რეპორტაჟს არ გააკეთებენ; მის ფოტოს არსად დაბეჭდავენ, საზოგადოებას დაავიწყდება. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ინტერვიუს მიცემა არ მსიამოვნებდა, ვცდილობდი, ჟურნალისტებისთვის უარი არ მეთქვა. ამას საზოგადოების წინაშე გამოჩენის მიზნით არ ვაკეთებდი. უბრალოდ, ვიცი, შრომა და რესპონდენტის უარი რას ნიშნავს.

— ანუ შენი პოპულარობა ჟურნალ-გაზეთების დამსახურებაა?

— ჟურნალ-გაზეთები პოპულარობაში ბევრს ეხმარება. ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო, მაგრამ ჩემი პოპულარობა ჩემი დამსახურებაა, რადგან როგორც აღვნიშნე, დაუზარელი ვიყავი. ძალიან მიკვირს, როცა ტიტულოვანი ლამაზმანები (მათ გვარ-სახელებს არ დავასახელებ) ამბობენ, რომ კამერასთან გამოჩენა არ უყვართ. ზოგჯერ ადამიანი რაც უფრო დიდ წარმატებას მიაღწევს, უფრო ნაკლები ამბიცია აქვს. ასეთ ხალხთან ურთიერთობა ყოველთვის ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ხშირად ჟურნალისტისთვის ინტერვიუზე უარის თქმის მიზეზი სიზარმაცია.

— „ვარსკვლავური სენ“ — არა?

— არა, ვარსკვლავები ასე არ იქცევიან... მე და ჩემმა მეუღლემ ქორწილამდე დაგვეგმეთ, მაგრამ ვერ განვახორციელებთ, რომ ქორწილში ყველა ის რესპონდენტი დამეპატიჟებინა, ვისი იმედიც ყოველთვის მაქვს. ასეთი ადამიანების სიაში პირველ ადგილს ნინო ნოღია იკავებს. ის ბევრ პროექტშია ჩართული და კარგად ესმის, რომ ეკრანზე გამოჩენა მისი კომპანიისთვისაც კარგია... მაგალითად, თუ გოგონა სილამაზის კონკურსში იმარჯვებს, მერე აღარ უნდა თქვას, რომ კამერა არ უყვარს. აბა, გათხოვება და სახლში „ჩაჯდომა“ უნდა?

— ახალი ამბავი არაა, რომ საქართველოში სილამაზის კონკურსში გამარჯვება „კარგად გათხოვების“ გარანტიად მიიჩნევა... რესპონდენტის უარის გამო, გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩენილხარ?

— ერთი რესპონდენტის იმედად ვერასოდეს იქნები, თუმცა მახსენდება ერთი შემთხვევა, როცა ჩემმა რესპონდენტმა დანაპირები არ შეასრულა: ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ის ადამიანი იმ დღეს შინ საერთოდ არ მისულა. არ

ვიცი, რა საქმით იყო დაკავებული, მაგრამ მას ეს საქციელი ვაპატივებ.

— წლებია, „რუსთავი 2“-ში მუშაობ. ტელეჟურნალისტობა როგორ დაიწყო?

— ჯერ „პირველ სტერეოზე“ წამყვანად ვმუშაობდი, მერე კი ნინო არაზაშვილისგან შეთავაზება მივიღე. ზუსტად მახსოვს, ღამის თორმეტის ნახევარზე დამირეკა და მითხრა: გამარჯობა, ანი, გვინდა, ჩვენი გუნდის წევრი გახდეო. დავთანხმდი. იმის ახსნა არ დამინდია, რომ კაბა მზად არ მაქვს და იქნებ ზეგ მოვიდე-მეთქი? ყოველთვის „მომენტს ვიჭერდი“. შემდეგ ნინომ მკითხა, ჟურნალისტი ხარ, ხომ? ტექსტის დაწერა იციო? პასუხად გაუვლიმე. როცა კამერა ჩაირთო, მაშინ ვუთხარი, ტექსტი არასოდეს დამინერია, მაგრამ ვისწავლი-მეთქი. ნინო არაზაშვილისა და კობა დავარაშვილის მადლობელი ვარ — უფროსებში ყოველთვის მიმართლებდა. ამ ადამიანებმა დაინახეს, რომ სწავლისა და შენიშვნებისთვის მზად ვიყავი. „მუსკულებს“ რაც შეეხება, იქ პირველად ნახევრად გამჭვირვალე კაბით გამოვეცხადდი: ქობულეთიდან ახალი დაბრუნებული გახლდით. ძალიან გარუჯული ვიყავი. ვამბობდი, ფორმაში არ ვარ-მეთქი, მაგრამ მეგობარმა დამამშვიდა და ჩემი ნახსენები კაბის ჩაცმა მიჩნია. მოკლედ, მანჩო გიორგობიანის კაბა ჩავიცვი. მანჩოს არაჩვეულებრივი გარდერობი და ასე ვთქვათ, „კარგი სელიცა“ აქვს: იმავე კაბაში ვიყავი გამონყობილი, როცა ერთ-ერთი ჟურნალისათვის ჩემი და დავით კიკალიშვილის მიერ მიცემული ერთობლივი ინტერვიუსთვის ფოტო გადავიღე. დათო ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებიდან ვიცნობდი. სიმბოლურია, რომ ამ ამბიდან მალე „რუსთავი 2“-ში მუშაობა დავიწყე.

— ის ილბლიანი კაბა ახლა სადაა?

— ჩემი არ იყო და არ ვიცი, კიდევ არსებობს თუ არა (იცინის)...

— ანი, წელან თქვი, რომ ნინოს კითხვაზე — ჟურნალისტი ხარო?

— ლიბლით ვუპასუხეო, როცა ყველაფერი გაირკვა, მისი პირველი რეაქცია როგორი იყო?

— ეტყობა, ნინოს არ იცნობო... ის გახლავთ ადამიანი, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში მხოლოდ კარგს ხედავს, პანიკაში არასოდეს ვარდება... ძალიან კარგად მახსოვს, მაშინ ბაყაყების ქორწილის შესახებ ტექსტს ვკითხულობდი: ინდოეთში ბაყაყები ჯერ დააქორწინეს, მერე კი ნეფე-პატარძალს „საქორწინო მანიკიური“ წაუსვეს-მეთქი (იცინის)...



— ანი, იმ „გაჩერებულ“ 2 წლის შესახებ რას გვეტყვი, როცა „მუსკულები“ შეწყდა?

— გოეთეს ინსტიტუტში ვსწავლობდი; ასევე — კონსერვატორიაში. ბონში, ბეთჰოვენის საერთაშორისო ფესტივალზეც გავემგზავრე. მაშინ საკუთარი კვარტეტი მქონდა. თარჯიმნადაც ვმუშაობდი... დრო უქმად არ დამიკარგავს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სტაბილური სამუშაოს პრობლემა მქონდა, მაინც ვახერხებდი, რაღაც შემოსავალი მქონოდა (რეკლამაში მონაწილეობით, კონცერტზე დაკვრით) და მშობლებსთვის გზის ფული არ გამოემერთმია. ეს თვისება საკუთარ თავში მართლა მომწონს.

— შეგიძლია, პირველი ჰონორარი გაიხსნო?

— 8 წლის ვიყავი. რკინიგზელთა სასახლეში, კონცერტზე გამოვიდი. 90-იანი წლები იყო. მეზობელს ბილეთების ფული არ ჰქონდა და 2 ტაფა მომიტანა, რომელსაც დღემდე ვხმარობ. ჩემი პირველი ჰონორარი 2 ტაფა იყო და კიდევ — 2 დოლარი (კონცერტიდან შემოსული თანხის ჩემი წილი).

— კარგა სანა, ტელეჟურნალისტად მუშაობ. ამჟამად საკუთარ თავს

როგორ აფასებ?

— ჩემი ყველაზე დიდი ნაკლია, რომ ჩემი გადაცემის ჩანაწერს ვერ ვუყურებ. ჟურნალისტს ეს არ ეკადრება, მაგრამ საკუთარ თავს ეკრანზე ვერ ვუყურებ. ალბათ იმიტომ, რომ ზედმეტად კრიტიკული ვარ.

— მაგრამ ჩანაწერის ნახვა პროფესიულ ზრდაში ხომ დაგეხმარება?

— რა თქმა უნდა. რამდენჯერმე ეს შიში გადავლახე და პროფესიული კუთხით რაღაცები გამოვასწორე, მაგრამ ეკრანზე საკუთარი თავის ნახვის პათოლოგიური შიში მაქვს... ერთადერთი, შემიძლია ვთქვა, რომ მაცურებელთან გულწრფელი ვარ. ისე, ხანდახან თამაშიც შეიძლება...

— ცხენიდან შენი გადმოვარდნის კადრები თუ გაქვს ნანახი?

— სიუჟეტს ვუყურებდი, რომელშიც ამ შემთხვევის ამსახველი კადრები აჩვენეს, თორემ ამას გამიზნულად არ ვუყურებდი. ინტერნეტში ცხენიდან გადმოვარდნის ამსახველ ვიდეოსთან დაკავშირებული კომენტარები რომ ნავიკითხე, მივხვდი, ცხენიდან გადმოვარდები თუ მეხუთე სართულიდან, ყველას მაშინ მოუნდებოდა, ნიხლი დაგაჭიროს და გადაგიარ-

ოს. ვიდრე კომპიუტერული ტომოგრაფიის პასუხი არ გავიგეთ, ხალხი შოკში იყო: ჯვარი მწერია, მაგრამ შეიძლება, ინვალიდის ეტლს მივჯახჭვოდ — ხერხემალი დაზიანებული მქონდა, ვერ ვმოძრაობდი... ამ დროს ინტერნეტში წერდნენ, აი, ჟურნალისტებს ყველგან გამოჩენა რომ უნდათ... ყოფილიყო სახლში, ხომ არაფერი დაემართებოდა? ვიდრე სავადმყოფოში გადამიყვანდნენ, იპოდრომზე უამრავი ადამიანი მოვიდა, გული ამიჩუყდა. ეს ჩემთვის დიდი ნუგეში იყო. ამ სიტომ და სიყვარულმა ინტერნეტში გამოქვეყნებული უარყოფითი კომენტარები გააზაბილა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც სისარულს იმის გამო გამოხატავენ, რომ შეიძლება, ვიღაც დაინვალიდდეს. ეს ადამიანები ვირტუალურ სამყაროში „ცხოვრობენ“ და საკუთარ აზრს მაშინ გამოთქვამენ, როცა არ ჩანან, რაც სამწუხაროა... ამას „ხაზგასმით“ მათ გასაგონად ვამბობ, ვინც პოპულარობის ასპარეზზე ახლა გამოდის. მინდა, მათთვის ჩემი შემთხვევა მაგალითი იყოს და ვურჩევ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას იუმორით შეხედონ. ■

57 ქართული პროზის საგანძური



ჭოლა ლომთათიძე საპრობილეო

57

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ზღვისპირა, ცენტრალ „გზისთან“ ერთად შეიძლება ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ტომი №57

ჭოლა ლომთათიძე

საპრობილეო

წიგნის ფასი 3 ლარი!

31 მარტიდან - 7 აპრილამდე!

წაიკითხე წიგნები-უკეთესად იძნებო!

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

№1 ბავაშვილი	№20 თამარ ბაგრატიონი	№39 კონსტანტინე მარაბი
№2 შოთაშვილი	№21 ანა ბრეგვალი	№40 მარტოვილი
№3 გიორგი	№22 ნინო	№41 მარტოვილი
№4 თინათინა	№23 თინათინა	№42 მარტოვილი
№5 ბავაშვილი	№24 თინათინა	№43 მარტოვილი
№6 ბავაშვილი	№25 თინათინა	№44 მარტოვილი
№7 ბავაშვილი	№26 თინათინა	№45 მარტოვილი
№8 ბავაშვილი	№27 თინათინა	№46 მარტოვილი
№9 ბავაშვილი	№28 თინათინა	№47 მარტოვილი
№10 ბავაშვილი	№29 თინათინა	№48 მარტოვილი
№11 ბავაშვილი	№30 თინათინა	№49 მარტოვილი
№12 ბავაშვილი	№31 თინათინა	№50 მარტოვილი
№13 ბავაშვილი	№32 თინათინა	№51 მარტოვილი
№14 ბავაშვილი	№33 თინათინა	№52 მარტოვილი
№15 ბავაშვილი	№34 თინათინა	№53 მარტოვილი
№16 ბავაშვილი	№35 თინათინა	№54 მარტოვილი
№17 ბავაშვილი	№36 თინათინა	№55 მარტოვილი
№18 ბავაშვილი	№37 თინათინა	№56 მარტოვილი
№19 ბავაშვილი	№38 თინათინა	№57 მარტოვილი

გამოინერეთ და საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „ელვა.ჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74



მოსკოვი გაზრდილი ქართველი გოგო სამუბლოში დაბრუნებაზე ოცნებობს

ცოტა ხნის წინ, მომღერალმა მერაბ სეფაშვილმა, საზოგადოებისთვის უცნობ გოგონასთან ერთად დუეტი ჩაწერა და ამ სიმღერაზე კლიპიც გადაიღო. დავინტერესდით, თუ ვინ არის **დინან ლაბაძე**, რომელიც მერაბს პარტნიორობას უწევს და მას ინტერვიუსთვის მოსკოვში დაფუჟავშირდით.

ნათია ჟივიკა

— დინა, რატომ გადაწყვიტე მერაბ სეფაშვილთან დუეტი ჩაწერა?

— ჩემი აზრით, მერაბ სეფაშვილი ქართველი მომღერლებისთვის მისაბაძი მაგალითია და ჩემთვის დიდი პატივი და ბედნიერებაა, რომ ასეთ პროფესიონალთან სიმღერის საშუალება მომეცა.

— ვინ არის თქვენი სიმღერის ავტორი?

— მუსიკა რუსა მორჩილაძემ დაგვიწერა, ტექსტის ავტორი ირინა სანიკიძე გახლავთ, არანჟირება მამუკა ბეგაშვილს (ბეკეს) ეუთვნის, ჩაინერა „სანო სტუდიაში“, ხოლო კლიპი რეჟისორმა, ზაზა ორავილიმა გადაიღო.

— როგორ ფიქრობ, მერაბი როგორი ადამიანია? რაიმე სახის პროფესიული რჩევები ხომ არ მოგცა?



სწორედ ამ ასაკში ერთ-ერთ საბავშვო სტუდიაში დავიწყე სიარული. ჯერ კიდევ მაშინ, არაერთ კონკურსში ვმონაწილეობდი და უამრავი პრიზის მფლობელიც ვარ... 15 წლიდან ვოკალში ქართველი პედაგოგი, მაია ბალანჩივაძე მამეცადინებდა. ბოლო წლებში კი ვოკალის გაკვეთილებს უნივერსიტეტში, პროფესორ ვახტანგ გორდაძესთან გავდივარ.

— რატომ გადაწყვიტე, მომღერლის კარიერა აგერჩია და რამდენად მარტივია ეს გზა?

— სიმღერა ძალიან მიყვარს. ვერ ვიტყვი, რომ მომღერლის კარიერა მარტივია. ამ სფეროში ადგილის დამკვიდრება საკმაოდ დიდ სიძნელებთანაა დაკავშირებული. ბოლო დროს ძალიან მიტაცებს ჯაზი. ეს კი რთული მუსიკალური მიმდინარეობაა. სხვათა შორის, ვახტანგის დამსახურებაა, ჯაზით რომ დავინტერესდი...

— შენი რეპერტუარი თუ შეიცავს ჯაზის ელემენტებს?

— ახლა ძირითადად, ჯაზს ვმღერო.

— რომელიმე ფესტივალზე თუ მოსინჯავ საკუთარ ძალებს?

— როგორც უკვე აღვნიშნე, ფესტივალებში ბავშვობიდან ვმონაწილეობდი, მაგრამ ეს ეტაპი უკვე გადავლახე. ახლა გაცილებით სერიოზულ რაღაცებზე ვფიქრობ. მაგალითად, შარშან ზაფხულს, ბათუმში ჩემი სოლო კონცერტი გაიმართა, სადაც ჩემთან ერთად სხვა ქართველი მომღერლებიც მონაწილეობდნენ. ჩემთვის დიდი პატივია ცნობილ, ქართველ მომღერლებთან ერთად სცენაზე გამოსვლა.

— ვისი ინიციატივით გაიმართა ეს კონცერტი?

— ვახტანგ გორდაძის ინიციატივა გახლდათ...

— ახლა მოდაშია, პროდიუსერის ყოლა. შენ თუ გყავს ადამი-

— მერაბი მსოფლიო დონის, პროფესიონალი მომღერალია; ამავდროულად, საკმაოდ თავმდაბალი, კეთილი და თბილი ადამიანია. რა თქმა უნდა, რჩევებიც მომცა როგორც სიმღერის ჩაწერის დროს, სტუდიაში, ასევე კლიპის გადაღებისას, რომელიც გავითვალისწინე და დიდი სიამოვნებით გავითვალისწინებ მომავალშიც.

— შენ შესახებ გვიამბე. ვიცით, რომ რუსეთში ცხოვრობ...

— მოსკოვში დავიბადე და გავიზარდე. საშუალო სკოლაც აქ დავამთავრე. ამჟამად ხელოვნებისა და კულტურის უნივერსიტეტის საესტრადო-ჯაზური ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ვსწავლობ. მაქვს ჩაწერილი ბევრი სიმღერა, სხვადასხვა ენაზე და განსხვავებულ ჟანრში, მაგრამ ვცდილობ, რომ უპირატესად ჩემი მშობლიური, ქართული სიმღერები შევასრულო.

— ალბათ შენი მშობლებიც შენთან არიან...

— რა თქმა უნდა, ჩემთან არიან და ყველაფერში მხარს მიჭერენ. ასეთი მშობლები რომ არ მყავდნენ, ამდენს ვერ მივალწევდი. მამაჩემი ბიზნესმენია. რაც შეეხება დედას, მხოლოდ ოჯახის კი არა, ჩვენი ხმის ჩამწერი სტუდიის სათავეშიც ის დგას და ყველაფერს ხელმძღვანელობს. ასევე, მყავს უფროსი ძმა — ლაშა, რომელიც იურისტია.

— შენს სტუდიაზე უფრო დანერგვებით გვიამბე.

— ამ სტუდიას „LDX“ ჰქვია, სადაც ზაზა ხუბუკელაშვილი მუშაობდა. სამწუხაროდ, ზაზა ამჟამად საქართველოშია... სხვათა შორის, ჩვენთან სიმღერა არაერთ ცნობილ მომღერალს ჩაუწერია. მაგალითად, ნანი ბრეგვაძეს, ვალერი მელაძეს, ქეთა თოფურისას, ირაკლი ფირცხალავას, დათო ხუჯაძეს...

— ალბათ, ამ მომღერლებთან მეგობრობ კიდევ...

— არც ერთ მათგანთან მეგობრული ურთიერთობა არ მაქვს...

— რა ასაკიდან მღერო?


— სიმღერა საკმაოდ ადრეულ ასაკში დავიწყე, მაგრამ პროფესიონალურ დონეზე 10 წლიდან ვმღერო.



სიმღერა ძალიან მიყვარს



მერაბი მსოფლიო დონის, პროფესიონალი მომღერალია



მამაჩემი ბიზნესმენია



ანი, რომელიც კონცერტებს და-გიგემავს?

— ამჟამად პროდიუსერი არ მყავს, მაგრამ უამრავი შემოთავაზება მაქვს. არ ვიცი, არჩევანს ვისზე შევაჩერებ...

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?

— ჩემი უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრებაა (ბოლო კურსზე ვარ). სამომავლოდ კი ბევრი ახალი სიმღერის ჩანერას ვაპირებ. ერთ-ერთ მათგანზე კლიპსაც გადავიღებ, გავმართავ კონცერტებს და ა.შ. ამის შესახებ უფრო დანერვილებით, წინასწარ ვერ ვისაუბრებ.

— საქართველოში სოლო კონცერტის ჩატარებას კიდევ ხომ არ გეგმავ?

— ჯერჯერობით, არ ვიცი. ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, საქართველოში რამდენიმე კონცერტი ჩავატარო.

— კიდევ რომელიმე ცნობილ, ქართველ მომღერალთან დუეტის ჩანერას ხომ არ გეგმავ?

— შესაძლოა, ჩავწერო კიდევ, მაგრამ ამის შესახებ ჯერ კონკრეტულად არაფერი ვიცი.

— როგორ მიგიღო ქართულმა ესტრადამ?

— ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ მიმიღებდა ქართველი მაყურებელი და შემდეგ — მომღერლები. უფლის მადლობელი ვარ, რომ მაყურებლისა და მომღერლებისგანაც სითბო და დადებითი ემოცია ვიგრძენი.

— არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემები გაქვს. მოდელირებაზე არასოდეს გიფიქრია?

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის, მაგრამ სიმღერა ძალიან მიყვარს. შესაბამისად, მოდელირებაზე არასოდეს მიფიქრია.

— შენი პირადი ცხოვრების შესახებაც მიამბე ასეთი გოგონას მიმართ ალბათ მამაკაცები გულგრილნი არ რჩებიან...

— მართლაც ასეა, მაგრამ ამ საკითხზე პრესასთან საუბარს არ ვაპირებ. ეს ჩემი პირადი საქმეა.

— ჯერ პოპულარობის მოხვეჭაც ვერ მოასწარო, რომ შენზე უკვე ჭორაობენ. ამბობენ, თითქოს ლევან ვარშალომიძესთან გაქვს რომანი. მართალია?

— ასეთ სულელურ ჭორზე კომენტარსაც არ გავაკეთებ.

— საინტერესოა, სწავლის დასრულების შემდეგ, საქართველოში ჩამოსვლასა და აქ ცხოვრებას თუ აპირებ?

— რა თქმა უნდა. ძალიან მინდა, ჩემს სამშობლოში ვიცხოვრო...

„ღვთის წყალობით, კარგად ვარ“

მაკა ზამზახიძესა და რატი დურგლიშვილის ირგვლივ ყოველთვის ხმაურია. მაკა ხან ქმარს დააშორეს, ხან რატიზე დააქორწინეს; ახლახან კი ხმა გაფრცვლდა, რატი ყველა ღონისძიებაზე მარტო დადის, დუეტი „ჯორჯია“ დაიშალაო. ეს მორიგი ჭორი იყო. სინამდვილეში მაკა საზღვარგარეთ იმყოფებოდა — ოპერაცია გაიკეთა. მაკას მოსაკითხად დაფურეკე.

თამუნა კვიციანი

— მაკა, როგორ ხარ?

— კარგად, თავად როგორ ხარ?

— მეც ასევე. გავიგე, საზღვარგარეთ ოპერაცია გაგიკეთებია. მისარია, რომ კარგად ხარ,

— გმადლობ, თამუნა, მაპატიე, მაგრამ ამ თემაზე არ ვლაპარაკობ.

— როგორც ვიცი, ოპერაცია სერსემალზე გაიკეთე.

— ღვთის წყალობით კარგად ვარ, გთხოვ, დაწვრილებით ნურაფერს მკითხავ.

— შენი ნებაა, შემოქმედებითი სიახლე თუ არის?

— მნიშვნელოვანი არაფერი. მე და რატიმ ერთი ახალი სიმღერა ჩავწერეთ, რომლის პრემიერა მალე ერთ-ერთ გადაცემაში შედგება.

— მაშინ, როცა თბილისში არ იყავი, ლაპარაკობდნენ, რომ „ჯორჯია“ დაიშალა.

— ტყუილია, სულ 10 დღე ვიყავი წასული და ეს 10 დღე წყვეტდა ყველაფერს? ამის საფუძველი არანაირად არ ჰქონიათ, მაგრამ ლაპარაკობენ და რა ვქნა?

— ჭორებზე როგორ რეაგირებ?

— რაც რეალობისგან შორს არის



კარგია, რომ ქმარს მაშორებენ და მეგობარზე მაქორწინებენ...

ხოლმე, იმაზე რატომ უნდა ვინერვიულო? ისეთი ჭორი ჯერ არ გამიგია, მასში სიმართლის ნატამალი რომ ერიოს. ნერვები არ მეშლება, პირიქით — მომწონს, მეცინება.

— მოგწონს, როცა შენზე ჭორაობენ?

— კი. ეს იმას ნიშნავს, რომ აქტუალური ვარ.

— შენს მეუღლესაც მოსწონს?

— რატომ არ უნდა მოსწონდეს? როცა შენზე არ ლაპარაკობენ და არ ჭორაობენ, ე.ი. არავის აინტერესებ. ყოველ შემთხვევაში ცუდს არაფერს ლაპარაკობენ.

— ცუდი არ არის, როცა ქმარს გაშორებენ და მეგობარზე გაქორწინებენ?

— ეგ არაფერი, კარგია, რომ ქმარს მაშორებენ და მეგობარზე მაქორწინებენ და კაცის კვლას არ მაბრალებენ. ჩვენ — არა, მაგრამ მშობლები მართლა ნერვიულობენ.

— ნახვამდის, ჯანმრთელობას გისურვებ.

— კარგად იყავი.

პალიტრა

უყუჩაო!

აპირიკალი ჯარისკაცების მორიგი სკანდალი

ლაპარაკობს და აჩვენებს პალიტრა!

www.palitratv.ge



ცხოვრება

„დედის სიყვარულს ახლა ვსწავლობ“

მარი ჯაფარიძე

ეს ამბავი დიდი ხნის წინ დაიწყო, თუმცა, მისი მონაწილე სულ სამიოდე წლის წინ გახდა. საბერძნეთიდან მესიჯი მივიღე: „მარი, დიდი ხანია, ვიცი, რომ ნაშვილები ვარ, მაგრამ ახლა გადავწყვიტე ნამდვილი მშობლების მოძებნა. გთხოვ, დამეხმარო, გამომიქვეყნე მესიჯი, იქნებ ბიოლოგიურმა მშობლებმა ამომიცნონ. სამაჩაბლოს ტერიტორიაზე დავიბადე, დაბადების მოწმობაში სახელი — ინგა მინერია, გამზრდელმა მშობლებმა ნატო დამარქვეს და ახალ დაბადების მოწმობაში შესაბამისად, სხვა გვარითაც ვარ დაფიქსირებული. წლინახევრის ვყოფილვარ, რომ გამაშვილეს. დედაჩემი თინა ბინოვავა. იქნებ ვინმემ წაიკითხოს ეს მესიჯი და გამოემხმაროს“. მესიჯის გამოქვეყნებიდან 1 თვეზე მეტი იყო გასული, როცა ნატოს დეიდაშვილი შემეხებინა. ქალბატონ თინას ყველანაირი იმედი გადაწურული ჰქონდა, რომ ოდესმე შვილს მიაგნებდა, მაგრამ განგება მათი სამუდამოდ განშორება არ ინება და 40 წლის შემდეგ დედა-შვილმა ერთმანეთი იპოვა. თუმცა არსებობდა ხელის შემშლელი პირობა — მანძილი, რის გამოც, 3 წლის განმავლობაში, ნატოსა და თინას ერთმანეთთან მხოლოდ სატელეფონო კავშირი ჰქონდათ. ნატო საბერძნეთიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებდა, რომ დედა ენახა. ახლახან კი ის სამშობლოს დაუბრუნდა და მათი შეხვედრა შედგა... თბილისში ჩამოსულ ნატოს, სადგურზე ახალშექმნილი, ჯერ კიდევ უცნობი დეიდაშვილები დახვდნენ და სახლამდე მიაცილეს, 2 დღის შემდეგ კი ერგნეთში, დეიდის სახლში, დედასაც შეხვდა.

— უკვე იმდენი ხნის განმავლობაში ვკონტაქტობდი დედასთან შორი მანძილიდან, რომ ჩვენი შეხვედრა სრულიად ჩვეულებრივად მოხდა. არაფერი იმის მსგავსი არ ყოფილა, ფილმებში რომ გინახავთ: ერთი მხრიდან დედა რომ გარბის, მეორე მხრიდან — შვილი და ერთმანეთს რომ ეხუტებიან. დედა საწოლზე იჯდა. რომ დამინახა, წამოდგა. მივედი, გადავკოცნე და ეგ იყო... მართალია, საბერძნეთში ვიყავი, მაგრამ ჩემს მეუღლესა და შვილებს მასთან ამ დროის განმავლობაში ურთიერთობა ჰქონდათ. ისინი ერთმანეთს ნახულობდნენ. ამიტომ, შეხვედრის პირველივე წუთებიდან, შინაურული სიტუაცია შეიქმნა. მაგრამ ერთი, რაც დამამახსოვრდა, ის იყო, რომ ერთმანეთი შორიდან, თვალთ გავზომით და შევათვალეფრეთ. ბუნებრივია, მისი სურათები ნანახი მქონდა — საბერძნეთში გამომიგზავნა, მაგრამ ასე, „ცოცხლად“ ნახვა მაინც სულ სხვაა, — აღნიშნა ნატომ ჩემთან საუბრისას.

გახსოვთ ალბათ, „გზის“ წინა ნომერში ქალბატონი თინას წერილი გამოვაქვეყნეთ, რომელიც შვილს საბერძნეთში გაუგზავნა და საკუთარი თავგადასავალი უამბო; გაშვილების მიზეზი აუხსნა და წლების განმავლობაში დაგროვილი ტკივილი გაუზიარა. ამჯერად, ნატოს ინტერვიუს გთავაზობთ. რა ცხოვრება გაიარა მას შემდეგ, რაც სკვდილის შიშით შეძრულმა დედამ გულიდან მოიგლიჯა და უცხო ადამიანების ხელში დატოვა?..

— თიანეთში გავიზარდე. თურმე წლინახევრის ვყოფილვარ, როცა მიშვილეს და სიარული არც კი მცოდნია. როგორც დედა ამბობს, 7-8 თვის ბავშვს შინ საათობით მართო მტოვებდა და თავად სამსახურში მიდიოდა, რომ ჩემი გამოკვება შესძლებოდა. საწოლზე



დაგსვამდი და ხან ხმელა პურს მოგიგდებდი, ხან — ისიც არ მქონდაო, თვითონვე მიყვებოდა. შესაძლოა, ის პურის ნაჭერი ისე მეკარგებოდა, რომ ვერც კი ვპოულობდი და მშვირც კი ვრჩებოდი; შემდეგ საწოლიდან გადმოვვარდებოდი, ვიტყრებდი და სარდაფის (როგორც დედამ მითხრა, ნაქირავებ სარდაფში ვცხოვრობდით) იატაკზე ჩამეძინებოდა ხოლმე. აბა, სიარულს ჩემით როგორ ვისწავლიდი?! ამ სიტუაციას რომ წარმოვიდგენ, საკუთარი თავი მეცოდება. როდესაც უცხო ოჯახში მოვხვდი, მამას შევუბლება აუღია, რომ ჩემთვის სიარული ესწავლებინა. თურმე 2 კვირაში გამართულად დავდიოდი. კარგ ოჯახში მოვხვდი. მშობლიური სიტბო და მზრუნველობა არასოდეს მაკლდა. შექმნილი მშობლები თან მყვებოდნენ. ცოტა რომ წამოვიზარდე და ჭკუაში ჩავვარდი, მიკვირდა, რომ ყველა ჩემს მეგობარს ახალგაზრდა მშობლები ჰყავდა, მე კი — ასაკოვანი. თანაც, დედაცა და მამაც ქერა, ცისფერთვალება იყვნენ, მე კი — შავგვრემანი, შავთვალეა და შავთმინი. ამ ყველაფერმა ეჭვი გამიჩინა, — ნეტავ, ნაშვილები ხომ არ ვარ-მეთქი? — მაგრამ ამაზე ფიქრისაც კი მეშინოდა. ერთ დღეს, კარადაში რალაცას ვეძებდი და შემთხვევით, მომცრო ზომის კონკრეტს წავანყდი. შიგ რომ ჩავი-



ჭვრიტე, მივხვდი, საბუთები იდო. ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა და კონვერტში შენახული საბუთები წავიკითხე. იქ იყო დაბადების მოწმობა, სადაც სულ სხვა ბავშვის სახელი და გვარი ეწერა და ხელწერილი, რომლითაც დედამ გამაშვილა. ყველაფერი ცხადი გახდა. კონვერტი ადგილზე დავაბრუნე და არავისთვის მითქვამს იმის შესახებ, რომ სიმართლე გამჟღავნდა. 12-13 წლის ბავშვმა ამხელა ტვირთის ტარება გადაწყვიტე. არ მინდოდა, დედას სცოდნოდა, რომ სიმართლე გავიგე, რადგან ვხვდებოდი, ინერვიულებდა... 30 წლის ვიყავი, როდესაც დედა გარდაიცვალა. სიკვდილამდე გარკვეული პერიოდის მანძილზე ლოგინად იყო ჩავარდნილი. ისე მიდიოდა ამ ქვეყნიდან, რომ ჩემთვის საიდუმლოს გამხელას არ აპირებდა. როდესაც მასთან მარტო დავრჩი, თვითონ ჩამოვუგდე ლაპარაკი — დედა, ვიცი, რომ ნაშვილები ვარ, მაგრამ ამის გამხელა გიჭირს. ეს ამბავი წლების წინ გავიგე და ნუ ინერვიულებ, შეგიძლია, მშვიდად შეხვედ სიკვდილს, რადგან საიდუმლო თან არ მიგაქვს-მეთქი... მამა ჯერ კიდევ ცოცხალია, ახლა 84 წლისაა და თავს მხნედ გრძნობს. აზრზე არაა, რომ ჩემი გაშვილების ამბავი ვიცი, ბიოლოგიური დედა რომ ვიპოვე — მით უმეტეს.

— თინას „დედას“ ეძახი?

— სამწუხაროდ, ვერ ვეძახი. 30 წლის განმავლობაში სხვას ვეძახდი დედას, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მის საფლავზე ასული, დედას ვტიროდი და ახლა მიჭირს თინასთვის დედის დაძახება. ერთადერთხელ დავუძახე და თავალზე ცრემლი მოადგა.

— ალბათ სწინს...

— იცით, ძნელია ჩემთვის სხვისთვის „დედის“ დაძახება. მართალია, მან მშობა და წლინახევრის ასაკამდეც გამზარდა, მაგრამ დედად სხვა მიმაჩნდა. ერთხელ თინამ საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ „დედას“ ვერ ვეძახი. თან ვთქვი, — დედის საფლავზე აღდგომას უნდა გავიდე-მეთქი, — და უკმაყოფილება გამოსატა. შესაძლოა, გული ვატყინე, მაგრამ პირდაპირ ვუთხარი: დედის საფლავი ქვეყნიერებას მირჩევნია და თუ შენ იმის გამო პრეტენზია გექნება, რომ მიცვალებული არ მივატოვე, იცოდე, რომ ისევ დაგკარგავ, ყველაფერს ძველ კალ-

აპოტში დავაბრუნებ, მის საფლავს კი არ დავივიწყებ-მეთქი. თინა ძალიან მეცოდება. ნატანჯი ქალია და მთელი ცხოვრება მძიმე ტვირთს ატარებს. დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მის სიყვარულს ახლა ვსწავლობ... არც ჩემთვის იყო იოლი მთელი ცხოვრება იმაზე ფიქრი, ვინ იყვნენ ჩემი ნამდვილი მშობლები და რატომ მომიშორეს თავიდან. ეს კითხვა გამუდმებით მტანჯავდა. ყოველთვის, ყველაზე მეტად მიზეზი მინტერესებდა — წლინახევრის ბავშვი რატომ უნდა გაეშვილებინათ?

— ნატო, დეიდაშვილისა და დედის შემდეგ მამიდაც გამოგეცნაურა. დამირეკა და მოთხრა, საიმიჯნებით გავიცნობდი და აღარ დავკარგავდიო, თუმცა მერე ისევ დაიკარგა...

— როგორც ვიცი, მამიდა რუსთავეში ცხოვრობს. მისი ტელეფონის ნომრის გაგება ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თუ მასაც ვიპოვი, ბედნიერი ვიქნები. რაც შეეხება მამას, როგორც ვიცი, დიდი ხნის წინ გარდაცვლილა და ახლა ცოცხალი აღარ არის.

— როდესაც დედას პირველად ტელეფონით ელაპარაკე, რა შეგრძნება გქონდა?

— ორივე ვტიროდით, ლამის ცუდად გავხვდი. მას კი მართლა გული წაუვიდა. ტელეფონი დეიდამ გამოართვა და ის დამელაპარაკა. დანარჩენები კი თინას ასულიერებდნენ. ის წერილი, რომელიც „გზის“ წინა ნომერში გამოაქვეყნეთ, საბურძნეთში გამომიგზავნა და შეეცადა, ყველაფერი აეხსნა.

— აბატიე?

— კი, ვაბატიე. მისი ძებნა რომ დავიწყე, ფაქტობრივად, უკვე ნაბატიები მქონდა. თუმცა ამ ყველაფრის დავიწყება ძნელია და ჭრილობების მოშუშებას, ტკივილების დაამებას დრო სჭირდება. დეიდასთან, ერგენტში ხშირად ჩავდივარ. დედაც იქ მოდის სტუმრად. ის სამაჩაბლოში, ოსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს და ვერ ვახერხებ მასთან ჩასვლას. საუკეთესო დეიდა და დეიდაშვილები მყავს. მარტო მათ გამო ღირდა დედის მოძებნა: საყვარელი ოჯახი აქვთ, ლამაზი შვილები და კარგი მუულები.

— შესაძლებელია მითხარი რამე...

— 2 შვილი მყავს — ლიკა და ლევანი. ლიკა მუშაობს, ლევანი — სწავლობს. ჩემი მუულები, მირზა მეტალურგიულ კომბინატში მუშაობდა, მაგრამ ახლა უკვე დიდი ხანია, უმუშევარია და სწორედ ამან განაპირობა საბურძნეთში ჩემი წასვლა. თითქმის 1 წელია, რაც დავბრუნდი და ვამბობ — ალარსად წავალ-მეთქი, მაგრამ უბრალო, 300-ლარიანი სამსახურიც კი ვერ ვიპოვე და ალბათ იძულებული ვიქნები, ისევ ემიგრანტი გავხდე. არანაირ სამსახურს არ ვთაკილობ; უმაღლესი განათლება და წითელი დიპლომი მაქვს, მაგრამ თანახმა ვარ, ძიხად ან დამლაგებლადაც კი ვიმუშაო, ოღონდ ალარსად გავხდე წასასვლელი, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით იმედი არა მაქვს, რომ რამეს ვიპოვი. ღმერთი მოწყალეა, ხომ ხედავთ, დედაც კი მაპოვნინა... ■

2011 №4 აპრილის ნომერი

აქტიური ცხოვრების სტილი

ახალი სახელები ქართულ პროზაში.

ავსტრიელი, გერმანელი და იტალიელი მწერლების მოთხრობები

ფანტასტიკის მოყვარულთათვის - თანამედროვე ამერიკელი მწერლის - ელიამ ტენის „პატიმრობა ავანსად“

ივან ბუნინის პარიზული დღიურებიდან „წყეული დღეები“

პროზა

- მამი ბეჟუმი
- გიორგი შაველაძე
- მაია მაქუცაძე
- დამიანი ნაყლაყი

პოეზია

- შალ ჯანაიძე

თარგმანი

- ანის ნუკია
- ყოლაბ ტენი
- ანტონი ტაბაქი

დღიურები

- ივან ბუნინი

დრამატურგია

- მამი მაქუცაძე

მონაცრება

- ელიამ ტენი

პროზა

- ნათია ნაყლაყი

პოეზია

- ივან ბუნინი



რაიონიდან ჩამოსული გათბილისელები — მბრისას!..

სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“ გურული სამეული — ზაირა, ციციწო და ჟორიკიე — მაყურებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ციციწოსა და „ოპელიანი“ გაიასა საქციელმა (რომელიც გოგონას სიყვარული ეგონა, პარტნიორს კი გართობის საშუალებად მიაჩნდა) გურული პერსონაჟების ერთსულოვნებას ბოლო მოუღო: ჟორიკიეს წყალობით, ციციწოს ამბავი სოფელშიც შეიტყვეს და ქალაქში წასული სოფლელი გოგონას საქციელი ქსენიას და ლამარას (და კიდევ უამრავის) განსჯის საგნად იქცა...

ითო ყორღანაშვილი

სერიალის პავლიონში მისულმა პირველად ციციწო მოვიკითხე, რომელმაც ოპტიმისტურად მიპასუხა:

— ნელ-ნელა დეპრესიიდან გამოვიდვიარ. ჩემს ცხოვრებაში კარგი რაღაცები ხდება...

— ძალიან კარგი. ჟორიკიე, ციციწოსა და „ოპელიანი“ გაიასა ამბავი სოფელში რატომ გააფრცხლეს? ქორიობა რა ვაჟკაცის საკადრისია?

— მე?! ალბათ, სიმთვრალეში წამომცდა სადმე... ისე, ეგ ამბავი უფრო ზაირას „გაბაზრებულა“.

ცხადია, ქალბატონი ზაირა ჟორიკიეს ბრალდებას არ დაეთანხმა:

— არა, პირიქით იყო და ამას შემდეგ სერიებში დავამტკიცებ! ჟორიკიე, შენთვის ანგელოზივით გოგო მინდოდა...

— მერე, ამ ანგელოზივით გოგომ რა გვიქნა?

— მოგვჭრა თავი (იციწინა)!..

სინამდვილეში, სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“ „გურიის კლანი“ 2 გურულისაგან — (ნატა ბერეჟიანი, ეკა მუჟაჟანაძე — ციციწოსა და ზაირას როლების შემსრულებლები) და 1 მეგრელისაგან (კახა სამუშია — ჟორიკიე) შედგება...

— ქალბატონო ეკა, გამოცდილი მსახიობი ხართ და რეჟისორები კასტინგის მოწყობას სწორად განდობენ. ამ სახალისო პერსონაჟების — გურული ციციწოს და ჟორიკიეს როლების შემსრულებლებიც თქვენი შერჩეულები ხომ არ არიან?

იპა მჟანანაძე:

— არა, ამ სერიალში იანვრიდან ვმუშობ. იმ დროს, ნატა და კახა უკვე შერჩეულები იყვნენ.

— სერიალში — „გოგონა გარეუბნიდან“ როგორ მოხვდით?

— ნიკა წულუკიძის წყალობით. როცა დამირეკეს და მითხრეს, — დედის როლი

ხალხის სიყვარულის გარდა, საბრალლო არგისგებს არაფერი გვაქვს...



უნდა შეასრულო, — გადაღებები მქონდა („რუსთავი 2“-ში ვმუშაობდი). ისეთი დატვირთული ვიყავი, რომ ახალი შეთავაზება დიდად არ გამხარებია. მაინც დავინტერესდი და გავარკვიე, რომ სოფლელი ქალის როლი უნდა მეთამაშა. ვიფიქრე, ასეთი როლი რამდენჯერ შემისრულებია-მეთქი?! შეთავაზებას მაშინვე არ დავთანხმდი, მაგრამ როგორც ხედავთ, ახლა ზაირას როლს ვსახიერებ.

ნატა ზირაშვილი:

— მეც ნიკა წულუკიძემ დამირეკა და მითხრა, — შენთვის პატარა როლი მაქვსო.

— მანამდე რას საქმიანობდი?

— მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ვარ, სპექტაკლებში ვმონაწილეობდი. სერიალ „დეტექტივების“ 3 სერიისაში სამედიცინო ექსპერტის როლს ვასრულებდი. როცა ნიკამ ციციწოს როლი შემომთავაზა, მითხრა: ჯერ პატარა ეპიზოდში ითამაშებ; თუ პერსონაჟი რეიტინგული გახდება, შეიძლება, სხვა სცენებშიც გადაგიღოთო. თავდაპირველად, მართლაც, პატარა სცენაში ვმონაწილეობდი — სოფლიდან ლევანის ტელეფონით ვურეკავდი. სახალისო ეპიზოდი გამოვიდა... ნელ-ნელა ჩემმა პერსონაჟმა სერიალში წინა პლანზე წაინია.

კახა სამუშია:

— ჩემს შემთხვევაშიც ანალოგიური რამ მოხდა.

— შენც თეატრის მსახიობი ხარ?

— ამჟამად არაფერს ვაკეთებ — ჩემს შვილს ვზრდი. შეიძლება ითქვას, ძიძა ვარ. მანამდე სხვადასხვა თეატრში ვთამაშობდი, მათ შორის

— ზუგდიდში, რუსთავში... წარმოშობით ზუგდიდელი ვარ. 5 წლის განმავლობაში, ზუგდიდის თეატრში სტაჟიორად ვმუშაობდი. მერე თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარე. მას შემდეგ, ბევრ თეატრთან ვთანამშრომლობდი...

— სერიალში ეს შენთვის პირველი როლია?

— არა. „ყავა და ლუდში“ ეპიზოდური როლი შევასრულე; რეკლამებში, კლიპებშიც ვმონაწილეობდი...

— ციციწო და ჟორიკიე ერთობლივ

სცენებში იშვიათად ჩნდებიან. სამაგიეროდ, ზაირა ორჯერ პერსონაჟთან აქტიურად ურთიერთობს. ქალბატონო ეკა, კახა და ნატა როგორი პარტნიორები არიან?

იპა:

— ნიჭიერ ადამიანებთან მუშაობა მიყვარს! ხალხი მეკითხება: ჟორიკიეს როლს რომ ასრულებს, ის ბიჭი ვინააო? სიამაყით ვპასუხობ: მეგრელია, გვარად — სამუშია და ნახეთ, გურულ პერსონაჟს როგორ თამაშობს-მეთქი! საერთოდ, მეგრელების ფანი ვარ. კახას და ლევან სურციას მეგრულად ველაპარაკები ხოლმე.

— კახა, გადაღების დაწყებამდე მეგრულად ლაპარაკის შემდეგ, გურული ჟორიკიეს როლის მორგება არ გიჭირს ხოლმე?

— არა. მეგრული ჩემთვის მშობლიურია...

ნატა:

— კახამ სპექტაკლში — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გურულის როლი ისე შეასრულა, ერთი წამითაც ვერ იფიქრებდით, რომ შეიძლებოდა, ეს ადამიანი გურიაში დაბადებულ-გაზრდილი არ ყოფილიყო.

— თავიდან, გურული კილოთი



ლაპარაკი თუ გაგიჭირდა?

— წარმოშობით გურული (ოზურგეთიდან) ვარ, მაგრამ იქ ბავშვობის შემდეგ არ ვყოფილვარ. თავდაპირველად, სერიალში გურული კილოთი ლაპარაკი ცოტათი მართლა გამიჭირდა. ახლაც რაღაც შეცდომებს ვუშვებ და სულ ვცდილობ, სხვებს აზრი ვკითხო. ოზურგეთელი ჯგუფელი — მარიამი მყავს. მას ვურეკავ ხოლმე, არ მინდა, ციციოს როლის შესრულებისას, შეცდომები დავუშვა. მაგალითად, ვარკვევ, „რაფერ“ უნდა ვთქვა, თუ — „რაფრა“ და ა.შ. ნელ-ნელა დავიხსენებ, „გავგურულდით“...

პასხა:

— მეკითხებიან, — გურული საიდან იციო? კილოა, უცხო ენა ხომ არ არის?!

სხვა კილოზეც შეგიძლია ლაპარაკი?

— მეგრულად, იმერულად...

ნატა:

— მე სხვადასხვა კილოზე ლაპარაკი არ შემიძლია, მაგრამ ერთ სპექტაკლში ინგლისელი ქალის როლი ვითამაშე. არადა, ინგლისური ენის „გაგებაში არა ვარ“. მთელი სპექტაკლის განმავლობაში, ინგლისურად ვლაპარაკობდი. შინაარსი ვიცოდი, რასაც ვამბობდი და ვცდილობდი, ცუდი აქცენტი არ მქონოდა. სპექტაკლს ვინც ესწრებოდნენ, მათ მითხრეს: ვერც ვიფიქრებდით, თუ ინგლისური არ იცოდით. რაღაცები რთულია, მაგრამ თუ მოინდომებ, გამოგივა.

სერიალში თქვენს განსახიერებულ გურულ პერსონაჟებს თავად გურულები როგორ აფასებენ?

ნატა:

— ცოტა ხნის წინ, მეგობრის დაბადების დღეზე გახლდით, სადაც ერთმა ბიჭმა გაოცებით მეკითხა: თბილისელი ხარ? დარწმუნებული ვიყავი, რომ რაიონიდან იყავიო. ეს იმას ნიშნავს, რომ სერიალში ჩვენი თამაში დამაჯერებელია, რაც ძალზე სასიამოვნოა.

თქვენი დანახვისას უცხო ადამიანებს როგორი რეაქცია აქვთ ხოლმე?

— ძალიან სახალისოა, როცა სკოლის მოსწავლეები ქუჩაში ჩემი დანახვისას იცინიან, ე.ი. კმაყოფილები არიან. სასიამოვნოა, როცა ბავშვებს უყვარხარ.

პასხა:

— სერიალს სკოლის ასაკის ბევრი ბავშვი უყურებს.

მამა:

— ხალხი თბილად გვხვდება. მათი სიყვარულის გარდა, საბრალო არტისტებს არაფერი გვაქვს...

სერიალში დაბალ ჰონორარს გიხდებიან?

— საერთოდ, ქართველ მსახიობებს ხალხის სიყვარული უფრო მეტი აქვს,

ვიდრე — მატერიალური დაინტერესება. რას იტყვი, კახა?

პასხა:

— „პრავილნა“!

— ქალბატონო ეკა, სერიალში თქვენი პერსონაჟი შვილისთვის თავად დედა ბული დედაა — მისი გულისთვის, შვილივით გაზრდილ ქვამ მარგარეტასა და თხა კასანდრასაც შეელია. სინამდვილეში 2 ბიჭი გყავთ, არა?

— დიას, მაგათ ენაცვალოთ დე-დაა!.. „გიჟი“ დედა ვარ, მაგრამ მკაცრი: ორივეს დამოუკიდებლობას ვაჩვენებ. ჩემს შვილებს „ტელეფონით ვზრდი“... ერთხელ (მაშინ ჩემი სანდრო პატარა იყო), დილით მარჯანიშვილის თეატრში წავედი — რეპეტიციები მქონდა. საღამოს სპექტაკლი იგეგმებოდა. ამიტომ დილიდან საღამომდე თეატრში ვიყავი. ბავშვი სახლში დავტოვე — მარტო ყოფნას შეჩვეული იყო. საღამოს შევიღმა საგრიმიროში მომავითხა — სახლში ყოფნა მომწყინდაო. ნუცუბიძის პლატოზე ვცხოვრობ. ამიტომ უცებ ვკითხე: ვაიმე, რითი მოხვედი, შენთვის ფული რომ არ დამიტოვებია-მეთქი? — არა, ბოთლები ჩავაბარე და იმ ფულით წამოვედიო, — მიპასუხა. აი, ასეთი შვილები გავზარდე (იციინის). ახლა სანდრო უკვე 20 წლისაა, თავისუფალი უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, მაგრამ ახლობლები იმ ამბავს დღემდე მასხენებენ: — შენ დედა ხარ? ბავშვმა ბოთლები ჩააბარა და თეატრში ისე მოვიდაო!

— კახა, ეკა, თქვენს ოჯახებზე რას გვეტყვი?

ნატა:

— ქმარი და შვილი — 5 წლის დათუნა მყავს.

პასხა:

— მეც მეუღლე და პატარა ვაჟი — სანდრო მყავს.

— თქვენი მეუღლეებიც მსახიობები ხომ არ არიან?

— ჩემი მეუღლე სტომატოლოგია.

ნატა:

— ჩემს მეუღლესაც სამედიცინო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, მაგრამ თავისი პროფესიით არ მუშაობს.

— თქვენი პერსონაჟების მსგავს ადამიანებს რეალურად შეხვედროხართ?

პასხა:

— ჩვენი გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან.

— ციციოს მსგავსი გულუბრყვილო გოგონები?

ნატა:

— ასეთები ძალიან ცოტანი არიან, მაგრამ შემხვედრიან.

პასხა:

— სოფლელი გოგონების მეტი რა არის?

ნატა:

— მართალია. რაიონიდან ჩამოსული „გათბილისელებული“ (უცბად ქალაქში რომ აღმოჩნდებიან და „გიუდებიან“) — მტრისას, მაგრამ ვფიქრობ, ციციოს ის ყველაფერი აღვირახსნილობით კი არა, გულუბრყვილობით დაემართა...

— ცხადია, ყველაფერს ვერ გავიზივლო, მაგრამ იქნებ ცოტა რამ მაინც გეთხროთ — თქვენს პერსონაჟებს სცენარისტები რას უპირებენ?

— სცენარი წინასწარ არასოდეს ვიცით. ტექსტს რომ გვიგზავნიან, პარალელურ რეჟიმში გადაღება მიმდინარეობს.

მამა:

— ამ მხრივ, მე უპირატესობა მაქვს, რადგან გადაღების განრიგს თავად ვგეგმავ (ქალბატონი ეკა სერიალის პროდიუსერიც გახლავთ. — ავტ.) და სერიები წინასწარ ვიცი. ერთს გეტყვით: ზაირა სოფელში ციციოს იცავს — იტყუება, რის გამოც ციციოს ეჩხუბება: ამ სიბერეში ტყუილების თქმა დამანწყებიყო!..

ლაპარაკი თუ აჩვენებს პალიტრას

გადასვამ „უუაღლა“

შეხვედებით-
მუსიკალური პროგრამა

შუაღამოს 12:00-დან 1:00 საათიამდე

www.palitra.ge



იდუგალებით მოცული სახლი და ბოსელში გადაბარბებულ ოჯახს

„სახლში მხოლოდ სახლი კი არა, ჩვენი ოსტაზებიც ჩაიწვია...“

2011 წლის დადგომას როსტომაშვილების ოჯახში განსაკუთრებულად ელოდნენ, რადგან ახალ წელს პირველად ხედებოდნენ საკუთარ ჭერქვეშ — ახალ სახლში 2 თვის გადმოსულები იყვნენ. 30 დეკემბერს საღამოს, იმ დროს, როცა ოჯახებში წინასაძღვასწაულო ფუსფუსი იწყება, მათ სახლს მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა... დასახმარებლად მთელი სოფელი გამოვიდა, გამოიძახეს სახანძრო მანქანაც, მაგრამ ცეცხლის დროულად ჩაქრობა ვერ მოხერხდა; სახლი თითქმის მთლიანად დაიწვა, ვერაფრის გადარჩენა შეძლეს... ახალგაზრდა ცოლ-ქმარი — ბადრო როსტომაშვილი და მარინე მურადაშვილი ორ შვილთან — 8 წლის უჩასთან და წლინახვერის ვერიკოსთან ერთად, ღია ცის ქვეშ დარჩა. ახლა დაზარალებული ოჯახი ბოსელში ცხოვრობს. მათი თქმით, ყველა უბედურება მას შემდეგ დაატყდათ თავს, რაც ამ სახლში გადმოვიდნენ. სოფელში დამწვარ სახლზე ბევრ უცნაურ ამბავს ჰყვებიან, იმასაც ამბობენ, რომ სახლი „დანყველილია“...



ელენე ხირსალი

მარინე მურადაშვილი,

სოფელ ახალდაბის (გორის რაიონი) მკვიდრი, 34 წლის:

— მაზლის სახლში ვცხოვრობდით, რომელშიც სულ 2 პატარა ოთახია. ერთში — მამამთილი იყო, მეორეში — ჩვენ, შვილებთან ერთად. როდესაც მაზლი ცოლ-შვილთან ერთად დაბრუნდნენ, იქ აღარ დაგვედგომებოდა — ვეღარ ვეტეოდით. სწორედ იმ დროს შევიტყვეთ, მეზობელი მიტოვებულ სახლს 2.000 დოლარად ყიდდა. მართალია, ეს ჩვენთვის საკმაოდ დიდი თანხა იყო, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა?! გადავწყვიტეთ, ყველაფერი გვედონა, რომ იტყვიან, ნემსის ყუნწში გავემ-

ვრალიყავით და სახლი შეგვეძინა. მაზლმა დიდი ხნის ნაგროვები 800 დოლარი მოგვცა, მერე ბანკში სოფლის ნაკვეთი „ჩავდეთ“ და დანარჩენი თანხა — 1.800 ლარი კრედიტით გამოვიტანეთ. აი ასე, საერთო ძალისხმევით, შევიძინეთ პატარა ძველი სახლი და დიდი ხნის ნალოღიანები ოცნება ავიხდინეთ.

სესხის დაფარვას როგორ აპირებდით?

— კომბოსტო მოგვყავდა და თბილისში ბაზარში ვყიდდით. მოგებული თანხით და იმ ფულით, რომელსაც სახელმწიფო, როგორც სოციალურად დაუცველ ოჯახს, გვირიცხავს, 1 წლის განმავლობაში კრედიტის დაფარვას შევძლებდით. ზარმაცი და მუქთახორა ხალხი არასდროს ვყოფილვართ, გარდა ამისა, მეუღლეს ტრაქტორის ძრავას შეკეთებაც ეხერხება და კარგი ხელოსნის სახელი აქვს. მოკლედ, იმ ფაქტმა, რომ სახლი შევიძინეთ და ჩვენს შვილებს საკუთარი ჭერი ექნებოდათ, სტიმული მოგვცა, უფრო მეტი შემართებით გვეშრომა. ყოველ საღამოს, კომბოსტოთი დატვირთული ჩანთები ახალდაბის რკინიგზის სადგურზე მიგვქონდა შესანახავად, დილით 7 საათზე კი შინდისის მატარებელს თბილისში მივყვებოდით. ძალიან ბედნიერები ვიყავით, მომავალი ნათელ ფერებში მესახებოდა, მაგრამ... ვაცო ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... ვინ წარმოიდგენდა, ასეთი რამ თუ დაგვემართებოდა?!

— რამდენ ხანს იცხოვრეთ

ახალ სახლში?


— სულ 2 თვე... სახლს ცეცხლი რომ გაუჩნდა, მთელმა სოფელმა მოიყარა თავი, ისმოდა ყვირილი, წივილი, სახანძრო მანქანაც მოსულიყო... ვუყურებდი და თვალებს არ ვუჯერებდი, არ მჯეროდა, რომ ეს ყოველივე ჩემს თავს ხდებოდა... სანამ ყველაფერი დამთავრდა, არც ხმა ამომიღია და არც ადგილიდან დავძრულვარ... ერთი სიტყვით, სახლისგან თითქმის აღარაფერი დარჩა, თითქოს უშველებელმა ურჩხულმა შთანთქა... იმ ცეცხლში მხოლოდ სახლი კი არა, ჩემი მომავალი და ოცნებები ჩაიწვა... ერთი ხელის მოსმით დამენგრა ოცნების კოშკები.

სახლიდან რაიმეს გამოტანა თუ შეძელით?

— თითზე გადასახვევი აღარაფერი დაგვრჩა. გვიკვირს — ასე როგორ დაიწვა ყველაფერი, თან, ასე უცბად?! არაფერი შეგვრჩა — არც ავეჯი, არც ლოგინი, არც ტანსაცმელი, ჭურჭელიც კი... რაც გვქონდა, ყველაფერი უბრალო და იაფფასიანი იყო, მაგრამ ჩვენთვის — ძვირფასი. ამ ზამთარში შიმშლები დავრჩით და, რაც ყველაზე საშინელია, ბანკიდან გამოტანილი თანხაც ხანძრის დროს დაიწვა.

ის ფულიც სახლში გქონდათ?

— საქმე ის არის, რომ სახლის პატრონს ჯერ მაზლის მოცემული 800 დოლარი გავუგზავნეთ ვლადიკავკაზში, დანარჩენი თანხის მისაღებად და ბინის გადასაფორმე-



ჩემი 8 წლის ბიჭი, რომელიც ყოველთვის მხარული და ლაღი იყო, ახლა სულ მოწყენილია



ზღად კი თვითონ უნდა ჩამოსულიყო და დღე-დღეზე ველოდებით. საშინელი რამ დაგვემართა: ცალკე — სახლის პატრონის, ცალკე — ბანკის ვალი დაგვედო... ახლა ქალბატონი, ვისგანაც სახლი ვიყიდეთ, საცხებით სამართლიანად, კუთვნილ ფულს ითხოვს; ვიცი, რომ ძალიან სჭირდება. მითხრა, — ნაწილი მაინც მომეცი, დანარჩენი მერე გამომიგზავნე... სანამ თანხას სრულად არ გადავუხდით, სახლს არ გადაგიფორმებს. ასე ვუთხარი: ფული არ მაქვს და თუ გინდა, მომკალი-მეთქი. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე, აღარ ვიცი...

— სახლს ცეცხლი როგორ გაუჩნდა? რა იყო მიზეზი?

— თქვეს, რომ ძველი ელექტროგაყვანილობის ბრალია. ამ სახლზე სოფელში ათასი მითქმა-მოთქმა დადიოდა: ამბობდნენ, დაწყველილიაო. უკვე მერამდენედ გაიყიდა, დიდხანს ვერავინ ჩერდება; აქ ვერავინ გაიხარა, ყველას რაღაც ემართება, გაურკვეველ სიტუაციაში იღუპებიან. რამდენიმე ხნის წინ ამ სახლში ერთმა მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო; ბოლო მფლობელი, ახალგაზრდა კაცი მოულოდნელად გარდაიცვალა, მისი მეუღლე აქ ვეღარ გაჩერდა და ვლადიკავკაზში ნათესავებთან გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ მისგან ვიყიდეთ ეს სახლი. მართალია, ეს ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. ცრუმორწმუნე კი ვარ, მაგრამ არა იმდენად, რომ ამ გარემოებას მნიშვნელოვან გადანყვეტილებზე ზემოქმედება მოეხდინა.

პირველ ღამეს, რომელიც ამ სახლში გავათენე, შავებში ჩაცმული ქალი დამესიზმრა. მითხრა: რა ტყუილად გადაყარე ამ სახლში ფულიო?! — თან დასძინა, — გიჯობს, აქაურობას გაეცალოო. 2 თვეც არ გასულა, რომ ეს უბედურება დაგვატყდა თავს... მადლობა ღმერთს, იმ დროს სახლში არ ვიყავით, თორემ უარესი მოხდებოდა. იმ დღეს, 30 დეკემბერს უთენია, თავისით, სრულიად ახალი ლარნაკი, რომელსაც ერთი ბზარიც არ ჰქონდა, შუაზე გაიპო. არ მესიამოვნა, რადგან გამიგონია, ასეთი რამ ცუდ ამბავს მოასწავებსო. ხანძრის დროს, რაც კი შინაური ცხოველი გვყავდა ეზოში (ქათმები, წინილები), უკვალოდ გაქრა. უცნაურია — ჩვენი ძალი ხანძრის შემდეგ რამდენიმე დღეში, სახლიდან 500 მეტრის მოშორებით მკვდარი ვიპოვეთ. ჭკვიანი და ერთგული ძალი იყო,

ახალ სახლს ვერ ეგუებოდა. გადმოსვლის დღიდან მოიწყინა, სულ ტიროდა და წკუტუნებდა, ღამით კი ვერ ისვენებდა, ეზოში გადარეულივით დაძრწოდა, თითქოს ვილაცხას დასდევდა და უყფუდა. წინათ, ასე მაშინ იქცეოდა, როცა ეზოში უცხო შემოვიდოდა... რამდენჯერმე გვიან ღამით გარეთ გამოვედით, მაგრამ არავინ ყოფილა...

— ახლა სად ცხოვრობთ?

— ბოსელში „დავიდეთ ბინა“. ისეთი პატარაა, მხოლოდ სანოლი და შეშის ღუმელი ეტევა, ხის კუნძი კი მაგიდის მაგივრობას გვინევს. მოკლედ, საშინელი სივიწროვეა, ფეხზე დასადგომი ადგილიც არ არის. გოგონას ფეხი ახალი ადგილი აქვს და სიარულის საშუალება რომ არ ეძლევა, ჭირვეულობს და სულ გაღიზიანებულია... მინური ბნელია, დღისითაც სინათლე გვინთია, თან — ძალიან ცივა. ბავშვები სულ გაცივებულები არიან და მათთვის ნამალსაც ვერ ვყიდულობ. ჩემი 8 წლის ბიჭი, რომელიც ყოველთვის მხიარული და ლაღი იყო, ახლა სულ მოწყენილია...

— თავს რითი ირჩენთ?

— საშინლად გაგვიჭირდა. ეს ამბავი რომ დაგვემართა, გენდერული თანასწორობის რესურს-ცენტრს მივაკითხეთ: გადმოცემით ვიცოდით, რომ იქ გულისხმიერი ადამიანები მუშაობენ. ქალბატონებმა — ვერიკო ბინაძემ და ნინო მეგრელიშვილმა ჩვენ მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს, რითიც შეეძლოთ, მაქსიმალურად დაგვეხმარნენ. მათი მადლიერი ვარ... რაც ამ სახლში გადმოვედით, კომბოსტოს მოსავალიც — ერთადერთი საარსებო წყაროც გაგვიფუჭდა. ჩემს მეუღლეს ეპილეფსია გაურთულდა, აღარც ნაშალი შველის, შეტევები ღამით 3-4-ჯერ მოსდის, მუშაობა აღარ შეუძლია. მას ინვალიდობის პენსია ვერ დაუნიშნეთ, რადგან ძვირად ღირებული გამოკვლევა ესაჭიროება, რომლის დაფარვაც პოლისით არ არის გათვალ-


ისწინებული. მე „შაქარი“ აღმომაჩნდა. დამინიშნეს დიეტა. განაიმის საშუალება მაქვს, განსაკუთრებული საკვები მივირთვა ან წამლები შევიძინო?!. ღამე კომმარებს ვხედავ: მესიზმრება, თითქოს ჩვენი სახლი იწვის და ჩვენც შიგნით ვართ... რომ ვიღვიძებ, ცივი ოფლი მასხამს... ხშირად სიზმარში შემზარავი სიცილის ხმა მესმის, თითქოს ვილაცხა დამცინის. შეშინებული ვიღვიძებ სულ ერთი და იმავე დროს — გარიჟრაჟზე, მამლის პირველ ყივილზე... ხვალინდელი დღის მეშინია. თუ დაგვეხმარებიან სახლის აღდგენაში და ის საცხოვრებლად ვარგისი გახდება, ალბათ პირველი, რასაც გავაკეთებ, სახლს მოძღვარს ვაკურთხებიან და მასვე ვთხოვ რჩევას, როგორ მოვიქცე...

P.S. თუ ამ ოჯახის დახმარების სურვილი გაგიჩნდებათ, დარეკეთ ტელეფონის ნომრებზე: 890-41-48-11; 898-41-28-10; ან შეგიძლიათ, თანხა გადარიცხოთ „პროკრედიტ ბანკში“, მარინე მურადაშვილის სახელზე გახსნილ ანგარიშზე — GE 77 PG 0143600100030159 GEL

ბიზნუსი ნიკნის გაღაზიანთა ქსალი მთელ საქართველოში

წაიკითხე წიგნები უყიოსად იქნები!

ახალი გაღაზიანი
უკვე გლდანში A 641 33 №50
და ქუთაისში თაგაგაგაუის №34



სამყარო

ჩემპიონატში №1, როგორც პირველ ნაკრებში არ ათამაშებს

...ის სეზონი თბილისის „დინამოელებმა“ მარცხით დაიწყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის სასტარტო მატჩში საკუთარ მოედანზე მოსკოვის „სპარტაკთან“ 1:2 წააგეს. უფრო ცუდი ის იყო, რომ გუნდის ძირითადმა მეკარემ — ვლადიმერ მარლანია ტრავმა მიიღო. ავად იყო მისი დუბლიორი — მიხეილ პირავეიც და მომდევნო თამაშისთვის ქართველი ფეხბურთელები პრაქტიკულად, მეკარის გარეშე დარჩნენ. არადა, მომდევნო ტურში ჩვენთვის ყველაზე უხერხულ მეტოქეს — მოსკოვის „დინამოს“ უნდა შევხვედროდით. თბილისელთა უფროს მწვრთნელს, გაიოზ ჯეჯელავას გამოსავალი აღარ ჰქონდა და, იმავე მარლანიას რჩევით, მოსკოველ თანაკლებულთან მატჩში ახალგაზრდა სერგო კოტრიკაძე გამოიყვანა. სწორედ მაშინ შეხვდნენ პირველად საფეხბურთო მინდორზე კოტრიკაძე და საბჭოთა ფეხბურთის აღიარებული ლიდერი, მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი — ლევ იაშინი.

კობი შრანგიშვილი

თამაშით, სტუმრებმა ვერაფრით აჯობეს მასპინძლებს; სამაგიეროდ, კიეველი არბიტრის, ბალაკინის მიკროძობული მსაჯობის შედეგად, ანგარიშით 2:1 მოსკოველებმა გაიმარჯვეს. თბილისელთა კარში გატანილი არც ერთი გოლი ჩვენი მეკარის ბრალი არ ყოფილა. იაშინმაც ორი ბურთი გაუშვა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მსაჯმა არ ჩათვალა. მარცხის მიუხედავად, სერგო კოტრიკაძის თამაშით გულშემოტივრებელი და მწვრთნელიც კმაყოფილი დარჩნენ და იმავე 1957 წლის სეზონიდან დებიუტანტი — თბილისის „დინამოს“ ძირითადი მეკარე გახდა.

საკავშირო ჩემპიონატი ჩვენმა კლუბმა მეშვიდე ადგილზე დაასრულა. მართალია, წინა წელთან შედარებით ერთი საფეხურით მაღლა აინია, მაგრამ ქართული გუნდისათვის მაინც შეუფერებელი შედეგი იყო.

ახლოვდებოდა შვეციის მსოფლიოს ჩემპიონატი და საბჭოთა ნაკრებმაც შესარჩევი ტურნირისათვის მზადება დაიწყო. მსოფლიოს ჩემპიონატში მას ჯერ კიდევ 4 წლით ადრე, შვეიცარიაში უნდა ეთამაშათ, მაგრამ ჰელსინკის ოლიმპიადაზე იუგოსლავიელებთან მარცხის შემდეგ, კრემლის მაღალჩინოსნებმა საერთაშორისო არენაზე მორიგი წარუმატებლობის შიშით, გუნდი ჩემპიონატზე არ

გაუშვეს; მხოლოდ 1956 წელს, მელბურნის XIV თამაშებში გამარჯვების შემდეგ გადაწყდა, რომ ქვეყნის მთავარი გუნდი მზად იყო ჟიულ რიმეს თასისათვის საბრძოლველად. თუმცა, მათი იმედები არ გამართლდა: საბჭოთა ნაკრები ტურნირის მეოთხედფინალში მასპინძლებთან დამარცხდა და სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან ნაადრევად გამოემგზავრა. იმ ჩემპიონატში არც ერთ ქართველ ფეხბურთელს არ უთამაშია...

1958 წელს თბილისის „დინამოს“ გამოცდილი მწვრთნელი ანდრო ჟორდანიძე დაუბრუნდა და საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩვენმა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატში საპრიზო ადგილი დაიკავა. სერგო კოტრიკაძე თბილისის „დინამოში“ 1955 წელს სწორედ ანდრო ჟორდანიძემ მიიწვია, როდესაც ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში შემთხვევით ნახა მისი თამაში და ახლაც ენდობოდა მას. არც შემცდარა: XXI საკავშირო ჩემპიონატში კოტრიკაძემ ჩინებულად ითამაშა, გამორჩეულად სამახსოვრო კი კიევეში გამართული, მეორე წრის შეხვედრა იყო.

სერგო კოტრიკაძე ისვენებს:

— ბოლო წლებში კიეველებთან ძალიან გვიჭირდა. 8 შეხვედრიდან 4 უკრაინელმა ფეხბურთელებმა მოიგეს, ჩვენ კი — მხოლოდ 2. პირველ წრეში, თბილისში 4:2 დავამარცხეთ. საბასუხო მატჩი კიევეში კი ძალიან მძიმე აღმოჩნდა,



სერგო კოტრიკაძე კარიდან გამოსვლისას, მოსკოვის „სპარტაკთან“ მაგჩის დროს

მაგრამ იმ დღეს ეტყობა, „ჩემი დღე“ იყო — 2 თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოვიგერიე; პენალტების გარდა, რამდენიმე ძნელი ბურთიც ავიღე და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიმიწვიეს. მოგვიანებით ოლიმპიურ ნაკრებში მოვხვდი, შემდეგ კი — ქვეყნის მთავარ გუნდშიც.

სერგო კოტრიკაძისაგან განსხვავებით, გაცილებით უფერული დებიუტი ჰქონდა ლევ იაშინს. 20 წლის ასაკში ის მოსკოვის „დინამოს“ ჰოკეისტა გუნდის კარს იცავდა, მაგრამ შემდეგ კვალიფიკაცია შეიცვალა და 1949 წელს, ალექსეი ხომიჩისა და ვალტერ სანაიას შემდეგ, მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მესამე მეკარე გახდა. თუმცა ამ კლუბის ლირსების დაცვამ დიდი ხნით როდი მოუწია. სტალინგრადის „ტრაქ-



ტორთან“ დუბლიორთა შეხვედრისას კუროზული გოლი გაუშვა: წინ გამოსული იამინი საკუთარ მცველს შეეჯახა და სტალინგრადაელთა მეკარის მიერ კარიდან კარში დარტყმული ბურთი პირდაპირ მოსკოველთა ბადეში შეფრინდა!.. ძირითად შემადგენლობაში იამინმა პირველად, მოსკოვის „სპარტაკთან“ ითამაშა. ტრავმირებული ხომიჩი შეცვალა და ამჯერადაც, საკუთარ მცველთან შეჯახებისას გაუშვა გოლი. ბოლოს კი თბილისის „დინამოსთანაც“ უხეიროდ ითამაშა — მატჩში, რომელსაც მოსკოველები 3 ბურთის უპირატესობით იგებდნენ, იამინმა ორ ნუთმი ზედიზედ 3 გოლი გაუშვა და... კლუბის ხელმძღვანელობამ კარგახნით, სათადარიგოთა შემადგენლობაში დააბრუნა. ისევ ჰოკეისტთა კარში ჩადგა და წარმატებებსაც მიაღწია — ამ ამპლუაში, საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონიც გახდა და ნაკრების კანდიდატთა სიაშიც მოხვდა, მაგრამ მოგვიანებით მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა, ხოლო შემდგომ, საბჭოთა ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი.

თუკი იამინისგან განსხვავებით, სერგო კოტრიკაძის სპორტული კარიერის დასაწყისი უფრო ილბლიანი აღმოჩნდა, შედგომში მას, არაობიექტური მსაჯობისა თუ სხვა მიზეზების გამო, ბევრი არასასაიმოვნო მოსაგონარი დარჩა. 1960 წლის სეზონის ბოლოს თბილისის „დინამოელები“ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალში მოსკოვის „ტორპედოს“ ხედავდნენ. როდესაც გაირკვა, რომ მატჩის არბიტრი უკრაინელი ცაპოვეცკი იქნებოდა, რომელსაც რატომღაც თბილისელები გულზე არ ეხატებოდა, „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას მსაჯის შეცვლა სთხოვა. ჩინოსნები თავიდან დათანხმდნენ და მსაჯთა ბრიგადა ლიტვიდან მიაველინეს, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს და კვლავ ცაპოვეცკი დანიშნეს. იმ წლებში მოსკოვის „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“ თანაბარი ძალის მეტოქეები იყვნენ, ამიტომ მსაჯის ერთ ჩასტვენასაც კი შეეძლო მატჩის ბედის გადანყვება და გადა-

წყვიტა კიდევ: ცაპოვეცკიმ თბილისელთა კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმაც დანიშნა, მოსკოველთა მიერ თამაშარე მდგომარეობიდან გატანული გოლიც ჩათვალა და ბოლოს, როდესაც ანგარიში 3:3 იყო, „ტორპედოელთა“ კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა. საბოლოოდ, მასპინძლებმა 4:3 იმარჯვეს და ბროლის თასი კვლავ მოსკოვში დარჩა.

ამ სათასო ფინალიდან რამდენიმე დღეში ქართველი ფეხბურთელები ინგლისში ტურნეს ჩასატარებლად გაემგზავრნენ, სადაც აფიშებზე აღნიშნული იყო: ბრიტანეთში სათამაშოდ, საბჭოთა კავშირის „თასის ნამდვილი მფლობელები“ — თბილისის „დინამოელები“ ჩამოვიდნენ...

აქ ალბათ ისიც უნდა გავისხენოთ, რომ იმ პერიოდში მოქმედი დაუნერგელი კანონით, საბჭოთა კავშირის თასის მხოლოდ მოსკოვის გუნდი უნდა დაუფლებოდა, ძირითადად — „სპარტაკი“ და „დინამო“; გამოხატვის კრემლმა მხოლოდ ორჯერ დაუშვა: 1944 წელს, ლენინგრადის ბლოკადის მოხსნის შემდეგ თასი „ზენიტმა“, „მოიგო“, ხოლო 1954 წელს, უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლის იუბილის აღსანიშნავად, — კიევის „დინამომ“. თბილისელთათვის 1960 წლის ფინალი მეოთხე მცდელობა იყო და ოთხივეჯერ თასი მოსკოვის კლუბებმა დაიტოვეს. თუმცა იმ სეზონმა ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს სასაიმოვნო მოსაგონარიც დაგვიტოვა. საფრანგეთში პირველად ჩატარდა ევროპის თასის გათამაშება (ახლა მას ევროპის ჩემპიონატი ჰქვია). ფინალურ მატჩში პარიზში საბჭოთა ნაკრებმა 2:1 დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი და პრესტიჟული პრიზის პირველი მფლობელი გახდა. გამარჯვებულთა შორის, მიხეილ მესხი, გივი ჩოხელი და სლავა მეტრეველიც იყვნენ. ამასთან, გადამწყვეტ მატჩში ერთი ბურთი მეტრეველმა გაიტანა, ხოლო მეორე — მესხის ჩინებული ჩანოდელობით — ვიქტორ პონედელნიკმა. მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის წინ ევროპის თასის მოპოვება ქართველი ფეხბურთელები-სთვისაც და საბჭოთა ნაკრებისთვისაც მნიშვნელოვანი წარმატება იყო. პოპუ-

ლარული ფრანგული ყოველკვირეულის — „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვით, რომელშიც სპეციალისტები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, ევროპული კონტინენტის გუნდებიდან ყველაზე უკეთეს შედეგს ჩილემი საბჭოთა ნაკრებს უნი-ნასწარმეტყველებდნენ. 1961 წელს ქვეყნის მთავარ გუნდში სერგო კოტრიკაძეც შეიყვანეს. სწორედ იმ წელს დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიც.


სარგო კობიაძე

— ჩვენთან ერთად შესარჩევ ქვეყნულში, თურქეთისა და ნორვეგიის გუნდები მოხვდნენ. პირველ ნაკრებში მამინე მშტატისანი მეკარე ვიყავით, მაგრამ მე არც ერთ შეხვედრაში არ მითამაშეია, გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა ვლადიმირ მასლანჩეო და ლევ იამინი ათამაშა. ოთხივე შეხვედრაში მონაწილეობდნენ: მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი. მესხმა და მეტრეველმა ორ-ორი გოლიც გაიტანეს და მოედანზე გამოჩნულებიც იყვნენ. ნაკრებმა ქელის დაუკარგავად, ქვეჯგულში პირველი ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვების შემდეგ კი გუნდი სამხრეთამერიკულ ტურნეში გაემგზავრა. ჩემ გარდა, კაჩალინმა კვლავ ყველა ქართველი ფეხბურთელი წაიყვანა და მათ დიდი წვლილიც შეიტანეს არგენტინის, ჩილესა და ურუგვაის გუნდების დამარცხებაში. ადგილობრივი პრესა და ფანები ყველაზე მეტად ქართველი გარემარბების, აგრეთვე ლევ იამინის ოსტატობას აღნიშნავდნენ, რომლებმაც ევროპის თასის შემდეგ კვლავაც მაღალ დონეზე ითამაშეს. ერთ-ერთი არგენტინელი ვაზეთი მესხისა და მეტრეველის ოსტატობას 500-500 მილიონი პესოდ აფასებდა. ეს იმ დროისათვის კოლოსალური თანხა იყო.

სწორედ იმ პერიოდში თბილისის „დინამოელები“ ტურნე გვერდზე ლათინურ ამერიკაში. კუბაში, ბოლივიასა და ეკვადორში ათამდე მატჩი ჩაატარეთ და ერთის გარდა, ყველა მოვიგეთ. წესით, მარტო კუბაში უნდა გვეთამაშა, მაგრამ მათ ნაკრებს სამივე მატჩი დიდი ანგარიშით რომ მოუგეთ, ბოლივიასა და ეკვადორშიც მიგვიწვიეს. ბოლივიის დედაქალაქი ლა-პასი ლამის კავასიონის მწვერვალების სიმაღლეზე — ზღვის დონიდან დაახლოებით 4000 მეტრზეა. გაუნსმოებული ჰაერის გამო სუნთქვა გვიჭირდა. მახსოვს, ერთ-ერთი მატჩის დროს ილია დათუნაშვილმა გრძელი რეიდის შემდეგ სირბილი გასახდელისკენ გააგრძელა, სადაც უანგბადის ბალონი ეგულეობდა... ასეთი რთული პირობების მიუხედავად, მხოლოდ ერთი მატჩი ვითამაშეთ ფრედ, ორი — მოვიგეთ. მე კი პენალტიც მოვიგეირე. მასპინძლები გოაცებულები გვეუბნებოდნენ: აქ ბრა-



1963 წელი, ამ მატჩის დროს ლენინგრადში თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა სლავა მეტრეველი (მარცხნიდან მეორე)



სერგო კოტრიკაძის მორიგი საუცხოო ნახტომი

ზილილებსაც არ მოუგიათ და თქვენ როგორ გვაჯობეთო?!

მსოფლიოს VII ჩემპიონატი ჩილეში გაიმართა. საბჭოთა ნაკრებს მეტოქეები ჯგუფში, იუგოსლავიის, კოლუმბიისა და ურუგუაის გუნდები იყვნენ. პირველობის 16 მონაწილიდან, მეოთხედფინალში თითოეული ჯგუფიდან 2-2 გადიოდა. წესით, საბჭოთა ფეხბურთელები გათამაშების მომდევნო ეტაპზე თავისუფლად უნდა გასულიყვნენ.

სერგო კოტრიკაძე

— სამხრეთ ამერიკაში, აკლიმატიზაციის მიზნით, საკმაოდ ადრე გავემგზავრეთ. ტესტ-მატჩები ჩავატარეთ კოსტა-რიკისა და კოლუმბიის გუნდებთან. პირველი შეხვედრა ქალაქ კიურასასოს კლუბების ნაკრებთან 0:1 წაგავით. მეორე მატჩში გავრილ კაჩალინმა უკვე სათადარიგოთა შემადგენლობა გამოიყვანა. მე უჩვეულო ამპლუაში — მარჯვენა მცველად დამსყენა: კაჩალინს გაგონილი ჰქონდა, რომ თბილისის „დინამოს“ დუბლებში ხშირად მითამაშია ამ პოზიციაზე და თავადვე შემოძთავაზა. ურიგოდ არ გამოშვლია, რამდენჯერმე შეტევაშიც ჩავერთე და ჩემი ერთ-ერთი რეიდის შემდეგ, გუსაროვის გოლიც გავატანინე. მერე ვლადიმერ მასლაჩენკო დამიტვრა და კარში ჩავდექი. მასპინძლებს მინდვრის ფეხბურთელი ვეგონე და შორეულ ბურთებს მირტყამდნენ, მაგრამ ყველა რომ მოვიგერიე და მატჩიც 1:1 მოვიგეთ, მეორე დღეს გაზეთები წერდნენ: „რუსებთან თამაში შეუძლებელია, რადგან მათი გუნდის თითოეული წევრი მეკარეცაა და თავდამსხმელიც, ხოლო სერგო კოტრიკაძე უნივერსალური ფეხბურთელია“.

ფინალური ტურნირის პირველი მატ-

ჩი საბჭოთა ნაკრებმა ძველ მეტოქესთან — იუგოსლავიის გუნდთან ანგარიშით 2:0 მოიგო. მეორე შეხვედრა კი კურიოზული აღმოჩნდა. კოლუმბიელები ჯგუფის აუტსაიდერებად მიიჩნევდნენ და თამაშის დაწყებიდან სულ რამდენიმე წუთში უკვე 3:0 აგებდნენ. მატჩის დამთავრებას 20 წუთიღა უკლდა, როცა ანგარიში 4:1 გახლდათ...

სერგო კოტრიკაძე

— აი, ამის შემდეგ დაიწყო რაღაც გაუგებარი. კოლუმბიელებმა ჯერ პირდაპირ კუთხურიდან გაიტანეს გოლი იაშინის კარში, შემდეგ მესამე ბურთიც შეაგდეს, ბოლოს კი წინ გამოსულმა იაშინმა ფეხით ისევ უხეიროდ მოიგერია ბურთი, რომელიც თავდამსხმელს მოხვდა და ანგარიშიც გათანაბრდა. რვა წუთში 3 გოლი — ეს უკვე მეტისმეტი იყო, თანაც, იაშინს ერთ სანაკრებო მატჩში 4 ბურთი, არც მანამდე და არც მერე, არასდროს გაუშვია. ის უდავოდ, დიდი მეკარე და კარგი ადამიანიც იყო, მაგრამ ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატი აშკარად ჩააგდო... მას შემდეგ აშდენი წელი გავიდა და ბევრჯერ მიფიქრია, თუ რატომ არც ერთ მატჩში არ მათამაშე კაჩალინმა. მას ქართველ ფეხბურთელებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა, სწორედ მისი ხელმძღვანელობით გახდა ჩვენი „დინამო“ 1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მაგრამ სამხრეთ ამერიკაში მაინც არ მენდო ან უფრო — ვერ მენდო... ურუგუაელებთან 2:1 გამარჯვების შემდეგ ჩემპიონატის მეოთხედფინალში გავდიეთ, სადაც ჩილეს ნაკრებს შეხვედით. მატჩის წინ კაჩალინი მოვიდა და მითხრა, — სერგო, მოემზადე, შენ ითამაშებო. მაგრამ მასპინძლებთან მაინც იაშინი დააყენა. მოგვიანებით მომიბოდიშა, — რა ჯნა, სერგო, მარტო მე არ ვაყენებ შემადგენლობასო... საქმე ის არის, რომ იმ პერიოდში საბჭოთა ფეხბურთის ძეხვი სტაროსტინები მართავდნენ, მათ კი ქართველები არ უყვარდათ. მე რომ გამეფუჭებილა თამაშში, კაჩალინს ტყავს გააძრობდნენ, იაშინი კი საბჭოთა ფეხბურთის ლეგენდა იყო... შეხვედრის ბედი პირველივე ნახევარში გადაწყდა. მატჩი მასპინძლებთან 2:1 წაგავით და ჩემპიონატიც ჩვენთვის დამთავრდა.

მკითხველმა ლეგენდარული მეკარის საბედისწერო შეცდომებზე ყურადღების გამახვილება ქართველი ყურნალისტისა და ჩვენი გამოჩენილი ფეხბურთელის გაზვიადებულ მონათხრობად რომ არ ჩამოგვართვას, დავძენთ: ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, როცა მოსკოვში სასწრაფოდ აფრინეს დეპუტა, — საბჭოთა ნაკრების მარცხი ლევ იაშინის ბრალიაო. საკავშირო პრესაც საზგასმით აღნიშნა და მის სუსტ თამაშს, ხოლო რუსეთის სტადიონებზე გულშემატკივრები კარგა

ხანი, სტვენით ხვდებოდნენ ბურთთან მის ყოველ შეხებას...

იმავ 1962 წლის სეზონის ბოლოს, საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა ტურნე მოაწყო სამხრეთ ამერიკაში. გუნდის კარს ამჯერად სერგო კოტრიკაძე იცავდა. სან-პაულუში „სანტოსთან“ შეხვედრისას, კოტრიკაძემ მხოლოდ კუტინოსა და პელეს დარტყმების მოგერიება ვერ შეძლო, ხოლო რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანასზე“ სტუმრებმა 1:0 იმარჯვეს. მოგვიანებით ერთ-ერთმა სააგენტომ სამხრეთ ამერიკის სპეციალისტების გამოკითხვით, მსოფლიოს 10 საუკეთესო ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომელშიც პელესთან, გარინჩასთან, გრივსთან და სხვა ვარსკვლავებთან ერთად, სერგო კოტრიკაძეც შეიყვანა. სხვათა შორის, მსოფლიო აღიარებასთან ერთად, მამინ სერგო კოტრიკაძის ოსტატობა საბჭოთა სპეციალისტებმაც აღიარეს. იმ პერიოდში პოპულარული საკავშირო ჟურნალი „ოგონიოკი“ საუკეთესო მეკარის გამოსავლენად სპეციალურ გამოკითხვას ატარებდა და 1962 წლის სეზონში საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარის პრიზი სწორედ ქართველ გოლკიპერს გადაეცა. თუმცა ამას ერთი პარადოქსი მაინც მოჰყვა: 33 საუკეთესოთა შორის, კოტრიკაძე მესამე მეკარედ იქნა დასახელებული, მასზე წინ კი რატომღაც, იაშინი და მასლაჩენკო აღმოჩნდნენ. ღმერთმა შეუნდოს იმ 33 საუკეთესოს შემდგენელ „სპეციალისტებს“. მით უმეტეს, რომ ან განსვენებულებს — იაშინსა და მასლაჩენკოს ამ საქმეში მონაწილეობა არ მიუღიათ. ლევ იაშინმა კი გულშემატკივრების სიმპათია მაინც დაიბრუნა, თუმცა — ისევ ქართველის „ხარჯზე“. 1963 წელს ფეხბურთის დაარსების 100 წლისთავის აღსანიშნავად, ფიფას ეგვიტო, ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ინგლისისა და მსოფლიოს ნაკრების მატჩი გაიმართა. ფიფას ნაკრებში მინფულნი იყვნენ: დი სტეფანო, კოპა, ეუსებიო, პუშკაში, ზევილიერი, ჯალმა სანტოსი... და მიხეილ მესხი. საბჭოთა ფეხბურთის ჩინოსნებმა მიხეილ მესხის ნაცვლად, რომელიც ვითომ ავად იყო, ინგლისში ლევ იაშინი გაუშვეს. იქ მან კვლავ მაღალ დონეზე ითამაშა და სეზონის დასრულების შემდეგ, 1963 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი — „ოქროს ბურთიც“ მიიპოვა.

ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ლამის ნახევარი საუკუნე გავიდა და შეიძლება, დღეს არც ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა ყოველივე ამის გახსენებას, მაგრამ ამ ერთი საფეხბურთო ამბიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა იმპერიაში პოლიტიკა უფრო მაღლა იდგა, ვიდრე სპორტი, თუნდაც — მსოფლიო მასშტაბის. კრემლის პარტიულ ჩინოსანთა მთავარი მიზანი — რუსის და მოსკოველის უპირატესობის დამტკიცება იყო...



ესპანეთიდან დანახული „ქართული სამოთხე“ და „ზეპირად დანაირილი“ ლექსები

„გზა გადის მამის სამაროდან მამის წყაროდღე; გზა, ბილიკებით დაძარღვული მწვანე ფერდობით... ეს განშორებაა, მონატრებაა, სიყვარულია, სევდაა, ტკივილია... ცხოვრებაა, სხეულში რომ ვეღარ დავტყობ და ამოხეთქა, ოღონდ — ლამაზად, მხატვრულად, პოეტებს რომ შეშვენით, ისე ამოხეთქა და პატარა ნიგნად გადაიქცა — თქვენც რომ გადაშლით, მეც და არც გაგვ შორდება. ალბათ იმიტომ, რომ გულწრფელია, ალალი და ნამდვილია.“

სოსო მეშველიანს ახლახან შეგვვდი, პირველად, და მისი ლექსიც ახლახან „გავიცანი“. ბევრი ქართველის მსგავსად, კარგა ხანია, საქართველოდან განიზნულა და ვერ შეპტუება ბედს — ემიგრანტობა ეძნელება.

ირმა ხარშილაძე

— სვანეთში, ლენტეხში ვცხოვრობდი. სკოლის დამთავრების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქუთაისში ჩავაბარე უმაღლესში და ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ თქვენც გახსოვთ, რა მძიმე წლები გვექონდა იმხანად და სწავლა კი არა, ცხოვრებაც აღარ ღირდა საქართველოში. მართალია, ძალიან ტრაგიკულად განვიცდიდი ოჯახის, სწავლისა და სამშობლოს მიტოვებას, მაინც წავიდი. რუსეთში, ქალაქ სამარაში ვიცხოვრე 2-3 წელი. ბლომად ქართული წიგნი წავიღე, ქართულ ცხოვრებას, ქართულ კულტურას სულ რომ არ მოვწყდომოდი. ბევრს ვშრომობდი ფიზიკურად, ძალიან ვიღებოდი, მაგრამ სამშობლოსთან სულიერი კავშირი მაძლებინებდა. მერე ჩეჩნეთში დანიყო ომი, რუსეთში კავკასიელების ყოფნა სახიფათო გახდა და ისევ საქართველოში დავბრუნდი. აქ კვლავ მძიმე ვითარება დამხვდა და ამჯერად ევროპაში გავემგზავრე — იტალიის გავლით (ეს ქვეყანა ძალიან მაინტერესებდა) ესპანეთში, კერძოდ — ბასკეთში. მალე სამუშაოც ვიშოვე, ამას სახელმწიფოს ფულადი დახმარებაც დაერთო: იქაური კანონით, არალეგალი ოფიციალურად თუ ჩაენერება, ემარებიან კიდევ, ოღონდ ერთი პირობით: ყოველდღიურად, შენთვის ხელსაყრელ დროს, ესპანური ენის შესასწავლად უნდა იარო სასწავლებელში. გარდა ესპანურისა, აუცილებლად უნდა

ისწავლო იმ კუთხის ენა, ვთქვით, კატალონიაში — კატალონიური, ბასკეთში — ბასკური და ა.შ. სხვაგვარად, ნორმალურ სამსახურს ვერ იშოვი... სხვათა შორის, კატალონიელებსა და ბასკებში ნაციტური ბუნება დავინახე: მაგალითად — გასაგებია, რომ თითოეული კუთხე გულშემატკივრობს თავის საფეხბურთო კლუბს — ბარსელონის „ბარსას“ და ბილბაოს „ატლეტიკოს“ და — ერთმანეთსაც, როცა ის



ნაბიჯ-ნაბიჯ, წვალებით გავდიოდი ეგაპებს ფეხის მოსაკიდებლად

სხვა გუნდებს ხედება; მაგრამ როდესაც მადრიდის „რეალი“ სხვა ქვეყნის გუნდს, ვთქვით, გერმანიას ეთამაშება, ესენი გერმანიას გულშემატკივრობენ(!). ჩემთვის დღემდე გაუგებარია ასეთი დამოკიდებულება.

— ბევრი ქართველი ცხოვრობს ბასკეთში?

— პირველად რომ ჩავედი, 1999 წელს, თითზე დასათვლელად ცხოვრობდნენ; ახლა საკმაოდ ბევრს შეხვდები, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდმა ნაწილმა ძალიან ცუდად გამოიჩინა თავი. მეც იმიტომ ავირჩიე საცხოვრებლად ბილბაო, რომ იქ მაინც ცოტა ქართველია. რა საშინელებაა, არა, თვისტომს რომ გაურბი?! არადა, სხვაგვარად, შენც სახელი გიტყდება. თუმცა იქაურები ამას არასდროს მაგრძნობინებენ. ძალიან კარგი ად-

ამიანები არიან. მაგრამ ეკონომიკურმა კრიზისმა მათ ბუნებაზეც იქონია გავლენა. მანამდე წარმოუდგენელი იყო, ვინმეს მოეტყუებინე, ახლა კი დაეჩვივნენ (*იცინის*), — ვთქვით, შეიძლება, რალაც თანხის გადახდას დაგპირდეს და აღარ მოგცეს, ან სულაც, დაგაკლოს; იცის — უცხო ქვეყნის მოქალაქე ხარ და არ უჩივლებ, რადგან ადვოკატის მომსახურება გაცილებით ძვირი დაგიჯდება და არ გიღირს. ჩემს უფროსს ვუთხარი კიდევ (ვმეგობრობთ მასთან მე და ჩემი ძმა, რომელიც მოგვიანებით შემომიერთდა ესპანეთში): რას დაემსგავსეთ, პატარა კრიზისმა ასე შეცვალათ და ქართველების მსგავსად რომ გაგიჭირდეთ, ალბათ თევზებივით დაჭამთ ერთმანეთს-მეთქი...

— სვანები უფრო დინჯები ხართ, ესპანელები — გაცილებით ემოციურები. ურთიერთობის პრობლემა არასდროს შეგქმნიათ? საერთოდაც, როგორ იმკვიდრებდით თავს უცხო ქვეყანაში, ვიდრე იქაურებთან დამეგობრდებოდით, გაუშინაურდებოდით?

— იოლი არაფერი ყოფილა. ნაბიჯ-ნაბიჯ, წვალებით გავდიოდი ეტაპებს ფეხის მოსაკიდებლად. აქაურობის გაუსაძლის მონატრებას ერთვოდა უძილობა და გადაღლა, გადაქანცვა. რთული დღეები მქონდა. წლების განმავლობაში ვერ ჩამოვედი საქართველოში, მაგრამ ბოლოს, ოჯახის მონატრებამ პიკს რომ მიაღწია, ვეღარ მოვიტმინე, არც „კუთვნილ“ კანონს დაველოდე, რომელიც დროებით მოქალაქეობას და, შესაბამისად, სამშობლოში თავისუფლად ჩამოსვლის უფლებას მომანიჭებდა და გავრისკე: წამოვედი იმედით, რომ სხვა მთავრობა გვყავდა, უკეთესი ცხოვრება დამხვდებოდა და გასაქცევიც არსად გავხდებოდი. იქიდან ყველაფერი ლამაზად ჩანდა, საქართველოში სამოთხე გეგონებოდა, თანაც სწავლის გაგრძელებაც მინდოდა... რაც მსმენოდა საქართველოზე, იმის შესამედი რომ მაინც დამხვედროდა, ორ წელიწადში უკან არ გაბრუნდებოდი. თავიდან დამჭირდა ყველა საბუთის გაკეთება, მაგრამ ჩემი ძმა უკვე ესპანეთში იყო და ის დამეხმარა. მერე დროებითი მოქალაქეობაც მივიღე და უკვე ისეთივე უფლებები მაქვს, როგორც ესპანელს. ვიდრე მათაც ხელს აძლევს, გაგიგრძელებენ კიდევ მოქალაქეობას,



ანტიდაპრასანი

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქელეჩენელი თქუი ივანიძე

1. წინააღმდეგობა ამერიკაში.
2. ზამთარში ხეები არ იზრდებიან.
3. ლეონარდო და ვინჩი „მონა ლიზა“ 12 წელი ხატავდა.
4. ამერიკაში ყოველწლიურად ათასზე მეტი ტორნადო ხდება.
5. პეტერბურგის ზამთრის სასახლეში ოთხასზე მეტი დარბაზია.
6. კორიდაში ქალების მონანილეობა გენერალმა ფრანკომ აკრძალა.
7. ნელსონის საფლამანო ხომალდ „ვიქტორიაზე“ 104 ქვეყნის იყო.
8. შაჰ-აბასს პირად დაცვაში 12 ათასი გამაჰმადიანებული ქართველი ჰყავდა.
9. ჯონ კენედის ბარბუა ამერიკაში დამშეული ირლანდიელებით საგვ გემით ჩავიდა.
10. ამერიკაში აფროამერიკელები რვაჯერ უფრო ხშირად ხვდებიან ციხეში, ვიდრე თეთრკანიანები.
11. დაჯავშნილი ავტომობილების რიცხვით კოლუმბიას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში.
12. შიმპანზე ერთადერთი ცხოველია დედამიწაზე, რომლისთვისაც უცხო არ არის ორალური სექსი.
13. ქაეროფობია შეუფერებელ ადგილას (მაგალითად, პანამაში) სიცოცხლის წასკდომის, მხიარულების ვერდაფარვის შიშია.
14. ფლოტის ასაშენებლად ევროპაში ჩასული პეტრე თავდაპირველად ხომალდზე უბრალო დარაჯად მუშაობდა. გემთმშენებლობის შესწავლა იმპერატორმა „შვებრის“ ხმარებით დაიწყო.
15. ნოსტრადამუსის ტექსტებში სიტყვა „სიკვდილი“ 139-ჯერ არის ნახსენები, „ბრძოლა“ — 111-ჯერ, „სისხლი“ — 89-ჯერ, „ცეცხლი“ — 78-ჯერ, „ჭირი“ — 42-ჯერ, „შიმშილი“ — 38-ჯერ.
16. მხატვრული ფილმის — „წვიმის კაცის“ მთავარ პერსონაჟს ჰყავდა პროტოტიპი — ამერიკელი კომ პიკი, რომელიც ფენომენური მესიერებით გამოირჩეოდა და ნაკითხული ინფორმაციის 98 პროცენტის დამახსოვრება შეეძლო. კიმი არ ყოფილა აუტიზმით დაავადებული, თუმცა ჰქონდა უჩვეულოდ დიდი თავი და ტვინის ნათხევი ჰქონდა დაზიანებული. კიმი გამოუმჯობესებული ჰქონდა კითხვის გამსაკუთრებული ტექნიკა: მარცხენა თვალით იგი გადამლილი წიგნის მარცხენა გვერდს კითხულობდა, მარჯვენა თვალით კი იმავდროულად — მარჯვენას. წიგნის ორი გვერდის წაკითხვას იგი 8-10 წამში ასწრებდა.
17. 1903 წელს ამერიკაში სამი ადამიანის გასრესისთვის, ცირკის სპილო სახელად ტოპში ელექტროდენით გამოასალმეს სიცოცხლეს. ანალოგიური დანაშაულისათვის 1916 წელს ამხეზე ჩამოხრჩვეს სპილო სახელად ბიგ მერი.

მაგრამ თუ ყელში ამოუხვედი...
— რით შეიძლება, ყელში ამოუხვიდე?

— მე ალბათ არავის „შევიანებ“, მაგრამ შეიძლება, საყოველთაო გაუგებრობაში მოვყვე.

— გულისხმობთ ნარკომანიას, ყაჩაღობას, მანქანების გატაცებას და უამრავ დანაშაულს, რითაც ესპანეთში მცხოვრებმა ქართველებმა გამოიჩინეს თავი?

— სამწუხაროდ, ამით გაგვიცნეს და ძალიან მწყდება გული. ყველანაირად ვცდილობ, იქაურებს კარგი კუთხით გავაცნო საქართველო და ქართველები. ერთი ახლოველი ოჯახი ისე დაინტერესდა, მართლა ნამოვიდა და ლამის მთელი ჩვენი ქვეყანა ფეხით შემოიარა. იმხანად მე ესპანეთში ვიყავი და ჩემმა ძმამ უმასპინძლა. გაგიჟებული დაბრუნდნენ უკან და საქართველოს გვერდიც კი გასხნეს ინტერნეტში. მათი შთაბეჭდილებები ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, ვიცი, კიდევ ათი ოჯახი იყო აქ ჩამოსული. ყველას ვარნუნებდით, რომ აქ მოგზაურობისას ხიფათი არ შეემთხვეოდათ და უსაფრთხოდ მოივლიდნენ მთა-ბარს... ბასკეთიც ძალიან ლამაზია. ხალხიც ძალიან გვგავს ბუნებით, განსაკუთრებით — სოფელში მცხოვრები ადამიანები, რადგან დიდ ქალაქებში: ვიტორიაში, ბილბაოსა და სან-სებასტიანში უფრო შერეული მოსახლეობაა.



მეუღლე და შვილი თბილისში ცხოვრობენ. ასე, ცალკე ვართ

— სოფლების მოსახლეობას ასე კარგად საიდან იცნობთ?

— მოგზაურობა მიყვარს და თავისუფალ დროს ხშირად დავხეტიალებ, ხალხთანაც ვურთიერთობ, მეგობრებიც მყავს, ასე რომ...

— ქართველი ემიგრანტების დიდ ნაწილს ნოსტალგიის ნადავზე დეპრესია ეწყება და უმედობას მიეცემა ხოლმე, ნაწილი ძალებს იკრებს და კვლავ გადარჩენისთვის იბრძვის... თქვენ თუ გიშველათ თქვენივე პოეზიამ?

— აუ, ეს რა კარგი რამ მკითხეთ! სწორედ რომ პოეზიამ მიშველა. ფიზ-

იკურადაც და სულიერადაც ჩემმა ლექსებმა გადაამარჩინა! ეს ერთადერთი შეგება იყო ჩემთვის, ყანგბადი... მოუცლევლობას რა ვუთხარი, თორემ სულ ვგრძნობ, კიდევ მეტის გაკეთება შემიძლია პოეზიაში. ალბათ რამდენს დავწერდი, მეტი თავისუფლება რომ მქონდეს, მეტად განებივრებული რომ ვიყო დროით...

— კი, მაგრამ მუზა რომ შემოგანვებოთ, რას იზამთ, არ დანერო?

— ხშირად „ზეპირად ვწერდი“, კალმის ალებს დროც არ მქონდა. ახლაც ასეა: ხან გზაში ვარ, საჭეს ვუზივარ, ხან — სამსახურში და წერის დრო მართლა არ მაქვს, ამიტომ გონება მუშაობს განსაკუთრებული დატვირთვით. თავიდან მიძნელებოდა, ახლა მივეჩვიე კიდევ — ერთი კვირის განმავლობაში შემიძლია ლექსების „შენახვა“ და მერე გადამაქვს ფურცელზე.

— სვანეთში გარდელი კაცი ლექსს კი დანერო!

— სხვათა შორის, სვანეთში დიდად არაა ლექსის წერა მიღებული. ხევსურეთსა და ფშავეში ეს ჩვეულებრივი ამბავია, სვანეთში კი იოლად ვერ გაამხელ, ლექსებს რომ წერ. ბავშვობიდან ვწერდი ლექსებს, მაგრამ ოჯახშიც არ იცოდნენ (ილიმის).

— მეუღლე ქართველი გყავთ?

— კი, რა თქმა უნდა. მეუღლე და შვილი თბილისში ცხოვრობენ. ასე,

ცალ-ცალკე ვართ, არადა, ძალიან ძნელია ერთმანეთისგან შორს ცხოვრება. ერთადერთი, დროებითი მოქალაქეობა მშველს და ხშირად ჩამოვდივარ, მაგრამ ესეც ფინანსებს უკავშირდება: ფაქტობრივად, რა გასამრჯელოსაც იქ ვიღებ, ესპანეთ-საქართველოს შორის მიმოსვლაში მეხარჯება. არ

ვიცი, როდემდე გავძლებთ ასე. მაგრამ რომ წავიყვანო, ეგეც მაშინებს... წლების წინ რომ ჩავედით ესპანეთში, ყველას ერთი აზრი გვქონდა: პირველი შესაძლებლობისთანავე სამშობლოში დავბრუნებულიყავით. მაგრამ ვინც ოჯახიც ჩაიყვანა, შვილები სკოლასა და ბაღში მიიყვანა (მით უმეტეს, თუ მეუღლემაც მუშაობა დაიწყო, ბავშვებმაც სპორტსა თუ სწავლაში წარმატებებს მიაღწიეს — ქართველი ბავშვები ხომ ყველასგან გამოირჩევიან, არ ვაზვიადებ) — ისე მიეჩვია იქაური ცხოვრების სტილს, კარგ



პირობებს, რომ უკან დაბრუნებას აღარც ფიქრობს.

— და შეგეზინდათ?..

— ძალიან შემეშინდა. ვთქვით, მეც წავიყვანე ოჯახი. დანამდვილებით ვიცი, რომ ნორმალურად ვიცხოვრებ. იმაზე უკეთ, ვიდრე აქაური საშუალო დონის ოჯახი, მაგრამ... მერე რა ვქნა? ძირფესვიანად „ამოვითხარო“ საქართველოდან?! იქ ჩამოსული ოჯახების ბავშვები გაიზარდნენ და წესიერად ქართული ლაპარაკიც არ იციან, წერაზე აღარაფერს ვამბობ. საქართველოში რომც ჩამოვიდნენ, რას გააკეთებენ?! ესპანელი კი, რაც უნდა კარგად მოგექცეს, ესპანელად მაინც არ მიგიღებს. მაშინ ვინლა ხარ? ცაში გამოკიდებული რჩები. ამას ვუსხნი ყველას.

— ნეტავ ყველა ასე ფიქრობდეს. სოსო, კვლავ თქვენს ლექსებს მინდა დაეუბრუნდე. ამ დღეებში საზოგადოებას რომ წიგნი წარუდგინო, თქვენი ლექსების პირველი კრებულია?

— ასე გამოდის. არ ვქარობდი კრებულის გამოცემას. ჯერ ერთი, მაინც დაულაგებელი ცხოვრება მაქვს, მეორეც — როცა გრძნობ, რომ მეტის გაკეთება შეგიძლია, რატომ უნდა აჩქარდე?! მაგრამ აქაურმა მეგობრებმა, ახალგაზრდა მწერლებმა მირჩიეს, აჯობებს, გამოსცეო და დაეყაბულდი. აქაურ ლიტერატურულ ცხოვრებას მხოლოდ ლიტერატურული ვებგვერდებით ვიცნობდი, მხოლოდ ამ ბოლო ხანს მოვახერხე, უშუალოდ დაგვაკვირებოდი ქართველი მწერლების ახალგაზრდა თაობას და მათთან ურთიერთობა ძალიან საინტერესოა ჩემთვის. ვფიქრობ, რომ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტები და პროზაიკოსები გყავს და სხვა ქვეყნებმაც უნდა გაიცნონ მათი შემოქმედება.

— ერთმა ჩემმა კოლეგამ გითხრა და მეც ვუერთდები: დიდი სევდა დაჰყვება თქვენს ლექსებს.

— მგრძნობიარე თუ არ ხარ, ლექსს ვერ დანერ და თუ მგრძნობიარე ხარ და მართლა შემოქმედი, ტანჯვაა, წლების განმავლობაში ოჯახიდან, სამშობლოდან ხანგრძლივად რომ გადაიხვენი. ეს განცდა გროვდება, გროვდება და მერე ერთბაშად ამოხეთქს... თუნდაც ლექსად.

— ყველაზე მეტად ესპანეთის მძიმე წლებს, როდესაც ტელეფონითაც რთული იყო მშობლიური ხმების გაგონება, თქვენს იმამინდელ სულიერ მდგომარეობას რომელ ლექსს მიუსადაგებთ?

— იქ დაწერილ თითქმის ყველა ლექსშია ის სევდა და ტკივილი. უფრო მეტად კი მაინც — დედისადმი მიძღვნილ ლექსებში: მაინც დედას ნატრუ-

ლობ კაცი ყველაზე მეტად... აი, თუნდაც, „მონადირის უკანასკნელ ღამეს“ ნაგიკითხავთ, ჩემს დაღუპულ მეგობარს მივუძღვენი:

„ხომ შეგიძლია, ამ განცდისგან, უფალო, მისხნა/ თუ საშველია, მისაშველე, სანამ ვიბღავლებ/ ამ კარაბინის სამიზნეში აღებულ ჯიხვს ჰგავს/ ვინრო ნაპრაღში გაჭედული ჩემი ილბალი/ ვიცი, ზედმეტი მომივიდა, სამი მოკვალი/ (აღბათ იმ სიზმარს, დედაჩემი ტყუილად დანავას) ვუმზერ, ჩემს გასწვრივ ვარსკვლავები როგორ როკავენ,/ აკეცავს დალიც, ჯურღმულეებში ჩაშვებულ ნანავს/ თვალეში ელავს, ლამარიას მაცხოვრის ფრესკა/ სავევლის სუნი მომაფრქვიეს მშრალმა ნისლებმა/ აქ ყველაფერი, ამ სამყაროს გაჩენის დღეს ჰგავს.../ შიშით კი არა, სინანულით, სევდით ივსება/ ეს ჩემი გული, რომ იცოდე, ღმერთო მაღალო/ ვკვდები, ეს ღამე თან გამყვება გრძნულ სიზმრებად/ ცოდვებს სულ უფრო დავიმძიმებ, ვიცი, ახლა რომ ასეთ ღამეში ავტირდე და ცრემლი დავდგარო“...

— ესპანურადაც წერთ ლექსებს?

— სერიოზული ლექსი არ დამინერია, უფრო თარგმანით დავინტერესდი. ბორხესის მინიატიურებით დავინწყე, ლორკას ერთი ლექსიც ვთარგმნე და... ვნახით, რა გამოივა.

— სვანეთი და სვანები შეცვლილი დაგხდნენ?

— რა კარგია, რომ გამახსენეთ: დიდი ხნის წინ, როდესაც სვანეთში ვცხოვრობდი და ლამის მთელ წელიწადს გრძელდებოდა ზამთარი (მას შემდეგ შემოქულდა ზამთარი), უშუქობა და გაჭირვება, მხოლოდ წიგნები მასულდგმულბდა. სულ სოფლის ბიბლიოთეკაში ვიქექებოდი და ახალ-ახალ „მეგობრებს“ ვიძენდი. იმ სამიწელ დროს სოფელში უამრავი ახალგაზრდა ცხოვრობდა და კარტისა და ნარდის თამაშით გაჰყავდათ ცივი დღეები. ახლა დაცლილია სოფლები, მხოლოდ მოხუცი ქალები დარჩნენ, ახალგაზრდობა კი დაიფანტა. დედაჩემიც იქ არის, მამას გარდაცვალების შემდეგ მარტო დარჩა, მაგრამ მაინც არ უნდა წამოსვლა, იქაურობას ვერ ელევა. ახლა სვანეთში სინათლეც ბევრია და არც ზამთარია ძველებურად „საშიში“, მაგრამ სახლებიდან ამოსული კვამლი რომ ვერ დავინახე, გაპარტახებული მეჩვენა იქაურობა...

— სოსო, შეიძლება, ადამიანს ორი სამშობლო ჰქონდეს?

— ჩემი მაგალითი აიღეთ: როგორც ჩანს, შეიძლება. თუმცა, როგორც კი საშუალება მომეცემა, აქ დავსაქმდე, აუცილებლად დაბრუნდები... ჩემს სამშობლოში!

ანტიკავისანი

გზაუმი საკითხავი კოლაჟი

ქებღერელი თქუი ივანიძე

18. მსატრულ ფილმში — „უდაბნოს თეთრი მზე“ ბარკასზე გადაღებულ სცენაში ვერეშჩაგინს სახე აქვს დასისხლიანებული. გადაღებისას მსახიობ პაველ ლუსუკევის გრძი არ დასჭირვება მანამდე ცოტა ხნით ადრე მას ადგილობრივ ლუდხანაში უჩხუბია და იქაურებს სახეზე დანა დაუსვიათ.

19. ავტომობილი „მიცუბიში პაჯერო“ ესპანეთის ბაზარზე წარმოდგენილია სახელწოდებით „მიცუბიში მონტერო“; რადგან ადგილობრივ ჟარგონზე „პაჯერო“ (იკითხება „პახერო“) ონანისტს ნიშნავს.



20. პარასკევადეკატრიფობია, იგივე — ფრიგატრისკაიდეკატრიფობია ისეთი დღის პანიკური შიშია, როცა 13 რიცხვი პარასკევის ემთხვევა. შეერთებულ შტატებში ამ შიშით 21 მილიონი ადამიანი შეჭრობილი, რის გამოც ამ დღეს ქვეყანა 1 მილიარდი დოლარის ზარალს განიცდის. თვით რიცხვი 13 ანტიკური დროიდან იწვევდა ადამიანებში უსიამონო განცდას. ამ რიცხვის ეწინააღმდეგის ისეთ განათლებულ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ ჰომეროსი და ციცერონი. 13 რიცხვის პარასკევი დღეზე დამთხვევის შიში შედარებით გვიან, შუა საუკუნეებში გაჩნდა. ამ შიშს უკავშირებენ იმას, რომ იესო ქრისტე სწორედ პარასკევს, იუდეველთა კალენდრის მიხედვით, 13 რიცხვი აცვეს ჯვარს. 1307 წლის 13 ოქტომბერს, პარასკევს საფრანგეთის მეფე ფილიპე ლამაზმა გასცა განკარგულება, დაეპატიმრებინათ სახელგანთქმული ტამპლიერების ორდენის წევრები, რომელთა უმრავლესობამ შემდგომ, ემფოტზე დაასრულა სიცოცხლე. ამბობენ, მონარქმა ტყუილად როდი შეარჩია ეს დღე და რიცხვი. მეფე იმედოვნებდა, რომ იგი უზედურებს მოუტანდა ტამპლიერებს. ისტორიკოსთა სხვა ჯგუფი ამ ცრურწმენის გაჩენის თარიღად 1066 წლის 13 ოქტომბერს, პარასკევს ასახელებს, როცა ვილჰელმ დამპყრობელმა საქსონელთა უკანასკნელ მეფეს, ჰაროლდ - ეს ტახტის დათმობა უბრძანა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა და მეორე დღეს ჰასტინგის ბრძოლისას დაიღუპა, მისი ქვეყანა კი ნორმანებმა ჩაიგდეს ხელში. ასე იყო თუ ისე, ეს შიში წლების მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა. გოთე 13 რიცხვში, პარასკევს საერთოდ არ დგებოდა ლოგინიდან. ასე იქცეოდა კომპოზიტორი არნოლდ შენბერიც, რომელიც, ბედის ირონიით, 1951 წლის 13 ივლისს გარდაიცვალა. ასეთ დღეს ოტო ბისმარკი თავს უფლებას არ აძლევდა, ეფიქრა გერმანიაზე (უყვარდა რაისკანცლერს სამშობლო!) და მხოლოდ პირად საქმეებს აგვარებდა.



„სამი წლის ასაკიდან ზნერ და ჰკითხულო“

მსახიობი თიკო მახარაძე (ცნობილი „გოგონა გარეუბნიდან“) „ერუდიტი“ სტუმრობაზე სიამოვნებით დამთანხმდა. ერთმანეთს ერთ-ერთ კაფეში შევხვდით. სანამ მივუახლოვდებოდი, დარბაზში შესულმა, შორიდანვე დავინახე, რომ თიკო მაგიდასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა. მისალმების შემდეგ, პირველი შეკითხვა ამ წიგნთან დაკავშირებით დავუსვი.

თამუნა კვინიკაძე

პრაკტიკული აზროვნება

— რას კითხულობ?

— ვუდი ალენის ბიოგრაფიას. აქ ბევრი საინტერესო რამ წერია. საერთოდ, წიგნებთან „ვემეგობრობ“, 3 წლიდან გამართულად ვწერ და ვკითხულობ. მახსოვს, ასტრიდ ლინდგრენზე ვგიჟდებოდი. ბებია რომ დაიღუპებოდა კითხვით, მერე დედასთან მივდიოდი, შემდეგ მამას ვთხოვდი, წაეკითხა, ბოლოს გარშემო ყველას რომ მიეძინებოდა, ვსვდებოდი, კითხვა თავად უნდა მესწავლა. ამ საქმეში ბებო დამეხმარა. 3 წლიდან წიგნი ფაქტობრივად, ხელიდან არ გამიგდია.

— შენი საყვარელი ავტორები ვინ არიან?

— საყვარელ ფილმსა და ავტორს ვერასდროს ვასახელებ. მხოლოდ ერთს გეტყვი, — გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ ჩემთვის, „ბიბლია“ გახლავთ...

— გურამ დოჩანაშვილის რომელი გმირია შენთვის ყველაზე ახლობელი?

— კონკრეტულად ვერ ვიტყვი. მეუბნებიან, რომ „სამოსელი პირველიდან“ ანა-მარიას ვგავარ, მაგრამ ჩემთვის ტერეზა არანაკლებ „ახლობელია“.

— ნაკითხულ წიგნებს ხელმეორედ უბრუნდები?

— აუცილებლად, ეს ჩვევად მაქვს ქცეული. მაგრამ არსებობს წიგნები, რომლებსაც მეორედ ვერ წავიკითხავ. „სამოსელი პირველი“ კი დაუსრულებლად შემიძლია ვიკითხო. ასტრიდ ლინდგრენიც მთელი ცხოვრება თან „დამყვება“.

— წიგნი მოგიპარავს?

— მრცხვენია, მაგრამ გამოვტყდები, რომ მომიპარავს, თან — არაერთხელ. პატარა რომ ვიყავი, ბათუმში ვისვენებდი. ოთახში, სადაც ვცხოვრობდი, ბალზაკის მოთხრობების კრებული ვნახე, კითხვა დავიწყე, მაგრამ წამოსვლამდე ვერ დავამთავრე; შოდა, ცდუნებას ვერ ვძლიე და თან წამოვიღე.

— როგორც ვიცი, კლუბის — „რა? სად? როდის?“ მოთამაშე ხარ. როგორ მოხვდი იქ?

— ინტელექტუალთა ახალგაზრდულ ლიგაში ვთამაშობ; ტელევიზიით ვინც გამოდიან, ისინი სუპერლიგის მოთამაშეები არიან. ჯერ სატელევიზიო თამაშისთვის პატარა ვარ — 21 წლის ახლახან გაგზდი. ასეთი თამაშები მიზიდავს, ამ რუბრიკაში სტუმრობაზეც ამიტომ დაგთანხმდი. მეგობრები სულ მეუბნებოდნენ, — მოდი, ითამაშეო, მაგრამ ადრე რუსთაველი ვცხოვრობდი და კლუბში ინტენსიურად სიარულს ვერ ვახერხებდი; მე-7 კლასიდან კი საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი და კლუბში თამაშიც აქტიურად მაშინ დავიწყე.

— სუპერლიგაში თამაშზე არ ფიქრობ?

— რა თქმა უნდა, თუ მანამდე საქართველოში დავრჩები.

— სად აპირებ წასვლას?

— საზღვარგარეთ. ქვეყანაც არჩეული მაქვს, ოღონდ ამაზე ჯერ-ჯერობით არ ვლაპარაკობ, მაგრამ ვიცი, რომ აუცილებლად წავალ.

— როდის?

— სერიალი რომ დამთავრდება, ალბათ მაშინვე. ინსტიტუტს წელს ვამთავრებ.

— იქ რის გაკეთებას აპირებ — შენი პროფესიით იმუშავებ, სწავლას გააგრძელებ, თუ?..

— ვისწავლი და ვიმუშავებ. შეიძლება, რეჟისურაშიც ვცადო ბედი. უფრო კინორეჟისორობა მაინტერესებს.

— ახლა კი დროა, კითხვარზე გადავიდეთ.

— აბა, დავინყოთ.



— „ყველა ქართული მელოდია მარტივი, წყნარი და სევდიანი მელოდიაცაა. ადამიანმა შეიძლება, საათობით ისმინოს ეს მელოდიები და არ იგრძნოს რაიმე დადებითობა, ისინი ადამიანს უგალობენ ნანას, მაგრამ ძილს კი არასოდეს მოჰგვრიან; აავსებენ ოცნებით, ამასთანავე ამყოფებენ სრულიად ფსიხელ მდგომარეობაში“. საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ასე წერდა ფრანგი მწერალი. დაასახელე მისი ვინაობა.

— მარტივად გამოსაცნობია — ალექსანდრე დიუმა.

— რომელ ქრისტიანულ ტაძარშია შემონახული შოთა რუსთაველის ფრესკა?

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

— რომელ ოკეანეშია სეიშელის კუნძულები?

— წყნარ ოკეანეში.

— ცდები.

— მაპატიე, ამერია; წყნარში კი არა — ინდოეთის ოკეანეშია.

— „მამლუქი“ არაბული სიტყვაა. რას ნიშნავს?

— მებრძოლს.

— ვინმეს საკუთრებას, მონას, პროფესიონალ მებრძოლს. მარტის ძველ-ქართული სახელწოდება თუ გახსოვს?

— ვიცოდი და ველარ ვიხსენებ, ამ კითხვაზე მოგვიანებით გიპასუხებ.

— ამ ქართველ მწერალს მამა დაუფრთხეს, დედა გადაუსახლეს. 1943 წელს შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით, ისიც დააპატიმრეს და 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს; მალე სასჯელი დახრტიდა შეუცვალეს, სამთვე-



ნახევარი სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა. რომელ მწერალზეა ლაპარაკი?

— დახვრეტას გადაურჩა?

— დიას. აქვე მისი ერთ-ერთი ნაწარმოებიდან ამონარიდს წაგიკითხავ: „შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ — შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ — შენი ერის“.

— თავიდანვე მივხვდი, ვისზეც იყო ლაპარაკი: „დათა თუთაშხიადან“ ამ ამონარიდის წაკითხვამ დამარწმუნა, ეს მწერალი ქაბუა ამირეჯიბი გახლავთ.

— დაასახელე ერთმანეთზე მიყოლებული 5 დღე ისე, რომ არ გამოიყენო სიტყვები: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი...

— (ფიქრობს) ვაა! როგორ?

— გუშინნინ, გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ. ამ ქვეყანაში ექიმებს ჩვეულებრივ, კარგ გასამრჯელოს უხდიდნენ, მაგრამ თუ იმპერატორი ავად გახდებოდა, მკურნალს მის გამოჯანმრთელებამდე ფული აღარ ეძლეოდა. რომელ ქვეყანაში ხდებოდა ეს?

— რადგან იმპერატორი ასხენე, ალბათ ჩინეთი იყო. გამოვიცანი?

— დიას. როგორ იწყება „ვეფხისტყაოსანი“?

— „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა/ ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერიტა/ ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა/ მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერთა“.

— მულტიპლიკაციურ ფილმში რა ჰქვია კომბლეს ძროხას?

— ჭრელა.

— ეს მხატვარი 99 წლის ასაკში ვენეციაში შავი ჭირით გარდაიცვალა. უკანასკნელი დიდი ნაწარმოები — „ქრისტეს დატირება“ იყო, ტილო მისმა მოსწავლემ დაასრულა. ამ მხატვრის ალბომ-კატალოგში დასახელებული და ნაჩვენებია ნვვ სურათი, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია იმ საგანძურისა, რომელიც მან შექმნა. დასახელე, რომელ მხატვარზეა ლაპარაკი?

— ე.ი. ხანდაზმული გარდაიცვალა და უკანასკნელი ნაწარმოები — „ქრისტეს დატირება“ იყო... ტიცინი?

— გამოიცანი. რომელ ბრძოლაში დაამარცხეს ქართველებმა რუმის სულთან — რუქნადდინი?

— ბასიანის ბრძოლაში.

— „ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს: ერთ სანთელზე რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცოცხლე. პირიქით, იმატებს კიდევ, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი, იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს“. ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— ილია ჭავჭავაძე.

— დიდი ბრიტანეთის გარდა რომელ ქვეყანაში იყო პერი უმაღლესი არისტოკრატის წარმომადგენელთა წოდება?

— საფრანგეთში, სწორად მახსოვს?

— დიას. ბიბლიის მიხედვით, რომელ ქალაქში გაატარა ბავშვობა იესო ქრისტემ?

— ნაზარეთში.

— ქრისტიანული მსოფლმხედველობით, რამდენი საიდუმლოება დაანწესა მაცხოვარმა?

— 7.

— „ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,/ რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს... როგორ გრძელდება ეს ლექსი?

— „...რომ საქართველო ამ გაზაფხულში/ როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს“. შემიძლია, ბოლომდე გავ-

აგრძელო, ძალიან მიყვარს.

— ვინ იყო ბედის და იღბლის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში?

— ფორტუნა.

— ეს საზოგადო მოღვაწე გორის მაზრაში, ლარობი მღვდლის ოჯახში დაიბადა. ჯერ — გორის, შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა...

— (მანყვეტიანებს) სტალინი.

— ნუ ჩქარობ, კითხვას ბოლომდე მოუსმინე, 1861 წლის შემოდგომაზე კიევის სასულიერო აკადემიაში ჩააბარა, მაგრამ უკრაინის ცივი ჰავა ვერ აიტანა და III კურსიდან სწავლას თავი დაანება. მოგვიანებით, თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნა. დაასახელე ეს პიროვნება.

— იქნებ მინიშნება მითხრა.

— მისი ინსპექტორად მუშაობის პერიოდს ვასილ ბარნოვი ასე იხსენებს: „ჩამოიარა ყველა კლასები, ხელი ჩამოართვა მასწავლებლებს, შეგირდებსაც გადმოუგდო ზოგი რამ სიტყვა. — კაცო! კაცო! ახალ ზედამხედველს შეუბლა და შიმშა (წკებლა და სახაზავი) გადაუგდია, უთქვამს, ვერ მოვითმენ, რომ შეგირდებს ლახავდეთო. მართლა და იმ დღიდან შეწყდა კლასში მოსწავლის გაღახვა. დაჩოქებით დასჯასაც უკვე ერიდებოდნენ მასწავლებლები“.

— ვერ გიპასუხებ.

— იაკობ გოგებაშვილი.

— ვაიმე! სიტყვა ვარიანი რომ გეხსენებინა, აუცილებლად მივხვდებოდი.

— რომელია საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი?

— შხარა.

— 1655 წელს საფრანგეთის პარლამენტი შეეცადა ლუდოვიკო XIV-ისთვის შეეცვლევინებინა პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. რა ბრძანა მეფემ?

— ვერ ვიხსენებ.

— „სახელმწიფო — ეს მე ვარ“. რა ერქვა მდინარეს კანადაში, სადაც პირველად ოქრო იპოვეს?

— კლონდაიკი.

— მუშთაიდის ბალის დაარსება ერთ ისტორიულ პიროვნებასთან არის დაკავშირებული; ვინ იყო იგი?

— ზუსტად არ მახსოვს; ვიცი, რომ ეს ბალი მან მეუღლეს გაუშენა.

— მუშთაიდი (ალამირ ფატახი) 1821-1828 წლებს რუსეთ-სპარსეთის ომის დამთავრების შემდეგ, სპარსეთის ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიური მოღვაწე იყო — ის შაჰის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდა. იძულებული გახდა, სამშობლოდან გახიზნულიყო, რუსეთის მთავრობამ მას 50 დესეტინა მიწა უბოძა თბილისში, სადაც მუშთაიდმა ბალი გააშენა. 1845 წელს შაჰმა შეინყალა და სამშობლოში დაბრუნდა.

— მის შესახებ ამდენი რამ ნამდვილად არ ვიცოდი.

— რომელ წიგნზე სრულდება საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონია?

— საქართველოს კონსტიტუციაზე.

— სანამ ბოლო კითხვას დაგისვამდე, შეგახსენებ, მარტის ძველქართული სახელწოდება უნდა გეთქვა.

— ვერ გავიხსენე.

— მირკანი. დაბოლოს, დაასრულე ლაროშველკოს ცნობილი გამოწვევა: „როდესაც მოისურვებ, ვინმეს დაეღაპარაკო შენი საქმეების თაობაზე, ჯერ იმას მიაქციე ყურადღება, თუ როგორ აქვს მას საკუთარი...

— „...საქმე აწყობილი“.



იბაჰი „ბოროტ მევენახეზე“

შორენა მერკვილაძე

მაცხოვრის იგავი ბოროტ მინის მუშაკებზე მოთხოვნილი აქვთ მათ და ლუკა მახარებლებს: სახლის პატრონმა ვენახი გააშენა, გარს ღობე შემოავლო, შიგნით საწინააღმდეგო აშენა, კოშკი ააგო, მინის მუშაკებს ჩააბარა და წავიდა. რთვლის მოახლოებისას, სახლის პატრონმა მინის მუშაკებს თავისი მონები გაუგზავნა ნაყოფის მისაღებად, მაგრამ მათ მონები შეიპყრეს, ზოგი სცემეს, ზოგი კი — დახოცეს. სხვა მონები გაუგზავნა. მინის მუშაკებმა ისინიც სცემეს და ხელცარიელი გამოუშვეს. ბოლოს პატრონმა თავისი ძე გაგზავნა, — იქნებ მისი მოერიდოთო, — მაგრამ როდესაც მევენახეებმა ძე იხილეს, ერთმანეთში მოითათბირეს და თქვეს: ეს მემკვიდრეა; მოდი, მოვკლათ და მემკვიდრეობა ჩვენ დაგვრჩებაო. ასეც მოიქცნენ: გააგდეს ვენახის გარეთ და მოკლეს.

რას უზამს მათ ვენახის პატრონი? — კითხვით მიმართავს მაცხოვარი მსმენელთა. პასუხი ასეთია: მოვა, დახოცავს ბოროტ მევენახეებს და ვენახს სხვებს ჩააბარებს, რომლებიც ნაყოფს თავის დროზე მისცემენო. მაცხოვარმა მზერა მიაპყრო მსმენელთა და კვლავ მიმართა: რას ნიშნავს წერილში დანერგილი: ლოდი, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცაო?... ამიტომაც გეუბნებით თქვენ, რომ ნაგებობებთან ღვთის სასუფეველი და მიეცემა ერს, რომელიც მის ნაყოფს გამოიღებს; ის ვინც ამ ლოდზე დაეცემა, დაიღუნება; ხოლო ვისაც დაეცემა, გასრესა. იგავის შესახებ გვესაუბრება მამა იხსნის შარბიძამ.

— იესო ქრისტე ხშირად მიმართავდა თავის იგავებით მოწაფეებსა და მისი ქადაგებების მოსამსმენად მისულ ხალხს, რათა აღსრულებულიყო დავით ნინასწარმეტყველის სიტყვები: „აღვალო იგავით პირი ჩემი, ვიტყვოდე მე იგავთა დასაბამისათა“; „მივყო იგავსა ყური ჩემი და აღვალო საგალობელითა იგავი ჩემი“. იგავებით მეტყველება კიდევ უფრო ღრმად უნერგავდა ქრისტეს მონაწილეებსა და ადამიანებს მისი ქმედებების მოძღვრების რწმენას.

მაცხოვარი „ბოროტი მევენახეების“ იგავს წარმოთქვამს იუდეველების, რჩეული ერის წარმომადგენელთა გასაგონად, რათა უჩვენოს, რომ იმ დიდი მზრუნველობისა და რჩეულობის მიუხედავად, რაც მათ უფალმა მიაგო, მაინც ვერ გამოსწორდნენ და ვერ განკეთდნენ რჩეულობაში. ვენახი აღნიშნავს იუდეველ ხალხს — ისრაელის

ერს, რომლისთვისაც განაზზადა უფალმა ალექსანდრე მინა და ეგვიპტის მონობიდან გამოყვანის შემდეგ ალექსანდრე ქვეყანაში დანერგა. როგორც წერილშია ნათქვამი: „შეიყვანე და დანერგე ისინი მთასა ზედა წმიდასა შენსა“. ზღუდეში იგულისხმება მოსეს სჯული, რომელიც უკრძალავდა იუდეველებს სხვა ხალხებთან შერევას. რჩეული ერის ქმედებები სარწმუნოება სჯულით იყო შემოსაზღვრული. კომპიუტი უნდა ვიგულისხმოთ ტაძარი, საწინააღმდეგო — საკურთხეველი, სადაც აღესრულებოდა ღვთისმსახურება, მევენახეებში, მინის მუშაკებში კი — სჯულის მოძღვარნი ისრაელის ერისა — მნიგნობრები, მღვდელმთავარნი და ფარისეველები, რომელთაც ევალებოდათ ერის სულიერებაზე ზრუნვა, იუდეველთა მოზადება მესიის, მსხენლის მისაღებად. პატრონის მიერ გაგზავნილი მონები — ღვთისგან რჩეული ერისადმი გაგზავნილი, მივლენილი წინასწარმეტყველნი არიან, რომელთაც იმისთვის უფლენდა იუდეველებს უფალი, რათა ღვთის გზიდან გადახვევის ჟამს, ქმედებებისკენ მოექცია და ქმედებები ღვთის დიდებაში განემტკიცებინა. მაგრამ მათი თანამედროვე წინასწარმეტყველნი და ცრუმოდღვარნი მათ სხვადასხვაგვარად შეურაცხყოფდნენ. გავისხეწოთ თუნდაც მიქეა, რომელსაც მეფე სედუკიამ ლოყაში გააწა... ზოგს კლავდნენ, მსგავსად ზაქარიასი, რომელიც ტაძარსა და საკურთხეველს შორის მოკლეს...

ბოლოს ვენახის მეპატრონემ თავისი ერთადერთი ძე გაგზავნა მევენახეებთან... ძე — განკაცებული უფალი, მაცხოვარია, რომლის წინააღმდეგაც პირველ ყოვლისა, სწორედ იუდეველთა სჯულის მოძღვრები — მღვდელმთავრები, ფარისეველები და მნიგნობრები აღიძრნენ, განიზრახეს მაცხოვრის განადგურება, ფარულად შეიმუშავეს მისი შეპყრობის გეგმა და როდესაც საწინააღმდეგო მის წინააღმდეგ აღძრეს და მისი დახმარებით, განკაცებული მსხენლის ჯვარზე გაკვრის უფლება მიიღეს, „ვენახის“ — ე.ი. იერუსალიმის ფარგლებს მიღმა გაიყვანეს და ჯვარს აცვეს. გოლგოთა, სადაც მაცხოვრის ჯვარცმა აღესრულა, იერუსალიმის გალაგების მიღმა მდებარეობდა.

ვენახის პატრონი მოვა და დახოცავს მევენახეებს, ხოლო ვენახს სხვებს მისცემს სამუშაოდ. ვენახის პატრონი არის მამა ღმერთი. როდესაც იუდეველებმა, ღვთის რჩეულმა ერმა არ მიიღო მსხენელი, მაცხოვარი და მისი განადგურება ისურვა — ჯვარს აცვა

იგი, — ამით თავადვე მოინა მსჯავრი საკუთარ თავზე; მაცხოვრის ჯვარცმის შემდგომ, I საუკუნის 70-იან წლებშივე იერუსალიმი რომაელმა ჯარისკაცებმა ალგავეს პირისაგან მინისა. ისტორიკოსთა გადმოცემით, ორი მილიონი ებრაელი დაიღუპა. ამგვარად, თავისი „ვენახი“ ანუ ახალი რჩეული ერი — ქრისტიანები ღმერთმა სხვა „მევენახეებს“ — მოციქულებსა და მოძღვრებს გადასცა, რომელთა ქადაგებითაც უამრავი ადამიანი მოექცა. და დაიწყეს ნაყოფის მიღება ღვთისთვის. „მოციქულთა საქმის“ თანახმად, მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის დღესვე, პეტრე მოციქულის ქადაგებით, სამი ათასი ადამიანი გაქრისტიანდა. მოციქულთა ქადაგებითვე მალევე მოხდა 5000 კაცის ერთბაშად მოქცევა... ახალალექსიული გაგებით, შეიძლება, ვენახი საღმრთო წერილად მოვიანზროთ, რომელშიც ასო — ზღუდეა, საწინააღმდეგო — სიღრმე სულისა, ხოლო კომპი — ამალელებული ღვთისმეტყველება. თავდაპირველად, წმინდა წერილი, ქმედებები სჯული „ბოროტ მევენახეებს“ — ფარისეველებს ჰქონდათ, მაგრამ შემდგომ უფალმა მოციქულებსა და მათ მემკვიდრეებს — ღვთისმსახურთ, ასევე, თითოეულ ღვთისმადიდებელ ადამიანს გადასცა.

იგავით თხრობის დასრულების შემდეგ, მაცხოვარი მსმენელთა ეუბნება: ნუთუ არ წაგიკითხავთ წერილში, — ლოდი, რომელიც დაიწუნეს მშენებლებმა, კუთხის თავად დაიდგა? უფლის მიერ იქმნა ეს და საოცრებად უჩანს ჩვენს თვალს: მშენებლებს უფალი — იუდეველთა სჯულის მოძღვრებს უწოდებს, ხოლო ლოდს — საკუთარ თავს, რომელიც, როდესაც მკვდრეთით აღდგა, კუთხის თავში იქნა დადებული. როგორც კუთხეში დადებული ლოდი აერთებს ორ კედელს, ასევე შეაერთა იესო ქრისტემ ყველა ერთ სარწმუნოებაში.

შემდგომ, მაცხოვარი იუდეველთა მიმართავს: ამიტომაც გეუბნებით თქვენ, რომ ნაგებობებთან ღვთის სასუფეველი და მიეცემა ერს, რომელიც ნაყოფს გამოიღებსო. ამით უფალი მიგვანიშნებს, რომ იუდეველები უარყოფილი არიან, ხოლო წარმართები — სხვა სჯულიდან მოქცეულნი, რომლებმაც ქრისტიანობა მიიღეს, — შეწყნარებულნი. იუდეველებს ნაერთვით სასუფეველი ღვთისა ანუ უფალთან სიახლოვე და გადაცხობა მათ, რომლებმაც ირწმუნეს, ვინც ქრისტეს სჯულს მიიღებს და ქრისტეს მიერ მოცემული მცნებების დაცვა-აღსრულებით იცხოვრებს.



ბექები და მისი საიდუმლოება

სამკაული ყველა ქალს უყვარს, მაგრამ ყველამ როდი იცის, ესა თუ ის ბექედი რომელ თითზე უნდა გაიკეთოს. არსებობს მეცნიერება, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ საკითხს სერიოზულად უნდა მივუდგეთ

სარი

დაკავშირებულია თავთან, კისერსა და ხერხემალთან. კარგია, თუ ამ თითზე გაიკეთებთ ალმასის თვლებით შემკულ ვერცხლის ან თეთრი ოქროს ბექედს.

საჩვენებელი თითი

მასზე უნდა გაიკეთოთ საფირონის, ოპალის (ბიონერგეტიკოსების აზრით, ოპალი ნათესაური კავშირების განმტკიცებას უწყობს ხელს) და აკვამარინის თვლიანი (აკვამარინი მებღვაურთა ქვად მიიჩნევა) ბექედი.

შუა თითი

მასზე უნდა მოირგოთ ვერცხლის ბექედი, რომელშიც ჩასმული იქნება იისფერი ან შავი თვალი. თუმცა, მათ ტარებას მხოლოდ საქმიანი შეხვედრების დროს გირჩევთ.

არათითი

იგი დაკავშირებულია გულთან. ამიტომაც, მასზე საქორწინო ბექედს ატარებენ. იმისათვის, რომ წარმატება და სიყვარული მოიზიდოთ, ამ



თითზე წითელთვლიანი (ლალი, ძონი, წითელი იასპი) ბექედი გაიკეთეთ.

ბეკი

ძველ სწავლულთა აზრით, ყველაზე პატარა თითი პასუხს აგებს მეტყველებაზე. გირჩევთ, იგი ყვითელ (სარდინი, ქარვა, ტოპაზი) ან მწვანეთვლიანი (ზურმუხტი, ქრიზოლითი, ქრიზოპარი) ბექედით შეამკოთ.

ენერჯისა და ტონუსის წყარო

ჩვენი დატვირთული ცხოვრების რიტმს რომ ავყვეთ და თან ენერჯია და ტონუსიც შევინარჩუნოთ, სპეციალისტები გვირჩევენ:

1. ბევრი იმოძრავეთ, თანაც ეცადეთ, ეს სიამოვნებით გააკეთოთ.
2. გარშემო მყოფებთან შეხებას თავს ნუ აარიდებთ: მეგობრული მოხვევა, ხელის ჩამორთმევა — ენერჯის ჯანსაღი წყაროებია; ეცადეთ, გაიაროთ მასაჟის კურსიც.
3. სამუშაო დღის განმავლობაში თავს ხანმოკლე დასვენების უფლება მიეცით.
4. დიეტაზე ნუ გადახვალთ. მიირთვით ჯანსაღი საკვები დღეში 5-6-ჯერ, მცირე ულუფებით.
5. გაისვენეთ არომათერაპია. პიტნის ეთეროვანი ზეთი ეფექტიანი გამამხნეველი საშუალებაა.
6. ისუნთქეთ ღრმად. რაც მეტ ჟანგბადს ჩაისუნთქავთ, მით უფრო მოგემატებათ ენერჯიაც.
7. თავს დასვენების დღე მოუწყვეთ — უბრალოდ წამოწეით ან ისეირნეთ.
8. ყოველთვის ერთსა და იმავე დროს დანექით და ადექით, დასვენების დღეებშიც კი.
9. კვირაში ერთხელ კარგად გამოიძინეთ.

ბრეიკფასტის დიეტა

დიეტის ხანგრძლივობა 12 დღეა. ამ დროის განმავლობაში თავისუფლად დაიკლებთ 3-დან 7 კგ-მდე. ეს მეთოდი საკუთარ თავზე წარმატებით გამოცადეს კაილი მინოუგმა და ბრუკ შილდსმა.



ამავდროულად შეგიძლიათ მიიღოთ თევზი, მოხარშული ან მოშუშული საქონლის, ქათმის ხორცი.

ყავა — არა უმეტეს 1 ფინჯნისა დღეში.

ნებადართულია:

უცხიმო ხორცი, რძის პროდუქტები (აუცილებლად დაბალცხიმოვანი), ხილი, ისპანახი, ბროკოლი, ბულგარული წინაყა.

აკრძალულია:

დესერტი, გაზიანი სასმელები, კარტოფილი, მაიონეზიანი სალათები, პური, მაკარონი, ყველი, რძიანი ფაფა, კომბოსტო, ბურღულეული, კიტრი, სტაფილო, ტომატი.

დიეტის დადებითი მხარე:

ეს დიეტა საკმაოდ დაბალანსებულია. ნებადართული პროდუქტების სია დიდია და საშუალებას გაძლევთ მიიღოთ ყველა საჭირო ვიტამინი და მიკროელემენტი. გარდა ამისა, გრეიპფრუტი დიდი რაოდენობით შეიცავს იმუნიტეტისთვის საჭირო C ვიტამინს.

დიეტის უარყოფითი მხარე:

მხოლოდ 800 კალორია დღეში ძალიან ცოტაა და თუ თქვენ აქტიური ცხოვრების წესს მისდევთ, ანდა ბევრს მუშაობთ, ადვილად იგრძნობთ დაღლილობასა და სისუსტეს.

დიეტის დასვის წესები:

აუცილებელია კალორიულობის შეზღუდვა, დღეში მხოლოდ 800 კალორია უნდა მიიღოთ;

დილა დაიწყეთ გრეიპფრუტით ან გრეიპფრუტის ახალგაშონურული წვენი;

საუზმესა და სადილზე აუცილებლად მიირთვით გრეიპფრუტი.

რუბრიკა მოამზადა **ქვა ბუნთაიშვილმა**



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიძე

წვენებით მკურნალობა



განვადგრობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს წვენების სამკურნალო და პროფილაქტიკურ თვისებებზე.

* ასტიმულირებს ღვიძლის ფუნქციას; მიიღება: ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, 1/4 ჭიქა.

ბროწეულის წვენი

გამოიყენება ანემიის სამკურნალოდ, აგრეთვე პანკრეასის და კუჭ-ნაწლავთა პათოლოგიების დროს.

მიიღება: 1/2-1 ჩ/ჭ დღეში 3-ჯერ. გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება, შეკრულობა გამოინვიოს.

როგორ დაიწყეთ წვენებით მკურნალობა

ჯანმრთელობისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ორგანიზმის გასუფთავება მავნე ნივთიერებებისგან. გახსოვდეთ, სხეულში დაგროვილი ნებისმიერი მავნე ნივთიერება აფერხებს გამოჯანმრთელების პროცესს.

სანამ სამკურნალო მიზნით წვენის მიღებას დაიწყებდეთ, უნდა გაინჰინდოთ ორგანიზმი. არსებობს ორგანიზმის მავნე ნივთიერებებისგან გასუფთავების სწრაფი და ეფექტიანი მეთოდი.

დილით უზმოზე დალიეთ ერთი ჭიქა გლაუბერის მარილის წყალხსნარი (1 ჩ/კ 1 ჩ/ჭ წყალთან ერთად). გამოსული „სიბინძურის“ რაოდენობა შეიძლება, 3-4 ლიტრსაც აღწევდეს. ეს ორგანიზმის გამოფიტვას გამოიწვევს, ამიტომ გლაუბერის მარილის მიღებიდან ნახევარ საათში და შემდეგ, ყოველ 20-30 წუთში, უნდა დაიწყოთ 2 ლიტრ წყალში გახსნილი 2 ლიტრი ახალგამონჭრული ხილის წვენის (უმჯობესია — ციტრუსის: 6 საშუალო ზომის გრეიპფრუტისა და 3 ლიმონის წვენი 2 ლიტრამდე შეავსეთ ფორთოხლის წვენი) დაღვევა, სანამ ოთხივე ლიტრს ბოლომდე არ მიიღებთ. ძილის წინ კი გაიკეთეთ თყნა — 2 ლ ოდნავ თბილი წყლით (შეგიძლიათ დაუმატოთ 1-2 ლიმონის წვენი).

ამ პროცედურის გაკეთება საჭიროა ზედიზედ 3 დღის განმავლობაში. შედეგად, ორგანიზმიდან გამოვა დაახლოებით 20 ლ ტოქსიკური „სითხე“, რომელიც ამდენივე ტუტე ხსნარით შეიცვლება.

მეოთხე დღიდან უკვე შეგიძლიათ, დაიწყოთ წვენების მიღება.

ვაშლის წვენი

ვაშლის წვენი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ხელს უწყობს გულის მუშაობას. იგი ასტიმულირებს ღვიძლის ფუნქციას, არეგულირებს ქოლესტერინის შემცველობას სისხლში; ეფექტიანია ანემიის, ზედმეტი წონის, ვიტამინების დეფიციტის, რევმატიზმისა და შარდკენჭოვანი დაავადებების დროს.

ყურძნის წვენი

ყურძნის წვენს აქვს:

* ანტიტოქსიკური, შარდმდენი, მატონიზებელი, საფლარათე, ოფლმდენი, ამოსახველებელი მოქმედება;

* გამოიყენება დაბალი არტერიული წნევის დროს;

* ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას;

* აუმჯობესებს გულის მუშაობას.

* გასათვალისწინებელია, რომ ყურძნის წვენი უკუნაჩვენებია: შაქრიანი დიაბეტის, პანკრეატიტების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების დროს.

* ყურძნის წვენი კიდევ უფრო აუარესებს კარიესული კბილის მდგომარეობას. ამიტომ, მისი მიღების შემდეგ რეკომენდებულია პირის ღრუში სოდიანი წყლის გამოვლება.

ლიმონის წვენი

მდიდარია C ვიტამინით, აქვს ანტი-მიკრობული და ანტისეპტიკური მოქმედება, ეფექტიანია ათეროსკლეროზის, კუჭ-ნაწლავის, შარდკენჭოვანი დაავადებების დროს; სისხლში პროთრომბინის დონეს დაბლა სწევს.

ბრინჯაფრუტის წვენი

* აუმჯობესებს საჭმლის მონელებას;

* დაბლა სწევს არტერიულ წნევას;

ქვემოთ მოყვანილი გვაქვს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ გამოსაყენებელი წვენების ნარევის შემადგენლობა და მათი რაოდენობრივი შეფარდება. გთავაზობთ რამდენიმე ვარიანტს; გაითვალისწინეთ, რომ ყოველი წინა ვარიანტი სჯობს მომდევნოს.

ალერგია

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6 შეფარდებით;

2) სტაფილოს, ახალი კიტრისა და ჭარხლის წვენი 10:3:3;

3) სტაფილოს წვენი.

აპენდიციტი

1) სტაფილოს წვენი;

2) სტაფილოს, ნიახურის, ოხრახუმი-სა და ისპანახის წვენი 7:4:2:3.

არტერიოსკლეროზი

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ნიახურის, ოხრახუმი-სა და ისპანახის წვენი 7:4:2:3;

3) სტაფილო, ჭარხალი და ნიახური 8:3:5.

ართრიტი

1) გრეიპფრუტის წვენი;

2) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

3) ნიახურის წვენი;

4) სტაფილოსა და ნიახურის წვენი 9:7.

ასთმა

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) პირშუშხა ლიმონის წვენი (1 ლიმონზე 100 გ პირშუშხა);

3) სტაფილოსა და ნიახურის წვენი 9:7;

4) სტაფილოსა და ბოლოკის წვენი 1:5.

პრონეტი

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოსა და ბაბუნაწვერას წვენი 12:4.

გულის დაავადებები

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3.

ღიაზაბი

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ნიახურის, ოხრახუმი-სა და ისპანახის წვენი 7:4:2:3.

წინააღმდეგობის უნარი

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ნიახურის, ოხრახუმი-სა და ისპანახის წვენი 7:4:2:3.

თხალის დაავადებები (ატარაქაზა და სხვა)

1) სტაფილოს წვენი;

2) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6.

თიაჰარი

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს წვენი.



თირკმლის დაავადებები

1) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3;

2) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6.

კბილის დაავადება

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ბაბუნაწვერასა და ბოლოკის წვენი 11:3:2;

3) სტაფილოს წვენი.

ლიაოციტოზი

1) სტაფილოს წვენი;

2) სტაფილოსა და თეთრი ჭარხლის წვენი 13:3.

ნაღვლის გუშის დაავადებები

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3.

პოდაგრა

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3.

პოლიოზილიტი

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ნიახურისა და ოხრაბუშის წვენი 9:5:2.

პროსტატის დაავადებები

1) ლიმონის წვენი;

2) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3;

3) სტაფილოს და ისპანახის წვენი 10:6.

სასქესო ორგანოების დაავადებები

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3.

სიმსუქნე

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს წვენი;

3) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3.

სიჭრუე

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ნიახურისა და ოხრაბუშის წვენი 9:5:2.

უნაყოფოვება

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3;

3) სტაფილოს წვენი.

ფეხის თითების სკოვანი დაავადება

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3;

3) სტაფილოს წვენი.

ყაზოვია

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3.

ზარდის გუშის დაავადებები

1) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3;

2) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6.

ვამოროი

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ნიახურის, ოხრაბუშისა და ისპანახის წვენი 7:4:2:3.

მაღალი წნევა

1) სტაფილოსა და ისპანახის წვენი 10:6;

2) სტაფილოს, ჭარხლისა და კიტრის წვენი 10:3:3.

P.S. პატივცემულ მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თამბაქური წიგნები

შერანდ „ოჯახის მკურნალთა“ პრემია

24 მარტიდან

საჩივის მომდევნო თამბაქური წიგნები:

- №3 ვედაუფარი გაფაფუკებული საშაფიშიწო დახმარების შესახებ**
- №4 ვედაუფარი ალერგიის შესახებ**
- №5 ვედაუფარი სტრუქტურული და ინფორმაციის შესახებ**

ადამიანი



„მიზანდასახული ადამიანი ვარ, სხვის ხარჯზე სსოვრება არ მინდა“



კრაკოვში, 2009 წელს

თაშუა კინიკაპი

— ავარიის დღიდან რა დრო გავიდა, ზუსტად აღარც მახსოვს, წლებს არ ვითვლი. ან — რატომ უნდა ვითვალო?! ეს 10-11 წლის წინ მოხდა — მაშინ 19 წლის ვიყავი, „გეპუიში“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფაკულტეტის II კურსზე ვსწავლობდი. სოფელში ვიყავი ჩასული. კარგად ვიქეიფეთ, გავერთეთ... იანვარი იდგა, მაგრამ ავტიტეხე, ტყეში წავიდეთ და იქ ვიქეიფოთ-მეთქი. მერე, როგორც ხდება ხოლმე, საჭესთან მთვრალი მძღოლი დაჯდა და ხევი გადავიჩხეთ.

— ეს სად მოხდა?

— კახეთში, ფიროსმანის სახლ-მუზეუმთან ახლოს. საბედნიეროდ, ყველანი გადავრჩით. გონება არ დამიკარგავს, მაგრამ ხელ-ფეხი ვერ ავამოძრავე. მახსოვს, სასწრაფოდ თბილისში გადმოყვანას ვითხოვდი. ხალხი პანიკაში ჩავარდა, მთელი სოფელი იქ მოგროვდა. ამ დროს ჩემი განძრევა არ შეიძლებოდა, არადა, მანქანიდან

შეიძლება, ეს ინტერვიუ ბევრი თქვენგანისთვის სტიმულის მომცემი აღმოჩნდეს. ჩემი რესპონდენტი — 30 წლის ნიკა დონჯაშვილი 10 წლის წინ ავტოავარიაში მოყვა და მძიმე დიაგნოზის მიუხედავად, მომავლის რწმენა არ დაკარგა, რეალობას თვალის გაუსწორა, მაგრამ დაუდგა და მაშინ, როცა ექიმები იმასაც კი ეჭვობდნენ, შეძლებდა თუ არა ეტლში დაჯდომას, მან ყავარჯენებით გაიარა... მერე მუშაობა დაიწყო, ვეროპის არაერთ ქვეყანაში იმოგზაურა, დაქორწინდა...

გადმომათრიეს, მინაზე დამანვინეს, წყალს მასხამდნენ.

— ამ დროს ტკვილს არ გრძობდი?

— არა. ვუბნებოდი, არაფერი მტკივა და თავი დამანებეთ-მეთქი... ხმა დაკარგე, ხმამალა ვერ ვლაპარაკობდი. მანქანაში შემყვანეს და ვილატის კალთაში ჩამადებინეს თავი. კისრის ამოძრავებისას გავითიშე: თურმე მე-11 მალის მორჩის მოტეხილობა მქონდა, მოტეხილი ადგილი ნერვს აწვებოდა და საშინელ ტკვილს იწვევდა... რაიონის საავადმყოფოში მიმიყვანეს, იქიდან თბილისამდე რეანიმობილით ჩამომიყვანეს და ოპერაცია გამიკეთეს. იმისათვის, რათა ყოველ გადასახმარე არ იწვებოდა, ექიმმა კათეტერი მთავარ არტერიის ჩამიტოვა. ამან ინფექციის შეჭრა გამოიწვია, რასაც მთელი რიგი გართულებები მოჰყვა — ტემპერატურამ ამინია; ყველანი ფიქრობდნენ, რომ ეს ცუდად გაკეთებული ოპერაციის ბრალი იყო... თავიდან მიზეზი ვერ გაიგეს, ანტიბიოტიკებს მასმევენდნენ, მერე ფეხიც გამიხდა. მიხვდნენ — თრომბი იყო.

— ამ ხნის მანძილზე ხელ-ფეხის ამოძრავება არ შეგეძლო?

— არა.

— შეგრძნებაც არ გქონდა?

— რალაც დონეზე მქონდა. ამ მხრივ, ამ 10 წლის მანძილზე დიდი წინსვლა არ მომხდარა — დღემდე ფეხზე სიცივესა და სიცხეს ვერ ვგრძნობ. თუ ფეხს მდულარე წყალში ჩავყოფ, ინსტიქტურად ამოვიღებ, თორემ ისე,

მდულარეს, როგორც უბრალოდ თბილს, ისე ვგრძნობ; ხელზე ნემსის ჩხვლეტას ზოგან ვგრძნობ, ზოგან — ვერა: გარკვეული უბნები მკვდარი მაქვს. ადამიანებს, რომლებიც ამგვარი პრობლემის წინაშე დგანან, მინდა ვუთხრა: შეგრძნების აღდგენას ნუ დაელოდებიან. არაერთხელ მსმენია, — შეგრძნება რომ დამიბრუნდება, ვარჯიშს დავიწყებ, გავაქტიურდები... ასეთი მიდგომა არასწორია. ეს მანამდე უნდა გააკეთო, არ უნდა მოეშვა.

— რთული ოპერაცია გაგიკეთეს?

— პირველი ოპერაცია მარტივი იყო — დაზიანებული უბანი გაკვეთეს, დაზიანებული ადგილები ამოასუფთავეს და დახურეს... 9 თვის შემდეგ ცოტათი ავამოძრავე ხელი. როგორც კი მოძრაობის უნარი აღმიდგა, ვარჯიში დავიწყე. თავიდან მამა და ძმა ამომიდგებოდნენ ხოლმე მხრებში და ასე ვდგამდი ნაბიჯებს, მაგრამ ვიღლებოდი, თავბრუ მეხვეოდა და დაჯდომას ვითხოვდი.

— ამის ნებას ექიმები გრთავდნენ?

— ნებას მრთავდნენ, მაგრამ ჩემზე ამბობდნენ, — ეტლზე დაჯდომას თუ შეძლებს, ეს იდეალური ვარიანტი იქნება; ისეთი დაზიანება აქვს, შეიძლება, მთელი ცხოვრება საწოლში გაატაროსო... მამისა და ძმის დახმარებით, ჯერ ერთი ნაბიჯის გადადგმა შეეძელი, მერე — სამის და ა.შ. მერე მამაჩემი ჩამოვიშორე და ყავარჯენს დავყვრდენი. ცოტა ხანში ჩემი ძმაც ყავარჯენმა „შეცვალა“. ეს



თავდაუზოგავი შრომის შედეგი იყო. ყველა ბარიერი გადავლახე, ეზოში, სტადიონზეც ჩავედი; ქარში, წვიმაში, ყინვაში — გამუდმებით ვვარჯიშობდი. პირველად 1 წრე დავარჯიშე, 2 თვის შემდეგ — 40. ბევრჯერ წავეცეულვარ კიდეც, ოღონდ წაქცევის დროს ვერ ვიხრებოდი, მთელი სხეულით მიწას ვწინარეობდი.

— წამოდგომას დამოუკიდებლად ახერხებდი?

— არა, ვინმე უნდა დამხმარებოდა. შიში არ მქონდა: ბავშვი თუ არ წაიქცა, ისე სიარულს ხომ ვერ ისწავლის?! ჩემი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა, რეაბილიტაციის კურსიც მომბეზრდა. საკუთარ თავს შემოვუძახე, — ცხოვრება გრძელდება, სამსახურზე უნდა იფიქრო, მომავალი უნდა შექმნა-მეთქი!..

— და სოციალურ რეაბილიტაციაზე ფიქრი დაიწყე..

— დიას, ავადმყოფობას არ დავნებდი, ცხოვრებაზე ხელი არ ჩავიქნე. ორწელიწად-ნახევრის მანძილზე, მოძრაობის უნარი შემინარჩუნდა, მაგრამ ერთ დონეზე დავრჩი. რენტგენის სურათი გადავიღე და აღმოჩნდა, რომ ზურგის ტვინი, რაღაც ნაწილობრივად გამო, მოხრილი იყო და ზეწოლას განიცდიდა. მეორე ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ისევ ვარჯიში დავიწყე.

— მისაბაძი ადამიანი ხარ: ბარონების გადალახვის ძალა ყველას როდი შესწევს. შენთვის ყველაზე დიდი სტიმული რა იყო?

— ჩემი ხასიათი. არ შემძლია, სახლში ფანჯარასთან ვიჯდე და ვუყურო, როგორ მიდის ზამთარი და მოდის გაზაფხული... ასე ვერ გავძლებდი, გავგიჟდებოდი. მახსოვს, ახალი „ფესადგმული“ ვიყავი, როცა მეგობრებთან ერთად ურეკში წავედი. მართალია, პრობლემები იყო, მაგრამ უკან არ დავიხიე. სახლიდან კიბეზე

ძლივს ჩავდიოდი, მანქანაში ვჯდებოდი და მეგობართან ნათლულის სანახავად მივდიოდი.

— ნიკა, სასწავლებლის დამთავრება შეძელი?

— დიას. ამაში ხელი შემინყო ბატონმა ვანო ჭიაურელმა — ფსიქოლოგიას გვასწავლიდა. ეს ადამიანი მხარში მედგა, ოჯახშიც მოდიოდა... გამოცდებისთვის ჩვეულებრივად მოვემზადე, ჩავაბარე და დიპლომი ავიღე. ახლა პერიოდულად, განათლების სამინისტროსთანაც ვთანამშრომლობ, წელიწადში ორჯერ მინიც მინევს საზღვარგარეთ, ტრენინგებზე გამგზავრება. იქ ეტლით გადავადგილდები. ავსტრიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, უკრაინაში უკვე ვიყავი. ახლა იტალიაში მოგზაურობის სურვილი მაქვს — მინდა, ვენეცია ვნახო.

— ისეთი მიზანდასახული ხარ, მჯერა, ამ სურვილსაც უეჭველად აისრულდება.

— წინააღმდეგობების დაძლევა ადამიანმა თვითონ უნდა შეძლოს. ერთი პერიოდი ავიჩემე, მანქანა უნდა ვიყიდო-მეთქი. ყველას უყვირდა, მეკითხებოდნენ, როგორ უნდა იყიდოო?! თან, მართვის მოწმობაც არ მქონდა... მთავარია, ადამიანმა მოინდომოს. მოწმობაც ავიღე და მანქანაც შევიძინე.

— როგორ მოახერხე?

— დამიჯერე — ჩემს ოჯახს ერთი თეთრიც კი არ დაუმატებია. იმ პერიოდში ერთდროულად, ჩვენს ორგანიზაციაში — „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, განათლების სამინისტროში და სოროსის პროექტზე ვმუშაობდი... ჩემთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არსებობს, ქალაქში გადაადგილების ერთადერთი საშუალება ტაქსი იყო და ბევრი ფული მეხარჯებოდა.

— ნიკა, როგორც ვხედავ, დაოჯახებული ხარ — ხელზე საქორწინო რგოლი გიკეთია..

— ჩემს მეუღლეს მეიკო ჰქვია, განათლების სამინისტროში გავიცანი. გაცნობიდან ერთ წელიწადში დაოჯახება გადავწყვიტეთ. ბინა ვიგირავეთ, ჯვა-

რი დავინერეთ და დღეს ძალიან ბედნიერები ვართ.

— ამ თემაზე ასე მოკლედ ლაპარაკი არ გამოვა. მეიკოს გამააცნობ?

— რა თქმა უნდა.



გაცნობიდან ერთ წელიწადში დაოჯახება გადავწყვიტეთ

მაიკო:

— ნიკა საერთო მეგობარმა, თამარ მახარაშვილმა გამაცნო. ახლა ის ჩვენი მეჯვარეა... მანამდე, ხშირად მელაპარაკებოდა რატი იონათამიშვილსა და ნიკა დონჯაშვილზე; ორივენი მისი საუკეთესო მეგობრები არიან. რატომღაც სულ მაინტერესებდა, ვინ იყო ნიკა. რატი ერთხელ ნაწახი მყავდა... გაცნობის დღეს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, ჩვენი ურთიერთობა იმ დღიდან არ დანწყებულა.

ნიკა:

— იმ დღიდან თვალი დამაღდა.
— თუ პირიქით მოხდა?
— არა, იმედია, ამას ახლა მაინც აღიარებს (იცინიან).

მაიკო:

— მერე, 2008 წლის აგვისტოს ომი დაიწყო. ერთმანეთი დიდი ხნის მანძილზე აღარ გვინახავს. მორიგი შეხვედრა ისევ სამსახურის საქმესთან დაკავშირებით მოხდა. მერე მესიჯების წერა, ინტერნეტით ურთიერთობა გავაგრძელეთ. ჯერ მეგობრებთან ერთად, მერე მათ გარეშე ვხვდებოდი და დღეს ბედნიერები ვართ.

— ნიკამ რით მოგხბოლა?

— ძალიან თბილი, მხიარული ადამიანია, ყურადღებებიანიც; სულ იღიმის. შეუძლებელია, მის გვერდით ცუდ ხასიათზე იყო. საოცრად ენერგიულია.

— მისი მდგომარეობის გამო, ალბათ ბევრი გოგო არ მოიქცეოდა შენსავით.

— როცა ჩვენს ურთიერთობას სერიოზული სახე მიეცა, თავის მდგომარეობას გამუდმებით მახსენებდა. ნიკა გულთან ისე ახლოს მოვიდა, მეგონა,



სგამბოლში, 2010 წელს



ამ ადამიანს მთელი ცხოვრება ვიცნობდი.

ნიკა:

— გოგონებთან ურთიერთობისას ყოველთვის მიმართლებდა (იცინის).

მიკო:

— აი, სულ ასე ხუმრობს.

— **ეს ამბავი მშობლებს როგორ უთხარი?**

— მამა ცალკე ცხოვრობს. დედასთან ნიკაზე, როგორც მეგობარზე, ხშირად ვლაპარაკობდი, მერე ფოტოებიც ვაჩვენე. როცა დაოჯახება გადაწყვიტეთ, დედასთან საუბრის დროს ვთქვი, დღეს ნიკას დედა გავიცანი-მეთქი. — რატომო? — მკითხა. მეც არ დამიძალავს და ვუთხარი, დაქორწინებას ვაპირებთ-მეთქი. ამ ამბავს ჩვეულებრივად შეხვდა. უბრალოდ მკითხა, გააზრებული მქონდა თუ არა ის ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც ვაპირებდი?..

ნიკა:

— სიდედრთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. სანამ დაოჯახებას გადაწყვეტდით, მეიკოს ვეუბნებოდი, — ჩემმა შვილმა რომ მითხრას, ინვალიდს მიყვებიო, დავუშლი და ძალიანაც ვეჩხუბები-მეთქი. უფრო მეტიც: გულახდილად გეტყვი, გოგონა რომ მყვარებოდა და შემდეგ ის ისეთივე პრობლემის წინაშე დამდგარიყო, რაც მე მაქვს, შეიძლება, მასზე დაქორწინებაზე უარი მეთქვა. ის სტერეოტიპები, რომელიც ამ ქვეყანაში ფეხმოკიდებულია, გარკვეულწილად ჩემზეც აისახება. ამ დროს ათას რამეზე ფიქრობ — როგორ უნდა მიიყვანო ის ოჯახში, როგორ უნდა წარუდგინო მეგობრებს და ა.შ.

— **შენს შემთხვევაში ეს როგორ მოხდა?**

მიკო:

— ჩვეულებრივად, განსაკუთრებულად არაფერი ყოფილა.

— **შენს გადანწყობლებას მეგობრები როგორ შეხვდნენ?**

— უახლოესმა მეგობრებმა ჩვენი ურთიერთობის შესახებ თავიდანვე იცოდნენ. ვინც ნიკას არ იცნობდა, მკითხეს, გაცნობიერებული გაქვს, რასაც აკეთებო? მერე რა მოხდა, რომ ადამიანი ჯოხით დადის?! ახლა ნიკა ყველას ძალიან უყვარს. მას არაფერი



მოუტყუებია, არც ოცნების კომპები აუგია, შესაძლო სირთულეებზე ყოველთვის თავად იწყებდა ლაპარაკს, მაგრამ დღეს იმაზე კარგად ვართ, ვიდრე წარმოგვედგინა.

— **ბავშვს არ ელოდებით?**

— ჯერჯერობით — არა.

— **ნიკა რომანტიკულია?**

— სიურპრიზების მონაცობა უყვარს. ერთხელ, რაიონის სკოლაში მომიწია წასვლამ. გვიან, დაღლილი დავბრუნდი შინ. გზაში ვფიქრობდი, ახლა ნიკას ეძინება-მეთქი. კარი შევაღე და ვხედავ, ყვავილებითა და სანთლებით განწყობილ სუფრას უზის. ჭარხლისგან გულელები გამოეჭრა.

— **მიკო, შენი საქმიანობის შესახებ მიაზბე.**

— ვარ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრი, ფსიქოლოგი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან ვმუშაობ, სკოლებში დავდივართ და ვეხმარებით პედაგოგებს, როგორ ჩააბან ეს ბავშვები გაკვეთილის პროცესში. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს ვუწერ.

ნიკა:

— ამ მხრივ განათლების სამინისტროში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. ინტეგრირებულ სკოლებში ბავშვები ერთად იზრდებიან. მათთვის ეტლიანი ადამიანი უცხო აღარ არის. ბევრი ინვალიდი ამ მდგომარეობისა და საზოგად-

ობების დამოკიდებულების გამო ითრგუნება, ხალხთან აღარ ურთიერთობს და ეს ძალიან ცუდია. ევროპის ქვეყნებში ქუჩაში უამრავი ეტლიანი ადამიანი დადის, საქართველოში — სახლებში არიან გამოკეტილი... სანამ ავარიში მოყვებოდი, ზოგადად რა იყო ინვალიდობა, არ ვიცოდი. ჩემ გვერდით ასეთი არავინ იყო. მხოლოდ ერთ ქალბატონს ვიცნობდი — ჩემი მეგობრის ბებიას, რომელიც ხიზაბავრაში ცხოვრობდა და ბიჭები რომ ჩავდიოდით, ეს ეტლიანი ბებო გვივლიდა, ყოველ დღით ხაჭაპურებს გვიცხობდა. საოცარი ადამიანი იყო.

— **ევროპის ქვეყნებში ტრენინგებზე დადიხარ. იქ საცხოვრებლად დარჩენაზე არ გიფიქრია?**

— ჩემს მდგომარეობაში მყოფი ბევრი ადამიანი საქართველოდან გაქცევაზე ოცნებობს. ყველას უნდა, იქ იცხოვროს, სადაც ექნება საცხოვრებელი ადგილი და გარემო მასზე იქნება მორგებული.

მე ასე არ ვფიქრობ. სხვის ხარჯზე ცხოვრება (მამინაც კი, თუ ეს „სხვა“ სახელმწიფოა) არ მინდა. ავსტრიაში რომ ჩავდი, ტრენინგის მესამე დღეს მითხრეს, მთაზე უნდა გავისეირნოთ, უარი ვთქვი, — ეტლით ვარ და როგორ წამოვალ-მეთქი?! დამცინეს. იქ რომ ავედით, ისეთი ლიფტები და გარემო დამხვდა, გაცოცხლებული დავრჩი. შემძლია, ევროპაში წავიდე და იქ ისე ვიცხოვრო, ყოფით პრობლემებზე არ ვიფიქრო, მაგრამ მორჩენია, საქართველოში ვიყო და პრობლემები მქონდეს. საერთოდ, მიზანდასახული ადამიანი ვარ.

— **შენი მონათხრობიდანაც ჩანს. ახლა რა მიზანი გაქვს?**

— ახლა სახლის ყიდვაზე ვფიქრობ. სწავლა და ტრენინგებზე სიარულიც მინდა.

— **რას ეტყვი იმ ადამიანებს, რომლებიც მსგავსი პრობლემის წინაშე დგანან და ძალა არ შესწევთ, რეალობას თვალი გაუსწორონ და მომავლის იმედი დაკარგული აქვთ?**

— გააქტიურდნენ და ცხოვრება უკეთესი გახდება. სახლში ჯდომით არაფერი გამოუვათ, „კოალიციაში“ რომ არ დამენყო მუშაობა, წავიდოდი და სხვა ორგანიზაციებთან ვითანამშრომლებდი, პროექტებს დავწერდი... გახდნენ აქტიურები და ნუ დაელოდებიან იმას, თუ როდის გაუზრდის პენსიას ხელისუფლება. ეტლი და ყავარჯენი ხელის შემშლელი არ არის.

PALITRA **უყუჩა!**
ანა ჩაბანის საიდუმლოვანი
ლაპარაკობს და აჩვენებს პალიტრა!
www.palitratv.ge



მოზარდი, რომელსაც დანამომარჯვეული მშობლების გაზვიადება უწევდა

„ღორს მარბალიტები არ უნდა დაუყარო“

გასულ კვირას „თინიჯარული პონტებში“ დაიბეჭდა სტატია, სათაურით — „ოჯახური კონფლიქტი და დაკომპლექსებული შვილები“, რომელსაც იმ მოზარდების გამოხმაურება მოჰყვა, რომლებიც, როგორც თავად ამბობენ, არასრულყოფილ ოჯახში აღიზარდნენ. სამწუხაროდ, გასულ ხუთშაბათს თითოეული მათგანის გულისტკივილის გამოქვეყნება ვერ შევძელით და ამიტომაც, მათ „ესემესებს“ ახლა გავაცნობთ.

ლიკა ქავიაი

ლაშა, 18 წლის:
„ჩემდამი მამის აგდებულ დამოკიდებულებას პატარაობიდანვე ვგრძნობდი. შეიძლება ვცდებოდი, მაგრამ ფაქტია, რომ მამიკო ხშირად მამკობდა სალანძღავი სიტყვებით. ვერ ვიტყვი, მალურჯებდა-მეთქი, მაგრამ უხეშად მექცეოდა — ე.წ. მუჯღუგუნო, თავში წამორტყმა ჩემთვის უცხო ხილი არ იყო. ამის შემდეგ გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც, მამისადმი უარყოფითად განვეწყვე. სხვათა შორის, დედა მისგან ყოველთვის მიცავდა... როცა 7 წლის გავხდი, მითხრეს, რომ მალე დაიკო ან მამიკო მყოლებოდა და მთელი უბედურება სწორედ მას შემდეგ დაიწყო: მამა „ვაფშე“, ჭკუიდან შეიშალა, შინ თითქმის არ მოდიოდა, ვიღაც კახპეტან დაიდო ბინა. ორსული დედა გამუდმებით ტიროდა და ნერვიულობით თავს იკლავდა. სახლში ყოველდღე ისმოდა ჩხუბის, ყვირილის ხმა. მე ვიყავი იმის მოწმე, თუ როგორ ურტყამდა მამა ცოლს და შემდეგ, მეც უმიზეზოდ მცემდა ხოლმე. ეკა (დედაჩემი) ძალიან ამაყი ქალია და მადლობა ღმერთს, ყველაფერი სავალალო შედეგით არ დასრულებულა, რადგან ერთხელ, როცა პაატა (მამა) შინ შუალამეს დაბრუნდა, ადგა და ე.წ. ნაჩნიკი მთელი ძალით ჩაარტყა თავში. მამა სისხლით შეიღებდა, მე კი ვბლაოდი, მიშისგან ვკანკალებდი... ეგ არაფერი — ხშირად მიწვედა დანამომომარჯვებულ მშობლებს შორის ჩადგომა. წარმოიდგინეთ, ეს ყველაფერი 7 წლის ბავშვის ფსიქიკაზე როგორ იმოქმედებდა... ერთხელ, უკვე 7 თვის ორსული დედა, პაატასთან ჩხუბის შემდეგ ქუჩაში გავიდა და მანქანის ქვეშ შევარდნა, თავის მოკვლას სცადა, მე კი ჩავებლაუჭე და ცრემლად დავიღვარე, ვხვწვნობოდი,



ეს არ გაეკეთებინა, თავი არ მოეკლა. ასეთი საშინელი ორსულობის შემდეგ ჩემი და 1 თვით ადრე დაიბადა. ის საოცრად ნერვიულია და ჯანმრთელობის მხრივ უამრავი პრობლემა აქვს. პო, სალომეს დაბადების შემდეგ მშობლებმა ურთიერთობა გაარკვიეს და ცხოვრება ძველებურად, მშვიდად განაგრძეს, მე კი მათმა საქციელმა საშუალო დიდი დამასვა: საშინელი ხასიათი მაქვს, უამრავი კომპლექსი მანუხებს, რომელთა გადალახვას დღემდე ვცდილობ. მეზობლებმა მამა და ამას ვერც ვმალავ. ახლა მეკითხება ხოლმე: ჩემ მიმართ ასეთი ცივი რატომ ხარო? ის ანი ვერაფერს შეცვლის. ერთი სული მაქვს, როდის დავინწყებ დამოუკიდებელ ცხოვრებას, რათა ვეღარ ვნახო... ჩემი და დღემდე ნევროპათოლოგის მიერ დანიშნულ წამლებს ყლაპავს, მაგრამ მისი გაძლება მაინც, თითქმის შეუძლებელია. თუმცა სალომე არ ვბრაზობ, რადგან ვიცი, რომ ისიც ჩემსავით, არასრულყოფილი ოჯახის მსხვერპლია.“

უცნობი, 18 წლის:
„სამწუხაროდ, მეც მსგავს ოჯახში გავიზარდე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მშობლებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ერთურთს მაინც, გამუდმებით საყვედურობდნენ და ხელი-

თაც ეხებოდნენ — დიას, ხან მამა ურტყამდა დედას, ხანაც დედა ურახუნებდა ქმარს. ამ ოჯახური პრობლემის გამო საკუთარ თავში ჩავიკეტე, მეგობრები ჩამოვიცილე იმის შიშით, რომ ჩემთან სტუმრად მოსულეებს ეს ყველაფერი არ შეემჩნიათ და არ დაეცინათ. ხშირად, უგუნებოდ მყოფი სკოლაშიც კი არ მივდიოდი ანუ კლასელებს სწავლაშიც ჩამოვრჩი. გონიერი და ნიჭიერი კი ვიყავი, მაგრამ უვარგისი მშობლების გამო, სწავლაზე ხელი ავიღე და სიმართლე გითხრათ, არც მათ ადარდებდათ ის ამბავი, რომ ჩემი „სიზარმაცის“ გამო მასწავლებლებისგან საყვედურს ხშირად იღებდნენ; თავიანთი ურთიერთობით ისე იყვნენ გატაცებულნი, რომ ჩემთვის არ ეცალათ და ამ ყველაფრის ნიადაგზე, უსაქმურად ჩამოვყალიბდი. აი, რა დიდი დასავა ჩემს ცხოვრებას მშობლების უგუნურმა, დაუფიქრებელმა საქციელმა.“

იკუბა, 16 წლის:
„მე არა, მაგრამ ჩემს მეგობარს ეს პრობლემა ნამდვილად აწუხებს. გიო თავის დარდს, ვარამს ხშირად მიზიარებს და მის გამო გული ძალიან მტკივა. ცუდი ისაა, რომ მეგობარს ვერაფრით ვესმარები — აბა, რა უფლება მაქვს, მის მშობლებს ვასწავლო, თუ როგორ უნდა იცხოვრონ? მათ როგორ ვურჩიო, რომ არ იჩხუბონ, და თუ საკუთარი თავი არ ეცოდებათ, შვილებს მაინც გაუფრთხილდნენ?! გიო ყოველთვის ძალიან ხალისიანი იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს საოცრად ნალვლიანია; რომ გავაციონო და გავამხიარულო, ამისთვის მთელი ჩემი ფანტაზიის მოშველიება მჭირდება. მართალია, მისი მშობლები ყოველთვის ჩხუბობდნენ, მაგრამ ალბათ ახლა მხოლოდ ერთმანეთის წენვა მოკბებურდათ და როცა გიო მათ ჩხუბში ერევა, დედ-მამის გამველებას ცდილობს, მასაც მაგრად ხვდება ხოლმე. მეგობარი ხშირად მეუბნება: ჭკუა ვერ ვისწავლე, რა, მაგრამ არ შემიძლია, დედ-მამის ჩხუბს გულგრილად ვუყურო და ჩემდა უნებურად, მათ ურთიერთობაში ვერევიო. მისი მესმის, მაგრამ მაინც ვუბნები: ხომ ხედავ, ჩხუბობენ და მერე ისევ ერთად არიან. ეტყობა, ეს სიამ-



ონებას ანიჭებთ და შეეცადე, თავი შეიკავო, როცა ჩხუბს დაიწყებენ, ბოლოს და ბოლოს, სახლიდან გამოდი-მეთქი. — ეს სათქმელად ადვილია, გასაკეთებლად კი ძნელია. მოკლედ, მეგობარი ძალიან მეცოდება და მინდა, მის მშობლებს მივმართო (სხვათა შორის, დედამისი „გზის“ აქტიური მკითხველია): გაუფრთხილდით შვილის ნერვებს! შეიძლება, თქვენ არ იცით, მაგრამ მერწმუნეთ, თქვენ გამოგიომ ერთხელ თვითმკვლელობაც სცადა — ლამის მანქანას შეუფარდა ბორბლებქვეშ. ის მე და ჩვენმა კიდევ ერთმა მეგობარმა გადავარჩინეთ და გამოვლანძღეთ: გარდა იმისა, რომ თავს იკლავდი და ამით ჯოჯოხეთისკენ იკვლევდი გზას, იმ საწყალ მძღოლსაც აუბედურებდი-თქო; მერე კი პირობა ჩამოვართვით, რომ მსგავს რამეს აღარასდროს გააკეთებდა. მართალია, პირობა მოგვცა და შემოგვფიცა კიდევ, მაგრამ არავინ იცის, თქვენი ჩხუბისგან გულგანწვრილებული, მომავალში ამ პირობის შესრულებას შეძლებს თუ არა. ასე რომ, ვიდრე გვიან არაა, შეილსაც გაუფრთხილდით და საკუთარ ნერვებსაც — შეწყვიტეთ უაზრობის გამო ჩხუბი და თუ ამას დამოუკიდებლად ვერ შეძლებთ, დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართეთ, ამაში სამარცხვინო არაფერია. P.S. მე თუ მკითხავთ, ის უფრო სამცხვინოა, თქვენი სახლიდან დღე-ღამე ნივალ-კივილისა და გინების ხმა რომ გამოდის. უფალი შეგვეციოს ყველას და დაგვიფაროს მსგავსი ოჯახური პრობლემისგან“.

ნანა, 20 წლის:

„ჩემს ოჯახში ყველაფერი კარგად იყო მანამ, სანამ მატერიალური პრობლემები შეგვექმნებოდა. რამდენიმე წლის წინ მამა სამსახურიდან დაითხოვეს, შემცირებაში მოჰყვა და სწორედ ამის მეორე დაიწყო ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი, რასაც ჩვენი — ჩემი და ჩემი ორი დაიკოს ნერვები შეეწირა... ახლა საბერძნეთში გახლავართ. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა მამიდამ აქ ჩამომიყვანა და მუშაობა დავიწყე იმ იმედით, რომ თუ მშობლებს ფულს გაუფგზავნიდი, მათ დავეხმარებოდი, აღარ იჩხუბებდნენ, მაგრამ თურმე თავი ტყუილად გავწირე: აქ მოხუცებს ვუვლი, რათა ფული ვიმოოვო და მშობლებს გაუფგზავნო. დედ-მამა კი მაინც ჩხუბობს ანუ მატერიალური პრობლემის მოგვარების მიუხედავად, ისინი ერთმანეთს მაინც ხოცავენ. ეტყობა, ერთმანეთის ლანძღვა სისხლსა და ხორცში გაუფგდათ, ამის გარეშე ვეღარ ძლებენ და ახლა ჩემს დაიკოებს უფუჭებენ ნერვებს, რასაც ძალიან განვიცდი. უკვე ფულს იმისთვის ვა-

გროვებ, რომ ჩემი დებიც აქ ჩამოვიყვანო; მერე ისინიც იმუშავებენ, ფულს დავაგროვებთ და თბილისში ბინას ვიყიდით, რათა მშობლებისგან მოშორებით ვიცხოვროთ. მერწმუნეთ, მათი ატანა შეუძლებელია! აი, ასე მაიძულა დედ-მამამ, საზღვარგარეთ გადმოვხვენილიყავი. მართალია, მამა ჩემ მიერ ნაშოვნ ფულს სიამოვნებით ხარჯავს, მაგრამ მაინც, თურმე ხშირად ამბობს, რომ ბოზი ვარ. მას ჰგონია, რომ აქ ფულს უშრომელად ვმოულობ, რომ კაცებს ვმსახურებ. დიას, მასზე ნათქვამი, — ღორს მარგალიტები არ უნდა დაუყარო. მინდა, ყველა იმ მოზარდს ვუთხრა, ვისი მშობლებიც ერთმანეთს ვერ იტანენ, მაგრამ ოჯახს მაინც არ ანგრევენ: დედ-მამის უსაქციელობას ნუ შეეწირები. თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, მათგან შორს იცხოვრეთ და უყურადღებო დედ-მამას ჭკუა ასწავლეთ!“

მთი:

„ვიდრე ჩვენს ქვეყანაში გენდერული თანასწორობა ყველასთვის მისაღები არ იქნება, მანამ არაფერი გვეშველება. ჩემს ოჯახშიც ჰგონიათ, რომ მამაკაცი ვალდებულია, ქალი დაჩაგროს, ქალმა კი ყველაფერი უსიტყვოდ აიტანოს. ჰოდა, ოჯახში მასწავლიდნენ, — როცა გათხოვდები, ქმრისგან სილაც კი უნდა აიტანო. ქართველებს ისევ გგონია, რომ ქალები ჩმორები უნდა ვიყოთ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. დედაჩემისგან განსხვავებით, მხოლოდ იმიტომ, რომ გათხოვილი ქალის სახე-

ლი მქონდეს, კაცისგან ცემა-ტყეპას არ ავიტან და მას ვერც სიტყვიერ შეურაცხყოფას ვაპატიებ... რაც შეეხება კომპლექსებს, ოჯახური პრობლემების გამო მეც მრცხვენია. მთელმა სოფელმა იცის, რომ ჩემი მშობლები ერთმანეთს ვერ ეგუებიან. P.S. ისინი გარდაცხადებულნი ვართ და ალბათ, ამიტომაც ვერ იტანენ ერთმანეთს. ცუდია, როცა ადამიანი არ გიყვარს და მასთან ერთად ქმნი ოჯახს“.

P.S. ამ რუბრიკის ერთგული მკითხველებისგან ხშირად მომდის საყვედურებით სასვე მესიჯები, სადაც მწერთ, რომ არ მოგწონთ, ინტერვიუსთვის რომ არ გიკავშირდებით, არადა თურმე, ხშირად იმ თემებთან დაკავშირებით, რომლებსაც ვაშუქებ, ბევრი რამ გაქვთ მოსაყოლ-გასახსენებელი. გადავწყვიტე, თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილო და წინასწარ გაცნობთ თემა, რომელსაც მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ, თქვენ კი შეგიძლიათ მომწეროთ სხვისი ან საკუთარი თავდადასავალი ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან მეილზე: lka.qajaia@gmail.com. მომავალ სტუმბათს ვილაპარაკებთ თემაზე: რა არის ოჯახი და როგორი მშობლების ყოლაზე ოცნებობენ მოზარდები. წინასწარ გეტყვით, რომ ჩემ მიერ გამოკითხული თინეიჯერების უმეტესობა ფულიან მამიკოზე ოცნებობს, ბევრს კი პატიოსანი, უკონფლიქტო და თუნდაც, ძალზე ღარიბი დედ-მამის ყოლა გაანაზრებდა. იმედია, ამ თემასთან დაკავშირებით თქვენც გაგვიზიარებთ საკუთარ მოსაზრებებს. წარმატებები!

„მანქანაში ვისხედით და მოფარება დაიწყო...“

ელიზა:

„ჩემი ძმის ძმაცაც ცოლი ჰყავს და თან, მე მწერს, — მიყვარხარო, მაგრამ თუ ცოლთან ერთადაა, მიმტკიცებს: ჩემი დაიკო ხარო. სხვათა შორის, მისი ქორწილის დღეს ერთ მანქანაში ვისხედით და მოფარება დაიწყო; იცოდა, ხმას ვერ ამოვიღებდი, რადგან ჩემი ძმაც იქ იყო და ამით ისარგებლა... მინდოდა, ეს ყველაფერი ძმისთვის მეთქვა, მაგრამ მეშინია, არ მოკლას. მერწმუნეთ, ის ბიჭი მთელი არსებით მეზიზღება. ძალიან გთხოვთ, მიჩვიეთ, რა ვქნა?“

„მსურს, ქმარს გავყარო“

ბათხოვილი, 17 წლის:

„გთხოვთ, ეს მესიჯი დამიბეჭდეთ. ძალიან ცუდად ვარ და რჩევა მჭირდება. ხომ იცით, ოჯახის დანგრევა სულაც არაა იოლი საქმე... ერთი წელია, რაც გავთხოვდი. რომ გითხრათ, მატერიალურად გვიჭირს-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ ცუდი ისაა, რომ მეუღლის მშობლების, უფრო სწორად, დედამისის ხარჯზე ვცხოვრობთ. ჰოდა, ვინაიდან ფულის ხარჯვა არ უყვართ, როცა მე და ჩემს პატარას რაღაც გვჭირდება, ჩემს მშობლებს ვანუხებ. აბა, რა ვქნა?.. გარდა ამისა, შეურაცხყოფის ატანაც ხშირად მინევს. რა გასაკვირია, რომ ამ ყველაფრისგან დავიღალე, ასეთი ცხოვრება აღარ მინდა და მსურს, ქმარს გავყარო, მაგრამ... გთხოვთ, გადამწყვეტილების მიღებაში დაიხმარეთ. წინასწარ გისდით მადლობას“.

P.S. გავ ასე თუ ელიზასა და ბათხოვილის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



დასაწყისი მე-16 გვერდზე

პროკურორის მოთხოვნას დააკანონებდა...

სასამართლო სხდომებზე დასწრების საშუალება ახლობლებს არ ჰქონდათ. საზოგადოების ინტერესი დიდი იყო, მაგრამ სხდომები პატარა დარბაზში იმართებოდა, ამიტომ დასწრებას მხოლოდ ოჯახის წევრები თუ ახერხებდნენ. ეს ფაქტი ბევრჯერ გააპროტესტეს და სხდომების დიდ დარბაზში გადატანა მოითხოვეს, მაგრამ — უშედეგოდ.

მოსამართლემ გიორგი დემეტრაძეს 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო დავით გაგნიძეს — 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მათ ჩამოერთვათ ამოღებული თანხები, ჯამში — 40.700 დოლარი. დაკავების დროს განსასჯელებს მანქანებიც ჩამოართვეს; ეს მანქანები ოჯახებს დაუბრუნდებოდა, რადგან პროკურორს მანქანების ჩამორთმევა არ მოუთხოვია.

თითქმის ყველა სხდომაზე დადიოდა დემეტრაძის გულშემატკივარი ოთარ მამასახლისი, რომელსაც ეცვა მაისური წარწერით: „თავისუფლება დემეს!“ ხშირად ის დარბაზში შესვლას ვერ ახერხებდა, მაგრამ სხდომის დასრულებას მოთმინებით დერეფანში ელოდა. ერთ-ერთ სხდომაზე დარბაზში ბურთით ხელში შესვლა მოახერხა და განსასჯელს მიმართა: „დემე, აი, ბურთი; არ ვიცი, როგორ მოგანოდო... შენთან ვარ!“ ამასობაში დემეტრაძე გაიყვანეს. „18 წლის იყო დემეტრაძე, თბილისის „დინამოში“ რომ თამაშობდა და ამ ასაკიდან ვგულშემატკივრობ. გული მწყდება, რომ დააკავეს. ნუთუ არ შეიძლებოდა მისი გათავისუფლება?! ველოდი, რომ მოსამართლე გაუმწყვდებდა. პირობითი სასჯელი მაინც მიეცათ, რატომ განირჩევა 3 ქვეყნის ბომბარდირი?! მისი ფანი ვარ. მისი თამაშის საყურებლად კიევშიც ვიყავი ჩასული“, — მითხრა ოთარ მამასახლისმა.

ბოლო სხდომებზე განსასჯელები რატომღაც გაძლიერებული დაცვით მოჰყავდათ — ნიღბიანი შეიარაღებული ბადრაგი ახლდა. როგორც შევითხვეთ, გიორგი დემეტრაძე საბადრაგო სამსახურის ხელმძღვანელმა დასაჯა. როგორც წესი, განსასჯელები სასამართლოში დილიდან მოჰყავთ და მათ სამუშაო საათების დასრულებამდე უწევთ შენობაში ყოფნა, რადგან ყველა პატიმარი ციხეში ერთად გადაჰყავთ. ბოლო დროს დემეტრაძე განმარტოებით, პატარა ოთახში ჰყავდათ გამომწყვდეული და მას სხვა

პატიმრებთან კონტაქტის საშუალება შეუზღუდეს. ყველა სხდომაზე თავის ადვოკატთან საუბრისას, ამ ფაქტს აპროტესტებდა და დახმარებას ითხოვდა. ადვოკატ **მარიკა ფხალაძესთან** დეტალების გარკვევა ვცადე. მან მიპასუხა:

— როცა პატიმრები სასამართლოში მოჰყავთ, მათ პირის ღრუსაც კი უმოწმებენ. შემოწმებისას, დემეტრაძეს საბადრაგო სამსახურის თანამშრომელმა უთხრა, — ენა წესიერად გამოყავიო. პასუხად მიიღო, — რას ნიშნავს, წესიერად გამოყავი? ხომ არავისში გეშლებიო!.. საბადრაგო სამსახურის თანამშრომელი დემეტრაძის საცემრად გაიწია, მაგრამ სხვებმა შეაჩერეს. მას მერე დემეტრაძე დასაჯეს: სასამართლოში განმარტოებით, ცალკე შეჰყავდათ — ოთახს ვერ დავარქმევ — პატარა საკუჭნაოში და სამუშაო დღის დასრულებამდე მარტო, თან — „საყინულეში“ ამყოფებდნენ. განაჩენის გამოტანამდე, სამწუხაროდ, ამ პირობებში იმყოფებოდა. დემეტრაძემ იქვე გააპროტესტა ეს ქმედება და დაემუქრა, რომ ასეთი საქციელის გამო იჩივლებდა. საბადრაგო სამსახურის უფროსმა უთხრა, — საჩივრების მთელი ტომი მაქვს და შენი საჩივარი ამ მაკულატურას შეემატება, ერთით მეტი მექნება თუ ნაკლები, ამას მნიშვნელობა არა აქვსო. დემეტრაძეს არ ჰქონდა სამართლის პოვნის იმედი და ამიტომ საჩივარი არ დაუწერია.

გამამტყუნებელ განაჩენს ელოდა?

— ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ მსჯავრს ვერ დაადებდნენ. ყოველ მისვლაზე მეუბნებოდა, — როგორ და რატომ უნდა მომისაჯოს, წარმოუდგენელია, — მაგრამ სამწუხაროდ, ეს მოხდა. ცნობილი ფეხბურთელი, რომელიც სპორტული ცხოვრების წესით ცხოვრობდა და საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, ქურდული სამყაროს წევრად შერაცხეს.

ფიქრიშვილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა; თქვენ რატომ ვერ შეთანხმდით პროკურატურასთან?

— საპროცესო შეთანხმებაზე საუბარი მიმდინარეობდა. პროკურატურა ითხოვდა, რომ მათ ელიარებინათ დანაშაული და ამის შემდეგ, დემეტრაძეს 5 წელს და 5.000-ლარიან ჯარიმას მიუსჯიდნენ, ხოლო გაგნიძეს 7 — წელს და ასევე 5.000 ლარით დააჯარიმებდ-

ნენ. ბუნებრივია, ამას განსასჯელები არ დაეთანხმნენ. ისინი უდანაშაულოები არიან და ამდენი წელი რატომ უნდა მიესაჯათ?! ქვეყანაში სამართლიანი სასამართლო არ არსებობს; ილუზია არ გვაქვს და ამიტომ თანახმა ვიყავით, გველიარებინა ის, რაც არ ჩაგვიდენია, თუ ერთწლიან პატიმრობას მიუსჯიდნენ: 9 თვეა, პატიმრობაში არიან და ამ გზით გამოვიდოდნენ. პროკურატურა ამ წინადადებაზე არ დათანხმდა...

თქვენ ასევე იცავთ განსასჯელ ვატო ყიფიანს. რა ინფორმაციას ფლობთ მისი დაკავების თაობაზე?

— მოულოდნელი იყო ყიფიანის დაკავება. ეს ამბავი სხდომაზე პროკურორისგან შევიტყვე. მის ძმას ვესაუბრე. გამოძალვას ედავებინა. ჩემი ინფორმაციით, გაუგებრობა მოხდა. ვიმედოვნებ, მას არ გადმოსცემენ საქართველოს: იქაური სასამართლო მაინც მისცემს ამ მასალებს სწორ შეფასებას და უარს იტყვის მის ექსტრადიციანზე. რუსული სააგენტოების ცნობით, ინტერპოლის მიერ ძებნილ ვატო ყიფიანს რუსეთში გამოძალვასა და ადამიანის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში ედება ბრალი. გავრცელებული ინფორმაციით, მან 18 მარტს, საქართველოს მოქალაქე შეიპყრო, სასტუმრო „მარიოტ გრანდ ოტელის“ ერთ-ერთ ნომერში ჩაკეტა, ყელზე დანა მიაბჯინა და მისგან 780 ათასი რუბლს ითხოვდა. სამართალდამცველებმა 35 წლის მძევალი გაათავისუფლეს, ხოლო ყიფიანი დააკავეს.

ვნახოთ, გადმოსცემენ თუ არა მას ქართველ სამართალდამცველებს. პროკურატურებს შორის მიმონერა უკვე მიმდინარეობს...

PALITRA TV-RADIO

უყუჩაბი!

ანა ჩაპანის საიდუმლოებანი

ლაპარაკობს და არკენებს კალიტრა!

www.palitratv.ge



ბიბლუსი

ბიბლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაფილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ო, რომ შემეძლოს...

ო, რომ შემეძლოს, თბილისის ღამეს შემოგახვევდი სახეზე ჩადრად, რომ შენი სახის ნაზი მშვენება, ჩემ მეტს არავის არ ღაენახა. ო, რომ შემეძლოს, თბილისის ღამეს ღავეჭრიდი შენი თვალთა სხივებით, შეგიყურავდი ბნელ წამოსასხამს, მოქარგულს ჩემი ცრემლის მძივებით.



კატრე გრუზინსკი



სახსოვარი

ნიკოლოზ ბარათაშვილი

◆◆◆
„სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმანვილობდეს, და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!“

◆◆◆
„თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული? მისი სიცოცხლე, ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული; მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!“

◆◆◆
„მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ისე ატარა, რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!“

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანმარტაბითი ლექსიკონის

ერთომეულის მიხედვით

შემდგენილი თეატრ ივანია

კ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №1-12, 2011

კოტიტა — მოკლე და მსხვილი (ფეხი, ხელი, თითი).

კოტორი — პურის მონატეხი — კვერი.

კოტორა (საუბ.) — ვისაც თმა ძირში აქვს გაკრეჭილი ან მთლიანად გადაპარსული.

კოტოში — მუცელგანიერი პატარა ქილა; სხეულზე სამკურნალო მიზნით ადგამენ.

კოტრი (ძვ.) — ვალის გადახდის უნარდაკარგული ადამიანი.

კოტრანა — ნიგვზითა და ძმრით შეზავებული კომპოსტო.

კოტრილი — პატარა გობი, ვარცლი.

კოფთა რუს. — ქალის წელს ზევით ჩასაცემელი.

კოფო — 1. ურმისა და მარხილის ჭალებზე გარდიგარდმო ჩამოცმული ფიცარი; 2. ეტლში — მეეტლის შემალღებული დასაჯდომი ადგილი.

კოფრჩხილია — ორნლოვანი მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა: ნორჩს მსლად და მწნილად ხმარობენ.

კოქსი გერმ. — მყარი სათბობი, რომელსაც იღებენ ქვანახშირის ან ტორფის უჰაეროდ გახურებით.

კოლოპურტი (ძვ.) — მიცვალებულის ბოლო ნაცვამი ტანისამოსი.

კოში — ხის ან გოგრის ჭურჭელი (თასივით).

კოში — თევზის საჭერი დაწნული კალათი კონუსის მოყვანილობისა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

მორიგანი

არხიდიტა დედოფალი

დასაწყისი 06. „გზა“ №48-52, 2010 - №1-12, 2011

ლევანი კაბინეტში არ დაშვდა. მივხვდი, მოსასვენებელ ოთახში იქნებოდა გასული და საშინელმა ეჭვმა შემიპყრო. მუხლები მომეკვთა და ერთიანად აკანკალდი იმის წარმოდგენაზე, რომ იქ, იმ ოთახში ჩემთვის უცნობ ქალთან ერთად იყო და ვინ იცის, რას აკეთებდა?! კარს ნელა მივუახლოვდი — ოდნავ ღიად იყო დატოვებული და საუბრის ხმა მკაფიოდ ისმოდა.

— ძალიან ბევრს ითხოვთ, — ეს იყო პირველი, რაც გავიგონე.

— ნუთუ? შენი ქმრის თავისუფლება მეტი არ ღირს? — ლევანი მშვიდი ხმით ლაპარაკობდა. — სიმართლეს გეტყვით, თქვენი ქმრის დაჭრა ერთ-მა მოუგვარებელმა საქმემ განაპირობა.

— ვიცი, რაზეც ლაპარაკობთ — ერთმა თქვენმა მოადგილემ ლოგინში ვერ ჩამინუნა. როცა უარი გადაჭრით ვუთხარი, მაშინ დამემუქრა, განანებო და აი, თავისი სიტყვა შესარულა კიდევ არადა, ჩემი ქმარი ღირსეული მამაკაცია, ღალატს არ იმსახურებს; მე ის მიყვარს, 3 შვილია, ვცხოვრობთ? თუ ერთად უკვე 14 წელია, ვცხოვრობთ? შესაძლოა, თქვენთვის წარმოუდგენელია, რომ ცოლ-ქმრის სიყვარული ამდენი წლის განმავლობაში შენარჩუნდეს, მაგრამ ამაში დაუჯერებელი არაფერია. ჩვენ იდეალური ურთიერთობა გვაქვს და სხვა მამაკაცთან ფლირტისა და დაახლოების სურვილი არ მაქვს.

— რამაზი როგორ გაიცანით? — მივხვდი, რომ ლევანი ჭამდა და ქალს ისე ელაპარაკებოდა. დროდადრო შეიპატოვებდა და უარს რომ მიიღებდა, ბოდის უხდინდა, ახლა თუ არ ვჭამე, მთელი დღე მშიერს მომიწევს ყოფნა.

— ჩემი კარის მეზობელი გახლავთ ძებნილი — ყაჩაღობის გამო იჭედდნენ, მაგრამ გაეცათ. რამაზი ერთ თან-

ამშრომელთან ერთად მოვიდა მასთან და კარი რომ არავინ გაუღო, ჩემთან დააკაკუნა. შინ მარტო ვიყავი, მაგრამ როდესაც თანამშრომლის საბუთი წარმომიდგინა, შემოვუშვი. რაღაცები გამომიკითხა მეზობელზე, ჩემი პირადი ცხოვრებითაც დაინტერესდა, ტელეფონის ნომერი ჩაინერა და წავიდა. ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე მოდიოდა. შევწუხდი მისი ხშირი ვიზიტით და ერთ დღეს გამოვუცხადე, ჩემს კარზე აღარ დააკაკუნოთ-მეთქი. აქ იმის გამო მოვდივარ, რომ თუ ძებნილი შინ დაბრუნდება, ხმას გავიგონებ და დავაკაკუნებო. ეს არ მომეწონა და უკვე კატეგორიულად მოვთხოვე, რომ ჩემი ბინა დაეტოვებინა. ამის შემდეგ შინ აღარ მოუკითხავს, მაგრამ სამსახურთან მხედებოდა, მანუხებდა. უკვე აშკარად მეთარსებოდა. გული რომ გამინყალა და მივხვდი, რომ თანამშრომლებმა ჩემზე ჭორაობაც კი დაიწყეს, კატეგორიულად გავაფრთხილე, ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს, ქმრის ღალატს არ ვაპირებ და თუ თავს არ დამანებებ, გიჩივლებ-მეთქი. მაშინ დამემუქრა... რამდენიმე დღის შემდეგ კი ყაჩაღობაში თანამონაწილეობისთვის ჩემი ქმარი დააკავა.

— სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით. ან იმ თანხას გადაიხდით, რაც წელან გითხარით, ან თქვენი ქმარი გისოსებს მიღმა დარჩება, ან რამაზის ლუკმა გახდებით, ქმრის თავისუფლების სანაცვლოდ.

ქალი შემეცოდა. რამაზი, რომელსაც უკვე ასე თუ ისე ვიცნობდი, ვიცოდი, რომ ნაძირალა იყო, მაგრამ ლევანი თუ ქალს ასე მოექცეოდა, ეს ვერ წარმომედგინა. ფაქტობრივად, მოადგილის მხარე დაიჭირა და არა — ქალის. იქაურობა უხმაუროდ დავტოვე. მივხვდი, ეჭვიანობის საბაზი არ მქონდა. ლევანის მდივანმა გაცემით შემომხედა.

— როგორც ჩანს, ლევანს კარგა ხნის საქმე აქვს, მოსასვენებელი ოთახიდან არ გამოდის, ლოდინი კი მომწყინდა; თუ მიკითხავს, უთხარი, რომ შესული ვიყავი, ველოდი და წამოვედი.

პირველ სართულზე ჩავუდი და შესასვლელთან გავჩერდი. სიგარეტს მოვუკიდე და ისეთი სახე მივიღე, თითქოს

მოსაწევად ვიყავი გასული. თან ბოლთას ვცემდი. გულით მსურდა იმ ქალის დახმარება და ვცდილობდი, ისეთი გზა მომეძებნა, რომელიც არც ჩემს კარიერას დააზარალებდა, არც ლევანთან ურთიერთობას გამიფუჭებდა და ქალის დახმარებასაც შეეძლებოდა. კარგა ხანს მომიწია იქ დგომა, ვიდრე ქალი გამოჩნდებოდა. გარედანვე შევნიშნე დერეფანში მალალი, ლამაზი ქალი რომ გამოჩნდა. მისი ლურჯი კაბა მაშინვე ვიცანი. კარის ღრმადან მის მხარს ვხედავდი მხოლოდ, მაგრამ დავინახე თუ არა, მივხვდი, რომ ლევანის სტუმარი სწორედ ის იქნებოდა.

გარეთ გამოსულმა ამაყად მიმოიხედა, კიბის თავზე ჩემ გვერდით შეჩერდა და ჩანთაში რაღაცას ძებნა დაუწყო. სიგარეტის კოლოფი იპოვა, ერთი ღერი ამოიღო და ტუჩებს შორის მოიქცია, მაგრამ სანთებელას ვერ მიაგნო. ასანთი შევთავაზე.

— გმადლობ, — ხმა რომ ამოიღო, დავრწმუნდი, რომ ჩემ წინ ნამდვილად ლევანის სტუმარი იდგა.

— ეს გამომართვით, — ვუთხარი და ჩემი სავიზიტო ბარათი გავუწოდე. გამომართვა და გაცემულმა შემომხედა.

— დაახლოებით ვიცი, რა საქმეზეც იყავით ბატონ ლევანთან. ვეცდები, დაგეხმაროთ. სხვალ, საღამოს 8 საათზე დამირეკეთ, — პასუხს არ დავლოდებოვარ, შენობაში შევბრუნდი და კიბეს ავუყევი. ჩემი ოთახიდან ტელეფონის ზარის ხმა ისმოდა. კარიდან მაგიდამდე მანძილი სირბილით დავფარე და ყურმილს დავწვდი.

— მარგო, შემოდი! — ლევანს მბრძანებლური ტონი ჰქონდა.

ვიფიქრე, ალბათ მდივანმა უთხრა, რომ მის კაბინეტში კარგა ხანს დავყავი და იმიტომ გაბრაზდა-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემი ვიზიტის შესახებ ნანას კრინტიც არ ჰქონდა დაძრული. ლევანმა მინითათბირი ჩამიტარა და მხოლოდ საქმიანი საუბრით შემოიფარგლა.

იმ დღეს თავისთან დარჩენა არ შემოუთავაზებია. მივხვდი, ჩემი დასჯა ჰქონდა გადამწყვეტილი. სამუშაო საათები დამთავრდა თუ არა, ავიკარი გუდა-ნაბადი და ღალატთან წავუდი.

მეორე დღეს, დათქმულ დროს ტელე-



ფონმა დარეკა. ლიზას ლალის მისამართი მივეცი და ვთხოვე, მოსულიყო. მის მოსვლამდე კი ლალის მოკვლედ მოვუყევი საქმის ვითარება.

— შენი მესმის და კარგია, დახმარების სურვილი რომ გაქვს, მაგრამ ამის გაკეთებას როგორ აპირებ, ვერ წარმომიდგენია — მითხრა.

ქალს ყველაფერი დანვრილებით გამოვკითხე. ძებნილი მეზობლის შესახებაც მოვაყოლე, რაც იცოდა, მისი კოორდინატები ჩაიწერე და ვთხოვე, ჩვენი შეხვედრის შესახებ არავისთვის ეთქვა.

მაშინ ჩავატარე პირველი დამოუკიდებელი გამოძიება. მართალია, ამას ჩემგან არავინ მოითხოვდა და აუცილებლობას სულაც არ წარმოადგენდა, მაგრამ ძალების მოსინჯვა და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება მინდოდა.

ძებნილის ადგილსამყოფელი 1 კვირამი დავადგინე. აღმოჩნდა, რომ გურიამში, ერთ-ერთ სოფელში, მეგობრის სახლში იმალებოდა. მის დასაკავებლად სამსახურის მანქანით, მარტო წავედი. რაიონის პოლიციაში მივედი და იქიდან რამდენიმე თანამშრომელი გავიყოლე. ძებნილი იმავე ღამეს ავიყვანეთ და თბილისში დილით, ხელბორკილდადებული, მანქანის უკანა სავარძელზე „დაგდებული“ ჩამოვიყვანე. დილის 7 საათზე ჩამოვედი და პირდაპირ რამაზის სახლს მივაღვიძრე. დავურეკე და ვთხოვე, ეზოში ჩამოსულიყო. ჩემი ხმა რომ გაიგონა, გაუკვირდა, თხოვნა — ეუცხოვა, მაგრამ უარი არ უთქვამს. წინა სავარძელზე, ჩემ გვერდით მოთავსდა.

— რამ შეგანუხა, მარგო? — მკითხა და უკან მიიხედა. — ვა, ეს ვინაა?

— იცნობ?

— არა, არ ვიცნობ. თუ არ ვცდები, პირველად უნდა ვხედავდე.

— დათო კოლუა. ხომ არაფერს გეუბნება მისი სახეზე და გვარი?

— მართლა? — გაუხარდა. — როგორ არ მეუბნება, რამდენიმე თვეა, ვეძებ. სად იპოვე?

— ალბათ კარგად არ ეძებდი, თორემ აუცილებლად იპოვიდი. — ახლა მე შენ ამ კაცს ჩაგაბარებ, მისი დაკავება შეგიძლია, თავად დაიბრალე და მადლობასაც გეტყვიან, მაგრამ — ერთი პირობით.

— რა პირობაა ასეთი?

— ლიზას ქმარი უნდა გაათავისუფლო. შენც იცი, რომ ის დამნაშავე არ არის და ამასთან საერთო არაფერი აქვს, — თავი უკან გადააქნიე. — ხომ ასეა?

— მარგო, ამ საქმის შესახებ რა იცი? — არ ელოდა ჩემგან ასეთ მოთხოვნას.

— ყველაფერი! აბსოლუტურად ყველაფერი ვიცი და დათოს იმიტირაც მივაგენი. ასე რომ, ჯობია, თავად ივაჯაცო და უდანაშაულო ადამიანი დაკავებული ჩვენების საფუძველზე გაათავისუფლო. სულერთია, მაინც მოგიწევს, — მივახვედრე, რომ ლიზას მითხრის მისი განზრახვაც ვიცოდი.

— ჩემს კარის მეზობელზეა ლაპარაკი? — დაკავებულმა ლაპარაკი გამანწყვეტინა.

— ჰო, — თავი დავუქნიე, — შენ გამო ის საწყალი კაცი დააპატიმრეს. იმედა, შენი აღიარებითი ჩვენება ნათელს მოჰყვებს საქმეს და უდანაშაულო ადამიანს გაუშვებენ.

— აუ, ჩემი... ის რისი დამყაჩაღებელია? ფუტკარივით მიდი-მოდის, სახლსა და სამსახურს შორის. არა, ფუტკარი ბუზის მაინც, ის კი ხმას სულ არ იღებს. აუ, რა პონტში დაიჭირეთ, ტო? — შეწუხდა.

— გესმის? — ვკითხე რამაზს.

— ლიზა შენი ახლობელია? — დაფიქრებით მკითხა.

— ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, როცა ყველაფერი მოგვარდება. ახლა კი, აი, გასაღები, აი მანქანა და ესეც — ძებნილი. აბა, შენ იცი, — გასაღები წინა სავარძელზე დავუგდე და მანქანიდან გადმოვედი.

— მოიცა, მარგო, ცოტა ხანს მაინც დარჩი, შინ ავალ, ტანსაცმელს გამოვიცვლი. ამას მარტო ხომ არ დავტოვებ? — მომამხაზა რამაზმა, მაგრამ არ მივბრუნებულვარ. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩავიყავი და გზა არხეინად განვაგრძე.

დილით, 9 საათზე სამსახურში ჩვეულებრივად გამოვცხადდი. რამაზმა დააგვიანა. ცოტა კი შეეშოთოდი, ნეტავ ამდენი ნაშრომი წყალში ხომ არ ჩამიყარა და პატიმარი ხომ არ გაექცა-მეთქი, მაგრამ თათბირის ბოლოს გამოჩნდა.

— რამაზ, ხომ მშვიდობაა? — ჰკითხა ლევანმა დაგვიანებულს.

— კი, მშვიდობაა. წუხელ ძებნილი დავაკავე და მის გადაყვანას ვახდენდი. ახლა პირდაპირ ორთაქალიდან მოვდივარ.

— ვინ დააკავე? კოლუა? — მაშინვე გამოიცნო ლევანმა.

— დიას, ბატონო ლევან. — კარგი, თათბირი დამთავრებულია, ჯერ რამაზი დარჩება ჩემთან, შემდეგ მარგო შემოვა, — გასცა ბრძანება და წამოვიდა.

არ ვიცი, რა ილაპარაკეს მან და რამაზმა, მაგრამ კარგა ხანს გაუგრძელდათ საუბარი. მე რომ ლევანთან შევედი, სახეზე მრისხანება ეწერა.

— მარგო, თვითნებური საქციელისთვის იცი, რა გეკუთვნის?! —

შესვლაც არ მაცადა, ისე მაჯახა.

— რას გულისხმობ?

— კოლუას დაკავებას.

— ლევან, სხვა გზა არ იყო, რადგან შემთხვევით გავიგე მისი ადგილსამყოფელი და დრო აღარ დავკარგე, გადავწყვიტე, დამოუკიდებლად მემოქმედა. სიმართლე რომ გითხრა, სხვას ვერ ვანდე ეს საქმე და ამიტომ ჩემს თავზე ავიღე.

— ჯერ ერთი, შეგეძლო, ჩემთვის დაგერეკა და აზრი მაინც გეკითხა. მეორეც, რატომ გგონია, რომ შენ იმ „სხვაზე“ უკეთ მოახამდი თავს? რატომ იგდებ თავს საფრთხეში? შეიარაღებული არ იყო? სად დააკავე? — კითხვები დამაყარა.

— გურიამში, სტუდენტობის დროინდელი მეგობრის სახლში, მის მშობლებთან იყო. იმდენი მოვახერხე, რომ იქაური პოლიციელების დახმარებით გარეთ გამოვიტყუე და დაკავებაშიც ისინი დამეხმარნენ. შემდეგ ბორკილები დავადე და წამოვიყვანე. ვინაიდან რამაზი უშუალოდ იყო ჩართული ამ საქმის გამოძიებაში, ვიფიქრე, რომ „დიდებაც“ მისთვის დამეთმო. მე ეს საქმე იმისთვის არ გამიკეთებია, რომ ვინმეს მადლობა ეთქვა. ამის გამო, ჩამოვედი თუ არა, დაკავებული რამაზს მივუყვანე და საქმის კურსშიც ჩავაყენე.

— ჰო, რა თქმა უნდა, ეს საქმე იმისთვის გააკეთე, რომ ყაჩაღის კარის მეზობელი ციხიდან გაგეთავისუფლებინა. ლიზას ამბავი საიდან გაიგე?

— ყაჩაღის კარის მეზობელი, როგორც მას შენ უწოდებ, უდანაშაულოა, და ეს შენც კარგად იცი და რამაზმაც. ლევან, როგორც ჩანს, რამაზი გენდობა და შენგან დამალული არაფერი აქვს. არ მეგონა, თუ შენს ყურამდე მოიტანდა სიმართლეს — ლიზა ჩემი და ლალის ახლობელია და ამას წინათ სტუმრად იყო ჩვენთან. მან არც კი იცოდა, რომ პოლიციის თანამშრომელი და მალაჩინოსანი ვარ. ჰოდა, თავისი გასაჭირის შესახებ უბრალოდ გვიამბო, როგორც ქალმა — ქალებს. ძალიან შემეცოდა. მისი დახმარება გადავწყვიტე და ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანე. შესაძლოა, რამაზს ხელს არ აძლევდეს კოლუას დაკავება და ლიზას ქმარს თანამონაწილეობა მაინც შეტეოს, მაგრამ მე ამის საშუალებას არ მივცემ და წესების გარეშე ვიბრძოლებ, რომ სამართალმა იხეიძოს.

— ოჰო, რა ალტკინებული ხარ! — ლევანს გაეცინა.

— იცი, საქმე რა არის, ჩემო სიხარულო? მამაკაცს შესაძლოა, ქალი მოენონოს და მისი გაყიდვა გულში ჩაიდოს. ეს ჩვეულებრივი ამბავია და



ვერც დასაძრახის ვხედავ ამაში რამეს, თუნდაც იმ ქალს ქმარი ჰყავდეს. უამრავი ქმრიანი ქალი „იძლევა“ და ზოგიერთის ქმარიც კი საქმის კურსშია, მაგრამ თვალებს ხუჭავს. ის ღირსიცაა, რომ ცოლი ასე მოექცეს, რადგან კაცი ჭიად რომ გადაიქცევა, უფლებაც არ აქვს, დაიჩვილოს, რომ გასრისეს, მაგრამ თუ მამაკაცი ღიზას-ნაირ ქალს გადაყრება, რომელსაც ქმარი უყვარს და რომლისთვისაც ოჯახური სინძინდე უპირველესია, მის მიმართ პატივისცემის გრძნობა უნდა გაუნდეს, მისი ქმრისადმი ერთგულება დააფასოს და მტრად კი არ უნდა მოეკიდოს იმის გამო, რომ ამ ქალისგან უარი მიიღო, პირიქით — გზიდან უნდა ჩამოეცალოს და თაყვანიც კი სცეს. ახლა წარმოიდგინე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენმა მინისტრმა თვალი დამადგას, ვერ შემაბას და შენ დაგიჭიროს იმის გამო, რომ მიყვარხარ და შენი ერთგული ვარ. რას იგრძნობ? — ლევანს მზერა ერთ წერტილში ჰქონდა გაყინული და თითქოს არ მისმენსო, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა.

— მიპასუხე, რას იგრძნობ? — კითხვა გაუთმორე, რომ აზრზე მომეყვანა.

— კარგი, თავისუფალი ხარ, საქმეს მიხედვით, — ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი კაბინეტი უნდა დამეტოვებინა. აღარ მინდოდა, უფრო გამელიზიანებინა და უსიტყვოდ დავემორჩილე — შეგებრუნდი და კარისკენ წავიდი.

— მარგო, — მისი ხმა კართან წამომენია.

— გისმენ, — მოვბრუნდი, ხელები პირველკლასელი მოსწავლესავით ჩამოვუშვი, გავიჭიმე და მორჩილად შევხედე თვალეში.

— არაფერი, წადი. უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ სხვის საქმეში მინც ნუ ჩაყოფ ცხვირს, არ ღირს. ეს ისეთი დამპალი სისტემაა, არასოდეს იცი, ვის, როდის, რა დამსახურებისა და თვისებების გამო დააწინაურებენ და თუ ფრთხილად არ იქნები, შესაძლოა, თანამდებობით „გადაგასწროს“ და მერე მის ხელში იქნები — ჯავრს ამოიყრის.

— მე იმ სკამზე არ დავბადებულვარ, რომელზეც შენი წყალობით ვზივარ და არც შემკვიდრეობით მრგებია. თანაც, სიმართლე რომ გითხრა, გამოძიების, დამნაშავეს დაკავების პროცესი გაცილებით მეტ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე კაბინეტში ჯდომა და სხვების ანგარიშის მოსმენა. ასე რომ, თუ თანამდებობას დაკარგავ, ამაზე დიდად არ ვინაღვლებ.

— თანამდებობის დაკარგვა დიდი ტრაგედია არაა, მთავარია, თავისუფლება არ დაკარგო.

— სწორედ მაგ პრინციპით ვხელმძღვანელობდი, როცა რამაზს უდანაშაულო კაცის გათავისუფლება ვთხოვე.

— წადი, თავბრუ ნუ დამახვიე, — ხელი რაღაცნაირად, სასაცილოდ აიქნია თავს ზემოთ. თითქოს მოჩვენება ვიყავი და ჩემი მოშორება უნდოდა.

— გადმომბარე კოლუას საქმე, გთხოვ, — მუდარით შევხედე.

— მოვიფიქრებ, — მოკლედ მოჭრა და მაგიდაზე დადებულ საქალაქდეს საქმიანად ჩახედა; — სალამოს ურემოდ არ წახვიდე, — მომამახა ბოლოს.

გამელიმა და ჩემს ოთახში დავბრუნდი. თავს გამარჯვებულად მივიჩნევი და კარგ გუნებაზე ვიყავი. თუ კოლუას საქმეს მე გადმომბარებდა, ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც მე ჩავთვლიდი საჭიროდ. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, არ ვიცოდი, რატომ ვიყავი ასე მოწინააღმდეგე, რომ ღიზასთვის ქმარი დამებრუნებინა. ჩემი აზრით, საამისოდ ერთი მიზეზი არსებობდა — ის, რაც ლევანს ვუთხარი: ერთგული ქალის მიმართ მოწინება და თაყვანისცემა... ამაზე ბევრი ვიფიქრე და დღის ბოლოს უკვე ზუსტად ვიცოდი, რომ ღიზას მიმართ ჩემი კეთილგანწყობილების მიზეზი სულ სხვა რამ გახლდათ: როდესაც ეჭვებით აღვსილი, ლევანის კაბინეტში შევედი და მზად ვიყავი, იქ მყოფი ჩემი მეტოქე შუაზე გამეგლიჯა, მეტოქის ნაცვლად ხელში ოჯახის ერთგული, მშვენიერი ქალი დამხვდა, რომლის საუბარმაც დამარწმუნა, რომ მისი მხრიდან საფრთხე არ შემუქრებოდა და ის ლევანის წასართმევად კი არ იყო მოსული, არამედ — ქმრის დასაბრუნებლად. ახლაც მასსოვს ის გრძნობა, რაც ღიზას საუბრის მოსმენის შედეგად დამეუფლა. აჩქარებული სისხლი დამიმშვიდადა, გულის ფეთქვა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა და სხეულსა თუ გონებაში ისეთი სიმშვიდე ვიგრძენი, რომელიც ნირვანას ტოლფასი იყო. ალბათ მაღლიერების გრძნობა გამიჩნდა ამ ქალის მიმართ და ქვეცნობიერად გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, დაჯმარებოდი. არსებობდა კიდევ ერთი მიზეზი: ღიზა გარეგნულად მართლაც უნაკლოდ გამოიყურებოდა და შესაძლოა, მასში მეტოქეც დავინახე. ლევანი ერთი ჩვეულებრივი მამაკაცი იყო, რამაზისგან დიდად არ განსხვავდებოდა და თუ ღიზა გულში ჩაუვარდებოდა, იქნებ მასაც დაუნყო შეებმა და გამოსვლოდა კიდევ? ამის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გზა არსებობდა — ღიზას ქმარი გვერდით უნდა ჰყოლოდა. მართალია, იმ ღამით ლევანთან

დავრჩი, მაგრამ საქმის შესახებ ხმა არ ამოუღია. ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. დილით, როგორც ყოველთვის, მე ტაქსით წავედი სამსახურში, მას მძლოლმა მოაკითხა. მხოლოდ თათბირზე გავიგე, რომ კოლუას საქმე გადმომცეს. რამაზს ვერც კმაყოფილება შევნიშნე და ვერც უკმაყოფილება. რეაქცია არ ჰქონია. მე კი ძალიან გამიხარდა. თათბირიდან უკან დაბრუნებულს კაბინეტში სანდრო დამხვდა. მისი ვიზიტი მოულოდნელი იყო. კარი რომ შევალე და დავინახე, შევხტე.

— საკუთარი ჩრდილისაც თუ გეშინია, პოლიციაში როგორ მუშაობ? — ხმამალა გაცივდა სანდრომ.

— რას მივანეროთ შენი ვიზიტი? რამ შეგანუხა?

— ჩემი სტრუქტურა ანუ უშიშროების სამსახური, ერთი საქმითაა დაინტერესებული, რომელიც უშუალოდ შენ გაბარია.

— იმედია, კოლუას საქმეს არ გულისხმობ, ვინაიდან სულ რაღაც ნახევარი საათის წინ გადმომცეს.

— არა, მაგას არა, დელოზვილებს ვგულისხმობ — გაუხსნელი მკვლელობა რომ გაქვს.

— ეგ თითქმის ბოლომდეა მიყვანილი, ვფიქრობ, რამდენიმე დღის სამუშაო დარჩა და დამნაშავეებს ავიყვანთ.

— დამნაშავეს! — კატეგორიული ტონით თქვა სანდრომ.

— არა, აქ „ჯგუფური“ იყო... 4 კაცია მამა-შვილის მკვლელობაში გარეული.

— აი, ამის გაკეთებულია ეგ საქმე, — სანდრომ წინ ფოტო დამიდო, რომელზეც ჩემთვის სრულიად უცნობი მამაკაცი იყო აღბეჭდილი.

— არა, მე დამნაშავეების ფოტოები მაქვს, ეს კაცი მკვლელობაში არ ფიგურირებს, — ფოტო მისკენ მივნიე, რადგან ჩემს ნათქვამში დარწმუნებული ვიყავი.

— მარგო, ნუთუ მართლა ასეთი მიაბიტი ხარ? თუ თავს მაჩვენებ?

— ვერ გავიგე...


— რადგან გეუბნები, რომ 2 ადამიანის მკვლელობა ამ კაცის კისერზეა, უნდა დაიჯერო, რომ ასეა. გასაგებია?

— ანუ შენ გინდა, რომ ნამდვილ დამნაშავეებს ხელი დავაფარო, მკვლელობა ამ კაცს შევტენო და დავიჭირო?

— სწორად მიხვდი, ყოჩაღ! როგორც იქნა, გაიგე, რა მინდა.

— შენ ნორმალურ ქვუაზე ხარ? — სკამიდან წამოვდექი და სანდროსთან „საბრძოლველად“ მოვემზადე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი ნ. „ზა“ №51, 2010 – 1-12, 2011

ის იყო, ორდენიძემ კაბინეტის კარი შეაღო, რომ ტელეფონიც აწკრიალდა.

— შემოდი ჩემთან, — გაისმა ყურმილში კახაბერ ურთმელიძის ხმა, — ახალი ამბავი მაქვს.

„რალაც ძალიან მოუხშირა ჩემს გამოძახებას, — გაიფიქრა გამოძიებელმა, — ნეტავ, თუ მოეღება ამას ბოლო?“

— გისმენთ, ბატონო კახაბერ, — შეფის კაბინეტში შესული ორდენიძე საყვედურების მოსასმენად მოემზადა.

— დაჯექი და ვილაპარაკოთ.

„ეტყობა, რალაც მოხდა, — გაიფიქრა გამოძიებელმა, — თორემ აქამდე შესული არ ვიყავი, რომ უკვე ლანძღვაზე გადადიოდა.“

— აბა, როგორაა კოლექციონერების საქმე? — დაინყო შეფმა.

— კოლექციონერების საქმე? — მხრები აიჩინა გაკვირვებულმა ორდენიძემ.

— არანაირად. თქვენ არ ამიკრძალებთ მასზე მუშაობა?! ჰოდა, მაგ საქმეს მეც შევეში.

— ვითომ? — თვლები ეშმაკურად მონკურა პოლკოვნიკმა. — შენთვის არაფერი ამიკრძალავს და ასეც რომ ყოფილიყო, დავიჯერო, ეს საქმე ასე ადვილად დათმე?..

— დავთმე და ახლა იმ საქმეებზე ვმუშაობ, რომლებიც პირადად დამავალეთ.

— მით უარესი შენთვის.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაინც მოგიწევს კოლექციონერების საქმესთან მიბრუნება.

— მოხდა რამე?

— მოხდაო?.. 2 დღის წინ, საკუთარ ბინაში კოლექციონერი იორამ იორდანიშვილი მოკლეს.

— რაა?! — გაოგნებისგან პირი დაალო ორდენიძემ, რომელიც იორდანიშვილს 2 დღის წინ ესაუბრა და საფრთხის შესახებაც საგანგებოდ გააფრთხილა.

— ჩვენ კი გაგვიმართლა, — განაგრძო ურთმელიძემ, — დანაშაული ცხელ კვალზეა გახსნილი და დამნაშავეც დაკავებულია.

— ასე სწრაფად როგორ მოახერხეთ? — ძლივს ამოღერდა გამოძიებელმა, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, საქმე ასე რატომ შემობრუნდა.

„განა არ დავარწმუნე, რომ ფრთხილად ყოფილიყო? — ეკითხებოდა საკუთარ თავს. — გამოდის, რომ ან კოლექციონერმა წაუყრუა ჩემს გაფრთხილებას, ანდა მკვლელია ცბიერი, მაგრამ მაშინ ასე ადვილად როგორ დააკავეს? არა, აქ რალაც სხვა მოხდა და აუცილებლად უნდა გავარკვიო, რა!“

— ვმუშაობთ, ბატონო ოთარ, ვმუშაობთ, — სახიდან კმაყოფილი ღიმილი აღარ სცილდებოდა პოლკოვნიკს, — მკვლელს ადგილზე იარალი — დანა დარჩა.

— დარჩა?

— ან დარჩა, ანდა — დაუფარდა და ალება ველარ მოასწრო. ისე, სადისტანს უნდა გვეკონდეს საქმე. სანამ მოკლავდა, მსხვერპლი სასტიკად აწამა. გვაში საშინლად დასახიჩრებულნი.

— მაინც როგორ მოახერხეთ დამნაშავის ასე ოპერატიულად დაკავება? მისი თითის ანაბეჭდები იყო კარტოთევაში?

— არა. მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა მოკლულის მეზობლები ცხელ კვალზე დაჰკითხეს და გაარკვიეს, რომ მასთან ხშირად დადიოდა ვინმე ავთო თვალჭრელიძე. ექსპერტიზამ კი დანაზე მისი ანაბეჭდები აღმოაჩინა. ისე, თვალჭრელიძის ბინის ჩხრეკამაც კარგი შედეგი გამოიღო.

— იქ რა აღმოაჩინეთ?

— იორდანიშვილის კოლექციიდან მოპარული რამდენიმე ძვირფასი ნივთი.

— ერთს მაინც ვერაფრით მივხვდარვარ, ბატონო კახაბერ.

— რას?

— თუნდაც ასე ცხელ კვალზე გახსნილი ეს დანაშაული უკვალოდ გამქრალი სხვა კოლექციონერების საქმესთან როგორ არის დაკავშირებული?

— ხუმრობ თუ მართლა ვერ ხვდები? — გაუკვირდა შეფს.

— მართლა.

— გამაგიჟებს ეს კაცი! — ფეხზე წამოდგა და ოთახში გაიარა-გამოიარა პოლკოვნიკმა. — იმას რა მიხვედრა უნდა, რომ ყველა სხვა კოლექციონერიც ამ სადისტი თვალჭრელიძის გასაღებულთა სხვათა შორის, იორდანიშვილის გვამი ფარდაგში გახვეული დაგვხვდა. ეტყობა, მკვლელს მისი ბინიდან გატანა უნდოდა. ჰოდა, მართლა რომ გაეტანა, ხომ გვეყოლებოდა კიდევ ერთი გამქრალი კოლექციონერი?

— და რატომ არ გაიტანა?

— ალბათ, რალაცამ შეუშალა ხელი. ან ვინმემ დააფრთხო, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს. მკვლელი ხელში გყავს და ახლა შენი ამოცანა მხოლოდ სხვა კოლექციონერების გაქრობასთან მისი კავშირის დატყვიცვაა. თუ მუშაობის პროცესში კიდევ რამე დაგინტერესებს ან რაიმეს დაზუსტება დაგჭირდება, მომმართე და ყველაფერში დაგეხმარება.

— ზოგიერთი დეტალის დაზუსტება ახლავ არ მანყენდა.

— გისმენ.

— იორდანიშვილი საკუთარ ბინაში დანით მოკლული აღმოაჩინეთ, ხომ?

— ეს ხომ უკვე გითხარი?

— დანა ჩვეულებრივი იყო თუ...

— ჩვეულებრივი სამზარეულო დანა იყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— როგორ არა აქვს მნიშვნელობა? განა, გასაკვირი არ არის, რომ...

— რა არის გასაკვირი? — გაანყვეტინა გამოძიებელს ურთმელიძემ. — ყოფითი დანაშაულების უმეტესობა სამზარეულო დანებით ხდება.

— და ეს ყოფითი დანაშაულია?

— წვრილმანებში კირკიტს შეეშვი! — ხმას აუწია გაღიზიანებულმა პოლკოვნიკმა.

— თუ ეს წვრილმანია, შევეშვი, მაგრამ ის მაინც არ გიკვირთ, იმ ვილაც თვალჭრელიძემ დანა მაინცდამაინც ასეთ გამოსაჩენ ადგილზე რომ დატოვა?!

— კი არ დატოვა, ალბათ, დაუფარდა და ალება ველარ მოასწრო.

— მოკლულის ნივთები შინ წაიღო, ხომ?

— აბა, სად უნდა წაეღო? — ისე შეიცხადა ურთმელიძემ, თითქოს ვერც კი წარმოედგინა, რომ ნაძარცვის სხვა ადგილზე გადამალვაც შეიძლებოდა და შემდეგ ხელქვეითს თვალეები დაუბრიალა: — უკვე მეჩვენება, რომ შენ სხვა კოლექციონერების კი არა, ამ კონკრეტულ საქმესთან თვალჭრელიძის კავშირშიც კი ეჭვი გეპარება.

— თქვენ კი არ შეგპარვით ეჭვი, ბატონო კახაბერ?

— რას გეტყვი, იცი? — მაგიდას



გამეტებით დასცხო მუშტი პოლკოვნიკ-მა. — ჩემთვის აქ ყველაფერი დღესათვის ნათელია. ყველა სამხილი სახეზეა. მკვლეელი დაკავებულია. მეტი რაღა გინდა? გირჩევ, ამჯერად მაინც არაფერი გაართულო, თორემ ჩემს მოთმინებასაც საზღვარი აქვს!

— დაფუშვით, ასეც მოვიქცევი, მაგრამ ამ ყველაფერს ხომ დამტკიცება უნდა?

— მერე ადექი და დაამტკიცე. რა გიშლის ხელს?

— იმაზე მაინც არ გიფიქრიათ, რომ დაკავებული ყველაფრის უარყოფას შეეცდება?

— რა თქმა უნდა, შეეცდება, მაგრამ შენ რისთვის ხარ? ისე უნდა მიაყენო კედელთან, რომ გაფართხალების სურვილიც დაკარგოს. ერთი სიტყვით, ამ საქმეს სასწრაფოდ უნდა მიხედო! მით უმეტეს, რომ თვალჭრელიძემ შენთან შეხვედრა ითხოვა.

— ჩემთან? — გაუკვირდა გამომძიებელს. — არ უთქვამს, რატომ?

— ამას თვითონ ჰკითხავ...

წინასწარი დაკავების იზოლატორში მისული ორდენიძე ინტერესით ელოდა ავთო თვალჭრელიძესთან შეხვედრას, რადგან თავად ჯერ ვერ აეხსნა, დაკავებულს მაინცდამაინც მასთან ლაპარაკის სურვილი რატომ უნდა გასჩენოდა. უეცრად გამომძიებლის პიჯაკის ჯიბეში ტელეფონი აწვრიალდა.

— გისმენთ.

— ოთარს გაუმარჯოს! — გაისმა ყურმილში ლევან ახვლედიანის ხმა. — როგორაა საქმე? ალბათ, როგორც ყოველთვის: სროლა, მკვლელობა, ძარცვა...

— უფრო უარესად, — უხალისოდ უპასუხა ორდენიძემ, — ანგარიშები, დაკითხვები, ოქმები...

— მოსაწყენი ცხოვრება გაქვს, ჩემო ოთარ, მოსაწყენი... მაგრამ არა უშავს, ყველაფერს ეშველება.

— მეც ამის იმედით ვცოცხლობ.

— ახალი ამბავი მაქვს შენთვის.

— კარგი თუ ცუდი?

— რა თქმა უნდა, კარგი. შენთვის ოდესმე ცუდი ამბავი მომიტანია?

— მაშინ ყურადღებით გისმენ.

— მალარიჩი შენზეა. ჩვენთან ერთი თბილი ადგილი გათავისუფლდა და მაშინვე შენ გამახსენდა.

— პროკურატურაში გადმოსვლას მთავაზობ?

— გთავაზობ კი არა, იცი, რა სიმწრით მოვიპოვე შენთვის ეს

ადგილი? კინალამ ყელი გამომადრეს, იმდენი მსურველი იყო. ახლავე აიკარი გუდა-ნაბადი და აქეთ გამოქანდი. უფროსთან უნდა შეგიყვანო.

— დიდი მადლობა, მაგრამ...

— არ გადამრიო, ამას რაღა „მაგრამ“ უნდა? — გაღიზიანდა ლევანი. — სასწრაფოდ აქ გაჩნდი და ჩემი საყვარელი კონიაკიც გამოიყოლე. მგონი, დავიმსახურე.

— კონიაკს ისეც არ დაგამადლი, მაგრამ საშისხურთან დაკავშირებით კი ცოტა აჩქარდი.

— აჩქარდი? — გაისმა ყურმილში ლევანის აღმოფთვებული ხმა. — აჩქარდი კი არა, სხვებს ძლივს დავასწარი. ახლა იმას აღარ იკითხავ, უფროსის დარწმუნება რა დამიჯდა? მოკლედ, ახლავე მოვახსენებ, რომ თანახმა ხარ.

— საქმეც ისაა, რომ არ ვარ თანახმა.

— რაო?...

— ხომ გითხარი, აჩქარდი-მეთქი. სანამ უფროსს მოელაპარაკებოდი, ჯერ ჩემთვის უნდა გეკითხა.

— მართლა ასე ფიქრობ თუ მეხუმრები?

— ასე ვფიქრობ.

— მაშინ არ გენყინოს და გიჟი ყოფილხარ.

— ვუცდები, რომ არ მენყინოს.

— არა, მაინც რა ნახა შენში მარმი, ვერ გამიგია.

— ვერც მე, — გაეცინა გამომძიებელს, — მაგრამ ხომ გაგიგონია, სიყვარული ბრმააო.

— მართლა მაინტერესებს, რაზე ფიქრობ? მახოხისტი ხომ არა ხარ, რომ გროშებზე მუშაობა და უფროსობისგან გაუთავებელი ლანძღა-გინების მოსმენა მოგწონდეს?

— რა თქმა უნდა, არ მომწონს.

— მაშ, რაღას ყოყმანობ? მოდი, შევთანხმდეთ, რომ შენი უარი არ მომისმენია. ახლავე შევდივარ უფროსთან

და ვუბნები, რომ თანახმა ხარ.

— არა-მეთქი! — ხმას აუწია ორდენიძემ.

— რატომ?.. გამაგებინე, რა ხდება?

— ერთი მნიშვნელოვანი საქმე უნდა მივიყვანო ბოლომდე.

— რატომ ერთი და არა, 10? ჩემზე უკეთ არ იცი, რომ სანამ მანდ ხარ, მნიშვნელოვანი საქმეები არ გამოგელევა?

— ეს საქმე ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

— აუ, მაინც რა ჯიუტი ხარ! იცი, რომ ამ ადგილს ვერ შეგინახავ? ან ის როგორ არ გესმის, რომ შეიძლება, ასეთი შანსი აღარ გამოგიჩნდეს.

— ყველაფერი მესმის, მაგრამ აქედან ვერსად წავალ.

— ეს შენი საბოლოო გადაწყვეტილებაა?

— კი, საბოლოოა.

— რა გაეწყობა... ღმერთი ხომ ხედავს, რომ შენთვის კარგი მინდოდა.

— მეც ხედავ და ამისთვის დიდი მადლობა.

ორდენიძე ლევანს სასწრაფოდ დაემვიდობა, რადგან ოთახში ბადრაგმა შემოიხედა.

— შემოვიყვანო? — ჰკითხა მან გამომძიებელს.

— შემოვიყვანე.

ბადრაგმა ოთახში საშუალოზე ოდნავ მაღალი, დაკუნთული ახალგაზრდა კაცი შემოიყვანა. რამდენიმე წამის განმავლობაში ის და ორდენიძე ერთმანეთს თვალით ზომავდნენ. შემდეგ დუმილი გამომძიებელმა დაარღვია.

— ხელბორკილები მოხსენი და მართო დაგვტოვე, — გადაულაპარაკა ბადრაგს, რომელმაც ეს საქმე წამში შეასრულა და ოთახიდან გავიდა.

— დაჯექი, — მიმართა გამომძიებელმა თვალჭრელიძეს.

მამაკაცი სკამზე მძიმედ დაეშვა.

— მოწევა ხომ არ გინდა?

— არ ვწევი.

— გვარი, სახელი, მამის სახელი, — მაგიდაზე დაკითხვის ოქმის ფურცელი დადო ორდენიძემ და ჩასაწერად მოემზადა.

— დროს ტყუილად რატომ კარგავთ, ბატონო ოთარ? — ჰკითხა მას თვალჭრელიძემ. — საქმეში ხომ ყველაფერი წერია.

— კარგი. მაშინ, დრო რომ აღარ დაგვკარგოთ, პირდაპირ გკითხავ: ჩემი ნახვა მართლა გინდოდა?

— მართლა. მინდა, რომ თქვენ წაიყვანოთ ჩემი საქმე.

— რატომ?

— ახლავე ყველაფერს აგისნით.





— ყურადღებით გისმენ.
— საერთოდ, პოლიციასთან საქმის დაჭერას ყველა ერიდება და არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ კარგი და



ცუდი თქვენთანაც არის.
— კარგი ერთი!
— დიახ, და ეს ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ.
— დავუშვათ, — ცალკეა გელიმა ორდენიძეს, — და მაინც სად ვარ, ცუდებში თუ კარგებში?
— ამას რა კითხვა უნდა? თქვენ ჯერჯერობით არაკაცურად არ მოქცეულხართ. ეს კი დღეს მარტო პოლიციაში კი არა, საერთოდაც იშვიათობაა.
— ასეთი იშვიათობაც არ უნდა იყოს, მაგრამ მაინც დიდი მადლობა, — კვლავ ცალკეა გელიმა გამოძიებელს. — გამოდის, რომ შენი ქება დავიმსახურე.
— ქებისა რა გითხრათ, მაგრამ საგინებელი ნამდვილად არაფერი გჭირთ.
ორდენიძე გრძნობდა, რომ ასე თუ გააგრძელებდა, შეიძლება, დაკითხვა პროცესუალური ნორმის დარღვევით წარმართულიყო. თუმცა ისიც კარგად ესმოდა, რომ ზოგჯერ სწორედ ასეთ უშუალო ვითარებაში უფრო ლაპარაკობენ ეჭვმიტანილები სიმართლეს, ვიდრე ოფიციალური დაკითხვის დროს.
— გამოდის, რომ ჩემი გჯერა.
— მჯერა.
— ნდობით თუ მენდობი?
— ალბათ, კი.
— მაშინ ყველაფერს მომიყვივი.
— მკითხეთ და გიპასუხებთ.
— კარგი, მაშინ თანამედევრულად მიყვეთ. იორდანიშვილი შენ მოკალი?
— არა, — მშვიდად უპასუხა თვალჭრელიძემ, — მაგრამ ვილაცას უნდა, რომ მკვლეელი სწორედ მე ვიყო.
— ეს შენი დანაა? — ცელოფანის პაკეტიდან დანა ამოიღო გამოძიებელმა.
— შეიძლება, ჩემიცაა.
— შეიძლება თუ ნამდვილად შენია?

— არ ვიცი. ზუსტად ასეთი დანა მეც მქონდა, მაგრამ ეს...
— ამ დანაზე შენი თითების ანაბეჭდებია, — თვალი თვალში გაუყარა ეჭვმიტანილს ორდენიძემ.
— მაშინ ნამდვილად ჩემია. ეს ხომ ჩვეულებრივი სამზარეულო დანაა, რომლითაც პურს ვჭრი და, რა თქმა უნდა, მასზე ჩემი თითების ანაბეჭდები იქნება, მაგრამ გჯერათ, რომ კაცის მოსაკლავადაც ამ დანით ნავიდობდი?
— არ მჯერა, თუმცა ამაში განსაკუთრებულად უჩვეულოსაც ვერაფერს ვხედავ, რადგან ყოფითი დანაშაულების უმეტესობა ჩვეულებრივი, სამზარეულო დანებით ხდება, — შეფის სიტყვები თითქმის უცვლელად გაიმეორა ორდენიძემ.
— ასეც რომ იყოს, ბიძია იორამი რატომ უნდა მომეკლა?
— ეს შენ უნდა მითხრა.
— ჰოდა, გეუბნებით, რომ ამისთვის ერთი მიზეზიც კი არ მქონდა. არც ფული მაკლია და არც — კარგი ცხოვრება.
— მერე რა? იქნებ კიდევ უფრო მეტი მოგინდა და... იორდანიშვილის მეზობლები ამბობენ, რომ მასთან ხშირად დადიოდი. რა საერთო გქონდათ? ოღონდ, იმის მოყოლა არ დამინეო, — ჭადრაკის სათამაშოდ დადიოდიო.
თვალჭრელიძემ თავი ჩაქინდრა და გაირინდა.
— პასუხს ველოდები.
— ალბათ უკვე იცით, რომ უმამოდ გავიზარდე.
— მერე?
— მარტო დედა მზრდიდა. ბიძია იორამი კი შორიდან გვეხმარებოდა. და ამას ჩემთვის იმდენად შეუმჩნევლად აკეთებდა, რომ კარგა ხანს ახალ წელს თუ დაბადების დღეზე ბალიშის ქვეშ ალმონილი საჩუქრები, უგზო-უკვლოდ გადაკარგული მამაჩემის გამოგზავნილი მეგონა. რომ ნამოვიზარდე და ცოტა ჭკუაში ჩავვარდი, რა თქმა უნდა, ყველაფერს მივხვდი, თუმცა თავად ეს არც მერე უღიარებია.
— არ გიკითხავს, ასე რატომ იქცეოდა?
— არა. ვფიქრობ, ჩემთვის იმ იმედის წართმევა არ უნდოდა, რომ მამაჩემი ოდესმე მაინც დაბრუნდებოდა.
— მერე რა მოხდა?
— 20 წლისას დედა მომიკვდა და ისევ ბიძია იორამი ამომივლიდა მხარში და მანუგეშებდა. უდებობამ უცბად კაცად გადაამაქცია, საქმეს მოვკიდდე, მალე ფულიც ვიმოვე და მას შემდეგ ვცდი-

ლობდი, მოხუცისთვის სიკეთე როგორმე გადაეხანდა. ხან ტანსაცმელს ვჭუქინდი, ხან პროდუქტებს ვყიდულობდი.
— მისი ქონების პატრონს ტანსაცმელი და საჭმელი აკლდა?
— წესით, არ უნდა ჰკლებოდა, მაგრამ კოლექციონერების ამბავი ხომ იცით — შიმშილით დაიხოცებიან და ერთ ნივთსაც კი არ გაიმეტებენ გასაყიდად. საწყალი ძია იორამიც ასეთი იყო, — მძიმედ ამოიოხრა თვალჭრელიძემ.
— მართლა გეცოდება?
— ძალიან. რალაც სულელური ნივთებისთვის იტანჯავდა თავს.
— მაშინ იქნებ სწორედ ამიტომაც მოკალი, რომ აღარ დატანჯულიყო?..
— რააა?! — უცბად მიტკალივით გაფითრდა თვალჭრელიძე. — ის ხომ მმე... მან ხომ ჩემთვის...
— კარგი, კარგი, — დანებების ნიშნად ორივე ხელი ასწია გამოძიებელმა, — დამშვიდდი. თან, მეც ხომ უნდა გამოიგო? იცი, შენამდე რამდენი ასეთი ზღაპარი მაქვს მოსმენილი?
— ვიცი, მაგრამ სიმართლეს ვამბობ, — მამაში ლითონი ჩაუდგა ეჭვმიტანილს.
— მაშინ გავაგრძელოთ. ბოლოს როდის, სად და რა ვითარებაში ნახე იორდანიშვილი?
— მის სახლში, მკვლელობამდე 3 დღით ადრე.
— პროდუქტები მიუტანე?
— სანახავად მივედი და პროდუქტებიც მივეტანე.
— მართალი ხარ, — იორდანიშვილის ბინის დათვლიერების ოქმს ჩახედა და ისე დაეთანხმა ეჭვმიტანილს ორდენიძე, — აქ წერია, რომ მაცივარი სავსე იყო, მაგიდაზე კი ხილით სავსე ლარნაკი იდგა, მაგრამ დანას რალა ვუყოთ? როგორ უნდა მოხვედრილიყო მოხუცის ბინაში?!
— წარმოდგენა არ მაქვს. შეიძლება, ვილაცამ მომპარა.
— დავიჯერო, შენს ბინაში ასე ადვილია შეღწევა?
— ვითომ რა პრობლემაა? განა დღეს არსებობს საკეტი, რომლის გატეხასაც კაცი ვერ შეძლებს?
— ჰო, მაგრამ მაინც არა მგონია, ფულიანი კაცი საკუთარ უსაფრთხოებაზე სხვებზე ოდნავ მეტად მაინც არ ზრუნავდეს.
— ფულს სახლში არ ვინახავ. სხვა ძვირფასეულობა კი უბრალოდ არ გამაჩნია. მარტოხელა კაცი ვარ და ისეც ვცხოვრობ, როგორც მარტოხელას შეეფერება. ცოლი რომ მყავდეს, კიდევ ჰო, სამკაულები მაინც იქნებოდა სახლში.
— მაშინ იქნებ ის გაისხნო, დანა როდის დაიკარგა?
— აზრზე არა ვარ. დაკავებამდე



დაკარგულიც კი არ მეგონა, რადგან ბოლო დღეებში არ დამჭირებია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ რესტორანში ვიკვებები. სახლში კი, დიდი-დიდი, ერბოკვერცხი შევიწვავ, მაგრამ ბოლო დღეებში ამისთვისაც ვერ ვიცილიდი. შინიდან დილით გავდიოდი და უკან გვიან, დასაძინებლად თუ ვბრუნდებოდი.

— ახლა ერთი ისიც მითხარი, — დავიჯერო, ქალიც არ გყავს?

— ქალები, — გაუსწორა გამომძიებელს თვალჭრელიძემ, — თან, სულ ნაირ-ნაირი.

— ბოლოს რომელი იყო შენს სახლში?

— უჩემოდ — არც ერთი.

— ძმაკაცები?

— ძმაკაცი სულ 3 მყავს და სამივეზე თავს დავდებ.

— ეს კარგია, მაგრამ მოკვთე მტრის ამბავიც ხომ გაგიგონია? ასე რომ, კარგად გაიხსენე, თუნდაც ბოლო 2 კვირის მანძილზე ვინ იყო შენთან? შეიძლება, ეს უცხო ადამიანიც ყოფილიყო — მაგალითად, გაზის ან დენის აღმრიცხველი, ტელეფონის ხელოსანი და თუნდაც...

— გამახსენდა! — გაანწყვეტინა გამომძიებელს თვალჭრელიძემ. — ტელეფონის ხელოსანი იყო.

— როდის?

— ასე, 2-3 დღის წინ.

— შენ გამოიძახე?

— კი. ტელეფონმა აურია და...

— შემთხვევით, იმ კაცის გვარი ხომ არ გახსოვს?

— არც კი მიკითხავს. რაში მაინტერესებდა? მოვიდა, თავისი საქმე გააკეთა და წავიდა.

— ტელეფონის აპარატი სად გიდგას?

— სამზარეულოში, კედელზეა მიმაგრებული.

— ის კაცი იქ მართო ხომ არ დატოვე?

— ცოტა ხნით. საპირფარეოში დამჭირდა შესვლა.

— კარგი, მაშინ ახლა შენი სატელეფონო სადგურის ტელეფონის ნომერი მითხარი.

თვალჭრელიძემ გამომძიებელს ნომერი უპარნახა.

ორდენიძემ კი მამინვე ლეკიშვილს დაურეკა და ყველაფრის სახსრავოდ გარკვევა დაავალა.

რამდენიმე წუთში პასუხი უკვე მზად იყო.

— აი, ახლა კი მგონი, რალაც მართლა გაირკვა, მაგრამ შენთვის სასიკეთო — მაინც არაფერი, — ლეკიშვილის ზარის შემდეგ ტელეფონი უკმაყოფილო სახით გათიშა გამომძიებელმა.

— რა მოხდა? — შეცბა ეჭვიტანაილი.

— აშკარაა, ვილაცამ თავი ხელოსნად გაასალა და შენს ბინაში ისე შემოაღწია. სატელეფონო სადგურიდან კი არავინ გამოუგზავნიათ, რადგან იქ უკვე შენი სახელით დაურეკავთ და გამოძახება გაუუქმებიათ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შენი დამლუპველი შინ თვითონვე შემოუშვი.

— უხ, მაგისი! — კბილები გაახრჭიალა თვალჭრელიძემ. — არადა, ფულიც ვაჩუქე და 2 ჭიქა მაგარი არაყიც ვახუხინე.

— რას იზამ, უარესიც ხდება ხოლმე...

— ბლოკნოტში რალაც ჩაინიშნა ორდენიძემ. — კიდევ რამეს ხომ არ გაიხსენებ?

— მაინც რას?

— იქნებ ბოლო დღეებში რალაც საეჭვოდ მოგჩვენა?

— არ მახსენდება, — მხრები აიჩეჩა დაბნეულმა თვალჭრელიძემ, — თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო.

— დაბოლოს, — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა მას გამომძიებელს.

ბელმა, — მითხარი, მაინც რატომ უნდა დავიჯერო?

— ბატონო ოთარ, — ცივად გაელიმა ეჭვიტანაილს, — თქვენთვის საკუთარი ტყავის გადასარჩენად ნამდვილად არ მომიმართავს. ამისთვის გარეთ გამოცდილი ადვოკატები, „ზემოთ“ კი გავლენიანი მფარველი მყავს. ასე რომ, თუკი აქამდე ვახერხებდი თავის გატანას, დიდად არც ამის შემდეგ გამიჭირდება, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ძია იორამის მკვლელობის საქმე მართლა პატიოსნად გამოიძიონ.

— და გგონია, რომ ამას გავაკეთებ?

— კი არ მგონია, დარწმუნებული ვარ.

— ისე, შენი თხოვნის გარეშეც იმავეს გავაკეთებდი. იმიტომ, რომ ეს ჩემი მოვალეობა და ამასთან, ღირსების საკითხია.

— აი, სწორედ ამიტომაც მოგმართეთ თქვენ და მინდა, რომ ეს საქმე სწორედ თქვენაირმა ობიექტურმა გამომძიებელმა გამოიძიოს და ძია იორამის ნამდვილი მკვლეელი იპოვოს.

— და თუ, როგორც ობიექტური გამომძიებელი, დავამტკიცებ, რომ ეს შენ იყავი? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ორდენიძემ.

— მე არ ვყოფილვარ, — წარბიც არ შეუხრია თვალჭრელიძეს, — და ამას სწორედ თქვენი დახმარებით დავამტკიცებ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ქარუსელთან“ ერთად, გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

ნაპოლეონ ბონაპარტი

1-დან 6-წილამდე

მალი!

დიდი ქართველების ბიოგრაფიები. პირველი ტომი - ვახტანგ გორგასალი

წიგნის ფასი: 2.50 (ჟურნალთან ერთად 3.50)

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები

წიგნების სერია ბავშვებისთვის



დასაწყისი იხ „გზა“ №2-12

ნუკის არასდროს დაავიწყდება ზურას სახე — საყვედურით (სიბრაზითაც) სავსე მზერა, გამომცდელი გამოხედვა...

— დაგაგვიანდა, — ბუზლუნით ჩაილაპარაკა რამდენიმე წამის შემდეგ და გატრიალდა.

გოგონა უკან მიჰყვა.

— დამაგვიანდა? რატომ? ჯერ მხოლოდ 9 საათია, — ფრთხილად წარმოთქვა.

— 10-ის 8 წუთია უკვე, — იმავე ტონით გაიმეორა წინ მიმავალმა მამაკაცმა, — სად იყავი?

— ნელისთან.

ზურა ტახტზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და მუხლებზე დანყობილი თითები ერთმანეთში გადახლართა.

— რაო ნელიმ?

— არაფერი... ვილაპარაკეთ, — უდარდელი სახის მიღება სცადა ნუკიმ, მაგრამ არ გამოუვიდა... სავარძელში ჩაჯდა და მზერა აარიდა მამაკაცს.

— შენ რა, იტირე? — მოულოდნელად მისკენ გადმოიხარა ზურა.

ნუკი შეცბა, დამფრთხალმა აახამხამა წამწამები.

— არა, რა ვიტირე... — მისდა უნებურად შეეცვალა ხმა.

— ჰო, რა ვიცია... — გულგრილად უპასუხა მამაკაცმა, ადგა და თავის ოთახში მიიმალა.

ნუკი წამოხტა, საბაზანოში შევარდა და სარკეში ჩაიხედა... ო, ღმერთო! რა ამღვრეული აქვს თვალები! თითქოს მართლა ნამტირალევი იყოს. ნუთუ ერთმა კოცნამ (ვითომ კოცნამ) ასე იმოქმედა მასზე? რა ემართება? შეიძლება ერთდროულად 2 კაცისკენ მიუწევდეს გული? ეს ხომ აბსურდია? იცის მაინც, რა უნდა? იქნებ ეს მხოლოდ ძიების პროცესია? მაგრამ რისი ძიების? საიმედო საყრდენის (იქნებ სიყვარულის)? დავუშვათ, ასეა, მერე? როგორ უნდა მიხვდეს (ან იგრძნოს) რომელი მათგანია ის, ვისაც მისი გული (და სულიც) ეძებს? არ იცის... ალბათ ცხოვრება (იქნებ სიტუაცია) უკარნახებს. ვნახოთ, 2 მისაღები კანდიდატურიდან რომელი უფრო ეცდება (თუ შეძლებს) მისი კეთილგანწყობილების მოპოვებას.

— რითი მოხვედრი? — სასტუმრო ოთახში გამოსულს ზურა შუა ოთახში აესვეტა და კვლავ გამომცდელი მზერით მიაჩერდა.

ნუკი ამ შეკითხვას არ ელოდა... დაიბნა. თვალები დახარა.

— სამარშრუტო ტაქსით, ოღონდ, ერთი გაჩერებით ადრე ჩამოვედი... მინდოდა, ფეხით გამეგლო ცოტა.

— აჰა... — ეჭვნარევი ხმით ჩაილ-

ნაადრევი ენქელაზი

სვეტა კვარაცხელია

წარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გავგიზაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

აპარაკა მან და სამზარეულოში გაუჩინარდა.

ნუკი დაიძაბა. ამინებდა მისი გამომეტყველება. სულ სხვას ეუბნებოდა მამაკაცი, ამ დროს სულ სხვას ფიქრობდა და ეს ფიქრები აშკარად ირეკლებოდა მის თვალებში. სხვა რამის თქმა (და ქმნა) უნდოდა სინამდვილეში, მაგრამ სულ სხვა გამოსდიოდა. სწორედ ეს სხვა აღიზინებდა გოგონას. არ შეუძლია, თქვას (და ქნას) ის, რასაც განიცდის? ხომ ყველაფერი მარტივი (შვების მომგვრელი) გახდება?

— ქათამი შეგწვი დღეს და... კარტოფილის პიურეც გავაკეთე. ხომ გშია? — ჰკითხა, როცა თავადაც შეალო სამზარეულოს კარი.

— თავს ძალიან ნუ გამოიდეგ, — ცივად თქვა მამაკაცმა.

ნუკი გაქვავდა. წამით თვალთ დაუბნელდა. ამნუთას ზურას სილა რომ გაეწნა მისთვის, ამაზე მტკივნეული ვერ იქნებოდა.

მამაკაცი მიხვდა, ცუდად რომ გამოუვიდა. ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა დაზაფრულ გოგონას და შერბილებული ხმით გააგრძელა.

— მომისმინე... დღეს რთული დღე მქონდა, ძალიან რთული. თავი მისკვდება, ისე მტკივა და... შიმშილით ვკვდები... მიდი, შენებურად მომემსახურე.

— ახლავე... — უფრო გაიფიქრა ნუკიმ, ვიდრე წარმოთქვა და კარადის უჯრა გამოალო, ოღონდ ვერ ხვდებოდა — რისთვის; რა უნდოდა იმ უჯრაში, რომელშიც არც თევზები ეწყო, არც — დანა-ჩანგალი... ჰო, გაახსენდა — აქ ხელსაწმენდები აწყვია... ალბათ ეს უნდოდა.

— მე გავშლი სუფრას და მარტო

დაგტოვებ, რათა მშვიდად დანაყრდემე... მე უკვე ვივარსებ, — დაამატა ბოლოს და არაგულწრფელი (თან წამიერი) ღიმილი გაუკრთა ტუჩებზე.

რა თავხედა! ზურას სიბრაზით ანთო თვალები, როგორი თავხედი! ხომ არის ღირსი, კინწისკვრით მოისროლოს აქედან და ერთხელ და სამუდამოდ დაამთავროს ეს ყველაფერი?! უკითხავად სადღაც წავიდა და არც გააფრთხილა, არც დაურეკა... ახლა კი აქეთ სდებს ბრაღს!

არადა, ამ მომენტში ყველაზე მეტად მისი ჩახუტება უნდოდა, მისი მოფერება, თან მანამდე, სანამ ძალა არ გამოეღოდა (ქანცის განყვეტამდე) და მერე ეჭამა ის გემრიელი კერძები, რომელიც მან მოუშადა, თან ესაუბრა მასთან... ესაუბრა იმაზე, თუ როგორ გაატარა დღე, რაზე ილაპარაკეს მან და ნელიმ, მასზე წაიჭორავეს თუ სხვაზე (ვინმეზე). იქნებ გამოჩნდა ჰორიზონტზე ნუკისთვის მისაღები უკეთესი მამაკაცი (უფრო ახალგაზრდა)?

— დარჩი შენც... ყავა მოიდუღე და ვილაპარაკოთ, — ხმადაბლა თქვა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ.

ნუკის სიტყვაც არ დაუძრავს, არც კი გაუხედავს მისკენ. ზურამ გვიან შეამჩნია ეს.

— არ გინდა ჩემთან? — უნებურად წამოხცდა და სანამ დაამატებდა, ჩემთან ერთად ყავის დალევაო, ნუკიმ დაასწრო, თან ძალზე უკმეხად.

— არ მინდა! — და გავიდა.

ზურას გული მოეწურა. კარგა ხანს უყურა მჭიდროდ მოხურულ კარს, საიდანაც გოგონა გავიდა, მერე ღრმად ამოიხვნეშა და ქათმის ბარკალი გადაიღო...

ნუკიმ იბანავა, თმა ფენით გაიშრო და საძინებელს მიაშურა. დიდხანს ვერ



დაიძინა. ერთ მამაკაცზე ფიქრს მეორეზე ფიქრი (და ოცნება) ცვლიდა... დიდხანს, ძალიან დიდხანს... და მიხვდა, რომ ამ ღამეს გიას აშკარა უპირატესობა ჰქონდა მის ფიქრებში (ფანტაზიებშიც)... გული (სხეულიც) მისკვნ უფრო მიუწევდა... ამის აღმოჩენამ, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა...

თბილი აღმოჩნდა სექტემბერი. მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა. ნახევარი თვე ისე გაილია, ერთხელ არ მოღრუბლულა. დარიანი ამინდი ნუკის კარგ გუნება-განწყობილებას უქმნიდა, უფრო ხალისიანად მუშაობდა. თათულის ადვილად შეეწყო. გულლია ქალი იყო, ცოტა ხმაურიანი, მაგრამ კეთილი და თბილი.

პირველივე დღეები ისეთი ნაყოფიერი აღმოჩნდა, გოგონა სიხარულით აღარ იყო. თათულის „მუყაითობის“ გამოისობით, უკვე 7 კლინტი მოუვიდათ, რა თქმა უნდა, მისი ნაცნობები, ნაცნობების ნაცნობები (ან მეგობრები), სულაც მეზობლები... შეკვეთას შეკვეთაზე იღებდნენ. ორივე თავულებლად მუშაობდა. 1 კვირის-თავზე ფულიც დაუგროვდათ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თავისუფლად შეეძლოთ ახალი ქსოვილების შექმნა, რათა შეკვეთების გარდა, ვიტრინის გასალამაზებლადაც შეეკერათ რამდენიმე ხელი სამოსი. საყიდლებზე თათული დადიოდა. ნახი (თან გაპრანჭული) ხმით დაურეკავდა ზურას, დაიბარებდა მანქანით და... მიდიოდნენ და მოდიოდნენ... ნუკის გულზე მწარედ (ძალიან მწარედ) ხვდებოდა, როცა მათ ერთად ხედავდა, თუმცა არ იცოდა, სინამდვილეში რა ხდებოდა მათ შორის. ცდილობდა, არ ეფიქრა ამაზე. ძალიანაც არ ანერვიულებდა ეს სიტუაცია, რადგან გიას სახით გამართობი ჰყავდა. ყოველ საათში ერთხელ ახსენებდა მამაკაცი თავს, მესიჯს მესიჯზე უგზავნიდა. „მენატრები“, „ძალიან მენატრები“, „ვერ ვითმენ, ისე მენატრები“... დაფიქრების საშუალებას არ აძლევდა გოგონას. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ 3 დღით არ დაიკარგა. არავითარი ზარი, არავითარი შეტყობინება... ნუკი გაოგნდა. არ იცოდა, რა ეფიქრა. არადა, ვერ ბედავდა, მოეკითხა. იქნებ სპეციალურად იქცევა ასე, რომ ნუკის რეაქცია შეამოწმოს? იქნებ იმას ელოდება, როდის შემფოთდება გოგონა მისი გაუჩინარებით და თვითონ როდის შეეხმიანება? არა (უფრო ვერა)... ვერა და ვერ გადალახა საკუთარი სიამაყე. არ უნდოდა, თავი გაემჟღავნებინა, არადა, ერთი სული ჰქონდა, როდის გამოჩნდებოდა გია, როდის

დაინრიბინებდა მობილური ტელეფონი და მოფრინდებოდა ნატვრით სავსე ლამაზსიტყვებიანი მესიჯი.

ეს მესამე დღეს მოხდა. შუადღე იყო, ერთი კაბის შეკერვა დაამთავრა და ყავის დალევას აპირებდა, რომ მობილურის ეკრანზე ყვითელი კონვერტი გაჩნდა.

„ერთი ლამაზი, პატარა გოგო დამეკარგა. ხომ არ გინახავთ სადმე? მომეხმარეთ, მომამბენინეთ. თუ სადმე ნახოთ, გადაეცით, რომ მენატრება“, — წერდა მამაკაცი.

გული სიამოვნებით აეგსო. ისეთი შვება იგრძნო, თითქოს ხელები ძლიერად ჰქონდა შეკრული და გაუხსნესო... თითქოს სისხლმა თავისუფლად იწყო ძარღვებში მოძრაობა...

„იმ პატარა გოგომ შემოგივალა, გაბუტული ვარ, ამდენ ხანს სად დაიკარგაოოო“, — გაღიმებულმა მისწერა და სუნთქვაშეკრული დაელოდა პასუხს. თან უხაროდა, მარტო რომ იყო, თათული ერთ კლინტთან წავიდა, რომელიმაც კაბის მოსაზომად სახელში დაიბარა.

„დავიკარგე, ჰო. რა ვქნა, ასეთი ცუდი ბიჭი ვარ... შენ არ იცი, როგორი ცუდი ბიჭი ვარ“, — „შემოსჩვილა“ მამაკაცმა.

ნუკის გაელიძა. „მიყვარს ცუდი ბიჭები“, — არ დააყოვნა პასუხი გახალისებულმა.

„მე კი შენაირი კუდრაჭა გოგონები“, — ისეთი სისწრაფით მოუვიდა მესიჯი, გაუკვირდა, ასე უცებ როგორ აკრიბა ტექსტი.

„ხომ კარგად ხარ?“ — დაინტერესდა ნუკი.

„არა მიშავს, სიხარულო, ვარ რა... შენ რავა ხარ? ვერ მოგაქციე ყურადღება. თან ამაღამ მოსკოვში მივფრინავ“.

გოგონას ამის წაკითხვაზე ლამის გული გაუჩერდა.

„რას ამბობ! დიდი ხნით?“

„არ ვიცი ჯერ... საქმე მიჩვენებს“.

„მერე? წასვლის წინ არ უნდა მნახო?“

„მე კი მინდა, რომ გნახო, მაგრამ...“

„მაგრამ რა? მნახე მერე, ვინ გიმლის?“

„მეგონა, შენ არ გქონდა ამის სურვილი“.

„ტყუილად გეგონა!“ — გაბრაზება ჩააქსოვა ნუკიმ ტექსტში.

„მაშინ მოვალ. სად ხარ, სად გნახო?“

„სამსახურში ვარ“, — მისწერა და საჩუქრების მაღაზიის მისამართი მიუთითა, რომ თათულის არ დაენახა მასთან მოსული მამაკაცი.

„მალე მოვალ, ნუკ, დამელოდე“.

„ჯერ არა, მარტო ვარ და აქაურობას ვერ დავტოვებ. საღამოს არ შეგიძლია?“

„საღამოს რომელზე? შენ როცა მეტყვი, მაშინ მოვალ“.

„რვის მერე მეცლება. დამიმესიჯე, რომ მოხვალ და გამოვალ“, — სიფრთხილედ გამოიჩინა გოგონამ და იმაზე დაიწყო ფიქრი, მაგ დროისთვის თათული წავიდოდა შინ თუ გვიანობამდე შემორჩებოდა. თუმცა დიდად არ ანაღვლებდა ამნუთას ეს ყველა ვარიანტში თავისუფლად შეეძლო შესვედროდა.

დრო გაიწელა. ნუკი ვერ ისვენებდა. წარამარა საათს დასჩერებოდა, როდის გახდებოდა 8 საათი. მისდა სასიხარულოდ, თათული არ მობრუნდა. დაურეკა, მეგობარს დედა გარდასცვლია და სამძიმარზე მივიღვარო. თან მოუბოდიშა, მაპატიე, მარტო რომ გტოვებო. არადა, როგორ გაუხარდა! სულაც არ სჭირდებოდა მონმე გიასთან შეხვედრისას.

9 საათი დაიწყო. მესიჯი იგვიანებდა. ნუკი უკვე ცქქუტავდა. ბოლოს ველარ მოითმინა და მისწერა, რამდენ ხანში მოხვალო.

„მოვედი უკვე, შუქნიშანთან ვდგავარ“, — ერთ წუთში მოუვიდა პასუხი და მეტიც არ უნდოდა, შლეგიანივით წამოხტა. გაპრანჭვა აღარ უნდოდა, ამაზე 2 საათით ადრე იბრუნა. მაინც ჩაიხვდა სარკეში. დღეს სარკე კარგ ხასიათზე ჩანდა, მშვენივრად გამოიყურებოდა. სარკე ის იარაღი (თუ ინსტრუმენტი) იყო, რომლითაც საკუთარ გარეგნობას აკონტროლებდა ხოლმე. კიდე კარგი, ფორმამია. გიას აუცილებლად მოეწონება იგი.





გასაღები გადაატრიალა და სახე-
ლურს დაანვა, რათა დარწმუნებუ-
ლიყო, რომ ნამდვილად ჩაკეტა სამკ-
ერვალო. ყველაფერი რიგზე იყო. გუ-
ლაჩქროლებულმა ჩანთა მხარზე მოი-
გდო და რხევა-რხევით გაუყვა ეზოს.
როგორც კი გამზირზე გავიდა, სან-
ატრელი მანქანაც შეამჩნია. გიამ თვა-
ლი მოჰკრა თუ არა, მანქანიდან გად-
მოვიდა და მოუახლოვდა. ერთმანეთი
ჩვეულებრივად (ამავდროულად, არა-
ჩვეულებრივად) გადაკოცნეს.

— როგორ ხარ? — თვალეში ჩახე-
და მამაკაცმა.

როგორ ვერ უძლებდა ამ თვალე-
ბის შემოხედვას... ამ მთისფერი
თვალეებიდან გადმოსულ ცეცხლს...
ლამის ჩაიკვცა, ისეთი ალმური მოედო
სხეულზე.

— კარგად... შენ?

— განამანიაში. მთელი დღე გა-
დარბენაზე ვიყავი, ძლივს მოვასწარი,
რა... სად წავიდეთ?

— არ ვიცი. რა მნიშვნელობა აქვს,
ჩემთვის სულერთია.

— გშია?

— არა.

— მაშინ მთანმინდაზე ავიდეთ, კარ-
გი?

— ავიდეთ. სტუდენტობის მერე
არ ვყოფილვარ იქ.

— მეც დიდი ხანია, არ ვყოფილ-
ვარ, — გაუღიმა გიამ და ნელი სვლით
დაძრა მანქანა.

— ასე უცებ რატომ გადაწყვიტე
გამგზავრება?

— საჭირო ხალხი უნდა ვნახო,
რალაც სერიოზულ საქმეზეა ლაპარა-
კი. 1 კვირის წინ უნდა ჩავსულიყავი.
ფულს ველოდებოდი და ვერ მოვახ-
ერხე. დრო გადაგვიცდა, დროზე თუ
არ ჩავუხსნარი, მერე მეტი „ჩალიჩი“
დასჭირდება. იმიტომაც ვერ შეგეხმი-
ნე, ეს დღეები, თოხარიკი ცხენივით
დავრბივარ აღმა-დაღმა. თან მოსკ-
ოვია, ხომ იცი, ყველაფერი გართულე-
ბულია. პირდაპირ ვერ ჩაფრინდები,
უნდა შემოუარო. იქ საიმედო კაცი
გჭირდება, რათა გზაში არ შეგამონ-
მონ და შუმჩნევლად მიგიყვანონ ადგ-
ილზე და რა ვიცი...

— არც ის იცი, როდის დაბრუნ-
დები?

— მალე, ნუჟკ, დიდხანს არ დავრ-
ჩები. ვნახოთ.

— ცუდია... — ვედარ უთხრა, რა
გამაძლებინებს უშენოდო.

— ვიცი, რომ ცუდია, მაგრამ ნაუს-
ვლელობა არ იქნება. საქმეს ვერ
გავაფუჭებ. რაც მთავარია, შენ არ
დაგივიწყებ. როგორც კი ჩავალ, და-
გირეკავ.

ნუკიმ თბილად გაუღიმა. მამაკაცს
ნელა მიჰყავდა მანქანა, შიგადაშიგ

გამოხედავდა ხოლმე გოგონას. როცა
ერთ ასეთ გამოხედვაზე მათი მზერა
ერთმანეთს შეხვდა და ტუჩებმაც ერთ-
დროულად გაუღიმეს ერთმანეთს, გიამ
მარჯვენა ხელისგულში ნუკის მარცხ-
ენა ხელის თითები ჩაბლუჯა და ვნები-
ანად მოუჭირა. ურუანტელმა (თან ზე-
სასიამოვნომ) მოიცვა, უნებურად დაეხ-
უჭა თვალეები.

როგორც იქნა, ააღნიეს მთანმინდ-
ის პარკის შესასვლელამდე. აქ ბევ-
რად გრილოდა, ვიდრე ქალაქში. იქნებ
არც გრილოდა და ნუკის (ურუანტელად
ათრთოლებულს) ეჩვენებოდა მხოლოდ?
გადმოვიდნენ თუ არა მანქანიდან, მა-
მაკაცმა ხელი ჩასჭიდა და იმ ადგ-
ილისკენ წაიყვანა, საიდანაც მთელი
თბილისი ხელისგულივით მოჩანდა...
ხმას არც ერთი არ იღებდა. ერთხანს
უყურებდნენ გაჩახჩახებულ ქალაქს.

— ლამაზია, — დუმილი მოჩურ-
ჩულე ნუკიმ დაარღვია.

— ჰო, ლამაზია, მაგრამ შენ უფრო
ლამაზი ხარ... მოდი ჩემთან, — უპა-
სუხა მამაკაცმა და გოგონა თავისკენ
შემოაბრუნა.

რა „საშინელი“ სვავობა იყო მათ
შორის. გია — მალალი, ათლექტური,
მხარბეჭიანი... მასთან შედარებით ნუკი
ერთი ბენო ჩანდა, მკერდამდე ძლივს
სწვდებოდა.

მამაკაცმა მკლავები მოხვია და
გულზე მიიხუტა. გოგონა გრძობდა,
როგორც უცხცახებდა მას ხელები.
მერე გიამ თავი აუწია. როგორც სჩვე-
ოდა, თვალეში ჩახედა და ნახად,
ძალიან ნახად აკოცა ტუჩებში... საო-
ცარი განცდა დაეფულა ნუკის... მის-
თვის არასდროს არავის უკოცნია ასე...
საერთოდ კი უკოცნია ვინმეს მის-
თვის? კი, ერთი-ორჯერ... ამას წინათ
ზურამაც ხომ აკოცა... მაგრამ ეს სხვა
კოცნა იყო... სხვა გემო „ჩაატანა“
გოგონამ. აშკარად ჩანდა, ამ ტუჩებს
კარგი გამოცდილება ჰქონდათ მიღე-
ბული. გია არ ჩქარობდა. ნელა, ძალიან
ნელა კოცნიდა, თითქოს ფრთხილობ-
და, არაფერი სტკენოდა ნუკის ლამაზ,
„დაბანტულ“ ბაგეებს.

— იცი, რამდენს ვოცნებობდი ამ
ნუთებზე? — უჩურჩულა მამაკაცმა,
— ვერ წარმოიდგენ. ნუხელ სიზმარ-
შიც კი გნახე.

— სიზმარში? — ჩურჩულითვე
შეეკითხა ნუკი, — როგორ?

— ოოო! მაგას ვერ მოგიყვები, —
ეშმაკურად გაუღიმა მამაკაცმა და
კვლავ ნაეტანა საკოცნელად.

ამჯერად უფრო გაბედულად აკოცა,
უფრო დაუინებით (იქნებ უხეშადაც),
თითქოს საპასუხო კოცნას ითხოვდა,
ისეთსავე ვნებიანს და მოწყურებულს,
როგორც მისი იყო. ვედარ მოითმინა
გოგონამ. თვითონაც მოხვია მკლავები

მამაკაცს, ფეხის წვერებზე აინია და
კვნესით „ჩაუფარდა“ ტუჩებში მის ტუ-
ჩებს. ვნება უფრო და უფრო ერეოდა...
ყველაფერი გადააინწყდა ამქვეყნად, მათ
შორის ისიც, სად იმყოფებოდა. მერე
გახელებული გადავიდა მამაკაცის ყელზე,
მოხერხებულად ჩარგო ცხვირ-პირი საო-
ცარი სურნელით გაუღენთილ მის ყელ-
ში და... ნეტარებით „ინეტილა“... მისმა
ქმედებამ გიაც გაათამამა. მის ტუჩ-
ყელს აღარ დასჯერდა და დახარბებუ-
ლი ტუჩებით გოგონას მკერდს მიად-
გა... მოღვლილ საკინძეში ადვილად მიაგ-
ნო... მისი განაფული ტუჩები საამოდ
ელამუნებოდა ნუკის საკეს, შზით გარუ-
ჯულ მკერდს.

— მეორემ რა დააშავა, — თქვა
ცოტა ხნის შემდეგ მამაკაცმა და ახლა
მეორე მხარეს გადაინაცვლა... მეო-
რეც ადვილად იპოვეს მისმა გახურე-
ბულმა (და გახელებულმა) ტუჩებმა.

— გვეყოფა, — როგორც იქნა,
ამოთქვა გოგონამ, როცა იგრძნო, რომ
ღვთაებრივი მოთეთილობისგან ფეხზე
ველარ დგებოდა.

გია მამინვე შეეშვა. მერე კვლავ
ჩახედა თვალეში, ახლა უფრო ალ-
ერსიანად (უფრო ჟინიანადაც) და მხარ-
ზე გადახვია ხელი, გულზე ძლიერად
მიიხუტა. ნუკის მისი გულის უსწრაფესი
ბაგაბუგი ესმოდა.

— როგორ გიცემს გული, — ვერ
მოითმინა, არ ეთქვა.

— შენნაირი ქალის გვერდით კიდევ
კარგადაა ეგ საცოდავი, — ხმამალლა
წარმოთქვა მამაკაცმა და გაიცინა
თავისი ლამაზი, ხავერდოვანი ხმით
და საოცარი სიცილით.

— წავედით, არ დაგაგვიანდეს, —
მორცხვად ახედა გოგონამ.

— წავედით, — მორჩილად დაეთ-
ანხმა გია და მანქანისკენ გაემართნენ
ასე, ერთმანეთს მიხუტებულნი.

მთელი გზა ისე გაიარეს, არც ერთს
კრინტი არ დაუძრავს. მაგნიტოფონი
იყო მხოლოდ ჩართული და ვილაც
ახლაგაზრდა მომღერალი ბიჭი სეე-
დიანი ხმით მღეროდა: „შენმა სურ-
ვილმა დამლიააა, შენზე ფიქრმა და
სევედამაა... შორს წასვლააამ, ხშირად
გაყრამაააა, გულის თვალეებით ხედ-
ვამააა...“

— ჩვენ გვიძღვნიან ამ სიმღერას,
— თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა
მამაკაცმა.

ნუკიმ გაიღიმა, არაფერი უთქვამს.
ზედმეტი იყო სიტყვები. ასე ეგონა,
მთელი სამყაროს ბედნიერება ამნუ-
თას აქ, მანქანის ამ პატარა სალონში
იყო მოქცეული. „მგონი, დაიქოქა ჩემი
ბედნიერება“, — გაიფიქრა სახეგაბა-
დრულმა, ოდნავ დაბლა ჩაჭურდა, თავი
სავარძლის საზურგეს მიადო და ნე-
ბიერად გადაწვა.



— მე მალე დავბრუნდები, ნუჟკ, — თქვა უეცრად გიამ და კვლავ ჩაბლუჯა მისი თითები, კვლავ ვნებიანად მოუჭირა.

— მე დაგელოდები, — აჩურჩულდა ნუჟკი, — ოღონდ ძალიან არ დააგვიანო.

— უნდა დამელოდო, — დაეთანხმა მამაკაცი.

ღმერთო, როგორი თბილია, როგორი საყვარელი... ნუთუ მართლა უყვარს ნუჟკი? ალბათ უყვარს, თორემ მხოლოდ მოფერებებს არ დასჯერდებოდა. ხომ შეეძლო, სადმე წაეყვანა, სასტუმროში, ბინაში და იქ... რა, უარს ეტყოდა? ვერ (არ) ეტყოდა. ის კი არ მოიქცა ასე. ეს იმას ნიშნავს, რომ გამორჩენის მიზნით არ ხვდება მას... რა ბედნიერება!

— აქ გამჩერე! — წამოიძახა, როგორც კი ზურას კორპუსი გამოჩნდა.

— ა-აქ? თუ ცოტა წინ? — დაამუხრუჭა მამაკაცი.

— არა, აქ! მალაზიაში უნდა შევიარო, — იცრუა.

— კი ბატონო, აქ იყოს, — ღიმილით თქვა და ნახევარი ტანით გოგონასკენ მიტრიალდა.

— აბა, კეთილი მგზავრობა, — მეტი ვერაფერი მოიფიქრა.

— დიდი მადლობა, ნუჟკ... მადლობა ყველაფრისთვის.

— რა ყველაფრისთვის, რა გავაკეთე ისეთი...

— ის, რაც მე ასე ძალიან მჭირდებოდა, — იყო პასუხი, — შენ მე ის მომეცი, რაც დიდი ხანია, არ მქონია.

— კარგი რა, შენნაირ მამაკაცს ეგ არ გაუჭირდება, — შეაპარა გოგონამ.

— ჩემნაირს? განა როგორია ეს „შენნაირი“?

— ზესიმპათიური.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! თქვა ახლა რაღაც! დაცინვას კაცი არ მოუკლავს.

— არ დაგცინი. არ მეგულება ქალი, რომელიც შენთან ურთიერთობაზე უარს იტყვის.

— არ გინდა ახლა! ჯერ ერთი, სულაც არ არის ასე... და მეორეც — არავისთან ურთიერთობა არ მიზიდავს.

— არც ჩემთან?

— შენ სხვა ხარ... შენ სხვებს არ ჰგავხარ.

— და რა იცი? ჯერ ხომ ძალიან ცოტა ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ.

— ვიცი. შენი თვალები მეუბნება ყველაფერს. შენ ისეთ სითბოს გამოსცემ, ამის სიტყვებით გადმოცემა გამიჭირდება...

— შენც აჭარბებ... — კინალამ დააყოლა, ჩემსავითო.

— არ ვაჭარბებ, ფაქტების აფიშირებას ვახდენ.

— ოჰ, ფაქტების! — აკისკისდა.

— ასეა, ასე.

— კარგი, ნავედი, აღარ გაგაცდენ. ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ გაქვს მოსაგვარებელი.

— ნავალ. აუცილებლად დაგირეკავ, გაიგე? არ გამორთო ტელეფონი, ხო?

— ჰო.

— აკრძალვის საათები მაქვს?

— რა აკრძალვის საათები?

— აი... იქნებ დროის რაღაც მონაკვეთებში არ მაქვს უფლება, დაგირეკო ან დაგიმესიჯო.

— შეგიძლია, ნები-სმიერ დროს შემეხმიანო. თუნდაც შუალამის...

— ძალიან კარგი, მიხარია, — მამაკაცი გადმოიხარა, მგზნებარედ აკოცა ტუჩებში და გოგონა გადავიდა თუ არა მანქანიდან, ჰაეროვანი კოცნაც მიაყოლა.

ნუჟკის ზურა შინ არ დახვდა. როგორ გაუხარდა... ახლა ისე იყო აღტყინებული, აშკარად ვერ შეძლებდა ემოციების დამალვას. ნეტავ, სად არის? მშობლებთან? თუ თათულისთან? რაში აინტერესებს... მისთვის ახლა სულერთია, ვისთან გაათევეს ზურა ღამეს. მას უკვე თავისი ოცნების მამაკაცი ჰყავს. არ უნდოდა ზურას მასთან? ჰოდა, იყოს ახლა ეგრე! დაღალა მისმა დედიქმა...

მოულოდნელად შემოსასვლელში ხმაური მოისმა, წამსვე კარი გაიღო და ზურა შემოვიდა. ნუჟკი შეკრთა. არ ელოდა მის გამოჩენას. შეეცადა, მშვიდი სახე მიეღო.

მამაკაცი მძიმე ნაბიჯებით გამოემართა სასტუმრო ოთახისკენ და ზღურბლთან შეჩერდა. მზერაც დამძიმებოდა თითქოს, სახე ჩამოგრძელებოდა... ამწუთას ადვილად დაითვლიდა ადამიანი მის შუბლზე საიდანღაც უცებ გაჩენილ ნაოჭებს...

— პაემანზე იყავი? — ისეთი სინანულნარევი ხმით შევეითხა მამაკაცი, ნუჟკის ისარივით მოხვდა გულზე.

— არა, რა პაემანზე, — არ დაიბნა და ჯიქურ გაუსწორა თვალი მის გამომცდელ (თან პირქუშ) მზერას.

— აბა, ასე რა გიხარია? არ მინდა, კადნიერებაში ჩამომართვა, მაგრამ იქნებ არსებობს შენი სიხარუ-

ლის ისეთი მიზეზი, რომელიც ჩემთვის უცნობია?

გოგონა შეკრთა. ნუთუ ჩასაფრებულ იყო? ნუთუ უთვალთვალებდა? რაღაც არ მოეწონა მის ნათქვამში,



რაღაც არასწორი (ალბათ დაუმსახურებელი) იყო მის სიტყვებში... ისეთი, რომლის უფლებაც მას ნუჟკისთან არ მოუპოვებია...

— არ ვყოფილვარ პაემანზე... — მაინც გაეზარა ხმა.

— რატომ, პატარა აღარ ხარ უკვე... დროა, პაემანზე იარო, — ისეთი ტონით ელაპარაკებოდა ზურა, თითქოს იცოდა, გოგონა სადაც იმყოფებოდა ბოლო ერთი (მეტიც, ორი) საათის განმავლობაში.

— თუ ნავალ, აუცილებლად გაგაფრთხილებ, — ნიშნის მოგებით აზიდა წარბები და გაგულისებული თავის ოთახში შევიდა...

ვერა და ვერ დაიძინა... ფანჯარასთან მთვარის შუქზე აცეკვებული ხის ტოტის ლანდი დიდხანს ქანაობდა. ნეტავ, რომელ საათზეა ფრენა? იქნებ უკვე თვითმფრინავშია? რას აკეთებს ამწუთას? მასზე თუ ფიქრობს? — გონება ძილის საშუალებას არ აძლევდა ნუჟკის. „უნდა დამელოდო“, — წამდაუწუმ ჩაესმოდა (თან ცხადად) ყურში მამაკაცის ხმა.

დიდხანს ბორბავდა (თან წრიალებდა), ვერა და ვერ მოხუჭა თვალი. ლანდად მოლიცილიცე ხის ტოტიც ნერვებს უშლიდა, თითქოს დასციენოდა, ხომ დაგიფრთხეთ ძილი მე და გამამო...

ლამის თავზე დაათენდა... მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინა ოცნებით გადაღლილს, სწორედ მაშინ, როცა მთვარემ ნაფხურები დატოვა ფანჯარაზე და ცის სიღრმეში მიიშალა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნიღლები

ჭორი, რომელმაც ჩემი სხოვრება უხვალა

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, მგზავნელებო და უბრალოდ, მკითხველებო, კარგებო და ძალიან კარგებო... მოვიდა გაზაფხული... დათბა და ხალხი გარეთ გამოეფინა... იმედი მაქვს, „გზის“ ერთგული მკითხველი სეირნობის შემდეგაც ჩაუფდება ჟურნალს და გადააბუღებულეებს. რადგან ჩვენი დღევანდელი თემა ჭორს შეეხება, მინდა, ის ჭორები გაგიმზილოთ, რომელიც ჩემამდე მოვიდა: ჩემზე ამბობენ, რომ თურმე მიკვერძობული ვარ და მხოლოდ იმათ ვუბეჭდავ მესიჯებს, ვის მიმართაც გარკვეული სიმპათია მაქვს... ასევე, ამბობენ, რომ ულიბკა დაიკარგა და „გზაში“ აღარ გამოჩნდებო... იმასაც ამბობენ, ულიბკამ და მარიმ ერთმანეთს დასცხეს და ახლა მარი მესიჯებს აღარ უბეჭდავსო... მგზავნელები ერთმანეთს ჭამენო... მაგრამ მეც ვიცი და თქვენც, რომ ეს ყველაფერი ჭორია, ჭორი! ახლა კი თქვენი ამბები...

„მარ, შენი შესავლის შემდეგ ისეთ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, ვერაფრით მოვაბი თავი გზავნილის დაწერას. დიდი მადლობა, ხუთშაბათს მოგვრილი სიხარულისთვის. ჭორთან დაკავშირებით ერთი ძველი ამბავი გამახსენდა, რომელმაც ჩემი არა, მაგრამ ჩემი მეგობრის ცხოვრება ნამდვილად შეცვალა. სოფო ჩემზე უფროსია და როცა მე სკოლაში დავდიოდი, ის უკვე სტუდენტი იყო. მოგეხსენებათ, რომ „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრისა“ და ადამიანებსაც ვინმეს ქებას, ძაგებას ურჩევნიათ. მით უმეტეს, თუ ლამაზ ქალზეა საუბარი, იქ ჭორი ყოველთვის ჩნდება. ულამაზეს სოფოსაც, ხან ვის სიყვარულს აბრალებდნენ, ხან — ვისას. თუმცა მე ვიცოდი, რომ მას მხოლოდ ერთი

ვერ აპატიე

ბიჭი მოსწონდა და სხვას ახლოს არ გაიკარებდა. თვითონ გიგამ ამის შესახებ არაფერი იცოდა და უიშელოდ უყვარდა გოგონა. ყველამ იცოდა, გიგას გრძობების შესახებ და ბოროტი ენები უფრო აქტიურად აწვდიდნენ ყალბ ინფორმაციას. იმ დღეს სოფო უცხო ბიჭთან ერთად უნახავთ. „თურმე, გათხოვებას აპირებს“ და სხვა ასეთი სისულელით ისე გადარიეს ბიჭი, რომ ერთხელაც ადგა და სოფოს მოტაცება დაგეგმა — სანამ სხვები დამასწრებენო. ლექციებიდან გამოსულ გოგოს ძმაცაცებთან ერთად დახვდა და მანქანისკენ გააქანა. ბევრი იკივლა და იბრძოლა სოფომ, მაგრამ

ვერაფერი გაანყო. ხვენწა-მუდარის მიუხედავად, მაინც წაიყვანა ეჭვებით შემოთვებულმა ბიჭმა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი გულით უყვარდა სოფო და არც გოგო იყო გულგრილი, მაინც არ დარჩა მასთან. ვერ აპატიე, რომ იძულებით წაიყვანა და მისი აზრი არ გაითვალისწინა. ოჯახის შექმნას არ დამეკითხა და ეგ არც მერე მცემდა პატივსო, — მითხრა სოფომ წლები წინ და დღესაც მარტოა. არასოდეს იხსენებს შემთხვევას, რომელმაც მისი ცხოვრება საფუძვლიანად შეცვალა. რომ არა ჭორიკანები, ვინ იცის, რა ბედნიერება ელოდათ წინ?! სანამ რამეს ვიტყვით, მაშინ უნდა დავფიქრდეთ, თორემ გაფრენილი სიტყვა როდის იყო, უკან ბრუნდებოდა?! პარიფანკა“.

ლეგენდარული ხატია

„13 წლის ვიყავი, „ლოვე“ რომ მყავდა. ის ჩემ პარალელურად უამრავ გოგოს „კრავდა“ სოფელში. ჩემთან დამორება კი არ უნდოდა. „გასული ბიჭი“ და ნარკომანი რომ იყო, ამას გვიან მივხვდი. ვცადე დამორება, მაგრამ ამას მოჰყვა მუქარა... თანაც — რეალური... ჯერ ფიზიკური ძალით ცდილობდა, ვეიძულებინე და არ დავშორებოდი, მაგრამ ვერას გახდა. მერე თავის ძმაცაცებში თქვა, მაგ გოგოსთან ვინეტი, ორსულად იყო და დედამისმა ბავშვი მოაცილებინაო. მერე ჩემდამი

ყველას დამოკიდებულება შეიცვალა, — მეგობრები ჩამომშორდნენ; ბიჭები სხვაგვარად მიყურებდნენ; თავიანთ დებს ჩემთან ურთიერთობას უშლიდნენ. არც ნათესავები დამიდგნენ გვერდში, უცხო ადამიანები მირეკავდნენ და სექსს მთავაზობდნენ, მლანძღავდნენ. სრულიად მარტო აღმოვჩნდი. ვერ ვხვდებოდი, რატომ. მერე შემთხვევით გავიგე, ჩემზე რასაც ამბობდნენ და ყველაფერს მივხვდი. გონზე ვერ მოვდიოდი, თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ მეშინოდა. ვერ გამეგო, საიდან მოდიოდა ეს ჭორი. ძალა არ მქონდა, დამემტკიცებინა, რომ ეს ტყუილი იყო. ლამეებს ტირილში

ვატარებდი. ამის გამო სკოლაში წელი ჩამივარდა. მეშინოდა, ჩემებს არ გაეგოთ. დავკარგე ბავშვობა. ამ ჭორმა ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია და დღემდე ასეა. უხასიათო გავხდი, გულჩათხრობილი. ამ უგუნურ ხალხს ჭგონია, ამით ყურადღებას ვიქცევ. სული მატკინეს, ცხოვრება დამიმახინჯეს. მთელ ახალციხეში იციან ჩემი ამბავი. ლეგენდარულ ხატისასაც კი მეძახიან... გული ძალიან მტკივა, უსამართლოდ რომ ვისჯები. სახელი შემირცხვინეს. ჩემმა სოფელმა ქალებმა ეს ჭორი შურის გამო გაავრცელეს. მე ყველაფერი მქონდა, მათ შვილებს — არაფერი.



პირველი ვიყავი სკოლაში ჩაცმით, ზრდილობით, სწავლით და აი, ახლა აღარაფერი ვარ. ასევე დამაბრალებს ოჯახების დანგრევა და ა.შ. ახლა XI კლასში ვარ. ერთი სული მაქვს, სკოლას როდის დავამთავრებ და ამ სოფლიდან წავალ და დავისვენებ. ხატია“.

მრავალცოლიანი

„დიდი ხანია, „გზის“ მკითხველი ვარ და, რა თქმა უნდა, „გზაპნილებსაც“, მაგრამ არასდროს მომიხერია. ახლა თემამ ერთი სახალისო ამბავი გამახსენა და გწერთ. ერთი ბიძა მყავდა, რომელიც მთელი ცხოვრება შეყვარებული იყო, თუმცა მის სიყვარულს ერთი მრავალსმეტყველი სახელი ჰქონდა — „ქალი“. მას ქალი უყვარდა... ჩვენმა ლევანმა სიცოცხლის მანძილზე 11 ცოლი გამოიცვალა და მისი თქმით, ყველა უყვარდა. 3 მის სიცოცხლეში გარდაიცვალა. ამბობდა, იმ ქვეყნად რომ წავალ, რომელიც კარგად იქნება მოწყობილი, იმასთან დავრჩები. ჰოდა, ერთხელაც, ლევანმა მერვე ცოლი რომ მოიყვანა, თავიდანვე დაეჭვდა რაღაცაში, მაგრამ იფიქრა, ალბათ სადმე მყავს ნანახი. 2 კვირა უყურა დაეჭვებულმა და ბოლოს ჰკითხა: ქალო, დალი არ ხარ შენ, ჩემი მეორე ცოლიო?! კიო, უბასუხა ქალმა და თვალები წაზადა ააფახულა. ნაცნობი-უცნობი“.

მადლობა ჭორიკანებს

„ოჰ, ჭორები, ჭორები... მახსოვს, ეზოში ვიჯექი, აყვავებული ტყემლისა და ატმის ცქერით ვტკბებოდი, როცა ჩემი ერთი კეთილისმსურველი დამადგა თავზე და მითხრა, გავიგე, 24 წლის კაცთან (ჰმ, — კაცთან) გქონია ურთიერთობა, მას კი სხვაც ჰყოლიაო. გამახსენდა, წინადაღეს ჩემს ერთ-ერთ, ასევე კეთილისმსურველ მეგობარ თეონას გაგანდე, ჩემი და იმ 24 წლის კაცის ურთიერთობის შესახებ. ფაქტი იყო, რომ მან ჩემს ნათქვამს ჭორი დაუერთო და ისე გაავრცელა, ჩემს ნაცნობებში. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი ჩემი შეყვარებულის ორგულობა ჭორი იყო, მაინც ვერ მოვისვენე და ჩემი „ლოვეს“ ტელეფონი გადავამოწმე, რათა საეჭვო მენახა რამე. მანამდე ასე არ მოვეცულებო და ტელეფონი თავისუფლად მანდი. ჰოდა, ვიპოვე ვიღაც ლელუკას მესიჯები. ამოვწერე მისი ნომერი და დავემესიჯე. დათოსი ვინ ბრძანდები-მეთქი? შეყვარებული ვარ მისი, თავად ვინ ხარო? მოკლედ, ისღა მაკლდა, მეკითხა, კეფაზე წითელი ხალი ხომ არ გაქვს-მეთქი? და შემოვხევიდი, მაგრამ ასე არ (ვერ) მოვიქციე და სიმართლე ვუთხ-

არი. ჩემგან განსხვავებით, ის ძალიან გაბრაზდა და დათო მიწასთან გაასწორა. ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ჩემი არგასაჩერებელი ენა კიდევ ვერ გავაჩერე და ეს ამბავი ჩემს მეზობელ გოგოს ვუთხარი, რომელსაც ვენდობოდი, მაგრამ მანაც მიმტყუნა და სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა ყველაფერი თეონას. რა თქმა უნდა, არც იმის თქმა დაავინწყდა, რომ მისი ნათქვამი სიმართლე აღმოჩნდა და ჩემს შეყვარებულს მართლა ჰყოლია სხვა. ერთი კვირის შემდეგ, აი, რა ჭორი მომივიდა: თურმე, თეონა ჩემს შეყვარებულს პირადად იცნობდა და მისი ორგულობის ამბავიც იქიდან გაიგო. თეონა ტყუილებში მალე გამოტყდა. მისი მანაც მადლობელი ვარ, მისი ჭორის წყალობით, ორგული ადამიანის გვერდით ყოფნას გადავურჩი. ცხოვრებაში ორჯერ გადავეყარე მოღალატე ადამიანს. ერთხელ მგზავნელების ჭორაობის წყალობით ჩამოვშორდი, მეორედ კი — თეონას დამსახურებით. მადლობა მათ. აი, ასე! ჭორს ზოგჯერ სიკეთის მოტანაც შეუძლია. ლუნა“.

სტუმართმოყვარე და გულუხვი

„ამბობენ, სოფელში მცხოვრებმა ხალხის ცხოვრებას სხვანაირი ხიზლი აქვსო. ნაწილობრივ, მართალიცაა. მათ კურიოზული ამბის მოგონება არ სჭირდებათ. თავად, უნებლიეთ ქმნიან სასაცილო სიტუაციებს, რომლებზეც ძალიან ბევრი, მათ შორის, ქალაქელებიც ხალისობენ. მეც მინდა, სოფელში მომხდარ ამბავს მოგიყვეთ. ნათელას ნათესავმა გოგრა და სიმინდი მიუკითხა. ნათელა ცოტა ხარბი ქალია, ამასთანავე — ეშმაკიც. მეზობლის ქალები ხშირად სტუმრობენ. ამიტომ, უდროოდ დროს რომ არავის შეეხნო და არ ეეჭვათ, რომ ქვამში სიმინდსა და გოგრას ხარშავდა, ადგა და ქვამის მაგივრად ჩაიდანი გამოიყენა. აბა, ვინ წარმოიდგენდა, ჩაიდანში წყლის მეტი სხვა რამ თუ იქნებოდა? გამართლდა ნათელას ეჭვი და უდროოდ დროს ესტუმრა მეზობლის ქალი, რუსიკო. გავიდა ერთი საათი, ორი, რუსიკო წავსვას არ აპირებს... ჩაიდანში კი გოგრა და სიმინდი დღეს. რუსიკოს სუნი ეცა. აიჩემა, გინდა თუ არა, სიმინდის სუნი მცემსო. ნათელამ უარყო, გეჩვენებო. რუსიკო მიუხედავად ეშმაკობას და მანამდე არ წავიდა, სანამ ჩაიდანში წყალი არ ჩაშრა და დამწვრის სუნი არ დატრიალდა. გავიდა რამდენიმე დღე და რუსიკომ მეზობლის ქალები, მათ შორის ნათელაც, თავისთან მიიბატიჟა და შემწვარი კვახ-

ით გაუმასპინძლდა, თან დასძინა — ზოგ-ზოგიერთივით კი არ ვმალავო. ნათელას სირცხვილისგან დასცხა. ვის გულისხმობ, ქვა? — ჩაეძია მათ შორის ყველაზე უფროსი, მარგო. ვის და, ერთ ჩვენს მეზობელთან ვიყავი და ერთი კვახის ნაჭერიც კი არ შემახვედრა, დამიმალო. ქალებმა ლანძღვა დაიწყეს და ქვა ქვაზე არ დატოვეს. სანყალი ნათელა... ყველაზე მეტად მარგო აქტიურობდა. მეორე დღეს, მარგოს ნათელა ესტუმრა. მასპინძელს ცომი ჰქონდა მოხელილი, იქვე კი ხაჭაპურისთვის ყველი მოემზადებინა. ნათელა წავსვლას არ ჩქარობდა. ამოვა ცომი, ჩაზელს მარგო, კიდევ ამოვა, კიდევ ჩაზელს... ბოლოს, ნათელამ ველარ მოითმინა და უთხრა, აღირსე, ქალო, მაგ ხაჭაპურს გამოცხოვა, თორემ ამყავდა ცომიო. მეორე დღეს მარგოს სიძუნწის შესახებ ყველამ იცოდა. ყველაფრის მიუხედავად, ისინი უერთმანეთოდ ვერ ძლებენ და ყოველდღე ასეთ ამბებში არიან“.

ფეხბურთს შეწირული სამსახური

„კიდევ კარგი, მგზავნელების ასაკი შეზღუდული არაა. ბანალური არ მინდა ვიყო, მაგრამ სხვაგვარად როგორ გადმოვცე ის, რასაც „ხუთშაბათის ციებ-ციხელება“ ჰქვია? ეს „უკურნებელი სენი“ წლების წინ მეც შემეყარა. თუმცა, „მკურნალობა“ (მესიჯების მონერა) არასოდეს მიცვია. ერთი ამბავი მინდა გავისხენო, როგორ შევწირე სამსახური ფეხბურთს. კაზინოში ვმუშაობდი. იმ დღეს იყო ჩემი ფავორიტი გუნდის, მადრიდის „რეალისა“ და ლევერკუზენის „ბაიერის“ მატჩი. ვისაც კაზინოსთან რაიმე შეხება აქვს, გამიგებს, რას ნიშნავს OVER TIME. ეს ის შემთხვევაა, როდესაც აუარება ხალხი მოდის, მოოდის, მოოოდის და ბოლო არ უჩანს. ამ დროს გავადგებულელები, დამატებითი საათები იმუშაო და მენეჯერის შერჩეულ სიაში მეც აღმოვჩნდი, მაგრამ როგორ გამოვტოვებდი ასეთ გრანდიოზულ „ჯახს“, როცა უკვე წინასწარ ვტკბებოდი მატჩის ტრანსლაციის დროს ნერვიულად ჩახრამებული ჩიფსების, ლიტრობით მირთმეული ლუდისა და სიგარეტის ნაწინის გროვას, ჩემს მინიატიურულ საფერფლეში. დღემდე მახსოვს ის განცდა, რაც „რეალის“ გამარჯვების დროს დამეუფლა. მეორე დღით კმაყოფილი ღიმილით შევადე კაზინოს კარი. თანამშრომელმა კი ტრაგიკული სახით მაცნობა: „დატოვე ფორმა, გათავისუფლებული ხარ“. რაღას ვიზამდი? წამოვედი სახლში და მოუთმენლად ველო-



დი დიმა ობოლადის ფეხბურთის მიმობილვას, შაბათობით რომ გადიოდა ხოლმე. :-) დიდი გოგო“.

სევდიანი ამბავი

„ბანკეტიდან მოდიოდა ნია. ოდნავ სევდიანი, ოდნავ მხიარული. ენანებოდა კლასელებთან გატარებული დრო. ცისფერი თვალები სევდით ევსებოდა. თუმცა, ეშმაკუნებიც დაუხტოდა. მიდიოდა ნია და პატარა, მაგრამ ამაცი მხრებით მიჰქონდა ბიჭების ალტაცებული მზერა და ქალების შურიანი თვალები. მიდიოდა ნია და ყველას უღიმოდა. გრძელი, ხვეული თმა მხრებზე ეყარა და თითქოს ვერც ამჩნევდა ვაჟს, სკოლიდანვე უკან რომ მოჰყვებოდა. მოულოდნელად გზა გადაუჭრა ვაჟმა და ატმის აყვავებული ტოტი გაუნოდა: შენსავით ლამაზი და უბინოა ისიც! — უთხრა ხმადაბლა და თითქოს მინამ ჩაყლაპაო, გაუჩინარდა. თუმცა, ნიას მაინც მოესწრო მისი შეთვალეირება და მონუსხა ვაჟის საოცრად მწვანე თვალებმა. მერე კი იყო უდიდესი გრძობა და სიყვარულით ანთებული თვალები... ერთად მოვლილი „ჯვარი“, „ზედაზენი“ და „არმაზის ციხე“. იყო სიყვარულით გამთბარი გულები და უცხო ადამიანების ალერსიანი მზერა. მერე კი გაზაფხულის ღამესავით ლამაზი ჯვრისწერა და მტრედევით თეთრი ქორწილი. იყო მღვდლის გულწრფელი სიტყვები: „საოცრად უხდებით ერთმანეთს“... მერე კი ერთად გათენებული ბედნიერი დღეები და ახალი სიცოცხლე ნიას სხეულში. სწორედ ამიტომ ტიროდა გოგონა. ტიროდა ბედნიერებისგან და ამშვიდებდა შემინებული ლევანი. არ იცოდა, რა ატირებდა მის „მტირალა მზეს“. გულში ჩაიკრა გოგონა და ძლივს გასაგონი ჩურჩული მოესმა: „არ გინდა, მამა იყო?“ ლევანი ჯერ შეცბუნდა. შემდეგ გაიზარა ნიას სიტყვები. მერე — მისი ცრემლებიც და უცებ სიხარული აფეთქდა მასში. მიხვდა, რაც ატირებდა ნიას და გახარებულმა ჩაიხუტა ცოლი. მუცელზე მოეფერა და თითქოს იგრძნო პატარამ, ვინც ეფერებოდა... შემდეგ კი პატარა ბარბარეს ნათელი მზერა და უდიდესი სიხარული... დაბოლოს, სისხლიანი ერაყი, რომელსაც ამდენი ადამიანი შეუწირავს. ლევანის განცხადებამ, ერაყში მოხალისედ მივდივარო, ნიას გული შეუკუმშა, მაგრამ იცოდა ქმრის ხასიათი და კრინტი არ დაუძრავს. მხოლოდ პატარა ბავშვებით მოეხვია კისერზე. წასვლამდე იყო ცრემლი და პატარა ბარბარეს კისკისი. წასვლის შემდეგ

ორწლიანი მოლოდინი და ავისმომასწავლებელი ცნობა ერაყიდან: „თქვენი მეუღლე გმირულად დაიღუპა. 112-ე პოლი გიცხადებთ თანაგრძობას“. მერე კი ტირილი და ცრემლები ლევანის ტანისამოსზე, შავზე უშვავსი კაბა და გაცრეცილი სახე. გაუმაძლარი დროის სტომაქში გამქრალი შვიდი წელი და პატარა ბარბარე, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა მამას. მერე კი 21 დეკემბერს მიღებული წერილი: დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ცრემლიანო მზეო... WHITE ANGEL“.

ნათხოვარი ქმარი

„ყველაფრის თხოვება გამიგია სამეზობლოში — ქვაბის, უთოს, სკამის, მაგრამ ქმრის თხოვება პირველად გავიგონე. გათენებული არაა, რომ ტელეფონი რეკავს.

— მზია, შენი ქმარი სახლშია? ცოტა ხანს მათხოვე, რა, პატარა მოსაჭერი მაქვს რალაც.

ეზოდან მეორე მეზობლის კვილი ისმის:

— მზია, შენი ქმარი რომ მოიცლის, თუნდაც ღამე იყოს, მათხოვე ცოტა ხანს, გასახვერეტი მაქვს პატარაზე (კედელი)..

იქით მესამე მეზობლის ქალი ნუნუნებს, რით ვერ მოიცალა ჩემთვის, სამი დღეა, ველოდებიო. განსაკუთრებით ერთი მეზობლის ქალბატონი აქტიურობს, მეც მზია მქვია და ნახევარზე ჩემი ქმარიცააო. ეგრე, გენაცვალე, საქართველოში ბევრი მზიაა, რა ვუყოთ, საპროტესტო აქციებს ხომ ვერ მოვანყო, მოთხოვით: „საქართველოში ყველა მზიას გადაერქვას სახელი და საერთოდ აიკრძალოს „მზიას“ დარქმევა!“ — შფოთავს დედაჩემი. უჰ, რას „გვიშვრება“ ეს მთავრობა კი არა და... თქვენ მექალთანე კი არ გეგონოთ მამაჩემი, სამსახური აქვს ასეთი. მართო სამეზობლოს კი არა, მთელი ქალაქის საყვარელი ხელოსანია, — ყველას „გაჭირვების ტალკვესი“. ამიტომაც ყველას უყვარს. აბა?! ასეთი საყვარელი მამიკო მყავს. მიყვარხარ, მია“

„ვზროსლი“ კავალერი

„ვიდრე თემაზე გადავალ, იქნებ ორიოდ სიტყვით მოგიკითხოთ... მარია, იცი, რამდენი ხანია, „გზას“ ვკითხულობ? ბევერი... ბევერი... ვხალისობ ხოლმე გზავნილებზე და ბევრჯერ გამჩენია სურვილი, მეც მომეწერა, მაგრამ რატომღაც თავს ვიკავებდი. ახლა კი თემას რომ გადავხედე, ჩამელიმა და ერთი შემთხვევა გამახსენდა.

მოკლედ, 2 წლის წინ, ჯერ კიდევ 16 წლის, არასრულწლოვანი, ცანცარა ბავშვი ვიყავი (ვითომ ახლა მქონდეს ჭკუა). ჩემმა ნათესავმა მოიყვანა ცოლი და ქორწილისთვის მზადებაც დაიწყო... ამბებში ვიყავი... ნუ იტყვი... მთელი ერთი კვირა ვმოპინგობდი (რასაც ჩემი ოჯახის ბიუჯეტი შეენირა) და ქორწილის დღეს ვარცხნილობით დავაგვირგვინე (რა მაპრანჭავებდა, ლანირაკს?!)... ქორწილი თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში იყო და მე და ჩემი დეიდაშვილი უკვე ჰოლომივე მოვემზადეთ, საოცარი დროის გასატარებლად... საღამო არაჩვეულებრივად დაიწყო და არაჩვეულებრივადვე გრძელდებოდა... აქვე ვიტყვი, რომ საოცრად მსიამოვნებს ყურადღების ცენტრში ყოფნა და გაბადრული ვისმენდი კომპლიმენტებს, ჩემს „ვიდთან“ დაკავშირებით. მოკლედ, უკვე ის პერიოდი იყო, როცა ხალხს რამდენიმე ჭიქა აქვს გადაკრული და ცვეკვის აზარტში შედის. ვილაცამ მკლაფზე ხელი ჩამავლო და იძულებული გამხადა, მისთვის მომესმინა... მინიმუმ, 40 წლის, წარმოსადეგი მამაკაცი იყო. არ დაუჯარგავ და ვიტყვი, რომ სოლიდურად ეცვა, მაგრამ მისგან მძაფრად „მოიკლავნებოდა“ ალკოჰოლის სუნი, რომელიც უკვე გადაჭარბებული რაოდენობით მიეღო, სახეზე კი უაზრო და არაფრისმეტყველი ღიმილი გადაჰფენოდა და ორი ნაფოტა კბილი უჩანდა... თუ შეიძლება, მეცეკვეთ, გოგონაო და მეც სიმწრით, კბილებშუა გამოვცერი, კარგი-მეთქი. თან დარბაზს უმწეოდ ვათვალისწინებდი და მხსნელს ველოდი... ამასობაში, ჩვენმა სოლიდურმა მამაკაცმა შემდეგი დიალოგი წამოიწყო:

— იცით, თქვენ თვალისმომჭრელად ლამაზი ბრძანდებით.

— მამ... — იყო ჩემი პასუხი...

— იცით, რომ დაგინახეთ, მივხვდი, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ შექმნილინი...

აქ უკვე მზად ვიყავი, მეკვილა. თანაც ვგრძნობდი, რომ ჩემი ძვირფასი დეიდაშვილი შექმნილი სიტუაციით გულმოდგინედ ხალისობდა. ეს ვაჟბატონი კი თავისას აგრძელებდა:

— სად ცხოვრობთ? იქნებ ტელეფონის ნომერი დამიტოვოთ...

ყველასა და ყველაფერზე გამწარებულია, გამოვგლიჯე ხელი და ლამის ზედ მივაყოლე ჩემი ჩვეული ინტონაციით: „შენ ვევერა ხარ, აი!“ მაგრამ მომერიდა (მაინც პატარძლის ნათესავი იყო), იქიდან დავიკარგე და ჩემი აფხუქუნებული დეიდაშვილიც გავიყოლე. ჩემი „პაკლონიკი“ კი მაინც არ ცხრებოდა და აქტიურობას აგრძელებდა.



ბოლოს ჩემმა ნათესავებმა თვალები გაახილეს, მიხვდნენ, რომ ვერ ვიყავი, „ქე რომ უნდა“, ისეთ დღეში და ახალ-გამორჩევილი რომეო მომამორეს... ეს ამბავი კი დღემდე სახალისო თემაა, ჩემს სამეგობროში...

აქვე მინდა დავამატო, რომ ძალიან ბევრი ვიცინე რუისპირის გზავნილზე და რამდენჯერმე გადავიკითხე. ნომინაცია რომ გქონდეთ, ყველაზე სასაცილო ამბავი“, ალბათ რუისპირის „სუპერქალი“ პირველ ადგილს აიღებდა. ახლა კი გემშვიდობებით და მართლა აღარ ვიცი, როდის გამოჩნდები, თუმცა „გზავნილების“ კითხვას აქტიურად გავაგრძელებ და გამიხარდება, თუ ჩემს გზავნილსაც ვიხილავ. ნევროზიანი“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„ერთ პატარა მალაზიაში ვმუშაობ, სადაც გემრიელად მოხალულ რაღაცებს ყყიდი. რამდენიმე დღის წინ გოგო მოვიდა და მითხრა, აქვე, მეზობელ კორპუსში ვცხოვრობ, 1 ლარის მზე-სუმზირა მომეცით, ფულს ჩემს დას გამოვატან, 5 წუთშიო. კი შევატყვე, რომ არ იყო მომტანი, მაგრამ მაინც მივეცი. დარწმუნებული ვარ, თავის მეგობრებთან სატრანსპორტო ეყოფა მთელი წელი, თუ როგორ დააგოიმა ვილაც სოფელი. მე, რა თქმა უნდა, დავდე ის 1 ლარი, მაგრამ უბრალოდ, პატარა ექსპერიმენტით დაუშვტიცე ჩემს თავს, რომ არავის უნდა ენდო. მოხეტიალე“.

„გამარჯობა. ძალიან ცუდ დღეში ვარ. აღდგომას მონასტერში ვფიქრობ ნასვლას. მოძღვარს ველაპარაკე უკვე. ასე ვეღარ გავაგრძელებ, უზომოდ მიყვარს „ის“, მასაც ვუყვარვარ, ან შენ, ან სიკვდილი, მეუბნება, მაგრამ წინ უზარმაზარი კედელია — 16 წლით პატარაა ჩემზე. მე ქმარიც მყავს და შვილებიც. ვერც ერთს ვერ ვუღალატებ. ია“.

„სიყვარულს რამდენი შეუძლია, ახლა დავრწმუნდი: მიყვარს ადამიანი, რომელიც 2-ჯერ ნაცისარი, ბევრჯერ ნასამართლევი, შვილიანი და ცოლიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ძალიან ცნობილი ადამიანის ოჯახის წევრია, მას ამით არასოდეს უსარგებლია და შეიძლება, ასეთი

ადამიანი სიგიჟემდე არ გიყვარდეს? შეიქცა დიდ ყურადღებას უთმობს და საერთოდ, ძალიან დადებითი პიროვნება გახდა. ჩემი ოჯახის წევრებს სიგიჟემდე შეაყვარა თავი და დღეს მისაბაძი ურთიერთობა გვაქვს. ახლა ყველაფერი პირიქითაა, ვუყვარვარ სიგიჟემდე. მიუხედავად იმისა, რომ ფული არ აკლია, ჩემ გამო მუშაობა დაიწყო, პატიოსნად ცხოვრობს, ეკლესიური გახდა და მარხვაც დაიწყო“.

„სიყვარულმა ასაკი რომ არ იცის, იმიტომ ითხოვა ჩემმა ძვირფასმა ბიძამ 15 წლით უფროსი ქალი. ახლა ბიძაჩემი 70 წლის არის, მისი ტურფა — 85-ის და ისევ ძლიერ უყვარს და უვლის. გერასიმე“.

„ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი სიურპრიზი ცხოვრებამ ერთი წლის წინ გამიკეთა, როცა ჩემი ყველაზე საყვარელი, ყველაზე მაგარი და მსოფლიოში ყველაზე სიმპათიური მეგობარი მაჩუქა. აი, ზუსტად მის დაბადების დღეზე გავიცანი და შესაბამისად, მისი საჩუქარიც მე ვარ, სომ? :) კარგია, როცა არსებობენ ლამაზი სულის, ლამაზი ადამიანები. მიყვარხარ, მეგობარო. ეშმაკუნა“.

„სანდრომ ახლობლის ოჯახში ელენე გაიცნო და ძალიან მოეწონა. ერთმანეთს კარგად გაუგეს. ბიჭმა ოჯახი გააფრთხილა, ცოლი უნდა მოვიყვანო. იყიდეს მუხის 2-ადგილიანი საწოლი. სანდრო ტანით ძალიან დიდა და პირველივე ღამეს ჩაუტყდათ ლოგინი. წაიღეს მეორე დღეს ხელოსანთან, გააკეთებინეს, მაგრამ იმ ღამესაც ჩატყდა. კიდევ გააკეთებინეს. მოკლედ, ნეფე-პატარაძალმა მთელი კვირა აქეთიქით ატარა ლოგინი. რომ მოპბებრდათ, მოაჭრეს ფეხები და პირდაპირ იატაკზე დადეს“.

„ძმაცაცები ბათუმში გვეილენეთ. ეს ჩემი ძმაცაცი შევიტანეთ სახლში და დავდეეთ. დიღას რომ შევედით, ეძინა და ველოდებოდით, როდის გვიღვიძებდა. უცებ შემევიდა მეზობელი გოგო. ჰოდა, ამასაც გვეღვიძა. ამ გოგოს დანახვაზე დიდი ამბით წამოხტა და რას ხედავს? სულ შიშველი არ ყოფილა, საცოდავი?! თვალები ორივეს შუბლზე ოუვიდა. ჩვენ გვეგლიჯეთ სიცილით. აი, სახალწლო სიურპრიზიც. „by ბათუმსკი“.

„ხუთშაბათს ვზივარ „მარშრუტკა-

ში“ და ამოვიდა ბიჭი. არც შემიხედავს სახეზე, ჩემი თვალები „გზამ“ მიიტაცა. საბედნიეროდ, გვერდით მომიჯდა. გადაშალა და დაიწყო კითხვა. მეც, რა თქმა უნდა, თვალი გავაპარე. თავიდან მორიდებით ვკითხულობდი, მერე კი ისე გავერთე, ვერც შევნიშნე, როგორ ჩაუჭროლე ჩემს სახლს. ამ დროს ამ ბიჭმა უცებ ამომხედა. ეტყობა, ამით უნდოდა ეგრძობინებინა, თავხედობასაც აქვს საზღვარი. მეც ავხედე. თვალი თვალს შეეფეთა და თურმე რა სიმპათიური ბიჭი ყოფილააა! გადავირიე! გავუღიმე, გამიღიმა და განვაგრძეთ კითხვა. ბამბუჩა“.

„მოულოდნელად გამოჩნდა ჩემს ერთფეროვან სამყაროში და ისე მოკალათდა აქ, რომ არა მგონია, მისი გასახლება ადვილად მოვახერხო. ის მართლა სხვანაირია. ძალიან ამაყი, მაგრამ მის თვალებში სხვა რამის დანახვაც შეიძლება. იმის, რაც მე დავინახე, შეხვედრის პირველივე დღეს. არა, სიყვარულით არ მიყვარს. უბრალოდ, მინდა, რომ ხშირად ვნახო და კიდევ, შორიდან ყურებას და საინტერესო რეპლიკებს პირდაპირობა სჯობს... არ ვიცი, დღეის შემდეგ ვნახავ კიდევ თუ არა, მაგრამ ეს ადამიანი მარად ჩემს გულში დარჩება... ყველაზე დიდი საჩუქარი ბედისგან კი ის იქნება, თუ კიდევ ერთხელ მაინც ვნახავ უნივერსიტეტის კიბეზე ჩამომჯდარს, ჩემთან ერთად. ნილბოსანი“.

„ჩემს დაქალს ვილაც უყვარდა და თქმას ვერ ბედავდა. არადა, ხვდებოდა, რომ ის ბიჭიც ყურადღებას აქცევდა. ჰოდა, ერთხელაც გადაწყვიტა, მისთვის ყველაფერი ეთქვა. მეორე დღეს ნახა და უთხრა, რომ ძალიან უყვარდა. მოკლედ, ახლა ერთად ძალიან ბედნიერები არიან“.

„ჩემს ახლობლებს სიურპრიზი ცხოვრებამ კი არა, მოსწავლეებმა მოუწყვეს. 29-ში კარზე ზარი იყო, რომ გავაღეთ (მეც იქ ვიყავი), ჩიჩილაკიანი დიდი ყუთი იდო. სიურპრიზის ავტორი კი არ ჩანდა. მალე ამოირბინეს ქეთიმ და მისმა მეუღლემ. :) ყუთში ახალი ტელევიზორი იდო. ძველმა მოსწავლეებმა ასეთი საჩუქარი გაუკეთეს მასწავლებლებს. :) უკვდავი ხმა“.

ყურადღება! თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ყველაზე მხიარული ამბავი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

როგორ დავკლიოთ „კასოფობია“

„შიშის დაკლევადი საყვარელი ადამიანი დაგეხმარება“

„გზის“ №11-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ცუდი ბავშვობა ჰქონდა, რადგან საშინელ პირობებში უწევდა ცხოვრება. „ჩემს ოჯახში აუტანელი სიტუაცია იყო. დღე არ გავიდოდა ისე, რომ მამაჩემს არ ეჩხუბა და დედას არა მარტო სიტყვიერ, არამედ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებდა, ხელით ეხებოდა. ამ ყველაფერმა მე და ჩემს ძმას სული დაგვიმახინჯა. ახლა მამრობითი სქესის ატანა არა მაქვს, უფრო სწორედ, ვერავის ვენდობი, რადგან ყველა მამაჩემისნაირი მგონია. ოჯახს ვერასდროს შევქმნი იმის შიშით, რომ შეიძლება, ჩემი ქმარიც მოძალადე აღმოჩნდეს, ასეთ კაცთან ცხოვრებას კი ვერ ავიტან. მიიჩნევ, როგორ ვუშველო საკუთარ თავს, როგორ დავძლიო ეს შიში?“

ლიკა ქავაია

ბარი, 18 წლის:

„შეიძლება ოჯახურმა ძალადობამ სული დაგვიმახინჯა, მაგრამ არ უნდა მოუშვა, არ დანებდე, შენს მტრებს ნუ გააბარებ. იცოდე, ცხოვრება ბრძოლაა და საკუთარი კეთილდღეობისთვის უნდა იბრძოლო. შენს ძმასაც დაეხმარე ცხოვრების აწყობაში. ახლა ორივე ისეთი ძლიერი უნდა იყო, როგორც არასდროს ყოფილხარ. პირადად მე, ისეთი მამის ყოლაზე, როგორც თქვენი მშობელია, უარს ვიტყვი. არ მესმის დედაშენის, რომელიც წლების განმავლობაში უძლებს ძალადობას. საინტერესოა, ამდენ რატომ ითმენს? დავიჯერო, ისევე უყვარს კაცი, რომელიც ისე ურტყამს, თითქოს დოლი იყოს? ისე, ისიც ნათქვამია: კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო. დარწმუნებული ხარ, რომ დედაშენი ქმარს არ აძლევდა იმის საბაბს, რომ მისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა? თუმცა, რას ვამბობ, არავის აქვს უფლება, ფიზიკური შეურაცხყოფა მოგაყენოს. გამაგრდი და არ იფიქრო იმაზე, რომ შენც მოძალადე კაცი შეგიყვარდება, თორემ ხომ გაგიგონია, — შექახილმა ხე გაახმო. სარკეში ხშირად ჩაიხედე და საკუთარ თავს უთხარი, რომ აუცილებლად იბოვი ისეთ ადამიანს, რომელიც ცხოვრების ბოლომდე პატივს გცემს და ისე არ შემოგხედავს, როგორც ნინდის მრეცხავ დიასახლისს. წარმატებები!“

ნიკოლო:

„ჰმ, არასრულყოფილი ოჯახი... ეს სიმწარე ჩემს თავზე გამოიხდებოდა. ასე რომ, ვგონებ, ამ საკითხში კომპეტენტური ვარ და შეიძლება, ერთი-ორი სიტყვა შეგანიშნოს. ჩემთვის აბსოლუტურად ნათელია, რასაც განიცდი და რა ტკივილიც გადაგიტანია. ხომ იცი, მედლის ორი მხარე აქვს და შენს პრობლემას ასე შეხედე: რაც მეტ უბედურებას გამოცდი, მით მეტად გამოიწინებოდა და გაძლიერდები. გამჭირაობა დაგეხმარება იმაში, რომ ღირსეული მეორე ნახევარი იპოვო. ისე კი, დაუფიქრებლად არ იმ-

ოქმელო, ნუ აწყვები იმ იაფფასიან შეხედულებას, თითქოს ყველა კაცი ერთნაირია. მერწმუნე, შენ აუცილებლად, ბედნიერი იქნები!“

უზუნური:

„აი, ჩემს შეილებს არც მოძალადე და არც ლოთი მამა არ ეყოლება! დედაშენის ადგილას, ქმარს დიდი ხნის წინ გავცილდებოდი. გასაგებია, რომ შეილებს მამა სჭირდება, მაგრამ მამასაც ხომ გააჩნია?! მიინდა გითხრა, რომ ყველა ერთნაირი არაა — თავს ვინმე ღირსეულის შეყვარების უფლებას თუ მისცემ, ამაში თავადვე დარწმუნდები. P.S. არ ვიცი, მამაჩემთან რომ გავზრდილიყავი, ასეთივე რჩევას მოგცემდი თუ არა, მაგრამ... მე მიყვარს ჩემი არეული ცხოვრება!“

აკა:

„მადლობა ღმერთს, მეც ისეთ ოჯახში არ გავიზარე, სადაც ძალადობაა. მასხოვს, ერთხელ მამამ დედას უყვირა იმის გამო, რომ მან სადილის მომზადება ვერ მოახსნო და იცი, დედამ რა ქნა? — ჩემოდანი ჩაალაგა, შეილებს ხელი ჩაგჭკვიდა და ბებია-ბაბუასთან წაგვიყვანა. როცა მამა მიხვდა, რომ დამაშავე იყო, რომ ჩვენ გარეშე ვერ გაძლებდა, მოგვაციობს და ცოლს პატივს სთხოვდა. დედამ უთხრა: ახლა არ გამოგყვები. როცა დარწმუნდები, რომ ნერვები წესრიგში გაქვს, როცა მიხვდები, რომ ცოლი უნდა დააფასო, მაშინ მოდი და გამოგყვები, მანამდე კი აქ მოსული არ დაგიხანო; გაფრთხილებ: როცა შეგირიგდები, მერე ერთი ხმამალაი სიტყვაც რომ მითხრა, შენგან ისე წამოვალ და აღარასდროს შეგიირიგდები. მამამ „გადახარშა“, რომ დედა მართალი იყო, რომ ჩხუბის, აყალმაყალის გარეშე შეიძლება ყველაფრის მოგვარება და დღეს ჩვენს ოჯახში იქნებოდა მიგეთითებინა, თუ რამდენი წლის ხარ. სავარაუდოდ, თინეიჯერი ბრძანდები და ალბათ, ჯერ არც წამდვილი სიყვარული არ გწვევია. მერწმუნე, როცა შეგიყვარდება, მერე ამ

შიშსაც დაძლევ და ბედნიერი იქნები, მაგრამ ნურავის მისცემ უფლებას, ცხოვრება ვოჯოხეთად გიქციოს ანუ გთხოვ, დედაშენს არ მიჰბადო, კაცს არაფერი დაუთმო; იმ შემთხვევაში (ჯვარი გწერია), თუ არ გაგიმართლებს და შენც უღირსს გაწყვები, მისგან შეურაცხყოფას ნუ მოითმენ. იმედი მაქვს, შენი მომავალი მეუღლე ღირსეული ადამიანი იქნება. უფალი შეგეწიოს.“

რუსიანი (YELLOW):

„შეიძლება ჩემი ნათქვამი ისე ვერ გაიგო, როგორც საჭიროა, მაგრამ მაინც გეტყვი: იმ ყველაფერში, რასაც შენ ასე განიცდი, რაც ასეთ ტკივილს გაყენებს, მამაშენთან ერთად, დედაშენიც დამნაშავეა. ჩემი აზრით, ქალმა მამაკაცს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება არ უნდა აპატიოს, მაგრამ თუ ერთხელ გაჩუმდება, მერე მთელი ცხოვრება, ყველაფერი უსიტყვოდ უნდა აიტანოს. P.S. ასაკთან ერთად, კაცებისადმი ზიზღს ენით აუნერული ვნება და სიყვარული შეცვლის, ეს თავისთავად მოხდება. წარმატებები!“

უზუნო:

„მეც ისეთ ოჯახში გავიზარე, სადაც ცხოვრება აუტანელი იყო. მართალია, მამა ცოლს ფიზიკურ შეურაცხყოფას არ აყენებდა, მაგრამ ერთმანეთს ისე ლანძღავდნენ, რომ სირცხვილით კედლებიც კი წითლდებოდა, ეს ყველაფერი კი ცხადია, ჩვენზე, ბავშვებზე ძალიან მოქმედებდა. ჰოდა, მეც მქონდა ოჯახის შექმნის შიში, მაგრამ მერე, როცა ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი, სიყვარულმა შიში გადამავინწყა და ოჯახი შევქმენი. მადლობა ღმერთს, ცხოვრების მეგზურის არჩევაში არ შევმცდარვარ — 3 წელია, ერთად ვცხოვრობთ და მას ჩემთვის ერთი უწმინაური სიტყვაც არ უთქვამს. ასე რომ, ნუ გეშინია, როცა ვილაპ შეგიყვარდება, მამაშენის უსაქციელო და გაგვიწყდება და გათხოვდები კიდევ; ანუ — შიშის დაძლევაში საყვარელი ადამიანი დაგეხმარება. ბედნიერებას გისურვებ!“

ნიმი, 18 წლის:

„ალბათ, მამაჩემს მადლობა უნდა ვუთხრა იმისათვის, რომ დედა მაშინ მიატოვა, როცა ჯერ კიდევ არ ვიყავი დაბადებული. ამას იმიტომ ვამბობ, რომ შეიძლებოდა, მეც მოძალადე მამა მყოლოდა, მასთან ერთად ცხოვრება კი მჯერა, ნამდვილი ჯოჯოხეთი იქნებოდა. ჩემო კარგო, ნამდვილად არ ვიცი, რა უნდა გირჩიო, მაგრამ ზუსტად ვიცი, შენს ადგილას მეც მექნებოდა მსგავსი ფობია. გთხოვ, ძალა მოიკრიბე და დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართე. კარგი იქნება, თუ მასთან დედაშენსაც მიიყვან და იქნებ მისი დახმარებით მაინც მიხვდეს, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება

აღარ შეიძლება; იმის გამო, რომ შეილება მამა სჭირდება, მოძალადე კაცთან ცხოვრება არ ღირს“.

უცნობი:

„ეჭვი მაქვს, მომავალში შენი ძმაც ისეთივე მოძალადე იქნება, როგორც მამაშენია, რადგან გაიზარდა ოჯახში, სადაც კაცი ქალზე ძალადობს და ალბათ ჰგონია, რომ ეს ნორმალური საქციელია. საყვარელო, გირჩევ, ძმას ხელი ჩასჭიდო და ფსიქოლოგთან კონსულტაციაზე მიხვიდე. თუ შეძლებ და დედასაც „შეაბამ“, კარგი იქნება. უკვე დიდი გოგო ხარ და მშობლების

ურთიერთობაში ჩარევა შეგიძლია. მამა გააფრთხილე, რომ დედაზე ძალა აღარ იხმაროს, მაგრამ თუ შენს გაფრთხილებას ყურად არ იღებს, მაშინ დაემუქრე: სახლიდან წავალ, სამუდამოდ დაგივინყებ-თქო. იმედია, შეილს არ გაგიმეტებს და არ დაგკარგავს. ჰო, რაც შეეხება შენს შეკითხვას, თუ როგორ უნდა დაძლიო შიში, რომელსაც მე „კაცოფობიას“ დავარქმევდი: როცა მშობლების ურთიერთობაში ჩაერევი და მამას ცოლის დაჩაგვრის უფლებას არ მისცემ, როცა დარწმუნდები, რომ მამაკაცები არც ისეთი ძლიერები არიან,

როგორადაც თავი მოაქვთ, ეს „კაცოფობიაც“ გაგივლის. აბა, ჰე, წარმატებები!“

ნია:

„კარგი იქნება, თუ დედაშენს ურჩევ, ქმარს გამოირდეს. საინტერესოა, შენ და შენი ძმა მამას არასდროს დალაპარაკებინართ? მისთვის არასდროს გითქვამთ, რომ ცუდად იქცევა? იქნებ ის თქვენც გცემდათ ხოლმე? თუ ასეა, დროა, მის უმსგავსობას ნერტილი დაუსვათ და ძალადობისთვის უჩივლოთ. მერნმუნე, ამის გამო ვერავინ გაგამტყუნებთ. წარმატებები!“

რა „უცყდაბათ“ ბიჭებს

„სიყვარულსაც ნიჭი უნდა!“

„გზის“ Neil-ში დაბეჭდა WANDERER-ის მესიჯი. იგი გვწერდა: „ჩემს კლასელს — ირაკლის ჩენივე თანაკლასელი, თამუნა უყვარს და როგორც ამბობს, ამ გოგოს გარეშე ვერ ძლებს, სულ მასთან ერთად ყოფნა უნდა და მეც მჯერა მისი. ირაკლიმ თამუნას ბევრჯერ უთხრა, — მიყვარხარო, მაგრამ უშედეგოდ — გოგოს გული ვერაფრით მოუღებო. როგორც მე და ჩემმა მეგობარმა დავასკვნით, თამუნასაც მოსწონს ირაკლი, მაგრამ ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდება. გთხოვთ, მირჩიეთ, უფრო სწორად ირაკლის ურჩიეთ, თუ როგორ დააჯეროს თავი თავის გრძნობებში“.

რუხიანი (YELLOW):

„სიყვარულისა და შეყვარების ნესები, სამწუხაროდ, ჯერ არავის გამოუგონია. გონებას, ფანტაზიას, რომანტიზმს მოუხმე და რაიმე თავადვე მოიფიქრე. P.S. ეს „მესამე პირი“ აშკარად, ზედმეტი იყო“.

ნიკოლო:

„პატარა ბავშვები ხართ, უჭკუები, სულელები და აბა, რა უნდა გირჩიოთ? კარგია, რომ ხალისობთ. ირაკლიმ თავად უნდა მოიგოს თამუნას გული და თამუნაც თავად უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ის ის არის! თქვენ, მეგობრები მათ საქმეში ცხვირს ნუ ყოფთ, სრულიად ზედმეტი ხართ. P.S. დარწმუნებული ვარ, გულმხურვალე მეგობრის როლის შემსრულებელი ანუ „ესემესის“ ავტორი თავად ვერ აყვარებს თავს პირობითად თამუნას. ისე, ტყუილის თქმაც დიდი ხელოვნებაა :))“.

პატარა:

„საინტერესოა, საიდან დაასკვნით, რომ თამუნას ირაკლის მიმართ რაღაც გრძნობა აქვს? იქნებ გეჩვენებთ? თუ დარწმუნებული ხართ, რომ გოგონა გრძნობების გამოხატვისგან უბრალოდ, თავს იკავებს, მაშინ მათ საქმეში ნუ ჩაერევი, ყველაფერი დროთა განმავლობაში, თავისთავად მოგვარდება. ირაკლის ვურჩევ, ხელი არ ჩაიქნიოს და საყვარელი ადამიანი არ დაკარგოს“.

ფორფო:

„მიართვეს ყვავილები, შოკოლადი (კარგია, თუ ის გულის ფორმის იქნე-

ბა), სამკაულები და ქალის გულის მოგებაც გარანტირებული ექნება. მერნმუნე, მსგავსი მეთოდი რამდენჯერაც გამოვიყენე, იმდენჯერვე მივალნიე მიზანს. ხომ გაგიგონიათ: კაცის გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადისო? ჰოდა, ასეთი სუსტი ნერტილი ქალებსაც აქვთ: მანდილოსნის გულისკენ მიმავალი გზა რომ იპოვო, მასში ინტერესი უნდა გაღვივო, ამაში კი რომანტიკული საჩუქრები დაგეხმარება. WANDERER, შენს მეგობარს ვურჩევ, მე მომბაძოს, დამიჯეროს და თამუნას გულს იოლად მოიგებს“.

თამუნა, 16 წლის:

„და შენ რატომ გაგიჩნდა სურვილი, მათ შესახებ მოგეწერა? ეჭვი მაქვს, რომ ირაკლი თავად ხარ, თამუნა კი ის გოგონაა, რომლის გულის მოგებასაც ასე უშედეგოდ ცდილობ და გეჩვენება, რომ მასაც უყვარხარ. თავმოყვარეობა არ დაძლიებს უფლებას დაიჯერო, რომ გოგომ შენს გრძნობებს უარით უპასუხა. ასეა? თუ ვცდები, მაპატიე. P.S. რატომ უჭირთ ბიჭებს საკუთარი გრძნობების სამზეოზე გამოტანა? რატომ „უტყდებათ“ იმის თქმა, რომ ვიღაც უყვართ? ჩემი აზრით, აქ სამარცხვინო არაფერია. სიყ-

ვარულსაც ნიჭი უნდა!“

უცნობი, 19 წლის:

„იცი, მეც მიყვარს ცალმხრივად და მეჩვენება, რომ მასაც მოვწონვარ, მაგრამ გოგო თავს იგიუბებს, — არ მიყვარხარო. რას არ ვაკეთებ მისი გულის მოსაგებად, იმისათვის, რომ მისგანაც გავიგონო სიტყვები: მეც მიყვარხარ, უშენოდ მოვეკვდებიო, მაგრამ არაფერი გამომდის. საერთოდ, გოგონებს უყვართ თავის დაფასება, თითოეულს ჰგონია, რომ ის ერთადერთია, მაგრამ სწორედ ამაში ცდებიან. რას ვგულისხმობ? არ ვაპირებ, მთელი ცხოვრება ერთ ქალს ვდიო კუდში. ცოტა ხანს დაველოდები და თუ ვირიდან ვერ ჩამოვსვამ, „პაკას“ ვეტყვი. ბოლოს და ბოლოს, მეც მაქვს თავმოყვარეობა. ჰოდა, WANDERER, შენს მეგობარს ვურჩევ, მე მომბაძოს“.





მოზილი-ზაცია



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხდეს, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრბოთ სიტყვა GZA გამოყოფით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრბოთ სასურველი ტექსტი შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მოზილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქაღაჩი



- 1. ვარ 19 წლის, ყოვლად უინტერესო და უნიჭო გოგო... მე ისეთი ბედი მაქვს, კარგი არავინ გამოიმეხმარება. ეჰ...
- 2. გავიცნობ ლამაზი და სპეტაკი მეგობრობისთვის სერიოზულ, განათლებულ მამაკაცს, 35-50 წლამდე. ვარ 35 წლის.



მამაკაცები

- 3. გავიცნობ 35-40 წლამდე ქალს. ვარ 28 წლის, სიმპათიური ბიჭი. თბილისელი, დასაქმებული.
- 4. გავიცნობ ლამაზ გოგონას, ქართული ტრადიციების მიმდევარს, განათლებულსა და ჭკვიანს, 20-25 წლამდე. ვარ 27 წლის, სიმპათიური, 184 სმ სიმაღლის. ქალბატონებო, გელით.
- 5. ვეხმარები „გზის“ 2010 წლის 38-ე ნომერში, 44 წლის ქალბატონს. გთხოვთ, გადასცეთ ჩემი ნომერი. ვარ სამსახურით უზრუნველყოფილი, სიმპათიური მამაკაცი. დათო.
- 6. ვარ მატერიალურად უზრუნველყოფილი, ჯანმრთელი მამაკაცი. სიამოვნებით გავიცნობ 20-დან 35 წლამდე ასაკის, სიმპათიურ და განათლებულ მანდილოსანს, სერიოზული ურთიერთობისთვის.
- 7. ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიცნობ ლამაზ და საყვარელ ქალბა-

- ტონს. ვარ 25 წლის. არასერიოზულები არ გამოიმეხმაროთ.
- 8. გავიცნობ გორში მცხოვრებ მანდილოსანს, 35-45 წლამდე. ვარ 36 წლის, სიმპათიური მამაკაცი.
- 9. გთხოვთ, მომწეროთ თქვენი ჟურნალის მე-9 ნომერში გამოქვეყნებული, პირველი სმს-ის ავტორის, ქალბატონი მანანას ტელეფონის ნომერი.
- 10. ვარ 28 წლის, სიმპათიური, თბილი და მოსიყვარულე, ეკლესიური. გავიცნობ თბილ და მოსიყვარულე გოგოს, პატიოსანს და მეოჯახეს, ოჯახის შექმნის მიზნით.
- 11. გთხოვთ, მომწეროთ „გზა“ №12-ის, მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი. გმადლობ.
- 12. ვეხმარები „გზა“ №12-ის 1-ელი მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი. მადლობა წინასწარ.
- 13. დაოჯახების სურვილით გამოიმეხმაროს თბილისელი, 25-დან 30 წლამდე ასაკის ქალიშვილი, ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი, მშვიდი ხასიათის და ზრდილობიანი.



სსპლასსპა

• ვერ შეედრება სხვა გრძნობას, დედური გრძნობა ტკბილია, დამემონება ამაში, კაცი, ვინც გამოცდილია. დედა მზად არის, რომ იხსნას, სიცოცხლის ფასად შვილია, მას ურჩევნია ქვეყანას, შვილის სახელის ჩრდილია. ხოლო შვილი კი დედისთვის, ბევრი ვერაფრის მარგია, ვერ აღუდგინოს დედას ამაგი დანაკარგია. დედა შვილს თავში რომ სცემდეს, სხვისა კოცნაზე კარგია, კარგია ყველა გრძნობები, დედა კი კარგზე კარგია. კუნკულა.

• ბუცა, გაიხარე შენ! :) დედაჩემს უნდა წავაკითხო შენი გზავნილი და დავანახვო, რომ მთლად ტარტაროზი არ ვარ, საყ-

ვარელი ვარ, საყვარელი! :) ატარექსია.

• შენ მართალი ხარ, ლურჯი ედემი ქარმა დაბურდა. მაისი გაქრა და ბალი ჩემი გაუდაბურდა. გალაკტიონთან მოვედი. ვარდის თვეა, მაისია... სად გაგონილა, კაცს ახალი სიყვარული ძველ სიყვარულს ავინყებდეს. გალაკტიონს „მესაფლავეში“ ასეთი ფინალი დრამატიზმისთვის სურდა. დასაბამიდან დაკანონებულს, ვერ გაუქცევა ადამიანი; რაც უწერიან, ის უნდა მოხდეს, მალე იქნება ან თუ გვიანი. კუნკულა.

• პატარავ, როგორ ხარ, დედას სიხარულო და დარდო? წინა კვირაში კი შემოგვითვალე, ადვოკატი შემოგზავნითო, მაგრამ ვერ მოვახერხე ჯერ მე და მერე — ადვოკატმა. ბესო და მისი პატარა სწავდნენ, ცოტა დადგენყნარდით. ისეთი ჟივილი იყო სახლში, გაგიჟდებოდი. საბა და ვაჩე გამუდმებით ჩხუბობდნენ, ერთმანეთს თმას სწინჭნიდნენ და მერე ორივე ტიროდა. შენს საქმეზე მოძღვარს დაველაპარაკე და იმედი მომცა. მგონია, რომ მალე უნდა ჩავიხუტო. დე, არაფერზე ინერვიულო, ყველაფერი

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოზილი-ზაციისთვის“ გამოისაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h



ხდება ცხოვრებაში. ალბათ ეს განსაცდელი უნდა გაგვევლინა ყველას. ხომ იცი, ოთხ კედელს შუა ყოფნა პატიმრობას ნიშნავს და არა — თავისუფლების დაკარგვას. შენ დედას ჭკვიანი ბიჭი ხარ და ვიცი, ყველაფერს რეალურად შეაფასებ. აპრილის 10-მდე მიწვევს შენი ნახვა. მოვალ და შორიდან მაინც მოგვეხვევები. გკოცნი. ღმერთი გფარავდეს. დედა.

• როგორ ხარ, სიხარულო? ძალიან გვენატრები. საბა სულ გკითხულობს და მობილურზე გელაპარაკება, — მამა, დიდი პიპია მომიტანეო. ძალიან გაცეკვლდა. ბევრი წერილი გამოვგზავნი და არ ვიცი, მოდის თუ არა შენამდე. მე კი მაინც ვგზავნი. იმედია, მალე გნახავ. მენატრები და მიყვარხარ ძალიან. არ ინერვიულო, თავს გაუფრთხილდი და ყველაფერი კარგად იქნება.

• 666, როგორ ხარ? რას დაგატარებენ აქეთ-იქით, ნეტავ? დაგანებონ თავი. გული გამისკდა. ნეტავ, როგორ ხარ? ვერვიულობ ძალიან. შენი საქმე ახალ ადვოკატს მისცა 777-მა. იმედი მოგვცა, რომ შეწყალება შეგეხება. ვნახოთ... ახლა მოძღვრის დახასიათება გვჭირდება, მაგას გავაკეთებთ და საქმეს დაუერთავთ. ადვოკატს შემოგიგზავნი, რომ შეწყალების განცხადებას ხელი მოაწერო. ბინას რომ ვყიდულობდი და ბე რომ მივეცი, ახლა უკან უნდა მოიტანოს. ცოტა აჭიანურებს, მაგრამ შუამავალი ვინც იყო, ის დასდევს და მოატანინებს, ალბათ. დღეს ორშაბათია. ოთხშაბათს მივალ მამაოსთან და დახასიათებას დაგანერინებ. ღმერთს ვეხვეწები, რომ ეს საქმე გამოვიდეს და მერე ერთიანი ძალებით იმ ჩურჩულსაც ვუშველოთ. გკოცნი, შენი დაიკო.

• გიო-66, როგორ ხარ, შვილო? მამაოსთან ვიყავი და მითხრა, მე მაგ საქმის არაფერი ვიციო. ვფიქრობ, მაგრამ არ ვიცი, რა საქმეზე დავდგე. თუ რაიმე ახალი იქნება ამ კვირაში, ზაზას დავაბარებ. სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ აქედან რას გეტყვი? ხომ იცი, რამდენი პრობლემა ჩვენს ოჯახში. შენ მაქედან დახმარებას მაინც ვერ შეძლებ და არაფერზე ინერვიულო, მხოლოდ შენს თავზე იფიქრე, რომ ნერვებსა და ჯანმრთელობას გაუფრთხილდე. ყველანი კარგად არიან. უფლის კალთა ყოველთვის გფარავდეს. დედა.

• კასკუ, ჩემო სიცოცხლე, ჯერ კიდევ არ ვიცი, რა იქნება. კიდევ ეს უსაშველო ლოდინი, ოღონდ რაც უნდა მოხდეს, იცოდე, ამით არაფერი მთავრდება. ყველაფერს ეშველება და წინ უამრავი, ლამაზი დღე გვექნება ერთად, შენს ლამაზ ოჯახთან, ყველა იმ ადამიანთან ერთად, ვისაც თავზე მეტად უყვარხარ. ქეთი.

• კასკუ, როგორ წარმოვიდგენდი, რომ შენ გაგიჭირდებოდა და მე ვერ დაგეხმარებოდი, ჩემო სიცოცხლე. გეხვეწები, თავს გაუფრთხილდი, ასე ნუ ნერვიულობ. ქეთი.

• კასკუ, ხომ იცი, ჩვენ შენით ვსუნთქავთ და ვარსებობთ. იმედი გვაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. უფალი დაგვიფარავს და

გაგვადიერებს. მიყვარხარ, მენატრები. ქეთი.

• კასკუ, რას არ გავიღებდი შენს ერთ ჩახუტებაში. გკოცნი ძალიან, ძალიან ბევრს, გეფერები, მოგიციტხა ყველამ, დიდი სიყვარულით. ჩვენზე არ იდარდო. შენი ქეთი.

• ამით მალტასთან ისე მანერვიულეს, რომ ახლა ამ ნაკრებმა ხორვატიას კი არა, ბრაზილიას რომ მოუგოს, ყურებაც კი არ უნდა გინდოდეს კაცს. კუნკულა.

• მისტერი სად დაიკარგა? გავიცვა აქვს მონყობილი სოფლის თავში და თავიგდომარედ დასვეს? მისტერ, დაბრუნდი, მომენატრა შენი გზავნილი. უწუნური.

• პირველად გწერთ. ძალიან მიყვარხართ. ბევრი დარდი და ნერვიულობა გადავიტანე. ღმერთის იმედით კარგად ვართ.

გარს საყვარელი ხალხი მახვევია, მაგრამ სულიერად მარტო ვარ.

• იქით ილია, აქეთ — გიგა ბოკერია. არ მაინტერესებს მე არც ერთი!

• გი, ძალიან მენატრები. გუშინ გნახე და გული მიკვდება, როგორ გამხდარხარ. გთხოვ, თავს გაუფრთხილდი. შენ რომ ნორმალურად გნახავ, ჩემთვის დიდი იმედია. მიყვარხარ.

• რამდენი ნიჭიერი ადამიანი ჰყავს ამ საქართველოს, ხანდახან თავი ზედმეტი მგონია... :) PS. ყველანი მიყვარხართ, მაგრები ხართ. თქვენზე სიგიჟემდე შეყვარებული ტალკერ.

• გოგოს სახელად მისცეს ლუიზა, ბიჭს კი სახელად დაარქვეს ჯევი; ერთ დღეს შობილნი, ტოლები იყვნენ, არც ერთი იყო რაიმით მეტი; რომ შეუსრულდამთ მათ

ქ. ფოთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი

გაბთი 200355
ჯეოსელი 700555
ბილაინი 700555

გთხოვთ დარეკოთ

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი

გაბთი 200320
ჯეოსელი 700305
ბილაინი 700333



შვიდი წელი, გოგო სკოლაში მიჰყავდათ მშობლებს; საბრალო ჯგევი, როგორც ლარები, ჩამომართვის მის თანატოლებს; დაღონდა ჯგევი, მარტო რომ დარჩა, ლუიზას გულიც აიკვო სევდით; თვით დედამშობელს დათმობდა გოგო, ოღონდ კი ჯგევი ჰყოლოდა გვერდით; ლუიზას გული ამოუდუღდა, ტირილით მოჰყვა სუ-წყველაფერი; დედა გაკვირდა ბავშვის ნათქვამზე, სასწაულია, ფიქრობს, ნამდ-ვილი; მეორე დღისით ლუიზას მამამ, მე-ტლე ისევ მოიხმო სახლში; უთხრა: რად არ გასურთ, რომ თქვენი შვილი, სკოლაში მისცეთ, გარიით ხალხში; მეტლემ უთხრა: ჩემო ბატონო, სწავლისა ფული რით გად-ვიხადო, თვეში ორ დოლარს ვერ გადა-ვიხადო, ტანზე პერანგიც რომ გავიხადო. მამ კარგი, უთხრა მილიონერმა, როგორც მეზობელს, მეც თანაგვირძნობ; ამ საქმის-ათვის მოგიხმე ჩემთან და რჩევას გაძლევ, როგორც კი მშობელს; ყოველწლიურად, ბავშვის ჩაცმისთვის და სწავლის ფული რაც დაგჭირდება, ჩემგან მიიღებ, რაც საჭიროა, ამაზე ფიქრი ნუ მოგინდება; ამით დამთავრდა მათ საუბარი, დაემშვიდობ-ნენ ორივე ერთმანეთს; მეტლე საქმით გაო-ცხებული, ჯერ ბატონს ლოცავს, მერე კი ლმერთსა; ისევ ასრულდა ბავშვთა ოცნე-ბა, კვლავ ერთად იწყეს მათ სიარული, გამხიარულდნენ და მათ სიხარულს ჩამო-ეცალა სევდა ფარული; რომ შეუსრულ-დათ თექვსმეტი წელი, როცა ბავშვური ფრთები გაშალეს, თავიანთ გულის მესაი-დუმლოდ ამოირჩიეს მათ მზე და მთვარე; რამდენ საღამოს წინვიან ხის ქვეშ, ცაზე ვარსკვლავებს ითვლიდნენ ერთად, მთვარ-ესთან ერთად იფიცებოდნენ და პირველ ტრფობას იხდიდნენ ქვეყნად; ჯგევი კი გრძნობდა, რომ მათ სიყვარულს, შავი უფსკრული ყოფდა უძირო, ამაზე ფიქრით რამდენი ღამე, მან გაათენა თეთრად, უძ-ილოდ; ეს ის დღე იყო, როდესაც ჯგევი, წინასწარ გრძნობდა ქალსაც გაანდო, უთხრა: ჩვენ მალე დაგვაშორებენ და ამ ფიქრებმა დამწვა, დამადნო; შენ მდიდარი ხარ, მე კი ლარიბი, ჩვენ ქორწინების არა ვაქვს ნება, შენი მშობლები უარს იტყვიან და ეკლე-სიაც არ დაგვრთავს ნებას. ლუიზამ უთხრა: ან შენ იქნები, ან სულ არა ვარ კაცის მწახველი, სიყვარულს ვფიცავ, თვით სიკვდი-ლამდე, ვერ დამავინწყოს შენი სახელი; იმ დროისათვის ლუიზას მართლაც, მდიდ-რის შვილები ბევრნი შეტრფოდნენ, მა-გრამ ლუიზას სხვა რომ უყვარდა, მათი გულები ამასაც გრძნობდნენ. ერთი ვაჟი, სახელად ჯონი, მის სიყვარულით გატაცე-ბული, მუდამ უარს რომ უთვლიდა შორით, გულში ჩაიდო განზრახვა მტრუ-ლი; ამის შესახებ ლუიზა ჯგევის, არას უმხელდა, რადგან იცოდა, უიმისოდაც საბრალო ჯგევი, უიმედობის ცეცხლში ინვოდა; დიდხანს მალავდა სიყვარულს გულში, მაგრამ როდემდე უშინახავდა, სად წასულიყვნენ ისეთ ადგილას, სადაც ვერავინ დაინახავდა. ერთ დღესაც სახლ-ში ატყდა ჩურჩული, ბევრ სიმართლესთან ტყუილიც ითქვა და იმ საღამოს ლუიზას

მამამ, რისთვის მოიხმო თავისი შვილი. შეჰყვირა: მითხარ, რაგებს ამბობენ, მარ-თალია თუ ჰყვებიან ჭორებს? ჯერ არ მსმენია, რომ ბატონები თვითონ ჰყვარ-ობენ თავიანთ მონებს. რომ მოისმინა მა-მის ნათქვამი, ქალი სკამიდან დინჯად წა-მოდგა: შენს მილიონებს ჩემს სიყვარულ-თან, მე სულ არ ჩავთვლი არც ერთ შაუ-რად; მე ვაჟი მიყვარს, არა — სიმდიდრე! რომ ეს შეცდომა თვითონ დაუშვა. შვი-ლის ოთახზე დაადო კლიტე და იმ დღე-იდან არსად გაუშვა. მაგრამ გვიანი გამოდგა უკვე, ვეღარ ჩაქრო გრძნობა დიადი, თუმც ჩაკეტილსა ოთახში მუდამ, სიბნელე იყო, იყო წყვილი; ლუიზას ბნელშიც ელანდ-ებოდა, საყვარლის სახე მუდამ მცინარი, და სიყვარულის გზას უნათებდა, როგორც უკუწევის წმინდა ლამპარი. ერთმა მსახ-ურმა დილით ლუიზას, მამის ნათქვამი გაუმოხრა; უთხრა: სამგზავროდ გაემზა-დები და მის პასუხსაც არ დაუცადა. ცოტა ხნის შემდეგ შავი კარეტა, როგორც ნია-ვი, მიქროდა გზაზე, მიირწეოდა როგორც აკვანი და როგორც ნავი შუაგულ ზღვა-ში. მიხვდა ლუიზა მამის განზრახვას და გულმა მყისვე უგრძნო ყვილი, გრძნობ-და, რომ საქმეს ვერ უშველიდა, მწარე ცრემლი და ბედზე ჩივილი. ის თავის გულში ერთსა ჩიოდა, გზა მოენახა გამო-სავალი, ჯგევის როგორმე რომ შეხედრო-და, აი, რა იყო მისთვის მთავარი. სამი დღე-ღამე ატარეს ასე, გამოატარეს სამა-სი მილი; მეოთხე დილით ერთ-ერთ ოთახში, მამამ მოიხმო თავისი შვილი. თუ რას ეტყოდა მამა თავის შვილს, ვფიქრობ მისხვდებით, არ უნდა თხრობა; ამ ოჯახს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით და რა თქმა უნდა, როცა დრო გავა. გლოვის დღე იყო ჯგევისთვის ის დღე, ლუიზას წასვლა როცა გაიგო; ნავიდა, განა მარტო ნავიდა, მან ჯგევის გულიც ხომ თან წაიღო. რაღა რჩებოდა ჯგევის ამქვეყნად, მხოლოდ დაკარგულ ბედზე ჩიოდა, ის სამუდამო სევდამ მოიცვა და მის სახეზე გაქრა ღიმილი. ორ წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, მშობლებიდანაც დარჩა ობოლი; მას ცხოვრებაში არავინ დარჩა, არც მოამაგე, არც თანატოლი. ბევრი იფიქრა, რომ ცხოვრებაში, არსე-ბის წყაროდ რა აერჩია, სხვის ხელთ შემყურე არ ყოფილიყო და თავის თავი თვითონ ერჩინა. კუნკულა.

- არა, რაა, მიყვარს, საგარეჯოში ასე რომ დუღს სიცოცხლე... P.S. კუნკულა, შენ რა მაგარი ხარ?! :)
- „ხარება და გოგამო“, გოგამ რომ ჩაპროშა ის თანდილია, აი, ისე პროშ-ნაობს დღეს ხალხი, სერიალებში. მე კიდევ, უცოლოდ ვკვდები. ეს საქმეა?! კუნკულა.
- გაიხარე, ნანი დუმბაძე, გამახარეთ და არ გასურთ, ისევ ესტუმროთ იმერეთს? მესტუმროთ სამტრედიაში და მეც გამახ-აროთ?! მიყვარხარ, ნანი ბებო, ძალიან მაგრად. ფლამინგო.
- ჯახავი, გმადლობ გენაცვალე, შექები-სათვის. P.S. მოვიკითხავ მათ, ვისაც ვუხარო-ვარ და მათ, ვინც მე მიხარია. :)

- ტუბილო ნუჩი, გმადლობ თბილი სი-ტყვებისათვის, გაიხარე. :)
- ეგოისტო, მეც ნაყუევიისტებ, როგორც ამბობენ. :)
- კარ-გი ხაროოო. :)
- ატარექსია.
- ბაი, მაპატიე, ვერ გწერდი, რა. როგორ ხარ? -(იმედია. კარგად. მენატრები ძაან და მიყვარხარ. ნათია ნ.
- სოცეთ ერთმანეთი, ლანძღეთ, აქილ-იკეთ და აგინეთ, მე კი გისმენთ და გეტყვით, რომ საცოდავები ხართ. თქვენთან სიყ-ვარულს რა უნდა, ჯუზგლნო! შერლოკ ჰოლმსი.
- იმდენად შერყეული გაქვთ ეგ კო-მპიუტერული დასხივების მქონე ტვინები, რომ სიამოვნებას მხოლოდ ერთმანეთის შეურაცხყოფით იღებთ. ჰოდა, ალაღია თქვენზე. შერლოკ ჰოლმსი.
- სააკაშვილმა სინგაპურს კი არა, ბალ-ნარს რომ დაამსავსოს საქართველო და რაც მთავარია, საქართველოში მცხოვრე-ბი ყოველი მოქალაქე ბედნიერი იყოს თავი-სი ცხოვრებით, იმ შემთხვევაშიც არ შეი-ძლება კაცს ისე უხაროდეს პრეზიდენტო-ბა, როგორც მას უხარია. კუნკულა.
- შალვაშ. გვენატრები. თავს გაუფრთხ-ილდი, არაფერზე ინერვიულო. დღეს შენი მამიკოს დაბადების დღეა. უშენობა ძალიან გვიჭირს. გკოცნით ბევრს.
- ყველა ფიქრობთ, რომ სრულფასო-ვანი ხართ და ამაზე დაობთ, ის კი არ იცით, რომ ასეთი არც ერთი არ ხართ, რადგან სრულფასოვანი ადამიანი არ არ-სებობს, მიზეზიც ესაა. შერლოკ ჰოლმსი.
- დიკი ანგელ, რატომ ხარ დაჩაგრუ-ლი? მგონი ერთმანეთს გაუგებთ... არ გინდა, ვიმეგობროთ? მორიელი.
- მუკი, აუ, ისე მენატრები, ისე, რომ ცოტაც და გავაფრენ უკვე, რა... არ შეგე-შინდეს ამ ციფრის, რაღაც იქნება. ყველა მპირდება და მალე წამოგიყვანთ მანდდან, იმედია. მიკაი.
- მუკი, მთავარია, მაგრად იყავი, რომ ორივემ გავუძლოთ. ბავშვები ისე ელო-დებიან შენთან მოსვლას. ნიკუშა ამბობს, მამიკო მოვიდეს ან კივიში წამიყვანეო. რა გინდა, რომ უთხრა?
- მუკი, მეთამაშება, შენ რომ ასწავლე, ვითომ მიცელის თავს და მერე უცებ მოი-წყენს, გიო მინდაო. ნიაკომ, უთხარით, რომ მიყვარს და მენატრებაო. მე კიდევ, მიკაი და გელოდები.
- ალბათ მართლაც ამბობს, მაგრამ რწმენაზე ძლიერია ჩემი ტვივილი და მარ-ტოობა. ექიმებიც ცდილობენ, რომ წამლებით მიშველონ და დავდივარ ჩემს-ვლა კარდიოგრაფის ფურცლით. ქვრივი.
- კაკუ, იცი, რატომ მიყვარს მე ეს სამ-ყარო? შენ რომ არსებობ და მე რომ გიპოვე და დაგკარგე უკვე... მენატრები. და-ლექსა.
- რა ცუდია, რომ უკვე 4 წელია ესპან-ეთის ეროვნული ნაკრებისთვის ვლვრი ცრემლებს მამინ, როცა თურმე ქართველ-საც შეგკძლებია. ქართველი ფეხ-ბურთელებით ვამაყობ! ტალკერ.
- სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე



ასაკის, ცისფერ ადამიანს. მიმჩნია, რომ ასეთი ადამიანები მეგობრობაში საიმედო-ლონი არიან. ანა.

•კასკუ, ჩემო ერთადერთო, როგორ მინდა დაგინახო და მოგვხუტო. ვიცი, შენც როგორ დარდობ და გენატრებით. კუს, გთხოვ, თავს გაუფრთხილდი რა, შენით ვსუნთქავ და ვარსებობ.

•კასკუ, შენი ვარსკვლავთვლება ძალიან ცუდადაა. რატომ არ მასწავლე, უშენოდ როგორ ვიარსებო? რამდენ სისულელეში ვვლანგავდით დროს, ახლა რა უაზრო გახდა ყველაფერი, არა?

•კასკუ, სადამდეც შეიძლება, დროს ვწვლავთ, იქნებ რაღე შევცვალოთ. იმედი კიდევ არის, ეგებ ნახევარზე დავითანხმოთ. უფალი მოწყალეა და შეისმენს, ოღონდ, თავს მიხედვ, რააა.

•კასკუ, ჩვენ კარგად ვართ, დედა და ბავშვები ბევრს გოცნაინ, მე კი შენს გულში ვზივარ და მქედან ვუყურებ სამყაროს. როგორ მინდა, მოგვეფრო და დაგამშვიდო. მიყვარხარ.

•კასკუ, ჩემო კაცურო კაცო, გამაგრდი და მიიღე ეს განსაცდელი, როგორც შეგეფერება. მიყვარხარ, მიყვარხარ და გოცნი (განსაკუთრებით ხალში) ბევრს. შენი ლიკუნია-ითუნია.

•კასკუ, აქამდე იმ იმედით ვცხოვრობდით, რომ ეს ყველაფერი მალე და კარგად დამთავრდებოდა, ახლა უკვე აღარ ვიცი, რა იქნება, ალბათ ლოღინითა და მონატრებით ცხოვრება უნდა ვისწავლოთ, ჩემო სიცოცხლე, ოღონდ შენ იყავი მაგრად და ჯანმრთელად და ჩვენც გავმაგრდებით და გავძლიერდებით. მიყვარხარ, მენატრები, ყოველთვის ფიქრებში შენ გელაპარაკები, სულ შენ მედარდები და ამით ვცხოვრობ. გეხვებები, თავს გაუფრთხილდი, გოცნი ძალიან, ძალიან ბევრს. გეხუტები, შენი ქეთი.

•ნაომი, მამატიე, ვერ გეხმანები, მაგრამ მახსოვხარ! ჰო, თუ სწორად მახსოვს, მეც უბრალოდ ვიკითხე, SWEET-ი ხომ არ გათხოვილა-მეთქი. ჩემს რუისპირზე ვგიჟდები! CRAZY GIRL.

•მოვიკითხავ კიბორჩხალას, ლი23-ს, ბუცას, მოონშინეს, კუნკულას, ჩემნარ CRAZY-ს, უწუნურს, მორიელს... კარგები ხართ. მდააა, არ გამეცნობოდით, ისე? :) CRAZY GIRL.

•მე ნინო მქვია, 19 წლის ვარ, მყავს შვილი ჩემი საყვარელი ადამიანისგან, მაგრამ გაუგებრობის გამო ერთმანეთს დავცილდით და ჩემს მშობლებთან დავბრუნდი.

•მარ, რას გვიშვრება ეს პატრული, არა? კლეოპატრა.

•მარი, „გზავნილებში“ დამაინტერესა რუისპირმა (YELLOW). თუ შეგიძლია, მისი პირადი ნომერი მომწერო? გმადლობ წინასწარ.

•მარიამულ, ნიკი რატომ არ ეწერა ჩემს გზავნილებს, სიხარულო? არა უშავს... მიყვარხარ... შენი ლუნა. ლამაზ დღეს გისურვებ, მარ! შემოგველე.

•მარ, 31 მარტს ჩემი დაბადების დღეა

და ვინაიდან არავინ მომილოცავს ამ უურნალში, თავად ვულოცავ საკუთარ თავს. :-) ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ. :-) მოკოლად.

•მარ, როგორც დაჩაგრულ გოგოსთან, ვერ ჩანერ ინტერვიუს? იქნებ ამან მაინც შემარგოს ზურა, გთხოვ, მართლა ცუდად ვარ, ქმარი მენატრება და... დამეხმარე. დიკი ანგელი.

•პირველად გწერთ. ძალიან გთხოვთ, ეს SMS-ი დამიბეჭდეთ. გათხოვილი ვარ, მამამთილი სულ მაკრიტიკებს, დათვრება და რაღას არ მეძახის, ქმარი გვერდში არ მიდგას, არაფერს აკეთებს ჩემს დასაცავად, არადა, სიყვარულს მეფიცება და ამას საქციელით ვერ მიმტკიცებს. მირჩიეთ, რა ვქნა? ცუდად ვარ.

•ლამაზი თვალები, ლამაზი ტუჩები, ლამაზი სიცოცხლე სად გაქრა? ნეტავ, სად გაქრა სიყვარული შენი? გულში გყავს, ხომ? მიდი, მოქებენ, დაგელოდები. შენი კნინა. დიკი ანგელი.

•ნიკოლო, როგორც ჩანს, ძალიან დაბენი, როცა გაიგე, რომ 21 წლის ვარ. რაც შეეხება ნაომს, შევაფასებდი, როგორც აუტანელ და საძაგელ გოგოს, რომელიც კი არ მგზავნილობს, არამედ „ზაციეში“ ლლაფურცობს. ნუ, ახლა, პირადი ურთიერთობები სხვა საქმეა. შენ ძალიან კარგად წერ, შოკა, მე ძალიან კარგად ვცეკვავ. :) თამუნა მიქელაძე.

•არა ვარ კარგი პოეტი, თორემ გეტყოდი ლექსს, შენს სარეცელს გავიყოფდი, გავინუნდი თმებს, ან წვიმის ნამო რომ ვიყო, დაგედვებოდი წვიმად, შემოვივლიდი მთელ სხეულს, გულს დავკვდებოდი ჩუმად. არა ვარ კარგი პოეტი... მზერით დავლდი მთვარეს, მოგვევოდი გულზე და ჩუმად გეტყოდი რამეს. არა ვარ კარგი პოეტი, თორემ რა უნდა ლექსის თქმას, თავი მომადე მკერდზე და ყური დაუგდე გულისხმას. ლუნა.

•მარიამულო, თურმე როგორ მაკლდა შენი „სიტუაცია“. ბევრი ვიფხიარულე.

ქსოვლის ნიჭი და მისი ნიჭი
ნიჭი და მისი ნიჭი

ქურნალ „რეიზინგთან“ ერთად

წაიკითხე წიგნები -
უკეთესად იქნები!

სტივის 30660
და ბუ ბუ...

11
ქსოვლის ნიჭი და მისი ნიჭი

4 აპრილიდან - ჭოფი №11
მთხრობალი - სტივის 30660

ფასი ... 2 ლარი!!!

11 აპრილიდან
ჭოფი №12 - კაბილო სოსა სელა



ყოჩალი ხარ! მარ, მიხარია, რომ მოგნონს ჩემი გზავნილები. ნიკოლო, ჩემო კარგო, სიმართლე გითხრა, ვერ გაგიგე. ალბათ სიმღერები ვინმეში. რომელი ფანატიკური იდეებს გულისხმობ? დღეობისთვის კი დიდი მადლობა. შენს გულში და გონებაშიც ყოფილიყოს ღმერთი. P.S. ბამბუჩა, ძალიან მინდა, სიხარულო, შენი გაცნობა. ლუნა.

• ლაკვასტი, მე ძალიან არაპროგნოზირებადი ხასიათი მაქვს. თუმცა, მეც ძალიან კარგად ვიცი ჩემი კარგი და ცუდი თვისებები. :-) მამრახვებ ისე, ამ ბოლო დროს. შეგრცხვეს. ნაომი.

• ჰოდა, მეც მიყვარს და ვუფროსილები, ვაფასებ მის ასეთ დიდ ნაბიჯს ცხოვრებაში და სულ დაუფასებ, თუ ღმერთის ნება იქნება და ოჯახის შექმნის ღირსი გაგვხად, მაშინ გპირდებით, რომ პირველები გაიგებთ ამ ამბავს და ჩემს ბედნიერებას გაგიზიარებთ. ვამაყობ ჩემი დიდი სიყვარულით და პირობას ვდებ, რომ სულ მიყვარება... ბუტა.

• ზურო, არ მირეკავ, ხომ? კაი, ნუ მირეკავ, კარგაააა! ღმერთმა დაგლოცოს. ვიცი, ჩემი გახდები ისევე. ნაადრევი ენციკლები ვის მოსწონს?

• მარი, ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე. ძალიან გაჭირვებული ვარ, შეიძლება ქუჩაში ამოვყო თავი. ბიძაჩემი ლოთია, „გარიჩქვები“ დაუნყო, მამწარებს თან. გთხოვთ, იქნებ თითო ლარით მაინც დამეხმაროთ, „გზის“ რედაქციაში რომ დატოვოთ, მარი შემატყობინებს. გთხოვთ, ბინის ქირა მაინც რომ გადავიხადო. გთხოვთ, ლამისაა თავი მოვიკლა. სოფო.

• მარ, როგორ ხარ, გენაცვალე? მოკლედ, ამ საღამოს სამსახურის მერე ნახევარი ქობულეთი მოვიბრუნე, მარა „გზა“ ხვალამდე არ იქნებაო. რა ჰქვია ახლა ამას?! გოცნით! CRAZY GIRL.

• რუისპირის (YELLOW) „სუპერქალმა“ აღმაშფოთა. ბოროტი მამაკაცები! RAINBOW-იასამანი.

• მარი, დამიბეჭდე მესიჯები ამ გადარულ ბიჭს, ჟურნალი „გზა“ მანყნარებს და სულ ნუ გადამრევ: გადარეული.

• აქ გაცნობები რომ ხდება, მაინტერესებს, გაუმართლა ვინმეს და შექმნეს ისეთი ტკბილი ოჯახები, როგორიც უნდოდათ? რაღაც არ მჯერა, რომ ასე ოჯახები იქმნება. თუ ვცდებით, მე მამაბატით, მოწყვეით თქვენს ამბავს და ჩემს სიტყვებს უკან წავიღებ. ბუტა.

• შენ ამით მაინც დააჯერებ დედაშენს, რომ მთლად ტარტაროზი არ ხარ, მაგრამ მე რაც უნდა ვქნა, მაინც ეგოისტს დამიძახებს და ქარი გიქრისო, მეტყვის... :-) ბუტა.

• კუნეულ, თუ არ მეშლება და ის ხარ, ვინც მგონია, მაშინ 22 მარტს ხომ არ ხარ დაბადებული?

• ძალიან დიდი სურვილი გამიჩნდა, ქვრივი, შენი გაცნობის. გატყობ, მიუხედავად ყველაფრისა, ძლიერი ქალი ხარ და მინდა, შენთან ვიმეგობრო. ბუტა.

• ფლამინგო ძან საყვარელი ადამიანი.

მართლა, მისი „ოპელიც“. :) ნინო, მაგრად მიყვარს შენი ბოთე. :) ჩემი დაიკო ხარ. გადარეული.

• ლაკვასტი ხომ ჩემი უფროსი დაიკოა. ნათი, მიყვარხარ. გადარეული.

• ერთი პატარა დაიკო შევიძინე. ლუნა პატარა, საყვარელი გოგოა. ცუდია დედასერთობა. გადარეული.

• დღე მშვიდობისა, უკაცრავად, პირველად გამიჩნდა სურვილი, რაღაც ამბავი მომეხერხა და არ ვიცი, ეს როგორ უნდა გავაკეთო. უბრალოდ, მოგწერთ?

• ვინ არის, ქართველ მგოსანზე მეტად მალალი მთების ვალი რომ მართებს! გახედე, ნისლში დაბრუნდი ერთად ჰგვანან ალლუმზე გასულ ხომალდებს. მათ არ აზინებთ გრიგალი მძაფრი, მეც მათთან მინდა გზა საზიარო, მეც მინდა თეთრი ღირებულების აფრით ქვეყნის კიდევ მათთან ვიარო; და ჰა, მოვდივარ, გამიხსენ მკერდი, მთაო, ლაჟვარდის მამადნობელო!.. სიყრმიდან მმართებს სიმღერა ერთი, სიმღერა — მთების მამადლობელო!.. ლაკვასტი.

• თითქოს მთებიდან ღვარი დაქანდა და ზარი შექმნა უმწეო ჯოგმა, იყო ცხენებით თქერა აკვანთა და ჭუჭუმშრალ დედების მოთქმა. დღე განკითხვისა დადაგა ნამდვილი, ყოველ ნაბიჯზე იყო გოლგოთა; როგორც გრიგალი ამოვარდნილი მარბიელები ქროდნენ მონლოლთა; მთა ეცემოდნო მათი კვეთებით, მათი შემოკვრით და შეკვივლებით; და მრავლდებოდნენ კვამლის სვეტები, როგორც ვაზები, დაგრეხილები. ლაკვასტი.

• თიანელ გურამ ფილაურს: ეგ არის შენი ვაუკაცობა? ხაშზე გაგვანდებ... ხინკალი — გეშლება... მწვადი — გენვება... ვარდები — გიჭუნება... მაგრამ თუ „პასილიკის“ გამოგზავნაც დაგაიწყებოდა, არ მეგონა... თუ ღვინოც დაგიძმარდა?!

• ოქროს ხელებმა ქარგეს ჭილოფად ეს ცა, ღრუბლებით გადაბარდნილი, ცა, ვარსკვლავების დაწერილობა და სიყვარული კარაბადაინი! საღვთო მღერთან ამ ცის ერთგულნი, მღერთან დაგვად, ბავშვისებურად, და ვარსკვლავები გაყვითლებული მზის ფოთლებით გახშირებულან. შორს ხარ... დახეხე კიდეც საღამო, რა დამაძინებს ამ პურის ძებთან, მე შენმა მზერამ უნდა დამალლოს, რომ დამეძინოს გაულეძებლად! შორს ხარ და მაინც გულში მარდლივებ, შორიდან ჩრდილებს აჩენ თვალებით, ჩავიცვამ ჯვარის უჩინაჩინებს: შენს თვალებს სადმე დავემალე! ლაკვასტი.

• მისტერ და ნაომ, მინდა იცოდეთ, რომ ორივე შმანქმეები და ჩმორიკები ხართ. ნანა მისირელი.

• ვერ მოვიტომინე და შენს ახლობელს ვკითხე შენი ამბავი. ვიცოდი, რომ გეტყოდა და იმიტომ. ჯერ სად ხარ, შენს გაგიჟებას ვაპირებ, დათო წინაწილაშვილი! ომი გინდა? მიიღებ!

• მარ, მინდა სიყვარულით მოვიკითხო ჩემი უმაგრესი, მოშარაფე თანამშრომლების სახატავი — ხათუნა, ილო, ნანა, მანანა,

მაიკო, რუსო... უყვარხარათ ფილარმონია! CRAZY GIRL.

• სიძულვილი რომ შემეძლოს, ამ გრძნობას უკვე სიძულვილს დავარქმევდი. კლეოპატრა.

• ჩემო საყვარელო მგზავნილებო! მოგესალმებით. თქვენი სიტბო უფრო მეტად მათბობს, ვიდრე გაზაფხულის. წინა ნომერში დიკი ანგელმა სიყვარული ამიხსნა. ნეტავ შემეძლოს მისი დახმარება. ძალიან დათრგუნვილია. დიდი მადლობა ლაკვასტს, ტირიფი73-ს, ფლამინგოს, ბუტას (ახლა შემოგვიერთდა), რომ არ მივიწყებთ. გპირდებით, თუ თვალისჩინი აღმიდება, სასარგებლო მასალას მოგანვდით. თქვენი ნანი დუმბაძე.

• გამარჯობა ყველას. პირველად გწერთ და იცით, რატომ გადავწყვიტე? 2007 წლიდან „გზის“ ყველა ნომერი შენახული მაქვს. დიდი მადლობა „გზას“, რომ არსებობს. გაიხარეთ ყველამ. ბუტუცა.

• მიჭირს შეგუება სისასტიკესთან, ვერა, ვერ ალვიქვი ყველაფერი, არ შევეგუები უსამართლობას და მაინც ვერ შევცვალე ვერაფერი, ვსალმები და თან არ ვსალმები, ხანდახან ზურგს ვაქცივ რეალობას, ზოგჯერ ჩემს თავში ცუდ აზრებს ვებლანდები, ფიქრები აქეთ-იქით მეკარგება, ჩემი გზა უეცლო და სწორი სავალია, ჩემს თავში იუმორს ვოკებ, ცხოვრება „ისე რაა“, ჩვენ არ გვაყალია, მოდი, გავრიდოთ სწორად, სიტყვები გადავცვივით ადამიანებმა, ფიცაც დავეკარგა ვუხი, მოდი, გაგებდეთ და ნელ-ნელა შევეკრივით, ჩვენში აღმართულ კრეტინს; ბევრჯერ მოპაუუნებს ჩემში სულის შფოთვა, შინაგანს დაუფულა ეჭვი, დღეს მე „მოდერატორ“ რატომღაც არ მაოცებს, და რატომ? ოცნებას ვებრძვი? აზრებმა აგილოკა გონების ბაგები, შემოგელაქუცათ აქა-იქ კენტად, ბოლო ტენდენციებს გახდით აყოლილი, აქ სისამაგლე ითვლება კერზად. ეს ჩემი ბოლო ლექსია. ნანა მისირელი.

• ოოჰ, ეს კონტროლიორები... რამდენი ხანია, უფასოდ ვმგზავრობ და მაინცდამაინც დღეს გამომიჭირეს. არა, რა, ჩემმა ომახინანად ნათქვამმა — სვანი ვარ, არ გაჭრა და მომიწია პირადობის მიცემამ. ვაიმე, მართლა სვანია, გავუშვათ, სადმე არ დაგვხვდესო, მაგრამ მეორე შეუვალი იყო. საზიზღარი! მაგათ გამო ლექციაზე დაეაგვიანე. ფიფქია. P.S. მოკითხვა ნანი ბებოს.

• საღამო მშვიდობის, ჩემო საყვარელო მარი. როგორ ხარ? განა მარტო იმიტომ მიყვარხარ, რომ მესიჯებს მიბეჭდავ... მარი, რა მეშველებოდა, ჩემი საყვარელი ჟურნალი და თქვენ რომ არ არსებობდეთ? გამისკვებოდა ეს დატანჯული გული ორად. არ მეგონა, კიდე თუ დაბეჭდავდი ჩემს მესიჯებს. ვიფიქრე, არ გამომივიდა ამბავი-მეთქი, მაგრამ დღეს რომ წავიკითხე, ღიმილი მომადგა სახეზე და ჩემს თავზე გამეცინა. აუ, რა მაგარი შეგრძნებაა, როცა შენს მესიჯს ჟურნალში კითხულობ; უმეგონა. მადლობა, მარი, შენ ჩემი კეთილი ფერია ხარ და იცოდე, რომ თინეიჯერ შინაბერას უყვარხარ. გაკოცე.



•ახლა მოვიცალე და „გზავნილებს“ ჩავეუფლები, საფუძვლიანად რომ წავიკითხო. იცი, რა აღმოვაჩინე? თურმე, ჩემს მესიჯს ფლამინგო და კლეოპატრა გამოეხმაურნენ. არ ვიცი, მარი, ჩემი მესიჯი თუ გახსოვს. მაშინ მართლა ცუდად ვიყავი და ტირილით მოგწერე ის მესიჯები. ბოლოს ჩემი ნიკიც არ მოგწერე, აზრი არ აქვს-მეთქი. არ მინდა, ვინმემ მიცნოს და იმიტომ შევიკავე თავი მის ლინერზე. არ ვიცი, კლეოპატრა ნამდვილად ჩემს მესიჯს გამოეხმაურა თუ უბრალოდ მომეჩვენა ასე. ჩემო საყვარელო ადამიანებო, ფლამინგო და კლეოპატრა, არ მეგონა, თუ ჩემს მესიჯს გულთან ასე ახლოს მიიტანდით. ამისთვის უღრმესი მადლობა თქვენ ორივეს და მარისაც იმისთვის, რომ მომისმინა, როგორც მეგობარმა. ძალიან აველდდი, როცა თქვენი მესიჯები წავიკითხე და ასეთი თბილი სიტყვებით გამოეხმაურეთ. თქვენს რჩევას აუცილებლად მივიღებ და გავითვალისწინებ, ჩემო თბილო და საყვარელო ადამიანებო. იმ ადამიანმა კი გამიცრუა იმედები და ღრმა უფსკრულით გადამჩეხა, მაგრამ მაინც ვიბრძობ და ამოვალ იმ საშინელი უფსკრულიდან. ასე იოლად არ დავენებდები. ვიცი, ჩემო კარგო კლეოპატრა, ჯოჯოხეთი რომ საშინელებაა და იქ მოხვედრას არავის ვუსურვებ. ამ ყველაფერს კარგად ვაცნობიერებ და ვცდილობ, უფლის დახმარებით ეს არასწორი ნაბიჯი არ გადავდგა. არ მინდა, სიკვდილამდე მოვკვდე. თქვენი სიტყვები ჩემს დატანჯულ გულს მალამოსავით მოედო და ტკივილი გამიყუჩდა. ძალიან გულჩვილი და სენტიმენტალური ვარ და ცრემლებს ახლაც ვერ ვიკავე. მინდა, კიდევ ბევრი რამ მოგწეროთ, მაგრამ... არ გიცნობთ და შემიყვარდით. გულში მაგრად ჩაგეზუტეთ, გაკოცეთ, მიყვარხართ. მარ, ძალიან მინდა, ეს მესიჯი დამიბეჭდო, არ მინდა, უმადური ვეგონო.

•პირველად გწერთ და იმედი, დამიბეჭდავთ. ჩემი მეუღლე ჩემზე 17 წლით დიდია. სწორედ ესაა სიყვარული, როცა ვერავის და ვერაფერს ხედავ მის გარდა. ხანდახან მეშინია ამ სიყვარულის. გკოცნით. ვერა.

•მიშველეთ! გოგო შემიყვარდა, რომელსაც ყველა დასცინის და მეტსახელად ტიალ თამთას ეძახის. ეს ძალიან მანუხებს და ვერ ვაბაზრებ, რომ მიყვარს. ყველა დასცინის, მე კი მისი ცოლად მოყვანის სურვილი მაქვს. თავის მოკვლა 2-ჯერ უკვე ვცადე, მაგრამ შემაჩერეს. არანაირი შანსი არ მაქვს, რადგან ჩემებმა რომ გაიგონ, სასტიკად დამსჯიან და შინიდან გამაგდებენ. მე კი გაუნათლებელი ვარ და სამსახურს ვერ ვიშოვი. თამთა ჩემი სკოლეღია, ხშირად სკოლის ბუფეტში ვხვდებით ერთმანეთს და ორივე ვხალავთ ჩვენს გრძობებს. სადამდე გავრძიდება ასე, არ ვიცი. 1 კვირის შემდეგ ალბათ გავიპარებით, მაგრამ ოჯახი არ მიმიღებს. თამთაზე ისეთი ხმები გაავრცელეს... ამბობენ, ბინძური გოგოაო და ჩემები ამაზე ხშირად კაიფობენ. მე კი ჩუმად ვუსმენ და უარყოფ

მის სიყვარულს. განა ეს მისაღებია? ცრემლი არ მაშრება თვალზე. ლადუჩო ა-67.

•მამას მოყოლილ ამბავს ვიამბობთ: წინათ, როცა ტელევიზორი იშვიათი ფუფუნების საგანი იყო, ჩვენს სოფელში ერთი კაცი ცხოვრობდა, რომელსაც ტელევიზორი უყვოდა და რეკორდსმენი გამხდარა. მეზობლები მასთან იკრიბებოდნენ ინფორმაციის, ფილმების საყურებლად და მანამდე იცოთ, რას აკეთებდნენ? „შარვალ-კოსტუმს“ და ახალ ლაქის ფეხსაცმელებს იცვამდნენ, თმას ივარცხინდნენ, ბავშვებს პირს ჰბანდნენ. რატომო, თუ ჰკითხავდით, გეტყოდნენ: ტელევიზორში ვინც გამოდის, ყველა გაკრიკალებულ-გაპრიალებულია და სირცხვილი არაა, ჩვენ რომ მოუწესრიგებლები დაგვინახონო? ნეტავ, დღესაც თუ აკეთებთ ვინმე ამას? აბეზარა.


•კოცნას ღამეს რომ მოჰპარავ, დაუბრუნებ ისევ ღამეს, ასეთ კოცნას, სანეტაროს, თუ სჯობია, სულო, რამე. გახსენებით, წინათგრძნობით, ფიქრობს სული, ზრუნვით სავსე, ხან თუ აგერ, გუშინდელზე, ხანაც კიდევ, მომავალზე, მაგრამ ფიქრიც სათუთაა, როცა ჰკოცნი თვალებს გიშრის, აღვარდვარე ცრემლი, სულო, ტირილს მაინც არვინ გიშლის. მორიელი.

•მოკლედ, საღამო და გამარჯობა ინფლაციისგან გატანჯულ ხალხს! ნუ, ახლა კი მოგავშველა ჩვენმა მიშოკომ ვაუჩერეთ და რაღა გეჭირს ანი, ხალხო! ინფლაცია იქით იყოს და სტუდია „ბრავო რეკორდს“ მართლა ბრავო, რა! ტანია-მარია ჩამოგვიყვანა. დაგვაკინცა ამ ქალმა მომატებული ფასები. მეოთხედ ვწავი ეს ქალი თბილისს და ისე გაუშინაურდა უკვე ჩვენს დედაქალაქს, რომ გასულ კვირას ნახალოვკაში უნახავთ, კორპუსის წინ, ჩაცუცქული აყომარება თურმე საქმეებს. ტანია-მარიამ დაგეტოვა, ხალხო, და ჰა, მთვარე ეწვია დედაშინას. მოგვიახლოვდა, დაზვერა გარემო და ამ ინფლაციის შემხედვარემ დაგეტოვა ისევ. ისეთი ამბებია დედაშინაზე, ისევე ზემოდან სჯობია ყურებაო. ეჰ, ნავედი, ხალხო, და რა ვი... გისურვებთ ფასების კლებას და გახარებას. 9717.

•„ნიჭიერი“ დაიწყო. ერთადერთი პროექტია, რომელსაც ვუყურებ, მაგრამ მაცდის ვინმე ნორმალურად ყურებას და მოსმენას ერთდროულად? სახლში ჩემი ჟიურ-კრიტიკოს-კომენტატორები მყავს, ოჯახის წევრებ-მეზობლების სახით. „რას ჰგავს ეს ქალი?“ „ამას აქ რა უნდოდა?“. ხომ არ მოვიტხოვო, რომ „ნიჭიერი“ ტიტრებით გაუშვან? კარგი, რა, ხალხო, კარგი, რაა! მე მიუკეთებთ ამას? CRAZY GIRL.

•მარ, გოგონები რომ არ მევასება, იცი? ნუ, დაქალობის პონტში, რაა... მაგრამ არის ერთი გამონაკლისი — ჩემი თანამშრომელი ხათუნა, რომელზეც მეკვებება. ხედავს, რომ ყოველ ხუთშაბათს ვყიდულობ იმ ჟურნალს, რომელზეც ყველა გოგდება. ერთხელ მკითხა, მანდ „გზავნილებს“ კითხულობო? მეც, დიპლომატიურად ვუპასუხე, მანდ ჰოროსკოპით დანყებული,

პროვოკატორის ჩათვლით, ყველაფერს ვკითხულობ-მეთქი. მოკლედ, ახლა მინდა ვუთხრა, ხმამალა და ამაყად, რომ მე არა მარტო ვკითხულობ, არამედ, უკვე 3 წლის მგზავნიელი ვარ. თქვენს გიჟს უყვარხართ. CRAZY GIRL.



გილოსავ!

•ჩემს შეილს, ბექა ლომიძეს 12 აპრილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას. ბექა, ძალიან მიყვარხარ და ვწუხვარ, რომ შენ გვერდით არ ვარ. ღია.

•ირაკლი კომახიანს დობადების დღეს, 26 მარტს ულოცავს ოზურგეთიდან, ბიძია — გელა ქურდიანი. უსურვებს ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას. იყავი ტკბილად და ბედნიერად.

•ჩემს საყვარელ მამიდას, დარეჯან პერტახიას ვულოცავ დაბადების დღეს, 2 აპრილს. მამი, გისურვებ ყოველივე საუკეთესოს, არ მოგკლებოდეს უფლის მფარველობა! მიყვარხარ, მამია.

•მარი გეჯაძეს და დათო ნიკლაშვილს ვულოცავ ქალიშვილის, ნათიას დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი, ბედნიერი და სასახელო გოგო გაგიზარდო. ღმერთი გფარავდეთ. თამილა ქოქიაშვილი.

•ლუკა, გილოცავთ დაბადების დღეს, 30 მარტს. ჯანმრთელი და წარმატებული ბიჭი გაზრდილიყავი. გფარავდეს ღმერთი. სვეტა, სალო, მანანა, რეზო, მაგული, ფატი და ლელა ქავთარაძე.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლო ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გასურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ტაიმ-აუზი

უდაბნოს უვილავი

საჰარის უდაბნოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, რომლებიც ერთმანეთისგან ენით, კულტურითა და წესჩვეულებებით განსხვავდებიან. ბერბერები ბერბერულად საუბრობენ, არაბები და გაარაბებული ბერბერები — არაბულად. ებრაელები ძველებრულად და ა.შ. ისინი ფინიკითა და მარილით ვაჭრობენ. შეძლებულ ოჯახს ჰყავს — აქლემი, თხა, ცხვარი და ვირი, იშვიათად — ძროხა.

საჰარაში ძირითადად მომთაბარე ტუარეგები (ტუარეგი — „ღმერთისგან უარყოფილს“ ნიშნავს) სახლობენ. მათ აფრიკის ყველაზე ამაყ, დამოუკიდებელ და ლამაზ ჯგუფად მიიჩნევენ, რომელთაც არ სურდათ, არაბებს დამორჩილებოდნენ და საჰარის სამხრეთით გადასახლებულიყვნენ. ტუარეგები არისტოკრატიზმად, ვასალებად და მონებად იყოფიან. არისტოკრატები მალაბები არიან და თეთრი კანი აქვთ. ქალებიცა და კაცებიც უამრავ სამკაულს ატარებენ. ტუარეგებში მატრიარქატი სუფევს. ქალები ყველაფრის მფლობელები არიან. თუ ცოლი ქმართან გაყრას გადაწყვეტს, ქმარი სახ-

ლს ტოვებს. ისინი ბერბერულ დიალექტზე ლაპარაკობენ. აქვთ საკუთარი დამწერლობა — ტამამევი. სხვათა შორის, წერაკითხვა მხოლოდ ქალებმა იციან. განათლებული მამაკაცები არაბულ დამწერლობას იყენებენ.

ახალდაქორწინებულები პატარძლის ოჯახში ცხოვრობენ. მამაკაცები მხოლოდ საკუთარ დეიდაშვილებსა და ბიძაშვილებზე (დედის მხრიდან) ქორწინდებიან. მამაკაცის ვალი ოჯახის შენახვაა. ისინი აფრიკის საუკეთესო მეზრძოლები (თანამედროვე იარაღს არ ცნობენ. ხმლებითა და დანებით იბრძვიან) და ვაჭრები არიან. ქალი დიასახლისია, მაგრამ თუ დასჭირდა, შეუძლია, მამაკაცების გვერდით საკუთარი ოჯახისა და ერის გადასარჩენად იბრძოლოს. ტუარეგების ძირითადი ნაწილი მუსლიმანია, მაგრამ მრავალცოლიანობა აკრძალული აქვთ. ეს ერთადერთი ტომია, სადაც სახეს ქალები კი არა, მამაკაცები იფარავენ. და არა მარტო უცხოებთან, არამედ — ოჯახშიც. არსებობს ლეგენდა, თუ რატომ იფარავენ მამაკაცები სახეს, მაგრამ ამის გახმაუ-



რების რცხვენიათ. ძველად, ტუარეგებს ვარგლების ტომის მამაკაცებთან ომი ჰქონდათ. გამარჯვებულების შესახვედრად ტუარეგელმა ქალებმა სადღესასწაულო სამოსი ჩაიცვეს და ძვირფასი სამკაულები გაიკეთეს, მაგრამ როცა მათი დამარცხებული მეუღლეები სამშობლოში დაბრუნდნენ, ქალებმა თავსაბურავები მოიხსნეს და მათ სახის დამალვა უბრძანეს: „დამარცხებულები ხართ, ჩვენი თვალების სირცხვილი. დღეიდან სახეს აღარ გამოაჩენთ“. 18 წლის ბიჭებს სახესა და თავს (ლურჯი ან თეთრი) ნაჭრით უხევენ და ორმხრივად ალესილ ხმალს გადასცემენ. ამის შემდეგ ყმანვილი სრულწლოვნად მიიჩნევა. ტუარეგები ოქროს სამკაულებს არ იკეთებენ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ „კეთილშობილ მეტალს“ უბედურება მოაქვს. სამკაულებს მხოლოდ ვერცხლისგან ამზადებენ. ძირითადად, ლურჯი ფერის ტანსაცმელი აცვიათ, რის გამოც „ლურჯ ადამიანებს“ ეძახიან. აქლემის რძითა და ბოსტნეულით იკვებებიან, მაგრამ სტუმარს ცხვარს უკლავენ და ჩაით უმასპინძლებიან. ■






საუიზი მწერები

ველური ფუტკარი, კაციჭამია-ჭიანჭველა და ობობა ხშირად ყველაზე შხამიან გველზე საუიზია. XX საუკუნის 50-იან წლებში ბრა-

ბინადრე ჭიანჭველები კოლონებად გადაადგილდებიან. ისინი ხორცსაც მიირთმევენ და მსხვერპლისგან მარტო ძვლებს ტოვებენ. დანარჩენი სახეობის

— ნეიროტოქსიკური და ჰემოლიტიკური. პირველი ყველაზე მომაკვდინებელი და პირდაპირ მსხვერპლის ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. ობობისნაირთა კლასს მიეკუთვნება მორიელი. 1200 სახეობას შორის ყველაზე დიდი (18 სმ) გვინეაში გავრ-



ზილიელმა მეცნიერმა — უორვიკ კერმა სამხრეთ ამერიკაში აფრიკული ფუტკრები ჩაიყვანა. მას სურდა, აფრიკელი და ადგილობრივები ფუტკრების შეჯვარებით ახალი, უფრო მშრომელი მწერი გამოეყვანა. აფრიკელები ადგილობრივებს შეერივნენ და გამრავლდნენ. შთამომავლები დიდი შრომისუნარიანობით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ძალიან აგრესიულები იყვნენ. ფუტკრების გალიზიანებას იწვევდა სუნამოს სურნელი, ტანსაცმლის ფერი და ხმაური. თუ ჩვეულებრივი ფუტკარი ადამიანს 3 წუთის მანძილზე მისდევს, აფრიკული მთელი საათის მანძილს არ მოეშვება, სანამ არ უკბენს. სტატისტიკის მიხედვით, 1969 წელს, აგრესიული ფუტკრების ნაკბენისგან 200-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა. 1000 მეტი შინაური ცხოველიც ფუტკრების მსხვერპლი გახდა. მეცნიერებს ფუტკრების განადგურება დაავალეს, მაგრამ მათი სრულად განყვება ვერ მოხერხდა. ისინი სწრაფად მრავლდებოდნენ და გადაადგილდებოდნენ. აფრიკული ფუტკრების უკანასკნელი მსხვერპლი გახდნენ 2007 წელს სამხრეთ ფლორიდის დამსვენებლები და 2008 წელს მექსიკის ქალაქ ტაპაჩულას პოლიციელები.

ჭიანჭველა ადამიანისთვის ნაკლებად საუიზია, მაგრამ გამონაკლისებიც ხდება. ცოტა ხნის წინ, ინდოეთის ერთ-ერთ კლინიკაში დიაბეტით დაავადებულ პაციენტს შავი ჭიანჭველები შეესივნენ. სახვევში შეაღწიეს და თვალი ამოაჭამეს. ჭიანჭველას ნაკბენი ალერგიასაც იწვევს, მაგრამ რამდენიმე წლის წინ, აშშ-ში მწერის ნაკბენისგან პატარა ბიჭი გარდაიცვალა. XX საუკუნის 30-იან წლებში ცეცხლოვანმა ჭიანჭველებმა დიდი ზიანი მიაცენეს სამხრეთ ამერიკის ეკონომიკას (აზიანებდნენ ელექტროგაყვანილობებს).

ცვლებული იმპერატორია. ყველაზე პატარა 1 სმ-მდე იზრდება. მორიელის შხამი ორგანოა: პირველს შეუძლია პარალიზება ან უხერხემლო ცხოველის მოკვლა (ადამიანისთვის უსაფრთხოა, მაგრამ მწარედ იკბინება). მეორე ტიპის შხამი სასიკვდილოა. 7-10 წუთში შეუძლია, მოკლას ძალი, რამდენიმე საათში — ადამიანი. საბედნიეროდ, თანამედროვე მედიცინაში არსებობს შხამის სანინალმდეგო საშუალება, რაც ადამიანის გადარჩენის შანსს იძლევა.

თითქმის ყველა ჯიშის ობობას აქვს შხამი. ადამიანისთვის საფრთხეს სულ 4 სახეობის ობობა წარმოადგენს. მათ შორისაა, შავი ქვრივი (იგი განაყოფიერების შემდეგ მამრ ობობას ჭამს). კბენის დროს გამოყოფს ნეიროტოქსინს, რასაც ადამიანის პარალიზება შეუძლია. დაზარალებულს თუ დროულად გაუკეთდა ანტიდოტი, მისი გადარჩენა შესაძლებელია. სამხრეთამერიკული „მევიოლინე“ ობობა კბენისას გამოყოფს ჰემოლოტიკურ შხამს. პაციენტის მკურნალობას შესაძლოა, თვეები დასჭირდეს. სხვათა შორის, აფრიკის უდაბნოში მოსახლე ბედუინები ობობის შხამს საბრძოლო შუბის წვეტებზე უსვამენ.

მკვლელი-ფუტკრები საშიშ მწერებთა სიაში მესამე ადგილზე არიან; პირველზე — „ვესპა მანდარინა“. ტაივანში მას „ფუტკარ-ვეფხვს“ ეძახიან, იაპონიაში — „ბელურა-ფუტკარს“. „ვესპა მანდარინის“ ნაკბენისგან წელიწადში 40-50 ადამიანი იღუპება. მწერის სიჩქარე 80 კმ/სთ-ია. დედამიწაზე 10000-ზე მეტი სახეობის ჭიანჭველა ბინადრობს. მათ შორისაა საშიში სახეობის მწერებიც. ერთ-ერთია — ჭიანჭველა-ტყვია, რომელიც ტროპიკულ სარტყელში, ხეებზე ბინადრობს. იგი მალედიან ესმის ადამიანს, მისი ნაკბენი ტანსაცმელში ატანს და მსხვერპლი ადგილზე იღუპება. სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში მო-

ბრაზილიური მოხეტიალე ობობა ქსელს არ აბამს. იგი ადამიანთან ახლოს ბინადრობს. მისი ნაკბენი ადამიანს კლავს. ამ მწერის შხამი ორნარიია

1 აპრილიდან

არსენალი

№7 (128). 1-13 აპრილი, 2011 წ. საგზაო-ავტომობილო უსაფრთხოება. ღირსი 1,5 ლარი.

დაუნდობელი იმი დიპლომატიური რეჟიმის სრულ დახმარება...

რა კარებს უღიბდა დიმიტი იმედი

რითი პირობას NATO კარავს იმპერიის



გონების საპარჯიშო


„გზის“ ერთგული
მაითხვალისათვის
(აითხვავი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჩნდნარ გაგაჩცეთ თვალი

1. რა არის „დავითნი“?
2. ქართული ანდაზის თანახმად, რას მოეწიის ყმისაგან ბატონის საყვარელი გველი?
3. დაასახელეთ ნაწარმოები, რომლისთვისაც მიხაილ შოლოხოვი ნობელის პრემიით დააჯილდოეს.
4. რატომ გაიტანა ჯონი დეპმა ერთ დღეს სახლიდან ყველა სარკე?
5. სადაური სიმღერაა „კიკო-ლიკო-ზალიკო“?
6. რა არის „თოქალთო“?
7. რა ჰქვია მოკლელულიან შაშხანას?
8. რა ჰქვია ისრების ჩასანყობ ბუდეს?
9. ცნობილია, რომ ჩინელთა უმრავლესობას ორგანიზმში არ გააჩნია ფერმენტი, რომელიც რძის შაქარს, ლაქტოზას შლის, რის გამოც ჩინეთში რძის პროდუქტები ნაკლებად პოპულარულია. დაასახელეთ ერთადერთი პროდუქტი, რომელზეც ჩინელები ვერ ამბობენ უარს.
10. რა ნათესაური კავშირი ჰქონდა ინდირა განდის მამათა განდისთან?
11. რა ჰქვია მანძილს სალოკ და შუათითს შორის?
12. რა ჰქვია მანძილს გაჭიმულ ცერსა და სალოკ თითს შორის?
13. რა ჰქვია მანძილს გაჭიმულ ცერსა და ნეკა თითს შორის?

ანექლოცენი



პროგრამისტი ლიფტში შედის, ლილაკებიდან 7-ს აჭერს თითს და „ენტერის“ ლილაკს ეჭებს.

— მანქანის გასაღებს ვერ ვპოულობ! — წუნუნებს ცოლი.
— „დაგუგლე“ და ამოგიგდებს.

პოლიციისაში:
— უფროსო, სვანები დავაკავეთ. კენტავრი დააყარაღეს!
— რა წართვეს?
— ცხენი!

— ხაჩიკ, ეს რა მაგარი საათი გიკეთია! საიდან?
— მამაჩემმა სიკვდილის წინ მომიყიდა!

სვანი პარაშუტით უნდა გადმოსტეს.
— თუ არ გაიხსნა, რა ვქნა?
— ხელები ფრთებივით დაიქნიე...
— ეუბნება ინსტრუქტორი.
რამდენიმე წუთის შემდეგ ილუმინატორზე კაკუნია. გაიხედავენ და ხედავენ, რომ სვანი თვითმფრინავს ფრენით მოჰყვება:
— ახლა, რა გავაკეთო?

დათვმა და კურდღელმა ოქროს თევზი დაიჭირეს.
— ორივეს სამ-სამ სურვილს შეგისრულებთ! — უთხრა ოქროს თევზმა.

— მინდა, რომ ამ ტყეში მობინადრე ყველა დათვი ძუ იყოს, — ინატრა დათვმა.

— მე კი „ჰარლეი დევიდსონი“ მინდა, — ინატრა კურდღელმა.

თევზმა ორივეს შეუსრულა სურვილი და კიდევ რას ინატრებთ? — ჰკითხა:

— მინდა, მეზობელ ტყეებში მობინადრე ყველა დათვიც ძუ იყოს! — ინატრა დათვმა.

— მე კი მოტოციკლის ჩაფხუტი მინდა, — ინატრა კურდღელმა.

თევზმა ეს სურვილიც შეუსრულა.

— მინდა, მთელი მსოფლიოს ტყეებში მობინადრე დათვები ძუები იყვნენ! — ინატრა დათვმა.

ამასობაში კურდღელმა თავისი „ჰარლეი“ დაქოქა და სანამ ადგილს მოსწყვეტდა, ოქროს თევზს თავისი მესამე სურვილი მიაძახა:

— მინდა, ეს დათვი ცისფერი იყოს!

ფეხბურთელი ცოლს ეტრაბახება:
— დღევანდელ თამაშში 2 გოლი გავიტანე!

— მართლა? რა მაგარია... რა ანგარიშით დამთავრდა მატჩი?
— 1:1.


— ალო, ალო, ბატონო პროკოფი ბრძანდებით?

— დიას!
— უმორჩილესად გთხოვთ, ხვალ, მეუღლესთან ერთად, წვეულებაზე გვეწვიოთ.

— უკაცრავად, მაგრამ ხვალ დაკავებული ვარ.

— აგაშენათ ღმერთმა!

ყვავი პეპელასთან ფულის სათხოვნელად მივიდა:
— ერთი კვირით 100 დოლარი მასესხე, რა!





— მიხო, რამ მოკლა შენი სიდერი?

— სოკო ჭამა და...

— თვალი რატომ აქვს დაღურჯებული?

— თავიდან არ ჭამდა!..

რაჭველი პურზე გაგზავნეს: სახლის წინ 2 მალაზიაა და ან ერთში იქნება პური, ან მეორეშიო. ცოტა ხანში რაჭველი ხელცარიელი დაბრუნდა:

— პური ორივე მალაზიაშია და რომელში ვიყიდო?

სვანს მიასვენებენ და სურათი შემოტრიალებული მიაქვთ.

— სურათი ეგრე რატომ უჭირავთ? — იკითხა გამვლელმა.

— ძებნაშია!

სვანმა შვილებს დაუბარა, რომ მოკვდები, ზღვაში დამმარხეთო. სვანი გარდაიცვალა და შვილები საფლავის ამოთხრისას დაიხრჩვენ.

ზოოპარკში:

— მამა ნახე, მელირებული ვირი.

— ეგ ზებრაა, შვილო, მელირებული ვირი სახლში გველოდება.

ორი დაქალის საუბრიდან:

— ალარ შემოდია, ყოველ წელს ბავშვის გაჩენა მიწევს.

— შენც ცოტა ხნით ნულარ დაწვები ქმართან.

— ვცადე და არ მშველის!..

ტაქსის მძღოლი მისი მანქანის უკანა სავარძელზე მოკალათებულ გოგოს თვალს ვერ აშორებს სარკეში. გოგომ შეამჩნია:

— რამდენს გადამიხდი, ახლა რომ გავიხადო?

— რაღა უნდა გაიხადო, შემოგვეღვი, რაღა უნდა გაიხადო?!

სარა დაქალს შესჩივის:

— ჩემი ქმარი ისეთი წუნურაქია, ისეთი წუნურაქი, რომ საქორწინო მოგზაურობაში მარტოკა წავეთრა...

ორი ლამურა ფეხებით თავდაყირა კიდია.

— ყველაზე ცუდი დღე როდის გქონდა?

— ორი კვირის წინ, კუჭი რომ ამეშალა...

სამსახურიდან სახლში დაბრუნებული მიხო ოხრავს:

— მარშრუტკაში იმდენი ხალხი იყო, რომ მძღოლი მეორე რეისს გამოჰყვა!

გურული დედა ეუბნება შვილს:

— მიდი შვილო ბებოსთან, რაცხა გასახარელი უთხარი, თვარა ფინთადაა მაგის საქმე...

— ბებო, შენს პანაშვიდზე ბრამსი და შოპენი დოჟკრათ თუ „მაროს მოთქმა“ გირჩენია ფალიაშვილის „დაისიდან“?

— დედა, მამამ სასტუმრო ოთახში ჭაღზე თავი ჩამოიხრჩო!

დედა სასტუმრო ოთახში გავარდა. ხედავს არავინაა.

— დღეს 1-ელი აპრილია, მოტყუება ადვილია! — ახარხარდა ბიჭი, — „ზალაში“ აგდია, ვენები გადაიხსნა!..



გონების სპარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხველისათვის

(პასუხები)

1. საეკლესიო საგალობელთა წიგნი.

2. უბეში ჩასმას.

3. „წყნარი დონი“.

4. „დავიღალე საკუთარი სილამაზის ყურებით“, — გაიძახოდა მსახიობი.

5. ლეჩუმური.

6. ცხენის ზურგზე, უნაგირის ქვეშ დასაგები ქეჩა.

7. კარაბინი.

8. კაპარჭი.

9. ნაყინი.

10. არავითარი. ინდირა განდი ჯავაპარლამ ნერუს ქალიშვილი იყო. განდი მისი ქმრის გვარი გახლდათ. ინდირას მეუღლე — ფეროს განდი წარმოშობით სპარსი გახლდათ — ათასი წლის წინ სპარსეთიდან გამოქცეული ხალხის შთამომავალი, და სახელგანთქმულ მაჰათმა განდისთან არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონია.

11. გაბაჯანი.

12. ციდა.

13. მტკაველი.

რენიფოსოზანა





კოროსკოპი

31 მარტი - 6 აპრილი

ვეჩორი

თუ წარმატების მიღწევა გსურთ, თავდაჯერებულად იმოქმედეთ. ხიფათის თავიდან ასაცილებლად, ახალ-გაცნობილებს სტუმრად შინ ნუ მიიპატიჟებთ.

კუჩრი

ახლობლებთან სხვების გამო საქმესა და ურთიერთობას ნუ გაიფუჭებთ. მატერიალურ სიდუხჭირეს თავს საყვარელი ადამიანის წყალობით დააღწევთ.

ტყუპები

თუ საკუთარ ძალებში დარწმუნებული არ ხართ, ახალ საქმეებს ნუ შეეჭიდებით. გადატვირთული გრაფიკის გამო, ნურც საყვარელ ადამიანს დაივიწყებთ.

კირჩხიბი

რომანტიკული შეხვედრები სასიამოვნო განწყობილებას შეგიქმნით. გაგიუმჯობესდება შრომისუნარიანობა. ახალი იდეების განხორციელებაზეც იზრუნეთ.

ღორი

ოჯახის წევრები ყურადღებითა და მზრუნველობით გაგანებიერებენ. ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული და მომთხოვნი. საოჯახო საკითხები მეუღლესთან ერთად მოაგვარეთ.

ქაფხუდი

თუ სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება გსურთ, ნუ გააბამთ ჭორების ქსელს. საკუთარი მოსაზრებები თქვენთვის შეინახეთ.

სასწორი

ნუ გაფლანგავთ ფულს ძვირად ღირებულ, გამოუსადეგარ ნივთებში. სულიერ სიმშვიდეს საოჯახო საქმეების შესრულებაში პოვებთ.

ვირჯინი

პედაგოგიური საქმიანობა დამატებით შემოსავალს მოგიტანთ. ახალი საქმეების წამოწყებისას გაითვალისწინეთ ოჯახის წევრების აზრი. განტვირთვაში მუსიკა დაგეხმარებათ.

მშვიდღოთხა

თუ საშუალება გექნებათ, ძალებისა და ენერჯის აღსადგენად, რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გაემგზავრეთ და დაისვენეთ.

თხრი

მეგობრებისგან ახალ საქმიან წინადადებას მიიღებთ, რაც მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ. ოჯახში ნუ გახდებით კონფლიქტის მიზეზი, გაითვალისწინეთ მშობლების რჩევა-დარიგებები.

მეწყობი

ამ პერიოდში იურიდიული საკითხების მოგვარებას არ გირჩევთ. პრობლემების თავიდან ასაცილებლად, საქმიან დოკუმენტებს ადვოკატის თანდასწრებით მოაწერეთ ხელი. საყვარელ ადამიანთან სიჯიუტეს ნუ გამოავლენთ.

თევზები

კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, უცხო ენის შესასწავლად. ჩაიტარეთ სამკურნალო-პროფილაქტიკური გამოკვლევა.

როგორ მეუღლეთს ირჩევენ ზოდიაქოს ნიშნები?

(დასარული დასწყისი იხ. „გზა“ №12)

სასწორი

ქალი — მის გვერდით მეოჯახე მამაკაცი უნდა იყოს. რთული სიტუაციებიდან თავის დაღწევა უნდა შეეძლოს. მეუღლის გამხიარულება, კომპლიმენტებითა და საჩუქრებით განებიერება უნდა შეეძლოს.

მამაკაცი — გემოვნებიან, დახვეწილ მეუღლეზე ოცნებობს. მან თავისუფლებისმოყვარე, შემოქმედი პიროვნება არ უნდა შეზღუდოს.

მორიელი

ქალი — მის გვერდით ძლიერი პიროვნება უნდა იყოს — ლიდერი, მებრძოლი, განათლებული და ხელმარჯვე.

მამაკაცი — ენერგიულ, სექსუალურ, განათლებულ, საკუთარ თავში თავდაჯერებულ ქალს ანიჭებს უპირატესობას.

მშვიდღოთხი

ქალი — მთავარია, მის მხორე ნახევარს მოგზაურობა

უყვარდეს, იყოს ავანტიურისტი, საინტერესო პიროვნება და საყვარელი ქალის დაცვა შეეძლოს.

მამაკაცი — მოდელის გარეგნობის მქონე, ლამაზ ქალზე ოცნებობს, რომელიც აგრეთვე კარგი დიასახლისი, კულინარი და მზრუნველი ცოლი იქნება.

თხრი

ქალი — ქმარმა თავისუფლება არ უნდა შეუზღუდოს. მატერიალური და სულიერი კომფორტი უნდა შეუქმნას.

მამაკაცი — ქორწინებას არ ჩქარობს, მისი ცოლი ტრადიციების მოყვარული, კარგი ოჯახის შვილი, მდი-

დარი უნდა იყოს, ამასთან — ქმრის მორჩილი.

მეწყობი

ქალი — ელეგანტურ, სიმპათიურ მამაკაცს მისთვის ირჩევს, რომელიც თავს დედოფლად აგრძნობინებს. ქმარი ცოლის ინტერესებს უნდა იზიარებდეს და ახალი იდეების განხორციელებაში ეხმარებოდეს.

მამაკაცი — გვერდით ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანი უნდა ჰყავდეს, რომელიც წარმატებისკენ უბიძგებს. სურს, რომ ცოლმა ყოველი დღე დღესასწაულად უქციოს, გაამხნევოს, სიზარმაცე დააძლევინოს.


თევზები


ქალი — ძლიერ, ჭკვიან (ზოგჯერ ასაკით უფროს) მამაკაცს ანიჭებს უპირატესობას.

მამაკაცი — რბილი, დამყოლი ხასიათის ქალური ქალეზი მოსწონს, რომელთანაც ხელოვნებასა და ბუნებაზე ისაუბრებს. ძლიერ და პრეტენზიულ ქალებს გაუზრბის.





				1. გერმანული ავიაკომპანია	2. ავსტრელი ექიმი და ფსიქოლოგი	3. ამერიკის შტატი		4. ონაერი, ცეკვი			5. თხის ჯოჯი
				6. ფეოქენბადი ნივთიერება		7. ბუნებრივი წყალსაცავი					
										8. კარმიდამო	
								9. ჩილეს დედაქალაქი			
				10. გრამტიკული კავშირი			11. ინფორმაციის ერთეული				12. პირის ნაცვალსახელი
13. თვითმკვლელობა							14. იტალიური ავტომობილი				
15. შეცოდება						16. გოეთეს პიესა		17. დაბა სვანეთში	18. ქვეყანა ევროპაში		19. ... კრუზი
					20. დედამიწის თანამგზავრი						
21. საკლესიო მგალობელთა გუნდი			22. ქვეყნის ერთ-ერთი სიმბოლო								
					23. სულის განწმენდა						
24. დანის არამჭრელი მხარე	25. პორტუგალიის ფეხბურთის გუნდი						26. მწვანელი	27. ყაიმი	28. თასი		29. დიდი რუსული „გარმონი“
			30. საადგილო ნამცხვარი		31. სინამდვილე						
32. სუსტი ქარი	33. სასულე										
							34. ... ტარანტინო	35. სახედარი			
	36. თვითმმართველობა	37. „ლოჯის“ მოდელი									
	38. იაპონური ავტომობილი										
											39. პზიკი



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. კალვადოსი; 2. დეტალი; 3. გოთუა; 4. ასული; 5. ტარანტული; 6. ირა; 7. შაშვი; 8. ტრაბახი; 9. ფრითი; 10. მადონა; 11. აპრილი; 12. კოტრი; 13. მათემატიკა; 14. ლობიო; 15. აგარა; 16. ბაზალეთი; 17. რკო; 18. ჯვარი; 19. ალიგატორი; 20. რენომე; 21. რუბლი; 22. მექა; 23. ნატო; 24. პორტი; 25. აკრობატი; 26. არია; 27. ნაჯახი; 28. ნიკოტინი; 29. აჯიკა; 30. შრე; 31. ჰობოი; 32. ნოტი; 33. ტახი; 34. მესტია; 35. ლექსუსი; 36. ქამი; 37. უნდინა.
სურათებზე: 1. კეტრინ ზეტა ჯონსი; 2. ჯორჯ კლუნი.

ფოტოკუჩიონები





„გამოცემლობა ვალიბრა L“-ის ახალი წიგნები

მუსიკალური წიგნი და მოუსმინე ხმებს
სმოჯანი წიგნი

ჩემი პირველი დღიური



ფორმატი: 25X26
გვ. რაოდ.: 60
ყდა: ბალიშა
პირველი დღიური დაბადებიდან სკოლამდე ასაქამდე. შეასეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ კი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...


სიახლე!
ფასი: 14.99

მოაფრეთ პატარას



ფორმატი: 22X22
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ამ სმოჯან წიგნს პატარები მამინვე შეიყვარებენ. მხიარული ხმები კი, რომელსაც ჩანართების გადამლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს მეტად გაახალისებს.

სიახლე!
ფასი: 15.99



თქვი სიმართლა

ფორმატი: 26X28
გვ. რაოდ.: 24
ყდა: მაგარი
ამ წიგნის ნაჩიბების შემდეგ ბავშვები მიხვდებიან, რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყველაზე უწყინარ ტყუილსაც კი, რატომ არის ტყუილის თქმა ცუდი საქციელი და რატომ უნდა თქვან სიმართლე ყველგან და ყოველთვის.

სიახლე!
ფასი: 8.99



გასაოცარი ცივილიზაციები

ფორმატი: 25X28
გვ. რაოდ.: 35
ყდა: მაგარი
ბავშვებს უღიბ საოცრებით აღსავსე მოგზაურობა უძველესი ცივილიზაციების ქვეყნებში – მათ შორის საქართველოშიც. წიგნში ნახავთ მრავალ მოძრავ გვერდს, შესანიშნავ ილუსტრაციებს, გაეცნობით ბევრ საოცარ და საინტერესო ფაქტს.

ფასი: 19.99

საოცარი ისტორიები „ბალიშა“ წიგნების სერიიდან


რად აქვს ჯურღლელს მოკლე ყელი?



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 25
ყდა: ბალიშა
თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ ჯურღლელს ყოველთვის მოკლე ყელი ჰქონდა. იქნებ, წარსულში მას მელას მსგავსად გრძელი და ფაფუკი ყელი ამშვენებდა? ნაჩიბებით ეს მშვენიერი ზღაპარი და შეიგებთ, რატომ აქვს ჯურღლელს მოკლე ყელი!

სიახლე!
ფასი: 7.99

გიო აფრიკაში



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 25
ყდა: ბალიშა
ნაჩიბით ეს წიგნი და იმოგზაურე აფრიკაში გიოსთან ერთად. იქ შეხვდები ლეოპარდს, მაიმუნს, მარმელადის მოყვრულ მარტორქას... გაიცნობ ხანგების ბელადს... ასე რომ, წინ საინტერესო მოგზაურობა გელით!

სიახლე!
ფასი: 7.99

ჯომბლა



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 21
ყდა: ბალიშა
ეს შესანიშნავი ქართული ხალხური ზღაპარი მოგიტხრობთ, როგორ ასწავლა ჯომბლემ გაუმაძღარ ბატონს ჭკუა და როგორ დაიბრუნა თავისი ჭრელა.

სიახლე!
ფასი: 7.99

ხაჭაპური



ფორმატი: 16X11
გვ. რაოდ.: 22
ყდა: ბალიშა
ნაჩიბით მხიარული ლექსი მარჯვე ბაჭაზე და გაიგე, რა გაღაზდა მას თავისი დღეობის სამზადისში.

სიახლე!
ფასი: 7.99

შეიძინეთ წიგნის მაღაზიეში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამაბის გარეშე

ბელ.: 38 26 73; 38 26 74

www.elva.ge

საუკეთესო პროდუქტები საუკეთესო ფასად



ერთჯერადი შავი ჩაი
„ჩრეული“ 25 პაკეტი

~~1.50~~ **1.30**

პერკულანი
„იანსო სოლნიშკო“
№2

~~2.00~~ **1.75**

სამარხვო
მაიონეზი
„სლოგოდა“

~~1.45~~ **1.30**

დაჭრილი სოკო
„ტონგვა“

~~4.20~~ **3.40**

შვავა ჯიტრი
„ვერსი“

~~4.50~~ **2.80**

ქხვი „სალაქი ორიგინალური“
„კაიზარი“ ნიჟორასაგან

~~8.50~~ **6.70**

სამარხვო კარაქი
„დაჩა“

~~2.45~~ **2.15**

სინკალი სოკოთი
„შვარკული“

~~4.40~~ **3.60**

სამარხვო კატლეთი
კარტოფილითა და წინიგურით
„შვარკული“

~~3.40~~ **2.80**

შავი ზეთისნილი,
უკუკო
„იტალვა“

~~2.95~~ **2.30**

დაკონსერვებული სიონილი • „ვერსი“

~~1.80~~ **1.60**

შვანა ბარდა • „ვერსი“

~~1.80~~ **1.50**



„კვირის პალიტრის“ კოლექცია
„დიდი მხატვრობი“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - მედეგობები და ისტორიები

წიგნი XVIII

დელოა ვერსუა

4-დან - 11 აპრილამდე

მხოლოდ „ქვირის პალიტრის“ მუიტიხევისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!



„კვირის პალიტრის“ ხელმძღვანელთა საყურადღებოდ! წიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდით „ელვაჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერვის ფონელ ტომს ადგილზე მოგართმევთ

LEVA TSIKLAURI
 ქ. თბილისი, ქ. მთაწმინდა, მ. ჯ. ბერიძის ქ. 111
 მისამართი: თბილისი, მთაწმინდა, მ. ჯ. ბერიძის ქ. 111